

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დავით მაცაბერიძის სადოქტორო ნაშრომი თემაზე:

**კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური
ნაციონალიზმების დაპირისპირება 1989-2012 წლებში
(ინსტიტუტების და ინსტიტუციური აქტორების ანალიზი)**

ხელმძღვანელი: ალექსანდრე კუხიანიძე,

ფილოსოფიის დოქტორი,

სრული პროფესორი

თბილისი

2014

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი I. პრობლემის ახალი ხედვა: კონფლიქტის ინსტიტუციური გააზრება.....	30
1.1. საბჭოთა ინსტიტუტების პოსტსაბჭოთა ბედი.....	30
1.2. ინსტიტუციური მიდგომა და კონფლიქტი აფხაზეთში.....	33
თავი 2. კონფლიქტური კონსტრუქტები და მათი ინსტიტუციური გამოვლინებები.....	49
2.1. საკონსტიტუციო დებატები.....	49
2.1.1. აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოგვარების გეგმების ინსტიტუციური ასპექტები (1990-იანი წლების დასაწყისი და 2000-იანი წლები).....	61
2.2. განათლების საკითხები.....	73
2.3. ლინგვისტური უფლებები.....	78
2.4. სუვერენიტეტის საკითხები.....	81
2.5. რეფერენდუმები და თანმდევი პრობლემები.....	95
2.6. ეკონომიკური საკითხები.....	100
2.7. სამხედრო ასპექტები.....	104
თავი 3. კონფლიქტური ქართულ-აფხაზური იდენტობების ჩამოყალიბების და შენარჩუნების ინსტიტუციური ბუნება.....	116
3.1. ინსტიტუტების როლი კონფლიქტური ნაციონალური იდენტობების ფორმირებაში.....	116
3.2. ინსტიტუტები და ისტორიის პოლიტიკური გადაწყვერის მოთხოვნილება.....	120
თავი 4. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ტრანსფორმაცია და ახალი ინსტიტუციური შესაძლებლობები რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: პერსპექტივები და პრობლემები.....	126
4.1. სეპარატისტული რეგიონიდან ოკუპირებულ ტერიტორიამდე.....	131
4.1.1. აგვისტოს ომის პოლიტიკური კონტექსტი.....	132
4.1.1. აგვისტოს ომის ეკონომიკური კონტექსტი.....	138
4.1.2. აგვისტოს ომის სამხედრო წანამდგრები.....	140
4.2. საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია სეპარატისტული რეგიონებისადმი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: ოკუპირებული ტერიტორიები – ახალი ინსტიტუციური მექანიზმი?.....	144
4.2.1. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის საშინაო შეფასება.....	150
4.2.2. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის აფხაზური შეფასება.....	157
4.2.3. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის რუსული შეფასება.....	174
4.2.4. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის საერთაშორისო შეფასება.....	179
დასკვნა.....	187
დანართი I. აფხაზეთის რეგიონის საკითხი 1918-1921 წლებში: ეთნიკური დაპირისპირება თუ სოციალურ-პოლიტიკური მდგეღვარება?.....	201

დანართი 2. საქართველო-რუსეთ-დასავლეთის სამკუთხედი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: პატარა ქვეყანა და დიდი საკითხები.....205

- 1. რუსეთის წევრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთ-საქართველოს პოსტკონფლიქტური ურთიერთობების ჭრილში..... 207
- 2. აფხაზეთის რეგიონი და სოჭის ოლიმპიური კომპლექსი: ეკონომიკური პერსპექტივა აფხაზეთისთვის თუ საერთაშორისო პოლიტიკური დილემა?.....210

დანართი 3. აფხაზეთის კონფლიქტი მთიელ ხალხთა კონფედერაციის და კავკასიური სახლის იდეის ჭრილში.....215

- 3.1. მთიელ ხალხთა კონფედერაციის ჩამოყალიბება და მისი როლი აფხაზეთის კონფლიქტში..... 217
- 3.2. კონფედერაციის აფხაზური ხედვა..... 222
- 3.3. კავკასიური სახლის იდეა – პრობლემის მოგვარება?..... 227
- 3.4.1. კავკასიური სახლი – დანაწევრებული კავკასია?..... 232
- 3.4. აფხაზეთის კონფლიქტი კავკასიური სახლის იდეის პრიზმაში..... 234
- 3.5. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გაერთიანების 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის ინიციატივები..... 238

შესავალი

1980-იანი წლების დასასრული და 1990-იანი წლების დასაწყისი საერთაშორისო წესრიგის ბიპოლარული სისტემის დასასრულით აღინიშნა და დასაბამი დაუდო პოსტსაბჭოთა ეპოქას. დაიწყო სიღრმისეული ტრანსფორმაცია, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მდებარე სახელმწიფოები პოსტსაბჭოთა რეალობისადმი შეგუების აუცილებლობის წინაშე დააყენა. მას შემდეგ ბევრი დაიწერა კავკასიის პოსტსაბჭოთა კონფლიქტებზე, უმცირესობების უფლებების საკითხისა თუ ეთნიკური კონფლიქტების, გეოპოლიტიკური თამაშებისა თუ რეგიონის გარშემო გაჩაღებული საერთაშორისო მეტოქეობის კუთხით (ძირითადად, სამხრეთ კავკასიის ირგვლივ); 1980-იანი წლების ბოლოდან და 1990-იანი წლების დასაწყისიდან ეს ყოველივე ფართო განხილვის საგნად იქცა პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა, რომელმაც სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში იფეთქა, შემდგომ კი რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ, მეცნიერებს რეგიონში მიმდინარე პროცესების კვლევის ფოკუსის შეცვლისაკენ უბიძგა, რამაც გამოიწვია რუსეთის ფედერაციის როლის გადაფასება როგორც ზოგადად პოსტსაბჭოთა პროცესებში, ასევე საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან მიმართებაში.¹

ჩვენი ნაშრომის მიზანია, კრიტიკულად გაავიზროთ *ინსტიტუტების და ინსტიტუციური აქტორების როლი აფხაზეთის ე.წ. ეთნიკურ კონფლიქტში* 1980-იანი წლების მიწურულიდან უკანასკნელ პერიოდამდე. აფხაზეთთან დაკავშირებული პოსტსაბჭოთა პერიოდის პროცესები წარმოჩენილია ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორიის ფარგლებში. რადგან აფხაზეთთან და კავკასიის რეგიონთან დაკავშირებული თანამედროვე პოლიტიკა მეტწილად საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტების ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბდა, ამიტომ პოსტსაბჭოთა პოლიტიკის გააზრება ამ პროცესებში ჩართული თითოეული აქტორის (სახელმწიფო თუ ეთნიკური ჯგუფი) ინტერესების და მოტივაციის ანალიზს უნდა დაეფუძნოს. აფხაზეთის კონფლიქტის ამა თუ იმ ეტაპზე ეს ინტერესები და მოტივაციები მეტწილად ინსტიტუციონალიზებული ფორმით იყო წარმოდგენილი. ვალერია ბანსი (1999) მართებულად შენიშნავს: “როგორც ჩანს, ამ პროცესების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა სოციალისტური რეჟიმების და სახელმწიფოების ინსტიტუციური მოწყობა და 1980-იან წლებში ცვლილების შესაძლებლობების წარმოშობა ... [როდესაც] სოციალისტუ-

¹იხ. მაგალითად, ჩონელლა შტარ(2009), სმ უს(2010).

რი ეპოქის ინსტიტუტებმა ჯერ შექმნეს, ხოლო შემდეგ დაანგრიეს რეჟიმი და სახელმწიფო” (გვ. 2).

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ აფხაზეთის კონფლიქტის საფუძვლების, მისი ისტორიული განპირობებულობის, ან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სიტუაციაში დე-ფაქტო დამოუკიდებლობის მოპოვების მიზეზების ანალიზს.² გარდა ამისა, საერთაშორისო აქტორების ჩართულობა რეგიონში ინიცირებული სამშვიდობო გეგმების შეფასებისა და რეკომენდაციების კუთხით წარმოჩენილი იქნება მხოლოდ აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში. ძირითადად, კვლევა შემოიფარგლება საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული შიგა ინსტიტუტების ანალიზით, რადგან მივიჩნევთ, რომ სწორედ მათმა როლმა და მათ ფარგლებში მოქმედ აქტორთა ქცევამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა კონფლიქტის აღმოცენება 1990-იანი წლების დასაწყისში. ნაშრომი წარმოაჩენს სხვადასხვა ინსტიტუტების (კონსტიტუციები, უზენაესი საბჭოები, ნაციონალური მოძრაობები და ა.შ.) ურთიერთქმედების ინსტრუმენტულ მნიშვნელობას კონფლიქტის წარმოშობასა და შენარჩუნებაში. ჩვენი აზრით, კონფლიქტის წარმოშობასა და შენარჩუნებაში ინსტიტუტების მნიშვნელობის კომპლექსური გააზრება საშურ ამოცანას წარმოადგენს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ-აფხაზეთური კონფლიქტის არსის და ტრანსფორმაციის მართებული გაგებისათვის.

ნაშრომი ძირითადად კონცენტრირებულია “ნაციონალიზმში ორგანიზაციის როლის შესწავლაზე, სადაც ნაციონალიზმი განხილულია როგორც ურთიერთქმედება, ერთი მხრივ, არსებულ ნაციონალურ/სახელმწიფო წესრიგს, ხოლო მეორე მხრივ, იმ ძალებს შორის, რომელთაც დამანგრეველი და გამანადგურებელი მოვლენების პროვოცირებით მისი შეცვლა ან დამსობა სურთ” (ელჩ ან, 2008, გვ. 19). კვლევა წარმოაჩენს ნაციონალიზმსა და ინსტიტუტებს შორის არსებულ კავშირებს აფხაზეთში პოსტსაბჭოთა დაპირისპირების წარმოშობის პროცესში, სხვადასხვა მასალების (საჯარო გამოსვლების სტენოგრამები, ოფიციალური დადგენილებები, საგაზეთო სტატიები და სხვ.) ანალიზის საფუძველზე.

კვლევითი ჰიპოთეზა. მივიჩნევთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის წარმოშობასა და მის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საბჭოთა პერიოდის პოლიტიკურმა (უზენაესი საბჭოები და სხვადასხვა საკავშირო, რესპუბლიკის თუ

²ქართულ-აფხაზეთური დაპირისპირების ამ მიმართულების ანალიზი მეტწილად კონცენტრირებულია კონფლიქტის ისტორიულ განპირობებულობაზე, სადაც ყურადღება გამახვილებულია ქართველების ადგილობრივობის და აფხაზების ჩამოსახლებულობის საკითხის ირგვლივ მიმდინარე დებატებზე. ამ დებატებმა, რომელიც მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან პერიოდულად მიმდინარეობდა, ახალი ძალა შეიძინა საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში და მთელი ძალით იფეთქა მისი დაშლის შემდეგ. აღნიშნული დებატების ასპექტების შესახებ იხ. აბზიანიძე (2011).

ავტონომიური დონის კონსტიტუციები), ეკონომიკურმა (ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები, ადგილობრივი თუ საკავშირო დონის სხვადასხვა დადგენილებები) და კულტურულმა (საგანმანათლებლო ინსტიტუტები და [საბჭოთა] იდენტობის პოლიტიკა) ინსტიტუტებმა. მათ მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ცენტრსა (თბილისი) და პერიფერიას (სოხუმი) შორის ინსტიტუციური დაპირისპირების წარმოშობას და ადგილობრივი სეპარატისტული ელიტის სხვადასხვა პრეტენზიების თუ მოთხოვნების ლეგიტიმაციას 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში, რაც, მეტწილად, აფხაზეთის ავტონომიური რეგიონის საქართველოდან გამოყოფისაკენ იყო მიმართული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთავარ პრობლემას სტატუსების გადასინჯვა და სხვადასხვა დონის სუბიექტებს შორის ახალი, ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ურთიერთობების გადასინჯვა დაიწყო პოლიტიკური და ლინგვისტური უფლებებისათვის ბრძოლით და თანდათანობით მოიცვა ეკონომიკური, სამხედრო და განათლების სფეროები. მნიშვნელოვანია მოვლენათა და პროცესების განვითარების ჯაჭვის წარმოჩენა საბჭოთა პერიოდის ინსტიტუციურ მემკვიდრეობასთან მიმართებაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველების და აფხაზების “მიჯაჭვეულობამ” საბჭოთა პერიოდის შესაბამის პოლიტიკურ ერთეულებზე, აგრეთვე საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციების მეშვეობით ამ სახელმწიფებრივი ტიპის ინსტიტუტების მოსკოვისადმი ორმხრივი დაქვემდებარების სხვადასხვაგვარმა ინტერპრეტაციამ კონფლიქტის გაჩაღება გარდაუვალი გახადა.

მოცემული ფართო კვლევითი ჰიპოთეზა შეიძლება დაიშალოს ოთხ ცალკეულ, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულ ნაწილად, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტის ინსტიტუციური ანალიზის ძირითად მიმართულებებად გვესახება:

კვლევითი ჰიპოთეზა 1. საბჭოთა კავშირის იერარქიულმა ბუნებამ და სახელმწიფო ინსტიტუტების სხვადასხვა დონეების (ცენტრალური, მოკავშირე რესპუბლიკა და ავტონომიური ერთეული) ურთიერთდაქვემდებარებამ გარდაუვალი გახადა მათ შორის კონფლიქტი მას შემდეგ, რაც ცენტრალური ინსტიტუტი – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია – დაიშალა;

კვლევითი ჰიპოთეზა 2. საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტები კონფლიქტის მაპროვოცირებელ ძირითად ელემენტებს წარმოადგენდნენ, რომელთაც მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ეთნოსთაშორის განსხვავებების, შეუთავსებელი, კონფლიქტური და ურთიერთგამომრიცხავი იდენტობების თანდათანობით ჩამოყალიბებას და პროპაგანდას;

კვლევითი ჰიპოთეზა 3. საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული ინსტიტუტები ზოგიერთ ურთიერთდაპირისპირებულ ინსტიტუციონალიზებულ ჯგუფურ იდენტობას მოიცავდნენ. ეს დაპირისპირება ინსტიტუტებსა და იდენტო-

ბას შორის კიდევ უფრო გამწვავდა საბჭოთა კავშირის ლიბერალიზაციის და დემოკრატიზაციის გორბაჩოვისეული პოლიტიკით, რომელიც უმცირესობების და უმრავლესობების პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმებმა გადაფარა;

კვლევითი ჰიპოთეზა 4. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გეგმები ფოკუსირებულია ცენტრს (თბილისი) და პერიფერიას (სოხუმი) შორის მომავალი ინსტიტუციური ურთიერთობების განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე, ხოლო თითოეული მათგანი წარსული მემკვიდრეობის ძლიერი ზეგავლენის ქვეშაა. ამგვარად, იმთავითვე გამოირიცხება დაპირისპირებული მხარეების დაახლოება.

მოცემული ამოცანების გადასაჭრელად ნაშრომში შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- რომელი ინსტიტუტები (პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული) იყვნენ უშუალოდ ჩართული, და რა მხრივ, აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის გაჩაღებასა და მის შენარჩუნებაში? ³

- როგორია თანაფარდობა ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებს შორის აფხაზეთის კონფლიქტში, მის წარმოშობასა და შენარჩუნებაში?

- როგორია გარე და შიგა აქტორების თანაფარდობა კონფლიქტის წარმოქმნასა და მის შენარჩუნებაში?

- რა პერსპექტივები აქვს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ ინიცირებულ სამშვიდობო გეგმას და რა შიგა და გარე შეზღუდვები არსებობს მისი განხორციელების კუთხით?

რატომ ინსტიტუციური ანალიზი? მოცემული კვლევის ფარგლებში ინსტიტუტები განხილულია როგორც “კონსტიტუციური წესრიგის კანონები ან ბიუროკრატიის სტანდარტული სამოქმედო პროცედურები” (ალექს თაყაი 1996, გვ. 938). ვინაიდან ნაშრომი აფხაზეთის პრობლემას პოლიტიკურ კონფლიქტად მიიჩნევს, აუცილებელია დავაზუსტოთ რას ვგულისხმობთ პოლიტიკურ ინსტიტუტებში. მარჩის და ოლქსნის (2005) თანახმად, ისინი წარმოადგენენ:

³ ჰემმა წინა გამოკვლევამ, კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში 1989-2008: ქართულ-სამხრეთ ოსური ნაციონალიზმების ურთიერთქმედება, ლამბერტის აკადემიური გამომცემლობა, 2010 (ინგლ. ენაზე), აჩვენა, რომ ხშირად სწორედ ეთნიკური ელიტების ორგანიზაციები და სტრუქტურები, და არა ეთნიკური მასები, გვევლინებიან ეთნოსთაშორისი კონფლიქტური ურთიერთობების მაპროვოცირებლებად. პოსტსაბჭოთა კონფლიქტის კონკრეტული შემთხვევის ანალიზის საფუძველზე, ეს ნაშრომი აჩვენებს, თუ რატომ არ შეიძლება ცნება ეთნიკური კონფლიქტი გამოყენებულ იქნეს უმეტესი ეთნოსთაშორისი დაპირისპირებების დასახასიათებლად, რამდენადაც კონფლიქტები შეიძლება ინსპირირებულნი, ხოლო აქტორები მოტივირებულნი იქნენ ყველა სხვა ფაქტორით, გარდა ეთნიკურობისა. ეს უკანასკნელი მხოლოდ მოგვიანო ეტაპზე “ერთვება” კონფლიქტში და, ამგვარად, ის კონფლიქტის ძირითად გამომწვევ მიზეზად ვერ ჩაითვლება.

- ორგანიზებულ გარემოს, რომლის ფარგლებში მოქმედებენ პოლიტიკური აქტორები;

- პროცესს, რომელიც სტრუქტურებს და კანონებს პოლიტიკურ (ზე)მოქმედებად გარდაქმნის;

- პროცესს, რომელიც ადამიანთა ქცევას სტრუქტურებსა და წესრიგში გარდასახავს და ამ გზით წარმოქმნის, გარდაქმნის ან შლის ინსტიტუტებს (ანჰ & ლუნ, 2005, გვ. 4).

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში აუცილებელია ადგილობრივი საბჭოების როლისა და მნიშვნელობის დეტალური შესწავლა რეგიონში სიტუაციის გამწვავებაში, ეთნიკური და კულტურული განსხვავებულობის გამოკვეთასა და მათ ინსტიტუციურ დანაწევრებაში. ნაციონალური მობილიზაცია ეფექტურად წარიმართა საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების მეშვეობით. პოსტ-საბჭოთა ეპოქის ინსტიტუციური გამოცანა ლაკონურად გადმოსცეს კოჰლერმა და ციურხერმა (2003), შენიშნეს რა, რომ “ტრანზიციის თანმდევი საფრთხეები, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ სტაბილურობაზე, სახელმწიფოს სისუსტე და ელიტების მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლა პარალელური და ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობით არის განპირობებული; როდესაც არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებში მონაწილეობა შეუძლებელია, მოწინააღმდეგეები ხშირად აყალიბებენ ახალ, ალტერნატიულ, *ad hoc* ინსტიტუტებს” (გვ. 245). საქართველოს/აფხაზეთის შემთხვევაში არ წარმოშობილა ალტერნატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების საჭიროება, რადგანაც საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული, ნაციონალური უმცირესობის ხელთ არსებული ინსტიტუტები წარმატებით გარდაიქმნა ალტერნატიულ ძალაუფლების საფუძვლად, რასაც ტრანზიციის პერიოდში პოლიტიკური უფლებებისთვის და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა დაეფუძნა.

საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული სხვადასხვა ინსტიტუტების: კონსტიტუციების, საგანმანათლებლო ორგანიზაციების, ეკონომიკური სტრუქტურების, სამხედრო სექტორის და სხვა სოციალურ-პოლიტიკურმა ასპექტებმა თანდათანობით ჩამოაყალიბა კონფლიქტი ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს (ელიტებს) შორის. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ელიტების პრეტენზიებს საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტები უმაგრებდა ზურგს, რომელთა მეშვეობითაც ადგილობრივი ელიტები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ადგილობრივი ინსტიტუტების მნიშვნელობა გაიზარდა ტრანზიციის პერიოდში, რადგანაც, როგორც ს. ჯონსი (1992ბ) აღნიშნავს, “კონკრეტული ტერიტორიული

ერთეულის სახელმწიფოს ტიპის სტრუქტურები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჯგუფური უფლებების დაცვაში, მათი საზღვრები გაიგივებულია 'სამშობლოსთან', რაც სატიტულო ჯგუფს კონკრეტულ ტერიტორიაზე უპირატეს და ექსკლუზიურ უფლებებს ანიჭებს" (გვ. 79). თუმცა, ეს არ იყო ბრძოლა მხოლოდ საბჭოთა პერიოდის ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, არამედ ეს იყო მისწრაფება სტატუსის გაზრდისაკენ: პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მოპოვებისთვის, ხოლო მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებლობისთვის.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991 წლის 9 აპრილი) საბჭოთა ინსტიტუტები აფხაზეთში ჯერ კიდევ ეფექტურ ძალაუფლებას ფლობდნენ. არჩევნებში ეროვნული მოძრაობის და მისი ლიდერის, ზვიად გამსახურდიას გამარჯვება, რომელმაც ჯერ საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში მოიპოვა უმრავლესობა, ხოლო შემდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გარკვეულწილად ეხმიანება "ახალი ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლების, ნორვის, ბრუზტის და სტარკის მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შემორჩენილი ინსტიტუტები გარკვეულ შეზღუდვებს წარმოქმნიან და წარმართავენ ელიტების და იმ ტრანზიტოლოგთა მოქმედებებს, რომლებიც მაკრო ცვლილებებს ხელმძღვანელობენ" (ანუ, 2002, გვ. 7). მართლაც, რადგან იმთავითვე ვერ მოხერხდა საბჭოთა წარსულისაგან რადიკალური გამიჯვნა, უპირველესად – მემკვიდრეობით მიღებულ ინსტიტუტებთან პოლიტიკოსთა მჭიდრო კავშირის გამო, ახალი ელიტების საბჭოთა ეპოქის ინსტიტუტებთან გარკვეულმა "მიჯაჭვულობამ" დიდი გავლენა იქონია ზოგადად პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციაზე. ლეინი (2002) ყურადღებას ამახვილებს ორ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე, რომელიც პოლიტიკის ფორმირების საკითხზე შექმნილ ლიტერატურაში გაბატონდა: ეს იყო *სისტემის გარდაქმნა* და *განვითარების კურსის განპირობებულობა წარსულით* (რასაც შეიძლება ასევე სოციალური და ინსტიტუციური განზომილება ვუწოდოთ) (გვ. 8). ორივე მათგანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ცენტრს (თბილისი) და პერიფერიას (სოხუმი) ურთიერთობების ბედს პოსტსაბჭოთა პერიოდში. ეს შეიძლება საბჭოთა კავშირის დაშლის დროს გაბატონებულ "პოლიტიკის ეთნიზირებაში და 'ეთნოკონსტიტუციურ' კრიზისებში დავინახოთ" (ინტერნეტ წყარო № 45, გვ. 3), რომელთა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ახსნა შესაძლებელია "*ძველი რეჟიმის შიგა პოლიტიკური ინსტიტუტების როლის გააზრებით, რომელიც ახალ შუქს ჰფენს ერთი შეხედვით ნაცნობ ფაქტორებს*" (ლოლერ 2004, გვ. 35).

ტრანსფორმაციის საკითხზე არსებული თეორიული ლიტერატურა ცხადყოფს, რომ ინსტიტუციური ანალიზი მეტწილად უგულებელყოფილი იყო პოსტ-საბჭოთა პროცესების შესწავლისას, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაშიც. ამ მიმართულებით აფხაზეთის შემთხვევის კვლევა გარკვეული სიახლე იქნება. გარდა ამისა, ეს იქნება ემპირიული მასალის ახლებური გააზრების მცდელობა. ინსტიტუტები და ნაციონალიზმი არ გაანალიზებულა მჭიდრო ურთიერთკავშირში, ამ კონტექსტში არ გააზრებულა კულტურული ინსტიტუტების როლი, რომელიც მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტის საწყის ეტაპზე. საბჭოთა პერიოდში აფხაზეთისთვის მინიჭებული კულტურული უფლებები, მათ დასაცავად და განსახორციელებლად შექმნილი კულტურული ინსტიტუტები, ამ ინსტიტუტების პერიოდული კვლავწარმოება და განვითარება წარმოგვიდგენს იმ ქსელს, სადაც, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან მჭიდრო კავშირში, იკვეთება კონფლიქტის გამომწვევი სხვადასხვა ასპექტი. კულტურული ასპექტების ინსტიტუციონალიზაციას ვალერიე ბანსი (1999) “ნაციონალიზმის სცენაზე გამოსვლას” უწოდებს. ამ დროს ლიდერები, რომლებიც, მათი მტკიცებით, ნაციის სახელით ლაპარაკობენ, პოლიტიკურ პროექტზე კონცენტრირდებიან და/ან სახელმწიფოს/იმპერიის შიგნით ფართო ნაციონალურ ავტონომიას მოითხოვენ, ან კიდევ – დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას” (გვ. 13). ხოლო ჯონსის მტკიცებით, “პოლიტიკური ინსტიტუტები ასევე წარმოქმნიან კულტურულ კონტექსტს, რომელიც ზეგავლენას ახდენს არჩევანზე და ხელს უწყობს პოლიტიკის ინტერპრეტირებას და არა მის წინასწარმეტყველებას” (ქონეს, 2003, გვ. 83).

ნაშრომი ტრანსფორმაციის პროცესში ჩაქსოვილი და თავსმოხვეული ელემენტების წარმოჩენის მცდელობაა. ცნება ტრანსფორმაცია მიჩნეულია წარსულის და მომავლის დამაკავშირებელ პროცესად, სადაც ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოები “მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და [ლეგალური] ინსტიტუტების ძირეულ ცვლილებებს განიცდიან” (ანუ, 2002, გვ. 9). ინსტიტუტების და მომავალზე მათი გავლენის სავარაუდო პროგნოზირებით წარსულსა და აწმყოს შორის ხიდების მშენებლობა აფხაზეთის პრობლემას ახლებური კუთხით წარმოაჩენს. როგორც ჯონსი (1994) შენიშნავს:

“ურბანიზაციის და მასობრივი განათლების პოლიტიკამ, რესპუბლიკური სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებამ, თანმდევი ნაციონალური კონსტიტუციების, ემბლემების და ჰიმნების სიმბოლური ატრიბუტებით, ტერიტორიაზე “მიმაგრებულ” არა-სლავ ნაციებში მაინც განცალკევებულობის და განსხვავებულობის ძლიერი განცდის განმტკიცებას შეუწყო ხელი” (გვ. 149).

განცალკევებულობის ეს განცდა, რომელიც ლინგვისტური და საგანმანათლებლო პოლიტიკით იყო განმტკიცებული და ნაციონალურ-რეგიონულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინსტიტუტებს ამაგრებდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმავე ინსტიტუტების მეშვეობით შენარჩუნდა. ეს პროცესი კიდევ უფრო გამწვავდა “საქართველოს ახალი ისტორიის ინსტიტუციონალიზაციით, რომელმაც მნიშვნელოვანი ნეგატიური გამოძახილი ჰპოვა არაქართულ უმცირესობებში” (ქინეს, 1994ა, გვ. 162). რაკოვსკა-ჰარმსტონის ნაშრომი კი, რომელიც საბჭოთა პოლიტიკის ნაციის ფორმირების ასპექტებს ეძღვნება, ცხადყოფს, “თუ როგორ ეძებდნენ რესპუბლიკების ადგილობრივი ელიტები ლეგიტიმაციის წყაროს მათივე ნაციონალობაში, ნებადართული/დაშვებული ნაციონალიზმის მოხერხებული მანიპულაციის გზით” (სანი და მარტინი 2001, გვ. 6). გლასონის (1990) თქმით, “ეთნიკურ იდენტობასა და წარმომადგენლობას შორის კავშირები ‘ნაციონალური სახელმწიფოებრიობის’ ინსტიტუტებზე იყო ფოკუსირებული” (გვ. 5).

ამგვარად, აუცილებელია ეთნიკურობის საკითხს საბჭოთა ინსტიტუტების პრიზმიდან შევხედოთ. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო და მისი დაშლის შემდგომ წლებში ქართულ-აფხაზური ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ძალადობრივი ტრანსფორმაციის მიზეზების ასახსნელად აფხაზეთის საშინაო და საგარეო პროცესები ერთიანობაში უნდა იქნეს გააზრებული. ანალიზის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს ის, რასაც სმიტი ‘ინსტიტუციური ნაციონალიზმის’ ფაზას უწოდებს, რომლითაც “მმართველი კლასი ნაციონალიზმის საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე ესწრაფვის ეთნიკური უმცირესობების ასიმილირებას, რასაც ზურგს უმაგრებენ ძირითადი ინსტიტუტები, ამგვარად მიიღწევა მოსახლეობის ჰომოგენიზაცია შეკრულ ნაციად” (დამოწმებულია ’შტან, 2005, გვ. 174). სწორედ სტრუქტურებს, პოლიტიკურ კურსებს და იდეოლოგიებს შორის არსებული კავშირების ანალიზის ნაკლებობა წარმოადგენს პოსტსაბჭოთა კვლევების ძირითად სისუსტეს და ეს მართებულია აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაშიც. აფხაზეთის რეგიონში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს, რომ “გამოკითხულთა უმეტესობა კონფლიქტის საფუძველებს საბჭოთა კავშირის დაშლამდე პერიოდში ხედავს და ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კონფლიქტი დიდი ხნის მანძილზე ფარულად არსებობდა” (ოზნდ 2008, გვ. 16).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ადგილობრივმა პოლიტიკურმა, კულტურულმა და ეკონომიკურმა ინსტიტუტებმა ნეგატიური სოციალური და პოლიტიკური შედეგები გამოიღო. ამ მხრივ ინსტიტუციურ წანამდღვრებზე ყურადღებას ამახვილებს კორნელი, რომელიც საბჭოთა პერიოდის ავტონომიურ სტატუსებს

პოსტსაბჭოთა კონფლიქტების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ასახელებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკური გრძობები განსაკუთრებით იმ უმცირესობებში გამწვავდა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის პერიოდში ტერიტორიულ-ავტონომიური სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული. უმცირესობის ელიტებმა ავტონომია, რომელიც ეთნიკურ ელიტებს პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსებით უზრუნველყოფდა, მათი ინტერესების და მისწრაფებების ჩამომყალიბებელ და გამომხატველ იარაღად მიიჩნიეს.⁴ ტერიტორიული ავტონომიის სხვადასხვა ასპექტების მანიპულირებით, ავტონომია ახალი შიგა და გარე პოლიტიკური ლობიოების და კავშირების ჩამოყალიბების ეფექტური საშუალება აღმოჩნდა. ამან კი ყოფილ ცენტრსა და ყოფილ მეორე რანგის ერთეულს შორის ახალი კავშირის წარმოქმნის საშუალება წარმოშვა, რაც ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ალიანსად გაფორმდა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ახალი ნაციონალიზებადი სახელმწიფოს რიტორიკა და ავტონომიურ ერთეულებთან მისი დამოკიდებულება, სადაც ეს უკანასკნელი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოსკოვის მოკავშირედ იყო განხილული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მართებულად შეაფასა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიული ავტონომიებიდან მომდინარე შესაძლო საფრთხეები, მან ვერ შესძლო ავტონომიური რეგიონის [სატიტულო ეთნიკური ჯგუფის] ელიტებისადმი არსებული შესაძლო გარე მხარდაჭერის შედეგების გათავისება, რომელსაც ადგილობრივი ელიტები წარმატებით იყენებდნენ სეცესიისათვის ბრძოლაში (ქონეს, 1992ბ, გვ. 87).

სვანტე კორნელი (2002) ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ინსტიტუტების მნიშვნელობაზე განცალკევებული იდენტობის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის, რის საფუძველზეც აღმოცენდა კონფლიქტი ორ ეთნიკურ ჯგუფს (აფხაზები და ქართველები) შორის. იგი ამტკიცებს, რომ “სატიტულო ჯგუფის განცალკევებული იდენტობის ინსტიტუციონალიზება და წახალისება ზრდის ამ ჯგუფის შეკავშირებას და მოქმედების სურვილს, ხოლო პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება ზრდის ამ ჯგუფის მიერ კონკრეტული მოქმედებების წამოწყების შესაძლებლობას; ამ მხრივ, ავტონომია პირდაპირ ზემოქმედებს სახელმწიფო ინსტიტუტებზე, ლიდერებზე და გარე მხარდაჭერაზე” (გვ. 252-253). ცხადია, რომ “ავტონომიის გარეშე აფხაზურ ელიტას არ ექნებოდა ის აუცილებელი ინსტიტუტები, მაგალითად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომ-

⁴იხ. კორნელი (2001).

ლებიც მათ იურიდიულად ბრძოლის გზით საქართველოდან გამოყოფის საშუალებას მისცემდა” (გვ. 266).

კორნელისა და სხვა მკვლევართა⁵ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ “ტერიტორიულმა ავტონომიამ შესაძლოა არ მიგვიყვანოს სასურველ მიზნამდე და სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღოს: ჯგუფები, რომლებიც ტერიტორიულ-ავტონომიური სტატუსით სარგებლობდნენ, ამ რესურსს სრული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის გამოიყენებენ” (ჩორელი 2001, გვ. 215), დადასტურდა პოსტსაბჭოთა კავკასიაში განვითარებული მოვლენებით; თუმცა, მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში აღმოცენდა კონფლიქტები, ხოლო სხვა, ასევე ავტონომიური სტატუსის მქონე რეგიონებში, მაგალითად აჭარაში, მშვიდობა შენარჩუნდა.⁶ ჩემი აზრით, ეს და სხვა მსგავსი გამონაკლისები ავტონომიური ინსტიტუტების ფორმირების ისტორიული წინაპირობების, პოლიტიკური და ეკონომიკური ღიაობების ჩამოყალიბების და მათი ტრანსფორმაციის, კონკრეტული აქტორების პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკური პრიორიტეტების და სხვადასხვა დროს ამ ასპექტების საბჭოთა ინსტიტუტების მეშვეობით ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირის ანალიზით შეიძლება აიხსნას.

აფხაზი მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ ქართველების და აფხაზების არათანაბარ სტატუსზე, რაც, მათი აზრით, კონფლიქტის მიზეზი გახდა. აკაბა (2011ა) ამტკიცებს, რომ “აფხაზები ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ინსტიტუციური უთანასწორობის წინააღმდეგ იბრძოდნენ ... სწორედ არათანაბარი სტატუსი იყო ის ძირითადი ფაქტორი, რამაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი განაპირობა” (ინტერნეტ წყარო № 5, გვ. 12). გარდა ამისა, საყურადღებოა ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების რეინსტიტუციონალიზაციის პოსტსაბჭოთა მცდელობის გაანალიზება. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ლევან ალექსიძის საკონსტიტუციო პროექტი, რომელიც, განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აქარწყლებდა “უთანასწორობის” ბრალდებებს. აფხაზური პრეტენზიების გასამყარებლად, აკაბა (2011ა) აცხადებს: “დემოკრატიულ საქართველოში, სადაც მოქმედებს პრინციპი – ერთი პიროვნება, ერთი საარჩევნო

⁵ კოლსტო (2001).

⁶ აფხაზეთის და აჭარის, როგორც კონფლიქტის აღმოცენების და მშვიდობის შენარჩუნების შემთხვევების შედარებისას, შეიძლება ითქვას, რომ ორივე რეგიონში არსებობდა მსგავსი ავტონომიური პოლიტიკური ინსტიტუტები, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებით: აფხაზეთის შემთხვევაში ეს ინსტიტუტები განსხვავებულ ეთნიკურობას გამოხატავდნენ, ხოლო აჭარლები ქართულ სუბეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარად, აქ ეთნიკურობა ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორად ვერ იქცეოდა. მეორე მხრივ, აფხაზეთის შემთხვევაში ეთნოსთაშორისი ურთიერთობების წარსული ისტორიის “მძიმე ფურცლები” (იხ. დანართი 1) ინსტიტუტების მეშვეობით კონფლიქტში გამოიხატა, ხოლო აჭარის შემთხვევაში მსგავსი წარსული არ არსებობდა. შედეგად, აფხაზეთის შემთხვევაში თავი იჩინა ეთნიკურმა მობილიზაციამ, რაც კონფლიქტით დასრულდა, ხოლო, აჭარის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის დასასრულს და პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში, ვერანაირ ეთნიკურ მობილიზაცაზე ვერ ვისაუბრებთ.

ხმა, ძალზედ ძნელია თანასწორი სტატუსის დაცვა” (ინტერნეტ წყარო № 5, გვ. 14). ალექსიძის პროექტი მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენდა, რომელიც ქართველ და აფხაზ ელიტას შორის ახალი პაქტის გაფორმების საშუალებას იძლეოდა, რადგან “ეთნიკური ან რეგიონული განზომილების მქონე ელიტური პაქტის არარსებობა ზრდის ეთნიკურ მიჯნებზე დესტაბილიზაციის გამომწვევი პოლიტიკური მობილიზაციის წარმოქმნის ალბათობას” (ინტერნეტ წყარო № 45, გვ. 11). ამავე დროს, ალექსიძის ინიციატივა აქარწყლებდა საბჭოთა პერიოდის კვოტების (რომელიც ეთნიკური უმცირესობების გარანტირებულ წარმომადგენლობას უზრუნველყოფდა) გაქრობის შიშს, ხოლო “კადრების მართვის [საბჭოთა] სისტემა და ფიქსირებული ეთნიკური კვოტები არაქართველებს პრივილეგირებულ პოზიციაში აყენებდა მათ საკუთარ ტერიტორიულ ერთეულებში” (ჟონეს, 1990, გვ. 128). თუმცა აკაბა ამტკიცებს, რომ ალექსიძის პროექტი პრობლემას ვერ მოაგვარებდა, რადგანაც “კომპრომისი მიღწეულ იქნა არა იმდენად ქართველი დეპუტაციის ძალისხმევის შედეგად, არამედ სხვა არჩეული წარმომადგენლების დახმარებით: რუსების, სომხების, ბერძნების და სხვების” (ინტერნეტ წყარო № 6, გვ. 14).

ჩემი აზრით, არა ალექსიძის პროექტი, არამედ, ზოგადად, ძალაუფლების გაზიარების და კონსოციალური დემოკრატიის დადებითი მხარეები დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, ეს უკანასკნელი კი ეთნოსთაშორისი ნორმალური თანაცხოვრების მიღწევის ყველაზე ხელსაყრელ ინსტიტუციურ მექანიზმად მიიჩნევა.⁷ თუმცა აკაბა (2011ა) ასევე დასძენს, “გულწრფელად რომ ითქვას ... აფხაზების მრავალი პრობლემა ‘ლენინის და სტალინის ნაციონალური პოლიტიკის’ შედეგად წარმოიშვაო” (ინტერნეტ წყარო № 5, გვ. 14). ამგვარად, ავტორი ეთანხმება იმ არგუმენტს, რომ ქართულ-აფხაზური დაპირისპირება წარმოადგენდა არა საუკუნოვანი ქართულ-აფხაზური სიძულვილის და შეურიგებელი იდენტობების, არამედ საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის წინასწარ დაგეგმილ შედეგს, რომელიც ინსტიტუტების მეშვეობით წარიმართა.

ინსტიტუციური ანალიზის ლიმიტაცია. აფხაზეთის პოსტსაბჭოთა პროცესების ანალიზისთვის შერჩეულ თეორიულ ჩარჩოს (ინსტიტუციური მიდგომა), ისევე როგორც ყველა სხვა თეორიას, რომელთაგან უნივერსალურობაზე და ამა თუ იმ პრობლემის ამომწურავად წარმოჩენაზე, ვერ ექნება პრეტენზია, ბუნებრივია, თან ახლავს გარკვეული ობიექტური შეზღუდვები და ნაკლოვანებები. ციგანკოვი (2001) ამტკიცებს, რომ ინსტიტუტებს, მათი მნიშვნელობის მიუხედავად, მხოლოდ

⁷ იხ. ლიპპარტი (1999) და ვოლფი (მოხსენება წაკითხული კონფერენციაზე: *Das Selbstbestimmungsrecht der Vilker Historisches Kolleg Munchen*, 14-16 ებრაელ, 2008).

მეორადი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს და ისინი მხოლოდ არაპირდაპირაა დაკავშირებული ხელისუფლების იმპერიულ სტრუქტურებში წარმოქმნილ პრობლემებთან, მხოლოდ ნაწილობრივ განსაზღვრავენ პერიფერიაზე წარმოშობილი ნაციონალური გრძნობების მეტ-ნაკლებ სიძლიერეს. ინსტიტუტები ქმნიან სივრცეს მნიშვნელობების გაერცვლებისთვის, მაგრამ არ წარმოქმნიან ამ მნიშვნელობებს. ამაზე პასუხისმგებელია წარსული ისტორიული პრაქტიკა (გვ. 23). ციგანკოვის მსგავსად, კინგიც (2010) გვაფრთხილებს, რომ “ინსტიტუტები იშვიათად განმარტავენ ინსტიტუციური შეზღუდვების რეალურ შედეგებს და, ზოგადად, უმნიშვნელოდ წარმოაჩენენ სოციალური ინსტიტუტების წინა პლანზე წამოწევის რეალურ მიზეზებს” (გვ. 58). თუმცა, აფხაზეთის პოსტსაბჭოთა პრობლემის და საქართველოს ტრანსფორმაციის ინსტიტუციური განზომილების საბჭოთა მემკვიდრეობაში კონტექსტუალიზაცია ინსტიტუტებისათვის მნიშვნელობის მინიჭების, ინსტიტუტების ძალაუფლებით აღჭურვის (საბჭოთა კონსტიტუციების მეშვეობით) და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ძალაუფლების კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების რეალურ სურათს წარმოაჩენს. ამგვარად, მიზანშეწონილია მოცემული პრობლემის ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდოლოგიით ანალიზი და აფხაზეთის კონფლიქტის საბჭოთა პერიოდის პოლიტიკაში კონტექსტუალიზაციით საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის გააზრება (იხ. მეთოდოლოგიური მიდგომები).

აქვე დავძენთ, რომ აფხაზეთის პრობლემის შესწავლა არ შემოიფარგლება მხოლოდ საბჭოთა ეთნიკური პოლიტიკის ანალიზით. აფხაზეთის რეგიონში პოსტსაბჭოთა კონფლიქტზე შექმნილი ლიტერატურა ძირითადად კონცენტრირებულია სოციალური პროცესების და ისტორიული სტრუქტურების ანალიზზე. მისი გარკვეული ალტერნატივის სახით, მოცემული კვლევა გვთავაზობს აფხაზეთის პრობლემის არა დუალისტურ (ქართულ-აფხაზური დაპირისპირება) ხასიათს, როგორც ეს საზოგადოდ არის მიღებული ლიტერატურაში, არამედ კონფლიქტის სამპოლუსიან სახეს, საქართველო-რუსეთის დაპირისპირება აფხაზეთის რეგიონში, რომელიც კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე ინსტიტუციური დაპირისპირებით დაიწყო (თბილისი-სოხუმი-მოსკოვი). ეს საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ინსტიტუციური მიდგომის ერთ-ერთი ობიექტური შეზღუდვა. როგორც ფერეჯონი (2003) ამტკიცებს, “არაინსტიტუციური აქტორები შეიძლება ნებაყოფლობით ჩაერთონ ინსტიტუციურ სტრუქტურებში, ან დაჯგუფდნენ მათ გარშემო. ისინი შეიძლება მათი საქმიანობის იმ დოზით კოორდინირებაზე შეთანხმდნენ, რაც ინსტიტუციური დაბრკოლებებისა და შეზღუდვების გადალახვაში დაეხმარებათ” (ინტერნეტ წყარო № 26, გვ. 3). ამგვარად, სათანადო ყურადღება

უნდა მიექცეს ინსტიტუტების ბუნებას, რადგანაც ისინი იმ ტიპის კოორდინირების და თანამშრომლობის შესაძლებლობებს წარმოქმნიან, რომელთა მიღწევა ამ ტიპის სტრუქტურების გარეშე შეუძლებელია. პოლიტიკური ინსტიტუტები იმ ქვაკუთხედად გადაიქცა, რომელსაც პოლიტიკური დაპირისპირებები ეფუძნება და რომელიც “კონკრეტული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ინსტიტუტების შეცვლის ან შენარჩუნებისკენ ისწრაფვის” (ინტერნეტ წყარო № 26, გვ. 5).

ბუნებრივია, იხადება კითხვა, რა განაპირობებდა პიროვნული ამბიციების პასიურობას და თითქმის ნეიტრალურ ბუნებას საბჭოთა პერიოდში? რატომ არ აყენებდნენ სეცესიურ მოთხოვნებს ნაციონალური ელიტები საბჭოთა ეპოქაში? ტარასი (2002) ამ კითხვაზე პასუხს ზასლავსკის არგუმენტში პოულობს, რომლის მტკიცებით, “ინდიგენური ელიტების ინტერესების ხელშეწყობითა და წახალისებით, საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა უჩვეულო წარმატებით ახერხებდა ნაციონალისტური იდეების მიმღები ჯგუფების ინტეგრირებას არსებულ პოლიტიკურ რეჟიმში, ან, როგორც წესი, უზრუნველყოფდა მათი სეპარატისტული მისწრაფებების ნეიტრალიზაციას” (გვ. 177).

ლოგიკურია გამტკიცოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლასთან და არსებული ცენტრის გაქრობასთან ერთად, აღარ არსებობდა არბიტრი, რომელიც ეთნიკური ელიტების ნაციონალური იდეების შეწყნარების და დაკმაყოფილების პოლიტიკას გააგრძელებდა. ამავე დროს, როგორც ჰეილი (2000) შენიშნავს, უმაღლეს საფეხურზე არსებული რესპუბლიკები (მოკავშირე რესპუბლიკები – დ.მ.) “ყველაზე მეტად იყვნენ მიდრეკილნი აჯანყებისკენ, რადგანაც მათ განკარგულებაში იყო ყველაზე ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებას და ნაციონალურ მიჯნებზე ჯგუფების მობილიზაციას უწყობდნენ ხელს” (გვ. 49). თუმცა ჰეილის ანალიზში არ ჩანს საბჭოთა ეთნოფედერალიზმის ერთი ასპექტი: ეთნიკური უმცირესობებისთვის და უმრავლესობისთვის მსგავსი ინსტიტუტების ჩამოყალიბება საბჭოთა პერიოდში, რომლებიც მათ ცენტრისადმი დაქვემდებარების კონტექსტში სხვადასხვა უფლებებს ანიჭებდა. ამგვარად, საბჭოთა ინსტიტუციური მემკვიდრეობის სათანადო ანალიზი და რუსეთის ფედერაციის როლის წარმოჩენა თბილისთან ინსტიტუციურ დაპირისპირებაში (საბჭოთა პერიოდის ადგილობრივი ინსტიტუტების მეშვეობით კონფლიქტის საწყის ეტაპზე) აფხაზეთის ირგვლივ პოსტსაბჭოთა პერიოდში გამართული დაპირისპირების მართებული გააზრების მთავარ გზას წარმოადგენს.

წარსული ისტორია და კონფლიქტი. სტივენ ჯონსის (2003) მართებული შენიშვნით, “საქართველოს კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არა იმ-

დენად წარსულით და ქცევის ტრადიციული ნიმუშებით აიხსნება, რამდენადაც საბჭოთა ტერიტორიული მემკვიდრეობით, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით, ქართული სახელმწიფოს კრახით, უპასუხისმგებლო ადგილობრივი ელიტების პოლიტიკური მანიპულაციებით და რუსეთის ჩარევით” (გვ. 86). თუმცა, ჩვენ გვერდს ვერ აუვებით წარსული ისტორიის მნიშვნელობას კონფლიქტის გაჩაღებაში. მაშინ რა როლი ენიჭება ეთნოსთაშორისი ურთიერთობების წარსულ ისტორიას? მაიკლ მაკფაული და კატრინ სტონერ-ვეისი (2004) ამტკიცებენ, რომ “წარსული, ისტორია, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ცვლილება განპირობებულია წარსულით; რეჟიმის წარმომქმნელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტები ისტორიული პროცესის შედეგს წარმოადგენენ” (გვ. 10). ამ კონტექსტში, შევეცდებით ვაჩვენოთ კონფლიქტური ნარატივების და კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბების ინსტიტუციური ბუნება; დავასაბუთოთ, რომ არა იმდენად ნარატივები, არამედ წარსული მეხსიერების ცალკეული ეპიზოდების გააქტიურება კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპზე განმსაზღვრელი აღმოჩნდა პოლიტიკური ბრძოლის ლეგიტიმაციისა და კონფლიქტის მომზადებისათვის.

აფხაზეთის რეგიონში გაჩაღებულ კონფლიქტში აშკარაა პოლიტიკური და კულტურული ასპექტების ურთიერთგადაჯახება. კრაუფორდი (1998) შენიშნავს, რომ “იქ, სადაც კულტურა ისტორიულად პოლიტიზირებული იყო, სოციალურმა დაყოფამ პოლიტიკური მეტოქეობის გაჩენას მისცა ბიძგი. თანამედროვე სახელმწიფოს ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურის და იდენტობის პოლიტიკის გამყარებაში, შექმნასა და გამოფიტვაში, რაც წარსულში ისტორიულად ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ჩამოყალიბდა” (გვ. 10). მართლაც, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ისტორია პოლიტიზირებული იყო საბჭოთა პერიოდში; ერთი მხრივ, წარსულზე დამოკიდებულებამ, ხოლო, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებამ, ნოყიერი ნიადაგი შექმნა საბჭოთა პერიოდის ინსტიტუციური მშენებლობის და იდენტობის პოლიტიკის საფუძველზე ქართულ-აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირებისთვის. ჩვენი აზრით, ამ კონტექსტში, პოსტსაბჭოთა ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების ანალიზი უნდა კონცენტრირდეს ცნებებზე *ნაციონალობა (nationhood)*, *ნაციად ქმნადობა (nationness)* და *ნაცია (nation)*, რომლებიც პრაქტიკულ კატეგორიებად, ინსტიტუციონალიზებულ ფორმებად და შესაძლო მოვლენებად უნდა განვიხილოთ (რუბაკერ 1996, გვ. 7).

იდენტობის საკითხი და ეთნიკურობა კვლავ რჩება რეგიონში ეთნიკურ ჯგუფებს შორის უთანხმოების მნიშვნელოვან საფუძველად, რაც მუდმივ დაძაბულობას და აფხაზეთის საკითხს აქტუალურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია ამ ასპექტების უფრო კომპლექსური კვლევა, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტების ურთიერთმიმართების წარმოჩენა კონფლიქტის ჩამოყალიბების პერიოდში და შემდგომ. ამ მხრივ, ინსტიტუციური მიდგომა ხელს უწყობს არა მხოლოდ ელიტების როლის წარმოჩენას, არამედ მათი კონტექსტის და ძალაუფლების გააზრებას, კონტექსტს და ძალაუფლებას კი ისტორია და პოლიტიკა ქმნიდა. ეს საშუალებას გაძლევს დაინახოთ კავშირი ელიტების ძალაუფლებასა და ამ ძალაუფლების საფუძვლებს შორის. არსებული კვლევების უმეტესობა ელიტებს ან მასებისგან, ან ინსტიტუტებისგან განცალკევებით განიხილავს, მაშინ როდესაც სწორედ ამ უკანასკნელმა უზრუნველყო ისინი ძალაუფლებით. ამ ძალაუფლების მეშვეობით ელიტებმა მოახერხეს, ერთი მხრივ, მასებზე ზემოქმედება, მეორე მხრივ კი დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარება. საბჭოთა რეჟიმის არქიტექტორებმა დაინახეს ეთნიკურობის პოლიტიზაციის გზით ფედერალური ერთეულების კონტროლის განვრცობის შესაძლებლობები; თითოეულ “სამშობლოში” ლოკალური ეთნიკური ჯგუფებისგან რეჟიმმა შექმნა მოსკოვზე დამოკიდებული პარტიული თუ სახელმწიფო მოხელეთა კადრები (უნცუ, 1999, გვ. 47).

პრობლემის არსებული კვლევების ნაკლოვანებები. კვლევათა უმეტესობა, რომლებიც პოსტსაბჭოთა პერიოდში აფხაზეთში მიმდინარე პროცესების ანალიზს ეძღვნება, არ სცილდება ერთ რომელიმე კონკრეტულ დისციპლინას, შესაბამისად, ისინი ვერ გვთავაზობენ კონფლიქტის გამომწვევი მრავალფეროვანი ფაქტორების კომპლექსურ ანალიზს. პოლიტიკის მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ უმცირესობის უფლებებზე, მათ ხელში ძალაუფლების კონცენტრაციისა თუ მისი დაკარგვის საკითხებზე. საბჭოთა პერიოდის რეგიონული პოლიტიკის ანალიზისას ისინი მხოლოდ ავტონომიური ერთეულების შესწავლით შემოიფარგლებიან და, ძირითადად, პოლიტიკურ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას.⁸ ისტორიკოსები საბჭოთა პერიოდის ისტორიული ნარატივების და, ზოგადად, ისტორიის გამოყენების ასპექტებზე კონცენტრირდებიან; მათი მხედველობის მიღმა რჩება კონკრეტული ეპოქის პოლიტიკის და პოლიტიკური სტრუქტურების გავლენა ისტორიკოსთა საქმიანობაზე და ისტორიული ნარატივების ჩამოყალიბების პროცესზე.⁹ ის სპეციალისტები, რომლებიც აფხაზეთის საკითხს საერთაშორისო პერსპექტივიდან უყურებენ, ამ პრობლემის ფართო კონტექსტზე საუბრობენ და რეგიონის პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკაზე ამახვილებენ ყურადღებას.¹⁰ მათ ნაკლებად აინტერესებთ პრობლემის ისტორიული ჭრილი. ანალიზის მიღმა რჩება

⁸ იხ. კორნელი (2001), კორნელი (2002), ჯონსი (1992), ცუციევი (2006).

⁹ იხ. კაკიტელაშვილი (2010), შნირელმანი (2010).

¹⁰ იხ. კუხიანიძე (2010), ხუციშვილი (2010), გორდაძე (2009).

საბჭოთა პერიოდის პოლიტიკის არაერთი ასპექტი, სადაც, ეთნიკურობის ტერიტორიალიზაციის მეშვეობით, ერთმანეთთან მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული პოლიტიკა, ეთნიკურობა და იდენტობა. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრა შეიძლება მოხერხდეს ნაციონალიზმის სხვადასხვა თეორიის ურთიერთშეჯერებით და ანალიზით, რაც საშუალება მოგვცემს, ერთმანეთს დაუკავშიროთ ისტორიკოსების, პოლიტიკის მეცნიერებების და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მიგნებები.

ნაციონალიზმის და ინსტიტუტების ინტეგრირებული ანალიზი აფხაზეთის კონფლიქტის ტრანსფორმაციის სურათის რეკონსტრუირების საშუალებას მოგვცემს. როგორც კრაუფორდი (1998) აღნიშნავს, “ინსტიტუციურმა ტრანსფორმაციამ დაარღვია ძველი სოციალური კონტრაქტები, ე.ი. მან დაამსხვრია ის წესები და ნორმები, რომელთაც ერთ დროს ხელმისაწვდომი გახადეს პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსები” (გვ. 5). ეს მართებული შენიშვნაა, რადგანაც ტრანზიციის პროცესში დაურწმუნებლობის და გაურკვეველობის შეგრძნება უმაღლეს ხარისხს აღწევს. აფხაზეთის კონტექსტში, ცენტრის მზარდმა ნაციონალისტურმა ტენდენციებმა (კონკრეტულად 1980-იანი წლების მიწურულის და 1990-იანი წლების დასაწყისის მოვლენებმა) ინსტიტუციური ტრანზიციის პროცესში ნაციონალურ უსაფრთხოებასა და ქართული და აფხაზური ეთნიკური ჯგუფების იდენტობის კრიზისს შორის კავშირები გამოაცოცხლა. ამ ამოცანის გადასაჭრელად, შევეცადეთ პოლიტიკის მეცნიერებების, კულტურისა და იდენტობის კვლევების, ასევე ნაციონალიზმის და ეთნიკურობის კვლევების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებას, რაც ამ კონფლიქტის საფუძვლებში პოლიტიკური და კულტურული ასპექტების მჭიდრო ურთიერთკავშირითაა განპირობებული. ამავე დროს, ინტერდისციპლინური მიდგომა დაგვეხმარა რეგიონის პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პრობლემის გააზრებაში.

ამ პროცესში გადამწყვეტი როლი საბჭოთა პერიოდის უზენაესმა საბჭოებმა ითამაშეს. ციურხერის (2006) მტკიცებით, “თუ უზენაესი საბჭოები 1988 წლამდე მხოლოდ სიმბოლური წარმომადგენლობითი სტრუქტურები იყო, მოგვიანებით ისინი რეალური პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრებად გარდაიქმნენ” (გვ. 150). ავტონომიური რეჟიმები ხელს უწყობენ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ისტორიული განსხვავებულობების შენარჩუნებას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია პოლიტიკური ინსტიტუტების – პარლამენტის, პრეზიდენტის ინსტიტუტის, საარჩევნო კოდექსის, პარტიების, საკუთრების უფლებების, ადმინისტრაციული ერთეულების – ანალიზი, რომელთაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განსაზღვრეს ურთიერთობა ცენტრსა (თბილისი) და პერიფერიას (სოხუმი) შორის. სწორედ ამ ინსტიტუცი-

ურმა წარმონაქმნებმა ბიძგი მისცეს კონფლიქტის წარმოშობას და ხელი შეუწყვეს ეთნოსთა შორის ურთიერთპრეტენზიების და დაპირისპირების კრისტალიზაციას.

კვლევის ძირითადი ცვლადები. ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური ასპექტები, კულტურული მახასიათებლები და კონფლიქტური ქცევის ეკონომიკური საფუძვლები მოცემული ანალიზის ძირითადი ცვლადებია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – მაინც რომელ ინსტიტუტებს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა კონფლიქტის გაჩაღებაში? კოპლერი და ციურხერი (2003) ამტკიცებენ, რომ “შეუძლებელია არსებობდეს ერთი ზოგადი პასუხი კითხვაზე, თუ რომელ ინსტიტუტებს ენიჭებათ გადამწყვეტი როლი, რადგანაც მათი მნიშვნელობა ფუნდამენტურად განსხვავდება თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში” (გვ. 249). შერჩეული ცვლადები მოიცავენ იმ ყველა ასპექტს, რომლებიც მნიშვნელოვანია საზოგადოების ტრანსფორმაციის გააზრებისთვის.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ყურადღების გამახვილება ტერიტორიას, კულტურას და ელიტებს შორის არსებულ კავშირებზე; ეს ასპექტი ხშირად მხედველობის მიღმა რჩებათ მკვლევრებს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთის საქართველოს რესპუბლიკისგან გამოყოფის პროცესში საბჭოთა ინსტიტუტებისგან გამომდინარე შესაძლო ლეგიტიმური საფუძვლების ანალიზისას. ამ პრობლემის გათვალისწინებით, ჩვენ გავაანალიზებთ ინსტიტუტებით მანიპულირების პროცესს და, ამ მხრივ, საბჭოთა ინსტიტუტების როლს, პირველ რიგში კი ყურადღებას გავამახვილებთ საბჭოთა კონსტიტუციებზე და საკონსტიტუციო პოლიტიკაზე (იხ. თავი 2, ქვეთავი 2.1). ამგვარად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შერჩეული ცვლადები მთლიანობაში წარმოგვიდგენს სოციალური ცხოვრების იმ მნიშვნელოვან სფეროებს, რომლებმაც თბილისსა და სოხუმს შორის უთანხმოების წარმოშობის და კონფლიქტის აღმოცენების საფუძვლები შექმნეს. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ პროცესების განმსაზღვრელი ამ ასპექტების ინსტიტუციური ბუნება იყო და არა მათი მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის.

კონკრეტული კვლევის შერჩევა – აფხაზეთის მაგალითი. აფხაზეთის შემთხვევის შერჩევა რამდენიმე მომენტმა განაპირობა. დაპირისპირების აღმოცენების დროისათვის აფხაზები ძალზე ხელსაყრელ პოზიციაში იყვნენ ადგილობრივ ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, როგორც უმცირესობების უფლებების თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივ ეთნიკურ უმრავლესობასთან – ქართველებთან

შედარებით პოლიტიკური წარმომადგენლობის მხრივ.¹¹ აფხაზების ხელსაყრელი პოზიცია ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულ საქართველოს რესპუბლიკაში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში) აფხაზეთის კონფლიქტის აღმოცენებას პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა კონფლიქტებისაგან გამოარჩევს.

კვლევა აჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა კონფლიქტები საქართველოში ეთნიკური უკმაყოფილების და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ნაციონალიზმების დაპირისპირების პირდაპირ შედეგს არ წარმოადგენდა; კონფლიქტი იყო იდენტობის, წარსული ისტორიის პოლიტიკური მანიპულირების შედეგი, რაც საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების მშენებლობის პოლიტიკის (კონფლიქტური იდენტობების კონსტრუირება თუ მათი ინსტიტუციური განშტოებებით აპელირება) პოსტსაბჭოთა მანიპულაციის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. კოპლერი და ციურხერი (2003) ამტკიცებენ, რომ ცენტრალური იერარქიის დასუსტება, მესამე ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გატარებული პოლიტიკის მოსალოდნელი თუ არაწინასწარგანზრახული შედეგები, ძალადობის გავრცელება ('ცუდი სამეზობლო') ადგილობრივი აქტორების ქმედებების მოტივაციაზე ახდენდა გავლენას. ამგვარად, გარე გავლენა მნიშვნელოვანია, მაგრამ ის ლოკალური პერსპექტივიდან უნდა გაანალიზდეს (გვ. 262).

ბანსი (1999) მართებულად შენიშნავს, რომ "სისტემის სტრუქტურირება რესპუბლიკებს ერთმანეთისაგან ინსტიტუციურად განაცალკევებდა და პირდაპირ ცენტრს უქვემდებარებდა, რაც ამ რესპუბლიკებს საკუთარ იდენტობას, ინტერესებს და პოზიციებს უყალიბებდა" (გვ. 50). ჩემი მხრივ კი დავძენ, რომ სწორედ აქ იკვეთება ინსტიტუტების როლი, რომლებიც წარმართავდნენ პოსტსაბჭოთა უმრავლესობის და უმცირესობის (ქართველები vs. აფხაზები) ნაციონალიზმების ურთიერთქმედებას. სწორედ ეს ურთიერთქმედება წარმოადგენდა მომავლის ხედვის ქართული და აფხაზური განსხვავებული პოლიტიკური პროექტების დაპირისპირებას, რამაც საბოლოოდ კონფლიქტი გამოიწვია. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ადგილობრივი აფხაზური ელიტის პოსტსაბჭოთა მისწრაფებების და მათი მიზნების მიმართების შესწავლა ზოგად პოსტსაბჭოთა სიტუაციასთან, მოსკოვის პოზიციის გათვალისწინებით. ინსტიტუტების ანალიზისას და, კერძოდ,

¹¹ლევან ალექსიძის საკონსტიტუციო პროექტის თანახმად, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ აფხაზებს შესთავაზა, აფხაზეთის პარლამენტში აფხაზები იკავებდნენ 28 ადგილს, ქართველები – 26, ხოლო რეგიონში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები 11 ადგილს. ახალი გადაწყვეტილება სრულად შეესაბამებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაციას. დეკლარაცია უზრუნველყოფდა უმცირესობაში მყოფი ეთნიკური ჯგუფის (აფხაზები) ინსტიტუციურ წარმომადგენლობას უზენაეს საბჭოში, საიდანაც წარმოდგებოდა ავტონომიური ერთეულის სახელი (აფხაზეთი). ეს ასპექტი დეტალურად განხილულია ქვეთავში 2.1. კონსტიტუციური დებულებები.

აფხაზეთის შემთხვევის შესწავლისას, აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ინსტიტუტები და ორგანიზაციები. ჯეკ ნაითი და იტაი სენედი (1998) აღნიშნავენ, რომ “ინსტიტუტები თამაშის წესებს წარმოადგენენ, ორგანიზაციები მოთამაშეებს, ხოლო ამ ორის ურთიერთქმედება ინსტიტუციურ ცვლილებას და მის სახეს განსაზღვრავს” (გვ. 15). ორგანიზაციებში შეიძლება დავინახოთ 1980-იანი წლების მიწურულს აღმოცენებული ქართული და აფხაზური ნაციონალური მოძრაობები, რომლებიც საბჭოების (ინსტიტუტების) მეშვეობით მოვიდნენ ხელისუფლებაში და, მოგვიანებით, ამავე ინსტიტუტების მეშვეობით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ხოლო მეოთხე თავში განხილული პრობლემა – ინსტიტუტებისა და კონფლიქტური იდენტობების კავშირი – შეიძლება “ინსტიტუტებისა და მოთამაშეთა მენტალურ კონსტრუქციებს შორის არსებული კავშირებით აიხსნას, რომლებიც პროცესში ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან” (ონჯი, 1998, გვ. 25).

საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების და მათი ტრანსფორმაციის ანალიზისას მნიშვნელოვანია ზღვარი გავავლოთ “სოციალიზმის ინსტიტუციურ წარსულსა და სოციალისტური რეჟიმების და სახელმწიფოების ნანგრევებში ახალი ინსტიტუტების აღმოცენებას შორის” (უნცუ, 1999, 146). საბჭოთა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული ინსტიტუტებისადმი ყურადღების ნაკლებობა, პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმის აღმოცენება და პირველის კუმულაციური ეფექტი მეორეზე, პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მართებული გააზრების ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენს. აფხაზეთის/საქართველოს შემთხვევაში, საბჭოთა კავშირმა ეთნოფედერალიზმის ძლიერი მემკვიდრეობა დატოვა, რომელმაც ნიადაგი მოამზადა კონფლიქტისათვის, რადგანც მან “აქტორებს ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტები დაუტოვა, როგორცაა საზღვრები, სიმბოლოები, კონსტიტუციები, მოქალაქეობა, პარლამენტი, მედია, საგანმანათლებლო სისტემა, სატიტულო ნაცია და ნაციონალური ელიტა” (ოუპლენდ & მურჰედი 2003, გვ. 248); ეს ყოველივე კი, რეალურად, სახელმწიფოებრიობის წინაპირობებს წარმოადგენდნენ. მეორე მხრივ, ეთნოსთაშორისი/ელიტების ურთიერთობების ალტერნატიული სტრუქტურების არარსებობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გამწვავების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც ჯონსი (1994ბ) აღნიშნავს, “პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში ალტერნატიული სოციალური სტრუქტურების არარსებობამ საბჭოთა ადმინისტრაციულ იერარქიაზე დამოკიდებულება განაპირობა” (გვ. 134). ამგვარად, მოხდა ურთიერთობების ხელახალი ჩამოყალიბება ძველ ჩარჩოებსა და სტრუქტურებში, რამაც კონფლიქტური პრეტენზიების გამოხატვის შესაძლებლობა წარმოშვა.

საბჭოთა პერიოდში ნაციის მშენებლობის პროცესსა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებას შორის არსებული მჭიდრო კავშირის გათვალისწინებით, ინსტიტუტების ამგვარი გაგება პოსტსაბჭოთა პოლიტიკის კონტექსტში *ნაციას* და *ნაციონალურ დისკურსს* უნდა დავუკავშიროთ. აფხაზეთის ირგვლივ მიმდინარე დაპირისპირების არსებული ანალიზის მთავარ ნაკლოვანებას ცნებების *ნაციის* და *ნაციონალური დისკურსის* გამოყენება წარმოადგენს; ორივე მათგანი “ისტორიულია და ნაციონალისტური პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად გენეალოგიას მიმართავს, ხოლო *მე-ს* მტკიცებისთვის და *სხვა-ს* უარყოფისთვის ნაციონალური საფუძვლების ისტორიულობას იმოწმებს” (შუცან, 2005, გვ. 165). ამგვარად, ანალიზის მიღმა რჩება პროცესის პოლიტიკური მხარე და ნაციონალიზმის, როგორც ამა თუ იმ აქტორის თუ ელიტის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური პროექტის ბუნების გააზრება.

რამდენადაც ინსტიტუტები არ წარმოადგენენ სტატიკურ და უცვლელ სტრუქტურებს, ჩვენ თვალს გავადევნებთ ამ ინსტიტუტების ცვლილებას და აქტორების მიერ მათ გამოყენებას პოსტსაბჭოთა პერიოდში. გარდა ამისა, კონფლიქტის არსის გასარკვევად, სიღრმისეულად შევისწავლით საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტებს და ინსტიტუციური აქტორების ურთიერთქმედებას კონფლიქტის საწყის პერიოდში და შევეცდებით კონფლიქტის ამა თუ იმ ეტაპზე სხვადასხვა აქტორებს შორის არსებული განსხვავებული კავშირების ჩვენებას.

შედარებითი კვლევის საზღვრები. აფხაზეთის შემთხვევის შედარება საქართველოში წარმოშობილ კიდევ ერთ კონფლიქტთან – ცხინვალის რეგიონში – ერთი შეხედვით, გარდაუვალ აუცილებლობად გვეჩვენება, რადგანაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ჰქონდა მისი საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც მიღებული იყო 1922 წლის 2 მარტს. სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან საქართველოსგან გამოყოფისათვის ბრძოლა ამ კონსტიტუციის საფუძველზე დაიწყო. თუმცა ის ვერ შეასრულებდა იმ ფუნქციას, რაც აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციამ შეასრულა, რომელიც აფხაზეთის სტატუსს, ერთის შეხედვით, მკაფიოდ ადგენდა და არ ზღუდავდა მას ავტონომიის სტატუსით (თუმცა, აფხაზეთის სსრ-ს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში აქცევდა). ამ ფაქტმა და მისმა ორაზროვანმა ინტერპრეტაციამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა აფხაზეთის სტატუსის ირგვლივ დებატების დაწყებისა და ეთნიკური აფხაზი მმართველი ელიტის მხრიდან პრეტენზიების წამოსაყენებლად.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კონსტიტუცია კი ნათლად ადასტურებდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონის შექმნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის **ფარგლებში**. დადგენილება № 2, რომელიც

1922 წლის 20 აპრილით თარიღდება, “სამხრეთ ოსეთს” საქართველოს სსრ-ს ნაწილად აცხადებდა, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ ცხინვალში. ამგვარად, ცენტრს (თბილისი) და სამხრეთ ოსეთის სეცესიურ ელიტას შორის დაწყებული უთანხმოება არ კონცენტრირდა 1922 წლის საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისთვის მინიჭებული უფლებების ინტერპრეტირებაზე. სანაცვლოდ, უთანხმოება და დაპირისპირება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი რეზოლუციების გამოცემით დაიწყო. მოგვიანებით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება შეეცადა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ავტონომიური სტატუსის გაუქმებას (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებები), ხოლო სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი ელიტა ცდილობდა ცენტრისგან – თბილისი – დამოუკიდებლობის მოპოვებას და ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოქლის ადგილობრივი უზენაესი საბჭოს დადგენილებები). სამხრეთ ოსეთის ელიტას არ უცდია კონსტიტუციის მუხლებით მანიპულირება, რათა, ერთის შეხედვით ლეგიტიმური საფუძველი შეექმნა პრეტენზიებისათვის საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოპოვებაზე.

საყოველთაოდ ცნობილი “კანონთა ომი” სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში ადგილობრივ დეპუტატებსა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის სამხრეთ ოსეთის სტატუსის თაობაზე პრეტენზიების ურთიერთგაცვლას წარმოადგენდა. თუმცა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კონსტიტუციაში (1922 წლის 2 მარტი) საქართველოსგან სეცესიის ლეგიტიმური საფუძველები არ მოიძებნება. ამგვარად, ძნელია ვიპოვოთ სამხრეთ ოსეთის მხრიდან დამოუკიდებლობის პრეტენზიების ნორმატიულად განმამტკიცებელი საფუძველები ამ ერთეულის საბჭოთა კონსტიტუციაზე დაყრდნობით (ცალკე კამათის საგანია, თუ რამდენად შეიძლება იქნეს ეს გამართლებული სახელმწიფოს ტერიტორიის განუყოფლობის პრინციპთან მიმართებაში), როგორც ეს აფხაზეთის შემთხვევაში მოხდა, ავტონომიური ერთეულის სხვადასხვა კონსტიტუციების განსხვავებული ინტერპრეტაციის გზით. და ბოლოს, სამხრეთ ოსები ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან გაერთიანებას ესწრაფოდნენ (თუმცა ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები არ გადადგმულა) და არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, როგორც ეს აფხაზეთის შემთხვევაში იყო.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომი პროცესის რეკონსტრუირების ხერხს ეყრდნობა და აფხაზეთში 1980-იანი წლების მიწურულიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე და 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში განვითარებული მოვლენების რეკონსტრუირებას მიმართავს. კვლევა, ძირითადად, ოფიციალური დოკუ-

მენტების, საგაზეთო პუბლიკაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მოხსენებითი ბარათების შესწავლას ეყრდნობა. ანალიზი არ წარმოადგენს არჩევანს კვლევის რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს შორის; როგორც კინგი (2000) შენიშნავს:

“იმისთვის, რომ პასუხები მოიძებნოს პოლიტიკური ქცევის თაობაზე წამოჭრილ საინტერესო და მნიშვნელოვან კითხვებზე, ... მკვლევრებს ჯერ კიდევ გამოსაკვლევი აქვთ გაზეთები და იატაკქვეშა გამოცემები, გადასასინჯი აქვთ ადგილობრივ მეცნიერების დიდძალი ნაშრომები, რომლებიც მხოლოდ ადგილზე შეიძლება იქნეს აღმოჩენილი” (გვ. 170).

ხოლო ბენეტისა და ჯორჯის თანახმად (1997), “პროცესის რეკონსტრუირება მიზეზობრივი დასკვნების ძლიერ საფუძველს მხოლოდ მაშინ წარმოქმნის, თუ სავარაუდო მიზეზების შენიშნულ შედეგებთან/ეფექტებთან დამაკავშირებელი უწყვეტი მიზეზობრივი ჯაჭვი დადგინდება” (ინტერნეტ წყარო № 19, გვ. 12). ამგვარად, პროცესის რეკონსტრუირება საშუალებას მოგვცემს, შედარებითი კუთხით წარმოვაჩინოთ სამი ძირითადი ცვლადის (იხ. ზემოთ) ურთიერთმიმართება, რომელთა ინსტრუმენტალიზება და მანიპულირება სხვადასხვა დროს განხორციელდა ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირების პროვოცირებისათვის.

ამ კონტექსტში, შედარების მხრივ გამოსადეგი ცვლადების შერჩევას, უნდა გვახსოვდეს, რომ “იმპერიული ტრანსფორმაციის შესწავლის სირთულე გასაანალიზებელი ცვლადების მრავალფეროვნებაში და მათს დიდ რაოდენობაშია, ხოლო მრავალ შემთხვევაში მსგავსი შედეგები შეიძლება გამომწვევი მიზეზების განსხვავებული კომბინაციისას მივიღოთ. ამგვარად, ძნელია ვიპოვოთ შედარებითი ანალიზის შემცველი რომელიმე სხვა ხერხი, რომელიც შეიძლება კარგად მიესადაგებოდეს კონკრეტული იმპერიული ეპიზოდების ემპირიულ კვლევას” (არსოვი 1997, გვ. 14). თუმცა, მეორეს მხრივ, “მაშინ როდესაც მრავალი სხვადასხვა შემთხვევის ფართო შედარებითი ანალიზი კარგად წარმოაჩენს კონკრეტულ წინაპირობებს (...) ის ნაკლებ გამოსადეგია საკმარისი წინაპირობების დასადგენად” (უნცე, 1999). ვფიქრობთ, სხვადასხვა მიზეზების შედარებითი ანალიზი ერთი კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე (აფხაზეთის კონფლიქტი) პოსტსაბჭოთა პროცესების ანალიზის ეფექტურ ხერხს და მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც, ერთის მხრივ, ხელს უწყობს პოსტსაბჭოთა კონფლიქტის ერთი კონკრეტული შემთხვევის სიღრმისეულ ანალიზს, ხოლო, მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ინსტიტუციური ერთგვაროვნების გათვალისწინებით, მიღებული შედეგების განხილვების შესაძლებლობას გვთავაზობს.

კონსტიტუციების ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, როგორც დეჯან ჯოვიჩი შენიშნავს, “კონსტიტუცია არა იმდენად თავისთავადი ფაქტორია, რამდენადაც, პირველ რიგში, პოლიტიკის შედეგია, რომელიც კონკრეტული კონტექსტის მქონე სხვადასხვა სუბიექტური პოზიციების ურთიერთქმედებას წარმოადგენს”¹² (გვ. 11). ხოლო ფილიპ სელზნიკი ამტკიცებს, რომ “გადაწყვეტილების მიღების უფლება იმ იარაღს შეიძლება წარმოადგენდეს, რომელიც ძალაუფლების ძიებაში მყოფმა ელიტებმა კონსტიტუციით, დაუშვებელი ხერხებით და დაუშვებელი მიზნისთვის გამოიყენონ და კონსტიტუციური წესრიგის შეცვლას შეეცადონ” (ლოუფრ 2004). 1980-იანი წლების მიწურულს და 1990-იანი წლების დასაწყისში ელიტების მოქმედებები, კონსტიტუციების ცალკეული მუხლების შერჩევითი ინტერპრეტაცია, სწორედ რომ სლევკინის მოსაზრების დადასტურებას წარმოადგენს. გარდა ამისა, გაანალიზებული იქნება ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებსა და მედიატორებს შორის 1989-1993 წლებში გაფორმდა. სწორედ ამ დოკუმენტებმა შეამზადეს გზა 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებული *status quo*-ს შექმნისთვის. მას შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომამდე, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, აფხაზეთის სეცესიურ ელიტასა და რუსეთის ფედერაციას შორის არ გაფორმებულა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ძირეულად შეცვლიდა კონფლიქტის სურათს. რუსეთის ფედერაცია კი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ეფექტურად ინარჩუნებდა მშვიდობისმყოფელის სტატუსს.

ნაშრომის მეორე ნაწილში გაანალიზებული იქნება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ინიცირებული სამშვიდობო პროექტების (როგორც ქართული, ასევე ევროპული) გამოძახილი აფხაზურ, რუსულ და ევროატლანტიკურ სივრცეში, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კონფლიქტის მონაწილე ორი ძირითადი მხარის - აფხაზეთი/რუსეთის და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების - პოზიციათა შეჯერებით, გაანალიზდება სამშვიდობო გეგმის განხორციელების პერსპექტივები. ამგვარად, მოცემული კვლევა გაანალიზებს ცენტრსა და პერიფერიას (თბილისი-სოხუმი) შორის ურთიერთობების რეინსტიტუციონალიზაციის მცდელობას სხვადასხვა პერიოდში; შეისწავლის სამშვიდობო გეგმებს, რომელიც საქართველის ცენტრალური და აფხაზეთის სეცესიური ხელისუფლების მიერ 1990-იანი წლების დასაწყისიდან, კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულების შემდგომ იქნა ინიცირებული. ქვეთავები 2.1.1. და 5.2.

¹²დამოწმებულია: რგოფ-მოსო ქ (2007). ჭ ჰყ დ ჯ უცხდვი ძანტვრტე? ნ ვერუფწ ოუჩონტინდგ სპდნაფონს. IN: ენად ქ ჩ ოჰენ ანდ ჰასნა რგოფ-მოსო (ედ). *State Collapse in South-Eastern Europe: New Perspectives on Yugoslavia's Disintegration*. უდუე ნფერციე რუსს, პპ. 1-39.

წარმოაჩენენ თითოეული ეპოქის (1990-იანი წლები და 2004-2010 წლები) სამშვიდობო გეგმების არსს და მათი განხორციელების ხელისშემშლელ ფაქტორებს.

კვლევა აფხაზეთის პრობლემის პოსტსაბჭოთა პროცესების ფართო კონტექსტში დისკურს-ანალიზის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იქნება 1989-1993 წლების პრესის ანალიზი, სადაც დეტალურად არის გადმოცემული რეგიონში მიმდინარე მოვლენები და სხვადასხვა კუთხით წარმოჩენილია იმ დროს რეგიონში არსებული ძალზედ ცვალებადი სიტუაცია. ამ მიზნით შეირჩა იმ პერიოდის სამი წამყვანი გაზეთი – *საქართველოს რესპუბლიკა*, *აფხაზეთის ხმა* და *კომუნისტი*. ვინაიდან 1993-2003 წლები ძირითადად ცენტრალურ ხელისუფლებას (თბილისი) და პერიფერიას (სოხუმი) შორის რუტინული ურთიერთობით და რუსეთის ფედერაციის (გაეროსთან ერთად), როგორც მხარეებს შორის ძირითადი შუამავლისა და მშვიდობისმყოფელის, “წარუმატებელი” მედიაციით ხასიათდებოდა, კვლევა ამ ეტაპს ანალიზის მიღმა ტოვებს და 2003 წლის შემდგომი პროცესების გააზრებას გვთავაზობს, ვინაიდან ვარდების რევოლუცია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კონფლიქტური რეგიონებისადმი წარმოებულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან შემოზღუდვებს წარმოადგენდა.

აფხაზეთის კონფლიქტის ძირითადი ინსტიტუციური აქტორები. პოსტსაბჭოთა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კვლევა გარდაუვლად განაპირობებს სხვადასხვა დონის ინსტიტუციური და არაინსტიტუციური აქტორების ანალიზს, რომლებიც კონფლიქტის ამა თუ იმ ეტაპზე დაკავშირებული იყვნენ აფხაზეთის პრობლემასთან და განსაზღვრეს კიდევ პროცესების განვითარების კურსი. 1980-იანი წლების მიწურულს და 1990-იანი წლების დასაწყისში ძირითად აქტორებად შემდეგი ორგანიზაციები გვევლინებოდნენ: საქართველოს სსრ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რსფსრ უზენაესი საბჭო, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია ედგა და რომლის წამყვან პოლიტიკურ ძალას მისივე პოლიტიკური პარტია – მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო – წარმოადგენდა, აფხაზეთის ნაციონალური მოძრაობა – აიდგილარა, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია¹³

¹³ ჩრდილო კავკასიის და პოლიტიკური ორგანიზაცია *კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის* როლი აფხაზეთში მიმდინარე პოსტსაბჭოთა პროცესებში გაანალიზებული იქნება ნაშრომის ცალკე თავში, რადგანაც ეს ორგანიზაცია მნიშვნელოვანი აქტორი იყო აფხაზეთის კონფლიქტის საწყის ეტაპზე. თუმცა, *კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის* მოქმედებების ანალიზი საჭიროებს მისი როლის გააზრებას რუსეთის ფედერაციასთან და მის პოლიტიკურ კურსთან მჭიდრო კავშირში. გარდა ამისა, *კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია* ერთ-ერთი იმ ორგანიზაცი-ათაგანია, რომელმაც განაპირობა *კავკასიური სახლის იდეის* კრახი და მისი მემკვიდრეობა დღესაც აბრკოლებს რაიმე სახის ერთიანი კავკასიური პლატფორმის ჩამოყალიბებას (იხ. თავი 3).

და კიდევ რამდენიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და ორგანიზაცია, რომლებიც მეტწილად ეთნიკური ნიშნით იყო ჩამოყალიბებული აფხაზეთში თუ მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე. ძირითადად, ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციური წარმონაქმნები განსაზღვრავდნენ ქართული და აფხაზური ნაციონალიზმის ფორმირებას და მათ ურთიერთმიმართებას, მათ პოსტსაბჭოთა ნაციონალურ-პოლიტიკურ პროექტებს. ისინი ხელს უწყობდნენ მტრული ურთიერთობების შემდგომ ჩამოყალიბებას და კიდევ უფრო განმტკიცებას; შეიძლება ასევე ვივარაუდოთ, რომ ამ სტრუქტურებს ან არ შეეძლოთ ურთიერთობების პოზიტიურ ჭრილში გადატანა, ან მათი მეშვეობით მოქმედ აქტორებს, უბრალოდ, ამის სურვილი არ გააჩნდათ. თვით კავკასიური სახლის იდეამ, კავკასიის ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრების პლატფორმამ კრახი განიცადა, რაც არა მხოლოდ შიდა აქტორებს შორის არსებული უთანხმოებებით, არამედ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებზე და, ზოგადად, ამ ორგანიზაციაზე გარე სახელმწიფო დონის ინსტიტუტების ზეგავლენით იყო განპირობებული (იხ. თავი 3).

და ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ორ ძირითად სახელმწიფო დონის აქტორს – საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას – შორის არსებულ ურთიერთობას, რადგანაც სწორედ ისინი იყვნენ აფხაზეთში მიმდინარე პოსტსაბჭოთა პერიოდის პროცესების ძირითადი მოთამაშეები.¹⁴ რაც შეეხება 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფოს შიგნით არსებულ აქტორებს, ამ მხრივ გაანალიზებული იქნება პოსტსაბჭოთა პერიოდში ცენტრალური და რეგიონული ელიტების ურთიერთქმედება მათი ინსტიტუციური სტრუქტურებისა და ნაციონალურ-პოლიტიკური პროექტების კონტექსტში, რადგანაც სწორედ ეს სტრუქტურები და პროექტები განაპირობებდნენ “ყოფილ ნაციონალურ ელიტებს შორის პოლიტიკური საფრთხის განცდის გაჩენას, ხოლო ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ მათი ნაციონალური პროგრამებისადმი მასობრივი მხარდაჭერის მობილიზებას; ეძებდნენ ახალ შესაძლებლობებს პოლიტიკური ორგანიზებისათვის; [და] ცდილობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვების რეალური შესაძლებლობის განცდის შენარჩუნებას” (ქონეს, 1992ა, გვ.76). მოგვიანებით, 2004 წლიდან, საქართველოს 2003 წლის ვარდების რევოლუციისა და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში გააქტიურდნენ ძველი აქტორები – 1993 წლიდან თბილისში დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც კოდორის ხეობაში იქნა გადაყვანილი. აფხაზეთის ამ მხარეს შეეცვალა სახელი და ზემო აფხაზეთი ეწო-

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, კავკასიური სახლის იდეა და აფხაზეთის კონფლიქტი).

¹⁴იხ. გორდაძე (2009, გვ. 28-48).

და, რასაც მოჰყვა აფხაზეთის გამო დაპირისპირებაში გარღვევის მიღწევის გარკვეული მცდელობები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ამ მცდელობებს არანაირი სერიოზული წარმატება არ მოჰყოლია. პირიქით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ ცალმხრივად შეცვალა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსი; ამ რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის საპასუხოდ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით, ისინი *სეპარატისტული რეგიონების* ნაცვლად *ოკუპირებულ ტერიტორიებად* იწოდებიან სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, რაც შორეულ პერსპექტივაში საქართველოს სასიკეთოდ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარკვეულ იმედებს წარმოშობს, ბუნებრივია, აფხაზი ეთნიკური უმცირესობის ინტერესების გათვალისწინებით და ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო პრინციპთან სრული შესაბამისობით (იხ. თავი 5).

აფხაზეთის კონფლიქტში მრავალი აქტორის არსებობა მილერის (2004) მოსაზრების გაზიარებისაკენ გვიბიძგებს, რომელიც აღნიშნავს: “აუცილებელია იმათი იდენტიფიცირება, ვინც ურთიერთქმედებაშია და მათი ქცევის ლოგიკის გააზრება; მათი ურთიერთქმედების კონტექსტის მაქსიმალურად სრულყოფილი რეკონსტრუირება” (გვ 15). შევნიშნავთ, რომ აქტორთა ურთიერთქმედების ხარისხი და მათი ალიანსებისა თუ დაპირისპირების ძირითადი ასპექტები განსხვავდებოდა კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპზე, ისევე როგორც მათი ინტერესები და მოტივაციები, რომლებიც სხვადასხვა რესურსებით და მხარდაჭერით იყო განმტკიცებული. შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთის კონფლიქტში სხვადასხვა ინსტიტუციური აქტორების პოსტსაბჭოთა ურთიერთქმედების სრული სურათის აღდგენა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების ერთობლივ ანალიზს საჭიროებს, რომლებიც ხშირად ჰკვეთენ და გადაფარავენ ერთმანეთს. ნაშრომში გაანალიზებული იქნება აფხაზეთის კონფლიქტში თითოეული აქტორის მომავალი შესაძლებლობები და ამ მხრივ არსებული ობიექტური შეზღუდვები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შემოთავაზებული სამშვიდობო გეგმის ანალიზს, რომელიც მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს და გახლენილ ქართულ-აფხაზური საზოგადოებებს შორის დღესდღეობით ნდობის მშენებლობის და თანამშრომლობის ძირითად ინსტიტუციურ ფორმატს წარმოადგენს.

თავი I. პრობლემის ახალი ხედვა: კონფლიქტის ინსტიტუციური გააზრება

პოსტსაბჭოთა პროცესების განმსაზღვრელი ძირითადი ასპექტების კომპლექსური ანალიზი მოცემული კვლევის ძირითადი სიახლეა. ამ მხრივ პირველ რიგში მხედველობაში უნდა გვქონდეს საბჭოთა მემკვიდრეობა – იდენტობის პოლიტიკის და ეთნიკური ჯგუფების ინსტიტუციონალიზმის კონტექსტში. ასევე გასათვალისწინებელია რეგიონში და რეგიონს გარშემო ძალთა თანაფარდობის ცვლილება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. ყველა ეს ფაქტორი სისტემურად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რეგონში მიმდინარე პროცესებს.

გაანალიზდება საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული ინსტიტუტები და მათი ურთიერთმიმართების პროცესი, როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში, რაც საშუალებას მოგვცემს “დავიჭიროთ” ის კრიტიკული მომენტი, როდესაც ამ ინსტიტუტების მშვიდობიანი ურთიერთქმედება ძალადობრივად ტრანსფორმირდა. ინსტიტუტების ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი “გავლენას ახდენენ სახელმწიფოს სტაბილურობაზე – როგორც კონფლიქტის თავიდან აცილებით, ასევე მისი გამომწვევით ... საბჭოთა პერიოდის ეთნო-ფედერალური არქიტექტურიდან მემკვიდრეობით მიღებული ინსტიტუტების მეშვეობით” (უგეს & შასკე, 2001, გვ. 2).

1.1. საბჭოთა ინსტიტუტების პოსტსაბჭოთა ბედი

საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების და მათი მემკვიდრეობის შესწავლა მნიშვნელოვანია აფხაზეთის პოსტსაბჭოთა პროცესების გასაანალიზებლად, რადგანაც საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ისინი ეფექტურ ძალაუფლებას ფლობდნენ. ეროვნული მოძრაობის და მისი ლიდერის, ზვიად გამსახურდიას, პოლიტიკური არჩევანი, რომელმაც ჯერ უმრავლესობა მოიპოვა საქართველის სსრ-ის უზენაეს საბჭოში და შემდეგ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა იმავე უზენაესი საბჭოს მეშვეობით, კარგად ეხმიანება ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლების, ნორფის, ბრუსტის და სტარკის მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ “გადარჩენილი ინსტიტუტები იმ შეზღუდვებს წარმოქმნიან, რომლებიც ელიტების და მაკრო ცვლილებების წარმმართველი ტრანზიტოლოგების მოქმედებებს განაპირობებენ” (Lane, 2002, გვ. 7). მართლაც, რამდენადაც იმ თავითვე ვერ მოხერხდა საბჭოთა წარსულთან გამიჯვნა, რაც ახალი პოლიტიკოსების მიერ

ძველი საბჭოთა ინსტიტუტების გამოყენებით იყო განპირობებული, ტრანსფორმაციის პროცესი საბჭოთა ინსტიტუტებთან ალიანსში და მათი გამოყენებით წარმართა. ამ კონტექსტში, ლეინი (2002) ორ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას: *სისტემის ტრანსფორმაციაზე და წარსულზე დამოკიდებულებაზე* (გვ. 8). ორივე მათგანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საქართველოს პოსტსაბჭოთა ადრეული ტრანსფორმაციის პროცესში ცენტრსა (თბილისი) და პერიფერიას (სოხუმი) შორის ურთიერთობას, რაც “საბჭოთა კავშირის დაშლისას პოლიტიკის ეთნიზირებაში და ‘ეთნოკონსტიტუციური’ კრიზისების წარმოქმნაში” გამოიხატებოდა (უგეს & შასსე, 2001, გვ. 3).

საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ანალიზის პროცესში არ ვცდილობთ განესაზღვროთ “ტრანსფორმაციის წარმატების ან წარუმატებლობის ხარისხი; არამედ გამოკვეთილია ის ფაქტები, რომელთაც ხელი შეუწევს ან დააბრკოლეს სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები” (Lane, 2002, გვ. 7). ნაშრომში გამოკვეთილია ტრანსფორმაციის პროცესის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტები. თავად ტერმინი *ტრანსფორმაცია* მიხნეულია როგორც წარსულსა და მომავალს შორის “ჩაკეტილი” პროცესი, სადაც ყოფილმა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა “პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ლეგალური ინსტიტუტების გარდაქმნა” განიცადეს (Lane, 2002, გვ. 9). ინსტიტუტების მეშვეობით წარსულსა და აწმყოს შორის ხიდების მშენებლობა და წარსულში მოქმედი ინსტიტუტების მომავალზე ზეგავლენის სავარაუდო განსაზღვრა აფხაზეთის პრობლემის ახლებურ მიდგომად გვევლინება.

საბჭოთა ინსტიტუტები აფხაზეთში თბილისისგან დამოუკიდებელი ძალაუფლების ცენტრის მაფორმირებელი ძირითადი სტრუქტურები იყო, წარმოადგენდნენ, არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ მენტალური მხრივაც. საბჭოთა ინსტიტუტებმა განაპირობეს გაჭიანურებული კონფლიქტების წარმოშობა ტერიტორიულად კონცენტრირებულ ეთნიკურ უმცირესობებთან, რომლებიც პოლიტიკური ავტონომიის სტატუსით სარგებლობდნენ. სანი და მარტინი (2001) აღნიშნავენ, რომ პაიპსის ნაშრომის “*საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბება*” გამოსვლის შემდგომ ათწლეულში მცირე ყურადღება ექცეოდა საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის 1920-იანი წლების ინდიგენიზაციის და კორენიზაციის ასპექტებს (გვ.5). რაკორსკა-ჰარმსტონის ნაშრომზე დაყრდნობით, რომელიც ნაციის ფორმირების საბჭოთა თავისებურებებს ანალიზებს, სანი და მარტინი (2001) ”რესპუბლიკების ადგილობრივი ელიტების მიერ საკუთარ ნაციონალობებში ლეგიტიმურობის საფუძვლების ძიების პროცესზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც ნაციონალიზმის მოხერხებული მანიპულაციით გახდა შესაძლებელი” (გვ. 6). თუმცა, აფხაზეთის

პრობლემის ირგვლივ შექმნილ ნაშრომთა უმეტესობა არ ანალიზებს ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში და ადგილობრივი ელიტების გაძლიერებაში საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების რეალურ როლს. ეს საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის – ნაციის მშენებლობის და ნაციის ნგრევის – გვერდით ეფექტად შეიძლება მივიჩნიოთ.¹⁵

ნაციონალური ტერიტორიების ჩამოყალიბებამ, თავისი ადგილობრივი თვითმმართველი ინსტიტუტებით, ნიადაგი შეამზადა ეთნიკური კონფლიქტის წარმოქმნისა და გამძაფრებისათვის. ეს გამოვლინდა ინსტიტუციური წინააღმდეგობებით ახალ ცენტრსა და პერიფერიას შორის საბჭოთა კავშირის დაშლის პირველივე წელს, ხოლო მოგვიანებით მან ხელი შეუწყო ახალ რესპუბლიკებში ეკონომიკური, სამხედრო და კულტურულ-ისტორიული ფაქტორების წინ წამოწევას უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის წარმოქმნილ ურთიერთბრალდებებში. ჰუგსი და სასესი (2001) მართებული შენიშვნით: “საბჭოთა კავშირის მაკონტროლებელი რეჟიმი ცინიკურად მანიპულირებდა ნაციონალიზმებით, რისთვისაც იყენებდა კვაზი-ფედერალურ ინსტიტუტებს, განსაკუთრებით კი მოკავშირე რესპუბლიკების გამოყოფის თეორიულ უფლებებს და მთელ რიგ ფსევდო-კულტურულ უფლებებს ... [ხოლო] საბჭოთა მემკვიდრე სახელმწიფოები ეთნიკურ და რეგიონულ ომებში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი ერთმანეთთან ან ქვეყნის შიგნით, რაც მათი ნაციის თუ სახელმწიფოს მშენებლობის პროექტების გამოძახილს წარმოადგენდა (გვ. 1).”

სპორტუკიცი შენიშნავს ზოგადად ინსტიტუტების და კერძოდ, საბჭოთა ინსტიტუტების მიერ ეთნიკურობის გაძლიერების მნიშვნელობას. სპორტუკი (1997) თავის სტატიაში “საბჭოთა ნაციის შესახებ” იმოწმებს უსტრიანოვს, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოები სსრკ-ს ხალხს პოლიტიკურად და იდეოლოგიურად, და არა ეთნიკურად განსაზღვრულ ნაციებად გარდაქმნიდნენ (გვ. 82). ამგვარად, აუცილებელია ეთნიკურობის ფაქტორის ანალიზი საბჭოთა ინსტიტუტების კონტექსტში, რადგანაც სწორედ ეს ინსტიტუტები აძლიერებდნენ ეთნიკურობას და არა პირიქით. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავდა ადგილობრივი აფხაზი ელიტის გაძლიერებას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სეცესიურ ტალღაზე გადაეწყო და თბილისს დაუპირისპირდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთის ირგვლივ წარმართული შიგა და გარე პროცესები ერთიანობაში უნდა იქნეს გაანალიზებული, რაც საშუალებას მოგვცემს სათანადოდ გავი-აზროთ ქართულ-აფხაზური ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ძალადობრივი ტრანსფორმაციის მიზეზები და ბუნება.

¹⁵ნაციონალიზმის, როგორც ნაციის მშენებლობის და ნაციის ნგრევის პროცესის შესახებ იხ: მარქსი (2002) და კონორი (1972)..

1.2. ინსტიტუციური მიდგომა და კონფლიქტი აფხაზეთში

ინსტიტუტების მნიშვნელობა იზრდება სოციალური ინსტიტუტების თანამედროვე ტრანსფორმაციის შედეგად. “სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები უფრო მნიშვნელოვანი და კომპლექსური ხდებიან და ამგვარად, მატულობს მათი მნიშვნელობა კოლექტიურ ცხოვრებაში” (არტ & ლენ, 1989, გვ. 1), ყოფილი საბჭოთა კავშირის შემთხვევაში და, ბუნებრივია, საქართველოში/აფხაზეთში “სოციალისტური ეთნოფედერალიზმი ტერიტორიას აკავშირებდა სატიტულო ნაციასთან და ამ ტერიტორიებზე წარმოქმნიდა კვაზი-სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, ისეთებს როგორცაა მოქალაქეობა, საზღვრები, სიმბოლოები და პოლიტიკური ინსტიტუტები” (ლუქსონ & ძურგაძე 2003, გვ. 243).

მარჩი და ოლსენი შენიშნავენ, რომ “პროცესებს ინსტიტუციური სტრუქტურები წარმართავენ და სწორედ აქ ფორმირდება პოლიტიკა ... პოლიტიკური ინსტიტუტები იმ ჩარჩოს წარმოქმნიან, სადაც პოლიტიკური პროცესი წარმართება”¹⁶ საბჭოთა ინსტიტუტების, პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმების წარმოშობის და პირველის მეორეზე ზეგავლენის არასაკმარისი ანალიზი მნიშვნელოვნად აბრკოლებს პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მართებულ გააზრებას. აფხაზეთის/საქართველოს შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის ეთნოფედერალურმა მემკვიდრეობამ განსაზღვრა კონფლიქტი, რადგანაც ის “უზრუნველყოფდა პოლიტიკური ინსტიტუტების – საზღვრების, სიმბოლოების, კონსტიტუციების, მოქალაქეობის, პარლამენტის, მედიის, საგანმანათლებლო სისტემის, სატიტული ერის და ნაციონალური ელიტის არსებობას” (ლუქსონ & ძურგაძე 2003, გვ. 248), ეს ყოველივე კი სახელმწიფოებრიობის კარგ წინაპირობებს წარმოქმნიდა. მეორე მხრივ, ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ალტერნატიული სტრუქტურების არარსებობა იმ ფაქტორად შეიძლება მივიჩნოთ, რომელმაც მეტწილად განაპირობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაუარესება.

მოცემული ნაშრომი ეყრდნობა ინსტიტუტების ფინერის (1962) მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებას, რომელიც აცხადებს, რომ ინსტიტუტები “აერთიანებს დაწერილ კონსტიტუციას; უფლებათა დეკლარაციას, რომელიც ზღუდავს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს; უმრავლესობის მმართველობას, რაც ჩვეულებრივ არჩეული საკანონმდებლო შტოს მიერ ხელისუფლების კონტროლს გულისხმობს; ხელისუფლების დანაწილებას იმგვარად, რომ თითოეულ შტოს ერთი-მეორეს გაკონტროლება შეეძლოს; საყოველთაო განათლებას ცოდნის წარმოებისთვის და დემოკრატიული მმართველობის შესაბამის სულისკვეთებას” (დამოწმ. ანე & რსონ, 2000, გვ. 25). “საბჭოთა მემკვიდრეობა უფრო ძლიერია, ვიდრე ეს

¹⁶ არტ ანდ ლენ (1989), გვ. 16, 18.

ჩანს სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში. მრავალი ასპექტი, რომელსაც ხალხი მოცემულობად მიიჩნევს, საბჭოთა კავშირის პროდუქტია”, აცხადებს დე ვაალი (2010, გვ. 95), ამ კონტექსტში საბჭოთა მემკვიდრეობის და ინსტიტუტების დაკავშირების მიზანშეწონილობა კარგად აქვს არგუმენტირებული კინგს. მისი აზრით, აუცილებელია ფოკუსირება “კომუნიზმის ინსტიტუტებზე და მათ ზეგავლენაზე პოსტკომუნიზმის იდენტობის პოლიტიკაზე... ბოლშევიკების მოდერნიზაციის პროექტის ძირითად ელემენტს თვით-ცნობიერების მქონე ნაციების წარმოქმნა წარმოადგენდა” (ძგ, 2000, გვ. 164). მისი აზრით, ინსტიტუტებს უნდა შევხედოთ როგორც ნაციონალურ საკითხზე მობილიზაციის რესურსს, ხოლო ეთნიკური მობილიზაცია გამოწვევაზე ინტერესის მქონე ელიტების რაციონალურ პასუხად ან წინასწარშემუშავებულ სტრატეგიად უნდა მივიჩნიოთ (ძგ, 2000, გვ. 165).

პოსტსაბჭოთა აფხაზეთის კონფლიქტში უნდა გავაანალიზოთ ლოკალური და რეგიონული ინსტიტუტები, რადგანაც ისინი თავიანთ თავში მოიცავენ და განსაზღვრავენ “იდენტობებს და როლებს, გამოკვეთენ პოლიტიკური ერთეულის ხასიათს, ისტორიას და ხედვას” (არჰ & ლენ, 2005, გვ. 5). ამასთან ერთად მნიშვნელოვანია იმ როლის განსაზღვრა, რომელსაც “ინსტიტუტები თამაშობენ სოციალური და პოლიტიკური შედეგების განსაზღვრაში” (ალფ & თაყლარ 1996, გვ. 936). ამგვარად, კონფორტაციის პროცესის გააზრება ტრანსფორმაციის პროცესში მონაწილე ინსტიტუტების გაანალიზებისკენ გვიბიძგებს: აუცილებელია დადგინდეს მათი ზეგავლენის განსხვავებული ხარისხი ინტერ-ეთნიკური პროცესების განვითარებაზე. ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში, ინსტიტუციონალიზმი მოხერხებულ ანალიტიკურ საშუალებას წარმოადგენს, რადგან ის “ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური ინსტიტუტების ენდოგენურ ბუნებაზე და სოციალურ კონსტრუქციაზე. ინსტიტუტები მხოლოდ კონკრეტული ინტერესების მქონე ინდივიდუალური აქტორების კონტრაქტებს და დაპირისპირებული სოციალური ძალების სამოქმედო არენას არ წარმოადგენენ. ისინი სტრუქტურების, კანონების და სტანდარტული სამოქმედო პროცედურების ერთიანობად გვევლინებიან, რომელთაც ნაწილობრივ ავტონომიურ როლს თამაშობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აუცილებელია “წარმოვაჩინოთ ურთიერთობა ინსტიტუტებსა და ქცევას შორის და ავხსნათ ინსტიტუტების წარმოშობა და ცვლილების პროცესი” (ალფ & თაყლარ 1996, გვ. 937). რეგიონული (აფხაზური) ავტონომიური პოლიტიკური ერთეულის ბუნება, მიზანი და ფუნქციონირება დეკონსტრუირებული უნდა იქნეს ადგილზე მოქმედი ინსტიტუტების (პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური) დონეზე, რომლებიც მიმდინარე პროცესებს განსაზღვრავდა და თბილისთან – ცენტრალურ ხელისუფლებასთან გარდაუვალ დაპირისპირებას განაპირობებდა.

მოცემულ კვლევაში შევეცდები გავიაზრო პოლიტიკური ინსტიტუტების შემდეგი მახასიათებლები თუ ასპექტები:

- ორგანიზებული გარემოს ბუნება, რომლის ფარგლებშიც ჩვეულებრივ მოქმედებენ თანამედროვე პოლიტიკური აქტორები;

- პროცესი, რომელიც სტრუქტურებს და კანონებს პოლიტიკურ გავლენებად გარდაქმნის;

- პროცესი, რომელიც ადამიანთა ქცევას სტრუქტურებში და კანონებში აქცევს (არჯვ & ლენ, 2005, გვ. 4).

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ადგილობრივი საბჭოების როლი ავტონომიური რესპუბლიკის, მოკავშირე რესპუბლიკის და საკავშირო დონეზე სიტუაციის გამწვავებაში, ეთნიკური და კულტურული განსხვავებების გამოკვეთაში და მათ ინსტიტუციურ გამოვლინებებში, რადგანაც “პოლიტიკური ერთეულის ან პოლიტიკური ეკონომიის ინსტიტუციური ორგანიზება გადაწყვეტია კოლექტიური ქცევის და კონკრეტული გადაწყვეტილებების წარმოშობაში” (ალფ თაყლარ 1996, გვ. 937). ადგილობრივი ნაციონალიზმების წარმოშობა, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობების მოძრაობების და საბჭოთა კავშირის დაშლა, გადაწყვეტ პროცესებად იქცნენ ამ მოვლენებში. ეს ორი პროცესი ერთდროულად აღმოცენდა, რამდენადაც საჯაროობის (“გლასტნოსტის”) და გარდაქმნის (“პერესტროიკის”) პროცესებმა შეასუსტა პოლიტიკური მარწუხები, ხოლო შედეგად აღმოცენებულია ნაციონალურმა მოძრაობებმა საბჭოთა კავშირის დაშლა განაპირობეს. ნაციონალური მობილიზაცია ეფექტურად წარიმართა საბჭოთა პერიოდში წარმოქმნილი ინსტიტუტების მეშვეობით, პოსტსაბჭოთა პროცესების ინსტიტუციური გამოცანა ლაკონურად აქვთ გადმოცემული კოპლერს და ცურხერს (2003), შენიშნავენ რა, რომ “ტრანზიციის პროცესის თანმდევი სოციალური სტაბილურობის საფრთხეები, სახელმწიფოს სისუსტე და ელიტების ბრძოლა განპირობებულია პარალელური და მეტოქე ინსტიტუტების წარმოშობით. როდესაც არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებში ჩართულობის შესაძლებლობები დაბლოკილია, ოპონენტები ხშირად ქმნიან ალტერნატიულ ინსტიტუტებს” (გვ. 245). საქართველოს/აფხაზეთის შემთხვევაში არ არსებობდა ალტერნატიული ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობა, რადგანც საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული უმცირესობების ინსტიტუტები წარმატებით იქნა გამოყენებული ალტერნატიული ძალაუფლების თუ პოლიტიკური ცენტრის შექმნის საფუძვლად, რომელთა მეშვეობით წარიმართა კიდევ ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისათვის.

ორიოდე სიტყვა ინსტიტუტებისა და ნაციის ურთიერთკავშირის შესახებ. სამწუხაროდ, არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მცირედ თუ შეინიშნება ნა-

ციონალიზმის ორი მხარის – პოლიტიკური და კულტურული ასპექტების – ურთიერთდაკავშირების მცდელობები, არადა ეს ორი მხარე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია ნაციის შექმნის თუ შენარჩუნების ამა თუ იმ პროცესში. **’შტან (2005)** ნაციის ახალ გაგებას და განსაზღვრებას გვთავაზობს და მას წარმოაჩენს “კონკრეტული მოსახლეობის მიერ ავტონომიის, ერთიანობისა და იდენტობის მოპოვებისა და შენარჩუნებისაკენ მიმართულ იდეოლოგიურ მოძრაობად, რომელთა ერთი ნაწილი თავს არსებულ თუ პოტენციურ ნაციად მიიჩნევს” (გვ. 176). მოცემულ კვლევაში ვიზიარებთ მარჩის და ოლსენის (2005) მოსაზრებას, რომელთაც “ინტერესებდათ ის გზები, რომლითაც ინსტიტუციონალიზებული წესები, ნორმები და სტანდარტული სამოქმედო პროცედურები გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ ქცევაზე და ეწინააღმდეგებოდნენ პოლიტიკის, როგორც მხოლოდ ცალკეული ინტერესების მოქმედების შედეგად მიჩნევის ტენდენციას” (გვ. 8). მარჩი და ოლსენი ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა ორგანიზებულია ცხოვრების ინტერპრეტაციის, მნიშვნელობის და მიმართულების მინიჭების ირგვლივ და ის არ არის განპირობებული მარტო პოლიტიკის ფორმირების და რესურსების განაწილების პროცესით. სწორედ საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული სხვადასხვა ინსტიტუტების – კონსტიტუციების, საგანმანათლებლო ორგანიზაციების და ეკონომიკური სტრუქტურების, ისევე როგორც სამხედრო სექტორის და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტების ინტერპრეტაციამ თანდათანობით ჩამოაყალიბა კონფლიქტი ქართულ და აფხაზურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

პოლიტიკის მეცნიერებებში და საერთაშორისო ურთიერთობებში არსებობს საზოგადო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ტერიტორიული ავტონომიის ინსტიტუტებმა ეთნოსთაშორის მშვიდობის და თანამშრომლობის ხელშეწყობის ნაცვლად შეიძლება ეთნიკური მობილიზაცია, მზარდი სეცესიონიზმი და თვით შეიარაღებული კონფლიქტიც კი შეიძლება გამოიწვიოს; ფედერალური სტრუქტურები შეიძლება კონტრპროდუქტიული აღმოჩნდნენ ცალკეულ გარემოებებში. თუმცა, ჯერ არ ჩატარებულა რაიმე სისტემური გამოკვლევა იმ მიზეზებისა, თუ რატომ ხდება, რომ ცენტრიდანული ძალების შემასუსტებელი და შემაკავებელი ფედერალური სტრუქტურები გარკვეულ ვითარებაში მათ გაძლიერებას უწყობენ ხელს (ჩონჯელა 2002, გვ. 247). ერთი შეხედვით, პასუხი მარტივია: ელიტები თამაშობენ გადამწყვეტ როლს ამ პროცესში; ისინი მანიპულირებენ იმ რესურსებით, რომლებიც მათ სამომავლო დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას აძლევენ. სწორედ ამაში მდგომარეობს ზოგადად ინსტიტუტების და, კონკრეტულად, ავტონომიის ძალა აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც მოიცავდა რეგიონში კონცენტრირებული ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულ-

ტურულ ინსტიტუტებს. თუმცა, არსებობდა სხვა დამატებითი ფაქტორები, რომელთაც ხელი შეუწევს კონფრონტაციას და აქაც განმსაზღვრელი როლი ინსტიტუტებმა ითამაშა, რადგანც “ცალკეულ ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან ან როლთან ძლიერმა იდენტიფიკაციამ მთელი სისტემის მთლიანობის რღვევა შეიძლება განაპირობოს” (არტ & ტუნ, 2005, გვ. 11). ამრიგად, აუცილებელია გავიაროთ სახელმწიფო, როგორც არა “დაპირისპირებულ ინტერესებს შორის მოქმედი ნეიტრალური ძალა, არამედ კომპლექსური ინსტიტუტი, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფური კონფლიქტების ბუნებას და ამ კონფლიქტის შედეგებს” (გვ. ალტ & თაყლარ 1996, გვ. 938).

ასევე მნიშვნელოვანია გავიაზროთ “თუ როგორ აკავშირებდა პოლიტიკური დებატები და ბრძოლა ინსტიტუციურ პრინციპებს და პრაქტიკას ჯერ ერთმანეთთან, ხოლო შემდეგ ფართო პრობლემებთან; როგორ უნდა იქნეს ორგანიზებული და მართული საზოგადოება. ამ პროცესების შედეგად ხდებოდა როგორც კოლექტიური იდენტობების ჩამოყალიბება და გარდაქმნა, ასევე პოლიტიკური ერთობის მახასიათებლების განსაზღვრა” (არტ & ტუნ, 2005, გვ. 12). სწორედ ეს მოხდა აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში, მეტწილად “კორენიზაციის” შედეგად, რომელიც, სმიტის (1999) თანახმად, მოიცავდა “ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისადმი პრეფერენციულ მოპყრობას უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის და ადგილობრივ კომუნისტურ პარტიაში წევრობის საკითხებში, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა სატიტულო ნაციის წარმომადგენლობას მოკავშირე რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო მმართველობაში” (გვ. 35) და ნატივიზაციის (რომელიც ადგილობრივი დამწერლობების შექმნით დაიწყო და გაგრძელდა ეთნიკური ფილმების სტუდიების, თეატრების, გაზეთების, საგამომცემლო სახლების, მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირების, კინემატოგრაფთა გაერთიანებების და ა.შ. ჩამოყალიბებით) პოლიტიკის შედეგად. ეს ყოველივე საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ნაციის მშენებლობის და იდენტობის კონსტრუირების ხერხემაღს ქმნიდა. საბჭოთა პერიოდის ეს პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აფხაზეთის გაძლიერებაში, რამდენადაც ისინი “აქტორებს სხვა აქტორთა არსებული და სამომავლო ქცევის მეტ-ნაკლები განსაზღვრის საშუალებას აძლევდნენ ... ისინი ასევე ზემოქმედებენ აქტორების იდენტობებზე და პრიორიტეტებზე” (ალტ & თაყლარ 1996, გვ. 938). აფხაზეთის პრობლემის სიღრმისეული ანალიზი მიჰყვება ისტორიული ინსტიტუციონალიზმის კურსს, რადგან ეს მეთოდი პრობლემის შესწავლისას “რაციონალური და კულტურული მიდგომების” ერთდროული გამოყენების საშუალებას იძლევა” (ალტ & თაყლარ 1996, გვ. 950).

ელერი (1999) ამ ინსტიტუტებს და პრაქტიკებს ეთნიკურობის და ნაციონალიზმის სქემას ან ინფრასტრუქტურას უწოდებს; მათ გარეშე ვერც ერთი ჯგუფი ვერ შეინარჩუნებს სოლიდარობას ხანგრძლივად და ჯგუფის სახელით ვერ შექმნის წარმატებულ, მშვიდობიან თუ ძალადობრივ მოძრაობას (გვ. 45). კორნელი (2002) კი დასძენს, რომ “ავტონომიის გარეშე აფხაზ ელიტას არ ექნებოდა ისეთი აუცილებელი ინსტიტუტი, როგორცაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომლის მეშვეობით საქართველოდან გამოყოფას ლეგიტიმაციის ელფერი შესძინეს” (გვ. 266). ამგვარად, პოსტსაბჭოთა უმცირესობის ნაციონალიზმი, უზრუნველყოფილი ნაციონალურ-პოლიტიკური პრეტენზიების ინსტიტუციური გამოხატვის შესაძლებლობებით, მშვიდობიანი ტრანსფორმაციისთვის არ ტოვებდა ადგილს და განმტკიცებული იყო საბჭოთა ინსტიტუციური პოლიტიკით და სტრუქტურული მექანიზმებით. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტის ჩამოყალიბებაში ელიტებსა და ინსტიტუტებს შორის არსებული კავშირები სიღრმისეულ ანალიზს და შორეულ თუ ახლო წარსულში კონტექსტუალიზაციას საჭიროებს. ის რაც აფხაზეთში გვიან 1980-იან წლებში და ადრეულ 1990-იან წლებში მოხდა, კარგად ჯდება ინსტიტუტებსა და კონფლიქტის წარმოშობას შორის კოჭლერის და ციურხერის (2003) მიერ აღწერილ კავშირებში: “ინსტიტუტები მოიცავენ დაპირისპირებულ ინტერესებს: ისინი გვთავაზობენ ინტერესების გამოხატვის წესებს და პროცედურებს; მიმართავენ ინფორმაციის ნაკადს მხარეებს შორის და გვთავაზობენ იმ სავალდებულო პროცედურებს, რომელიც აქტორთა ურთიერთქმედების შედეგებს განსაზღვრავს; ოფიციალურ სახელმწიფო ინსტიტუტებს შეუძლიათ პასუხი გასცენ გამოწვევას” (გვ. 247).

საქართველოს/აფხაზეთის შემთხვევაში, კოჭლერის და ციურხერის მიერ ჩამოთვლილი ყველა მახასიათებელი სახეზე იყო: არსებულ აქტორებს გააჩნდათ დაპირისპირებული ინტერესები, მათი გამოხატვის საშუალებები და მათი როგორც ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გატარების, ასევე გამოწვევებისათვის პასუხის გაცემის შესაძლებლობები. ამგვარად, შესაძლებელი იყო როგორც ინსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება, ასევე წინააღმდეგობების გამწვავება და მისი რეალურ კონფლიქტში გადაზრდა. სწორედ რომ კონფლიქტურმა ინსტიტუციურმა ურთიერთქმედებამ მიიყვანა ორი ეთნიკური ჯგუფი არასასურველ შედეგამდე.

ამგვარად, პოსტსაბჭოთა პროცესების ანალიზისათვის აუცილებელია საბჭოთა პერიოდის რეგიონული პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ინსტიტუტების წარმოქმნისა და ტრანსფორმაციის ანალიზი. ამავე დროს, გარდაუვალია ამ ინსტიტუტების და მათი მოქმედებების ცვლილებების გააზრება საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში, როდესაც ეს ინსტიტუტები აქტიურად გამოიყენ-

ებოდა ადგილობრივი ეთნიკური ელიტების მიერ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში. აქ მართებულია გავიხსენოთ პოსტსაბჭოთა პოლიტიკური პროცესების კინელექტისეული (1999) გააზრება, რომელიც ანალიზებს “ისეთ პოლიტიკურ ფაქტორებს, როგორცაა წარსულის მემკვიდრეობა, რომელსაც შეიძლება უშუალო ზეგავლენა ჰქონდეს პოსტკომუნისტურ ცვლილებაზე” (ელჩ ან, 2008, გვ. 159). კინელექტის მსგავსად, გელმანი ამტკიცებს, რომ კომუნისტური მემკვიდრეობა პოლიტიკური აქტორების მოქმედებებისთვის გარკვეულ სტრუქტურულ შეზღუდვებს წარმოშობს და მათ რეჟიმის ცვლილებების დროს მობილიზაციისთვის მთელი რიგი რესურსებით უზრუნველყოფს. იმოწმებს რა კინელექტს (1986), გელმანი მას თავდაპირველი პოლიტიკური შესაძლებლობის სტრუქტურის ან არსებული გარე შეზღუდვების ნაწილად მიიხსენებს, რომელიც ცვალებადია რეჟიმის ცვლილების ამა თუ იმ ეტაპზე (გვ. 159). ამ კონტექსტში ის ყურადღებას ამახვილებს ურთიერთდაკავშირებული ეგზოგენური (პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურა და წარსულის მემკვიდრეობა) და ენდოგენურ ფაქტორებზე (ელიტების სტრუქტურა, აქტორთა შორის რესურსების განაწილება, ინსტიტუტების ეფექტი და ძალადობისა თუ თანამშრომლობის სტრატეგიის შედარებითი მიზანშეწონილობა) (ელჩ ან, 2008, გვ. 161).

შეიძლება ითქვას, რომ 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზური პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილის გადაწყვეტილებები და მოქმედებები ვერ აიხსნება საბჭოთა ინსტიტუციურ წარსულთან და ამავე საბჭოთა ინსტიტუტებში მიმდინარე პოსტსაბჭოთა ინსტიტუციური წინააღმდეგობებთან მჭიდრო კავშირის გარეშე. ბეისინგერი (2002) შენიშნავს, რომ “ნაციონალიზმი წარმოადგენდა საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტებული ინსტიტუციური სისტემის შედეგს, რომელსაც გზა გამჭვირვალობის პოლიტიკამ და წარუმატებელმა ინსტიტუციურმა რეფორმამ გაუხსნა” (გვ. 8).

რეგიონში გატარებული საბჭოთა ინსტიტუციური პოლიტიკის და მისი მემკვიდრეობის ანალიზი აჩვენებს, რომ საბჭოთა პერიოდის *კორენიზაციის* და *ნაცივიზაციის* პოლიტიკა ინსტრუმენტული იყო აფხაზეთში კონფლიქტის წარმოშობაში. *კორენიზაცია* ხელს უწყობდა ადგილობრივების სოციალურ დაწინაურებას იერარქიულ კიბეზე და, შედეგად, ადგილობრივი ურბანული ინტელიგენციის ზრდას თუ მობილიზაციას (ელჩ 1999, გვ. 35). ყველა ნაციონალური ჯგუფი, და მათ შორის აფხაზებიც, სარგებლობდნენ 1920-იანი წლების *კორენიზაციის* პოლიტიკის მონაპოვრებით. ამ პოლიტიკის მიზანი იყო კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს აპარტის დანერგვა ნაციონალურ რესპუბლიკებში, რაც წარმატებით ხორციელდებოდა სუსტად წარმოდგენილი ან მცირერიცხოვანი ნა-

ციონალური ჯგუფების წევრებისადმი პრეფერენციული მოპყრობის მეშვეობით, როგორც სამსახურში აყვანისას, ასევე დაწინაურებისას; ელერის მსგავსად, კინგი (2008) ამტკიცებს, რომ ადგილობრივი კომუნისტური ელიტები ყველაზე აქტიურ კამპანიას აწარმოებდნენ სოციალური ორგანიზაციის და კულტურული პრაქტიკის ტრადიციული ფორმების წინააღმდეგ, რასაც ისინი რეტროგრადულად მიიხნეოდნენ (გვ. 190). საბჭოთა პერიოდის აპარატის მეშვეობით, აფხაზეთში გარკვეული საფუძვლები მოექმნა პოსტსაბჭოთა პრეტენზიებს და ღიად გამოიხატა თვით-გამორკვევისაკენ მისწრაფება. კომუნისტურ პარტიასთან ერთად, სხვა ზემოთხამოთვლილი ორგანიზაციები, რომლებიც ცენტრალური სტრუქტურების ადგილობრივ ფილიალებს წარმოადგენდნენ, ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ეთნო-პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების ფორმირებას, რომელიც, მიუხედავად პერიოდული სასტიკი რეპრესიებისა (საბჭოთა პერიოდში), დროსთან ერთად კიდევ უფრო გაძლიერდა.

ადგილობრივი ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტების გაძლიერება ნელ-ნელა ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს ქართველების და აფხაზების დაპირისპირებისათვის, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრაქტიკაში განხორციელდა. კინგი (2008) ამტკიცებს, რომ “აფხაზი ინტელექტუალებისთვის და რეგიონული ლიდერებისთვის საქართველის საბჭოთა კავშირიდან გასვლა მათ საკუთარ სამშობლოში მათი გავლენის სამომავლო დამცრობას მოასწავებდა. გამსახურდიას სახით ხელისუფლებაში, ახალი, ნაციონალისტი ლიდერის მოსვლამ კიდევ უფრო განამტკიცა აფხაზთა შიში” (გვ. 215).

ქართველების და აფხაზების მიჯაჭვულობამ მათ პოლიტიკურ ერთეულებზე და მათი შესაბამისი ინსტიტუტების ურთიერთდაქვემდებარების მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობამ, კონფლიქტი გარდაუვალი გახადა. ძირითადი პრობლემა წარმოიშვა სტატუსების გადასინჯვის და ახალი ურთიერთმიმართების თაობაზე შეუთანხმებლობის გამო. ეს ერთეულები იმ გზას დაადგინენ, რასაც მარჩი და ოლსენი (2005) შემდეგნაირად ახასიათებს: “ექსპლუატაციის და ძიების ბალანსის პრობლემა. ექსპლუატაცია მოიცავს არსებული ცოდნის და კანონების გამოყენებას, რომელთა მაგალითები ისტორიის გაკვეთილებში მოიძებნება. ძიება კი მოიცავს იმ ცოდნის და კანონების აღმოჩენას, რომელიც შეიძლება მომავალში შეგვხვდეს. კანონები დაგროვილ ცოდნას გადმოგვცემენ და ასახავენ უფრო ფართო და მდიდარ გამოცდილებას, ვიდრე ეს შეიძლება რომელიმე ინდივიდუალურ აქტორს გააჩნდეს” (გვ. 16).

დერლუგუიანი (2005) განმარტავს ინსტიტუტებსა და აფხაზეთში კონფლიქტის წარმოშობას შორის არსებულ კავშირს. მისი აზრით, ნაციონალური გამოღვიძების მოძრაობები, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკებში კულტურის სფეროში

მოქმედებდნენ, და მეტწილად კომუნისტური ნაციონალური ინსტიტუტების მიერ ლიმიტირებულ სფეროში რჩებოდნენ, პოლიტიკურ მოძრაობებად გარდაიქმნენ არა მათი დისკურსის ცვლილების და ნაციონალური ინტელექტუალების ამბიციების შედეგად, არამედ იმ ახალი რეალობის გამო, რომელმაც ნაციონალური მობილიზაციის შედეგად ბიუროკრატიული პორტფელის გადანაწილების შესაძლებლობა წარმოშვა. საბჭოთა კავშირში ასეთი შესაძლებლობები წინასწარ იყო განსაზღვრული ეთნო-ტერიტორიული “წახალისების” მექანიზმებით (გვ. 8).

დერლუგუიანის ინტერპრეტაცია კარგად შეესაბამება აფხაზეთში კონფლიქტის ფორმირების პირველ ეტაპს. ადგილობრივმა ელიტებმა, პოსტსაბჭოთა ტრანზიციის გაურკვევლობის და არეულობის პირობებში, საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტებს მიმართეს პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ახალი საფუძვლების მოსაძებნად. რადგანაც ადგილობრივი საბჭოთა ინსტიტუტები აფხაზეთში მეტწილად შერეული და ჰეტეროგენული იყო, ორ ძირითად ეთნიკურ ჯგუფს – ქართველებსა და აფხაზებს შორის დაპირისპირება გარდაუვალი გახდა. “მთავარი დარტყმა წამოვიდა შუა-რგოლის ნომენკლატურისგან, რომლებიც ცდილობდნენ გადარჩენილიყვნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოს მოახლოებულ კოლაფსში და ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ყველაფერი, რასაც მოიხელთებდნენ, იქნებოდა ეს ეკონომიკური საწარმოები თუ ეთნო-ტერიტორიული რესპუბლიკების მმართველი სტრუქტურები” (ერუგუან, 2005, გვ. 8).

ადგილობრივი ნომენკლატურა ასევე ფლობდა ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელსაც ახორციელებდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილებებით და გადაწყვეტილებებით, რასაც იდეოლოგიურად ზურგს უმაგრებდა ადგილობრივი ინტელიგენცია (ერუგუან, 2005, გვ. 8). ცენტრის (თბილისის) მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული ძალაუფლების გაზიარების მექანიზმის კრახის მიზეზების ასახსნელად მივმართავთ ტარასს, რომელიც აფხაზეთის ქცევის – ნებისმიერი ეთნიკური უმცირეობისათვის ხელსაყრელი შეთავაზების (თბილისის მიერ) უარყოფის მიზეზების და მოტივაციის ახსნას გვთავაზობს. ტარასი (2002) შენიშნავს: “როდესაც საბჭოთა ცენტრი დაიშალა, ნაციონალური მობილიზაცია გარდაუვალი აღმოჩნდა თითქმის მთელ საბჭოთა კავშირში. ნაციონალობები ვირტუალურ პოლიტიკურ პარტიებად გარდაიქმნენ; ხოლო ეთნიკური საზღვრები სახელმწიფო საზღვრებად იქცა. სუნიმ დაიჭირა ამ პროცესის პარადოქსი: რადიკალურმა სოციალისტურმა ელიტამ, რომელიც ინტერნაციონალურ პროგრამას მისდევდა, რეალურად ნაციების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი საკუთარ პოლიტიკური საზღვრებში” (გვ. 176). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიგა და გარე ინსტიტუციური სტრუქტურები აფხაზებს უფრო მეტს პირდებოდა, ვიდრე გაზრ-

დიდი ძალაუფლებას და ფართო ავტონომიას, ეს კი მათი საკუთარი ნაცია-სახელმწიფო იყო: ამგვარად, მათ არჩიეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მოლაპარაკებას მშვიდობის მისაღწევად.

საჯაროობის პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამწვავა ეთნოსთაშორისი ურთიერთობები. სმიტი (1999) ამტკიცებს, რომ “ადგილზე ორგანიზებული სოციალური მოძრაობები სწრაფად დაადგინენ ნაციონალისტურ განწყობას, გამოვიდნენ ფართო ავტონომიის და თვით დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოთხოვნითაც კი; საჯაროობის პროცესთან ერთად, ნაციონალური ცნობიერება ღიად გამოვლინდა საჯარო პოლიტიკურ სფეროში” (გვ. 37-38). ავტონომიის ფარგლებში ეთნიკური აფხაზები ფლობდნენ ყველა იმ პოლიტიკურ და კულტურულ ინსტიტუტებს, რომლებიც აუცილებელი იყო პოლიტიკურ პროცესებში ჩასარევა; როგორც თავიანთი პოზიციების და პრეტენზიების ლეგალური საშუალებებით დასაცავად, ისევე სამხედრო მოქმედებებისათვის, რასაც მნიშვნელოვნად უმზადებდა ნიადაგს საბჭოთა ინსტიტუტები.

გელმანი (2008) განასხვავებს საბჭოთა ინსტიტუტების ორ ჯგუფს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ადგილობრივი ელიტების პრეტენზიების განმტკიცებაში და კონფლიქტის აღმოცენებაში. საბჭოთა ხელისუფლება აერთიანებდა ორი სახის ინსტიტუტებს: 1. სამინისტროების ნაციების დონეზე არსებულ ექსტრატერიტორიულ წარმომადგენლობებს და სტრუქტურებს, რომლებიც ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორს მართავდნენ; და 2. კომუნისტური პარტიის მრავალდონიან ტერიტორიულ სტრუქტურებს, რომლებიც ცალკეული სფეროების ფუნქციონირებაზე იყვნენ პასუხისმგებელნი (გვ. 164). სწორედ ამ ინსტიტუციური სტრუქტურების კომბინაციამ, რომლებიც აფხაზეთში ეფექტურ მმართველობას და კონტროლს განაპირობებდნენ, ხელი შეუწყო ჯერ კონფლიქტური პრეტენზიების ინიცირებას, მოგვიანებით კი კონფლიქტური ეთნოსთაშორისი ქცევის წარმოშობას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირის იერარქიულმა ბუნებამ და სახელმწიფო ინსტიტუტების სხვადასხვა დონის ურთიერთდაქვემდებარებამ მათ შორის კონფლიქტი გარდაუვალი გახადა, როგორც კი ცენტრალური ინსტიტუტი – საკავშირო დონის კომუნისტური პარტია - დაიშალა. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ “ინსტიტუტის ცნება ერთსა და იმავე დროს გულისხმობს როგორც შიგა შეჭიდულობას, ასევე მდგრადობას” (არტ & ლენ, 2005, გვ. 17). შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კონფლიქტი გვარდება ამა თუ იმ სახის წინასწარი შეთანხმებით (კონსტიტუცია, კოალიციური შეთანხმება) და ყველა მონაწილე თანხმდება ამა თუ იმ ინსტიტუციურ წესებზე. რამდენადაც არსებული შეთანხმება დაირღვა ურთიერთგამომრიცხავი ეთ-

ნიკური ნაციონალიზმების ძალით, საბჭოთა ინსტიტუტებმა თანდათანობით ლპობა დაიწყო. ნაციონალური გრძნობები, ასევე კონფლიქტური იდენტობები, იმ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ, რომელთაც მარჩი და ოსლენი (2005) “ინსტიტუციურ გამლიზიანელებს და ანტი-სისტემებს” უწოდებენ (გვ. 17).

ამგვარად, საბჭოთა სტრუქტურა იმ ძირითად ბირთვს წარმოადგენდა, რომელსაც ეყრდნობოდა ყველა სხვა ინსტიტუტი და ფართოდ იყო მიღებული საზოგადოების მიერ. თუმცა, ის ამავე დროს იმ სტრუქტურად გვევლინება, რომელმაც სისტემის დაშლა გამოიწვია. ის მოიცავდა ზოგიერთ დაპირისპირებულ ინსტიტუციურ და ჯგუფურ იდენტობებს, რომლებიც გამოაცოცხლა საბჭოთა კავშირის ლიბერალიზაციის და მოდერნიზაციის, რომ არ ვთქვათ დემოკრატიზაციის პოლიტიკამ. როგორც მარჩი და ოსლენი (2005) შენიშნავენ, საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზების სათანადოდ გასაანალიზებლად უნდა გავაანალიზოთ “ინსტიტუტის წესები, ნორმები და იდენტობები, და არა მიკრო რაციონალური ინდივიდები თუ მაკრო სოციალური ძალები” (გვ. 20). სზპორლუკი (1997) ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე და მის პოსტსაბჭოთა გამოყენებაზე. მისი აზრით, “ხალხი საუბრობდა სსრკ-ს ინსტიტუციურ პლურალიზმზე და მათ საბჭოთა ინსტიტუტები ჰქონდათ მხედველობაში. ამგვარად, როდესაც საჯაროობა და გარდაქმნა დაიწყო, ბუნებრივი იყო, რომ ახალი საბჭოთა პოლიტიკური პარტიების, მოძრაობების და ასოციაციების გაჩენის მოლოდინი გაჩნდა” (გვ. 82). სწორედ ეს საბჭოთა ინსტიტუტები წარმოადგენდნენ იმ ქვაკუთხედს, რომელთაც გამოიწვიეს კონფლიქტი და ბიძგი მისცეს ეთნოსთაშორისი განსხვავებების პროპაგანდას; საბჭოთა ინსტიტუტების მეშვეობით, ეს განსხვავებები წარმოჩენილ იქნა როგორც კონფლიქტური და ურთიერთგამომრიცხავი.

საბჭოთა იმპერიულ და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესების მემკვიდრეობებს შორის არსებული ძლიერი კავშირების გააზრება ასევე მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა პროცესებში ინსტიტუტების როლის წარმოსაჩენად. ბეისინჯერი (1997) ამტკიცებს, რომ “საბჭოთა შემთხვევაში იმპერია და მისი მემკვიდრეობა ვერ იქნება გააზრებული მხოლოდ მისი ინსტიტუციური განზომილების კუთხით. საბჭოთა მემკვიდრეობა იმპერიულია, რაც მრავლისმეტყველია როგორც იდენტობის ბუნების და ძალაუფლებების ურთიერთმიმართების, ასევე ამ მემკვიდრეობის წამკითხველთა აღქმის კუთხით” (გვ. 160). თუმცა, სსრკ-ს დაშლა მართებულად უნდა იქნეს გააზრებული როგორც საბჭოთა ეთნოფედერალიზმის პირმშო. იმწმებს რა სუნს, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ადგილობრივ და სოციალურ ნაციონალიზმების ეფემერულ ხასიათზე არა-რუს ნაციებს შორის 1917 წლის შემდგომ პერიოდში, ბეისინჯერი (1997) შენიშნავს, რომ “ეს რეალობა რადიკალურად განსხვავდება 1980-იანი წლების მიწურულის სიტუაციისგან, რო-

დესაც არა კლასობრივი, არამედ ნაციონალური იდენტობები მოექცნენ მობილიზაციის ცენტრში. ნაციის შედარებითი სისუსტე 1917 წელს და მისი მეტ-ნაკლები სიძლიერე 1989 წელს მეტწილად ეთნოფედერალიზმის და მისი მამოძრავებელი ნაციონალური კონსოლიდაციის სპეციფიკური პოლიტიკის ზეგავლენით იყო განპირობებული” (გვ. 163).

საბჭოთა ეთნოფედერალიზმი აერთიანებდა ყველა იმ ინსტიტუტს, რომელმაც განსაზღვრა პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია. რადგანაც ნაციონალური კონსოლიდაცია გავრცელდა სახელმწიფო და ავტონომიურ საზღვრებში, რომლებიც ეთნიკურობას ეფუძნებოდნენ, ამ ორ ნაციონალურ მოძრაობას შორის დაპირისპირება გარდაუვალი გახდა. გარდა ამისა, მობილიზაცია წარიმართა იმ ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც მეტწილად მსგავსი ბუნების იყო უმცირესობებით და უმრავლესობებით დასახლებულ რეგიონებში, თუ არ ჩავთვლით მათ შორის არსებულ აშკარა ეთნიკურ განსხვავებას. საბჭოთა ეთნოფედერალიზმის ბუნების თანახმად, ნაციის მშენებლობა მიმდინარეობდა როგორც ეთნო-რესპუბლიკების, ასევე საკავშირო დონეზე. მოსკოვი არ მისდევდა კულტურული სტანდარტიზაციის თანმიმდევრულ, ერთგვაროვან პოლიტიკას ეთნორესპუბლიკებში: “საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი მთავარი პარადოქსი შემდეგში მდგომარეობდა: ის ქმნიდა სოციალურ სივრცეს ნაციის მშენებლობისთვის ეთნორეგიონულ დონეზე” (თარს, 2002, გვ. 174). ვინაიდან ცენტრალური და რეგიონული ინსტიტუტები მსგავსი იყვნენ მათი სტრუქტურით და მოქმედების ბუნებით, პოსტსაბჭოთა პროცესების კოორდინირება საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა. ასევე, მათი ქცევის კონფლიქტურად გარდაქმნა ინსტიტუტების კოლიზიით, არ გამოდგა რთული ამოცანა.

ინსტიტუციონალიზმის ჩარჩოში აფხაზეთის პრობლემის ანალიზის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ინსტიტუციური ანალიზის ნაკლოვანებები პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის გააზრებისას. ციგანკოვი (2001) შენიშნავს, რომ ინსტიტუტები, თუმცა კი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, მაგრამ მათ მეორადი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ, რადგან ისინი მხოლოდ არაპირდაპირ იყვნენ პასუხისმგებელი იმპერიული ხელისუფლების გამოწვევაზე და პერიფერიული ნაციონალისტური გრძნობების მეტ-ნაკლები სიძლიერეზე. მართალია ისინი ქმნიდნენ სივრცეს მნიშვნელობების განაწილებისათვის, მაგრამ ისინი თავად არ წარმოქმნიდნენ ამ მნიშვნელობებს. ამ პროცესში წამყვან როლს ასრულებდა ისტორია (გვ. 23). ციგანკოვის მსგავსად, კინგიც (2010) გვაფრთხილებს, რომ “ინსტიტუციონალიზმი იშვიათად წარმოაჩენს ინსტიტუციური მექანიზმების რეალურ მუშაობას და თითქმის არაფერს გვეუბნება სოციალური ინსტიტუტების წინა პლანზე წამოწევის მიზეზებზე” (გვ. 58). თუმცა, ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში აფხაზეთის

პრობლემის და საქართველოს ტრანსფორმაციის კონტექსტუალიზაცია, საბჭოთა მემკვიდრეობის გათვალისწინებით, წარმოაჩენს თუ როგორ ენიჭებოდათ მნიშვნელობა ინსტიტუტებს, როგორ აღიჭურვებოდნენ ისინი კონკრეტული პოლიტიკური ძალაუფლებით (საბჭოთა კონსტიტუციების მეშვეობით) და როგორ გამოიყენებოდა ეს ძალაუფლება კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისათვის (ახალი ცენტრის – თბილისის წინააღმდეგ) საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

აფხაზეთის შემთხვევის ანალიზი მარტო საბჭოთა ეთნიკური პოლიტიკის გააზრებით არ შემოიფარგლება. სოციალური პროცესები და ისტორიული სტრუქტურები კარგად არის წარმოჩენილი პოსტსაბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში. აფხაზეთის პრობლემის ინსტიტუციური ანალიზი წარმოჩენს ქართულ-აფხაზეთის კონფრონტაციის არა დუალისტურ, არამედ სამკუთხა ბუნებას – საქართველო-რუსეთის დაპირისპირება აფხაზეთის რეგიონში, სადაც კარგად ჩანს საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში ინსტიტუციური წინააღმდეგობა ცენტრსა და პერიფერიას შორის. ეს დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ ინსტიტუციური მიდგომის ერთ-ერთი მთავარი ნაკლოვანება. ფერეჯონი ამტკიცებს, რომ “არა-ინსტიტუციური აქტორები ინსტიტუციური სტრუქტურების ირგვლივ ერთიანდებიან. მათ შეუძლიათ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება და კოორდინირებული შეთანხმების მიღწევა, რომელიც ინსტიტუციურ წინააღმდეგობებს გადააღახინებთ” (ერეჯონი, 2003, გვ. 3). სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ინსტიტუტების ძალას, რადგანაც ისინი უზრუნველყოფენ იმ ხარისხის კოორდინირებასა და ურთიერთგაცვლას, რომელიც მათ გარეშე შეუძლებელი იქნება: “ინსტიტუციურმა სტრუქტურებმა შეიძლება წარმოშვას ინფორმაციის შემუშავების და გადაცემის შესაძლებლობები (ან დააბრკოლოს ის), ხოლო ეს ინფორმაცია თავის მხრივ განსაზღვრავს ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას” (ერეჯონი, 2003, გვ. 3-4). ინსტიტუციური ცვლილებებისათვის თვალის გადავლება მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ გზით დავინახავთ ინსტიტუტების გავლენას პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე. ნაშრომი წარმოაჩენს ცენტრსა და პერიფერიას შორის (თბილისი-სოხუმი) ურთიერთობების რეინსტიტუციონალიზაციის მცდელობებს; ამ მხრივ გაანალიზებული იქნება ცენტრალური ხელისუფლების და სეცესიური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სხვადასხვა სამშვიდობო პროექტები, 1990-იან წლებიდან მოყოლებული. წარმოაჩენილი იქნება ამა თუ იმ სამშვიდობო პროექტის კრახი და მისი განხორციელებისათვის ობიექტურად არსებულ შეზღუდვები პოსტსაბჭოთა პერიოდში.

აფხაზეთში მიმდინარე პოსტსაბჭოთა პროცესები, ისევე რეგიონში აღმოცენებული კონფლიქტი, კონტექსტუალიზებულ უნდა იქნეს 1920-იანი და 1930-იანი

წლების საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკაში. ეს ის პერიოდია, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ყველა იმ ინსტიტუტს, რომელთაც სოხუმს ცენტრის წინააღმდეგ დამოუკიდებელ საქართველოში პრეტენზიების პოლიტიკურ-იურიდიული გამოხატვის საშუალება მისცეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. შევნიშნავთ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოშობილი თითქმის ყველა კონფლიქტური რეგიონი, და მათ შორის აფხაზეთიც, ავტონომიური სტატუსით სარგებლობდა საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის; ხოლო რეგიონის ადგილობრივმა ელიტებმა საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტები დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საფუძველად აქციეს. რეგიონული საბჭოები პარლამენტებად გარდაიქმნენ; ქარხნის მენეჯერები და ადგილობრივი ინტელექტუალები მინისტრებად და პრეზიდენტებად მოგვევლინენ. ამ ადმინისტრაციული სტრუქტურების და მათი წამყვანი ფიგურების პერსონალური ამბიციების გარეშე, პოსტსაბჭოთა კონფლიქტები შეიძლება საერთოდ არც აღმოცნებულიყო (ჩხ, 2008, გვ. 219).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, პიროვნული ამბიციები რატომ იყო პასიური და თითქმის ნეიტრალური საბჭოთა პერიოდში და ნაციონალური ელიტები რატომ არ გამოხატავდნენ სეცესიურ მისწრაფებებს საბჭოთა კავშირის არსებობისას? ტარასი (2002) ამ კითხვაზე პასუხს ზასლავკის არგუმენტში პოულობს: “ადგილობრივ ელიტების ინტერესების ხელშეწყობით საბჭოთა ნაციონალურმა პოლიტიკა უჩვეულოდ წარმატებული აღმოჩნდა ნაციონალური იდეებით შეპყრობილი ჯგუფების პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრირების კუთხით, ან სულ მცირე, ეფექტურად მოახერხა მათი სეპარატისტული მისწრაფებების ნეიტრალიზაცია” (გვ. 177). ამგვარად, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ცენტრის გაქრობასთან ერთად, აღარ არსებობდა ის არბიტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა ეთნიკური ელიტების ნაციონალისტური იდეების დაკმაყოფილებას; ამავე დროს კი, საბჭოთა ინსტიტუტები მთელი რიგი რესურსებით უზრუნველყოფენ ეთნიკურ უმცირესობებს დამოუკიდებელი პოლიტიკის საწარმოებლად; ეს ყოველივე კი კონფლიქტით დამთავრდა თბილისსა და სოხუმს შორის.

ავტონომიური რეჟიმების ბუნებაზე ამახვილებს ყურადღებას ჰეილი (2000). მისი აზრით, უმაღლესი საფეხურის რესპუბლიკები (საუბრობს საკავშირო რესპუბლიკებზე) “ყველაზე მეტად იყვნენ მიდრეკილნი აჯანყებისკენ, რადან მათ გააჩნდათ ყველაზე მყარი სოციოპოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ საბჭოთა პერიოდში ეთნიკური იდენტობების ჩამოყალიბებას და ნაციონალურ მიჯნებზე მობილიზაციის განმტკიცებას” (გვ. 49). თუმცა მის ანალიზში გამოკვეთილი არ არის ერთი მომენტი, კერძოდ საბჭოთა ეთნოფედერალიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელი: ერთი და იგივე ინსტიტუტები ჰქონდა მინი-

ჭებული როგორც ეთნიკურ უმრავლესობებს, ასევე უმცირესობებს, რომლებიც განსხვავებულ უფლებებს ანიჭებდა თითოეულ მათგანს და განსხვავებული პროცედურებით უქვემდებარებდა ცენტრს – მოსკოვს. საბჭოთა ინსტიტუციური მექანიზმების მართებული გააზრება და რუსეთის ფედერაციის როლის წარმოჩენა თბილისსა და სოხუმს შორის ინსტიტუციურ დაპირისპირებაში აფხაზეთის პოსტსაბჭოთა პროცესების სრულფასოვანი გააზრების წინაპირობაა.

პოსტსაბჭოთა პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობების უმეტესობა ეწინააღმდეგებოდა იმ რესპუბლიკის ნაციონალური იდენტობის მიღებას, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ამან უკიდურესი ფორმები მიიღო (ლუპესნგჰე & თიქკოვ, 1996). მათი განსხვავებული მისწრაფებები ხშირად ცენტრალურ და პერიფერიულ ჯგუფებს ერთმანეთს უპირისპირებდა. როგორც მატვეევა (2002) შენიშნავს, სატიტულო ჯგუფებმა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები და იდეოლოგიები შექმნეს თავიანთი პრეტენზიების გასახმიანებლად, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობებისაგან გაუცხოების პროცესს. ნათელია, რომ აფხაზები უმცირესობაში იყვნენ აფხაზეთის ავტონომიურ (საბჭოთა სოციალისტურ) რესპუბლიკაში. თუმცა, სწორედ ინსტიტუციონალიზებული ძალაუფლება აძლევდა ადგილობრივ ელიტას ცენტრთან პოლიტიკური და კულტურული დებატების წარმოების საშუალებას; ამავე ინსტიტუტებმა შეამზადეს ნიადაგი სამხედრო მოქმედებების წამოწყებას. ტრეისმანი ამტკიცებს, რომ ”ის რეგიონები, რომლებიც ინსტიტუციურ სტრუქტურებს იყენებენ ცენტრისაგან მეტი რესურსების და ძალაუფლების მოსაპოვებლად, უკან არ დაიხევენ სეცესიური მოთხოვნების წამოყენებაზე კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობის მისაღწევად. ამგვარად, დიდი ძალაუფლებს მქონე რეგიონები უფრო რადიკალურ პრეტენზიებს წამოაყენებენ, რადგან მათ უფრო მეტი ზეწოლის განხორციელება შეუძლიათ ცენტრზე” (დამოწმ. ალუ 2000, გვ. 34).

სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ურთიერთმიმართება აფხაზეთის კონფლიქტში წარმოჩენილია დერლუგუიანის (2007) მიერ: “სოციალური პროცესი და ისტორიული სტრუქტურები, რომლებიც კონფლიქტის საფუძვლად მოიაზრება, რეალურად კონფლიქტის საფუძვლებს არ წარმოადგენენ; არამედ ისინი ისტორიულ კომპლექსურ ტრაექტორიას წარმოქმნიან, რომელმაც რაღაც მომენტში შეიძლება წარმოშვას ან განმუხტოს კონფლიქტი; ეს კონფლიქტი კი მეტწილად ეთნიკური სახით გვევლინება, როგორც დაპირისპირება უმრავლესობაში მყოფ საქართველოს ხელისუფლებას, უმცირესობაში წარმოდგენილ აფხაზებს და ინტერვენციულ რუსეთს შორის” (გვ. 65). დერლუგუიანი მიჰყვება აფხაზეთის ირგვლივ პოსტსაბჭოთა პროცესების კომპლექსური ანალიზის ხაზს და

ითვალისწინებს მათ წარსულ ისტორიას და საბჭოთა მემკვიდრეობას, ასევე შიგა და გარე აქტორების როლს მჭიდრო ურთიერთკავშირში წარმოაჩენს. პოსტსაბჭოთა აფხაზეთის პრობლემის მულტიპერსპექტიული გააზრება მნიშვნელოვანი ამოცანაა 1980-იანი წლების მიწურულის და 1990-იანი წლების დასაწყისის მოვლენების მიზეზების და შედეგების დასადგენად. როგორც სმიტი (1999) აღნიშნავს, “პოსტ-საბჭოთა ტრანზიცია ადეკვატურად ვერ იქნება გააზრებული თუ ერთმანეთისგან გავაცალკევებთ საშინაო და საგარეო პროცესებსა და მოვლენებს” (გვ. 4). ამ მოსაზრების გათვალისწინებით, მეორე თავში გაანალიზებულია კონფლიქტური კონსტრუქციები და წარმოჩენილია მათი ინსტიტუციური განხორციელება ეთნიკური ჯგუფების ცხოვრების პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში. სოციალური ცხოვრების ყველა ეს სფერო ინსტიტუციონალიზებული იქნა აფხაზეთში ახალი პოლიტიკური ცენტრის შესაქმნელად. ამგვარად, 1980-იანი წლების მიწურულის და 1990-იანი წლების დასაწყისში ქართველების და აფხაზების კონფლიქტური პრეტენზიები ამ ეთნიკური ჯგუფების ინსტიტუციური სტრუქტურებით გამოვლინდა: თავდაპირველად საბჭოებით, მოგვიანებით ეროვნული მოძრაობებით და ბოლოს, თბილისსა და სოხუმში დამკვიდრებულ ხელისუფალთა დაპირისპირებით.

შეუძლება ითქვას, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობას შორის დაპირისპირება საბჭოთა პერიოდის სტრუქტურებმა განაპირობა, რაშიც გადამწყვეტი როლი ავტონომიური რეგონისტვის კონსტიტუციით მინიჭებულმა უფლებებმა და მათმა ინტერპრეტაციამ ითამაშა. ორი კონსტიტუციის არსებობა, 1925 წლის (1926 წლის შესწორებებით) და 1978 წლის, გადამწყვეტი აღმოჩნდა აფხაზეთის ელიტის პრეტენზიების ჩამოყალიბებაში, რომლებიც ისეთ სფეროებში გამოვლინდა, როგორცაა პოლიტიკური და ლინგვისტური უფლებები, განათლების და სუვერენიტეტის საკითხები და სხვ. ეს ასპექტები ერთმანეთთან კავშირში უნდა იქნეს გააზრებული, რადგანაც ისინი ერთმანეთს ავსებდნენ და ამგვარად აყალიბებდნენ და ინარჩუნებდნენ კონფლიქტს ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წლებში. ისინი ასევე მნიშვნელოვნად წარმართავდნენ პოსტსაბჭოთა რეგიონულ პროცესებს. ამ მხრივ, გააზრებულ უნდა იქნეს ინსტიტუტების “ცენტრალური როლი ერთის მხრივ სტრუქტურულ ფაქტორებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდებსა და ინტერეს ჯგუფებს შორის მედიაში” (უგეს & შასუ, 2001, გვ. 15). ნაშრომში ეს ასპექტები წარმოჩენილია კონფლიქტური კონსტრუქციების სახით და მომდევნო თავი წარმოაჩენს მათ ინსტიტუციურ წინააღმდეგობას როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში.

თავი 2. კონფლიქტური კონსტრუქტები და მათი ინსტიტუციური გამოვლინებები

ამ თავში გაანალიზებულია აფხაზეთის რეგიონში კონფორმაციის საწყის ეტაპზე განვითარებული მოვლენები, რომელთაც თავი იჩინეს *კონსტიტუციების, განათლების საკითხის, ლინგვისტური უფლებების, სუვერენიტეტის, რეფერენდუმების, ეკონომიკური და სამხედრო ასპექტების* თაობაზე წარმოებული მოლაპარაკებებისას თუ დებატებისას: “საქართველოში არსებული კონფლიქტები დაიწყო ისეთ საკითხებზე უთანხმოებით, როგორცაა საპარლამენტო კომპეტენციები, თვითმმართველობა, მცირე ელიტების მხრიდან ტერიტორიული სტატუსის საკითხის წამოჭრა; ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირებასთან ერთად განსხვავებები ფოკუსირებული აღმოჩნდა წარმომადგენლობაზე, მონაწილეობაზე და ტერიტორიის კონტროლზე” (ქონეს, 2006, გვ. 265). საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის მიზანმიმართულმა თუ გაუაზრებელმა ეთნიკურმა პოლიტიკამ და რიტორიკამ განხეთქილება შეიტანა ერთის შეხედვით მშვიდობიან ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, რამაც ისინი კონფლიქტამდე მიიყვანა. ამ მხრივ, სტივენ ჯონსი (1992ბ) მართებულად ამახვილებს ყურადღებას “აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში უნივერსიტეტის შექმნაზე, კადრების შერჩევის პროაფხაზურ პოლიტიკაზე, რაც აფხაზებს [მათივე] რესპუბლიკაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონტროლის დამყარების საშუალებას აძლევდა, რასაც თან სდევდა მეტი ეკონომიკური ინვესტიციების მიზიდვა რეგიონში და საგამომცემლო საქმისა და ენის სწავლების გაუმჯობესება” (გვ. 84). ეს ყოველივე მნიშვნელოვან წინაპირობებს ქმნიდა აფხაზური ნაციონალური პროექტის წარმოშობისთვის საბჭოთა კავშირის დასასრულს (იხ. ქვეთავები № 2.2. და 2.3.).

2.1. საკონსტიტუციო დებატები

ცენტრსა (თბილისი) და პერიფერიას (სოხუმი) შორის საკონსტიტუციო დებატების საფუძვლები 1990 წლის 26 აპრილს *სსრ კავშირის და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ კანონმა* წარმოშვა (ოფიციალური დოკუმენტი, 21, გვ. 24-25),¹⁷ რომელმაც საბჭოთა კავშირის ფედერალური მოწყობის პრინციპებს ცვლიდა. მიხეილ გორბაჩოვის კანონი სსრკ-ს “ხელახალი ფედერალიზაციის” იდეას ეფუძნებოდა, რომლის თანახმად, ახალ

¹⁷დამოწმებაში *ოფიციალური დოკუმენტები* აღნიშნავს გამოყენებული ლიტერატურის სექციას, სათაურით *ოფიციალური დოკუმენტები*, რომლებიც დანომრილია და დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით. ფრჩხილებში მითითებული ნომერი აღნიშნავს დოკუმენტის ნომერს ლიტერატურის სიაში, ხოლო მისი მომდევნო რიცხვი აღნიშნავს დოკუმენტის გვერდის ნომერს იმ კრებულში, სადაც ის დაიბეჭდა.

კონსტიტუციურ მოწყობას ფედერალურ ცენტრსა (მოსკოვი) და ფედერაციის ახალ სუბიექტებს შორის ძალაუფლების გადანაწილება უნდა განესაზღვრა; ამ სუბიექტებად კი 15 მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად 20 ავტონომიური რესპუბლიკა გამოცხადდა. ვალერი ტიშკოვი (1996) მართებულად აღნიშნავდა, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ძალით, ავტონომიური რესპუბლიკების მოკავშირე რესპუბლიკებთან გათანაბრება ქვეყნის სტრუქტურული მოწყობის საკითხებში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებს ასუსტებდა. “გორბაჩოვის მიზანი რესპუბლიკების მონოლითური პოზიციების დამსხვრევა და მისი ყველაზე ძლიერი ოპონენტის – ბორის ელცინის – შეზღუდვა იყო (გვ. 49-50).” ხოლო ჰუგსი და სასე (2001) შენიშნავენ, “ახალი კანონი სპობდა საბჭოთა კავშირის სუბიექტებს შორის არსებულ განსხვავებებს და ორივე სახის ფედერალურ ერთეულს ფედერაციის სუბიექტებად მოიხსენიებდა” (ინტერნეტ წყარო № 45, გვ. 6). ამ ახალ კანონამდე, მოკავშირე რესპუბლიკა იურიდიულად სუვერენული იყო და მას გამოყოფის უფლება გააჩნდა, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკა ამ უფლებით ვერ სარგებლობდა. ახალი კანონი კი როგორც მოკავშირე, ასევე ავტონომიურ რესპუბლიკებს ერთმანეთთან ათანაბრებდა და ფედერალურ ხელისუფლებას უქვემდებარებდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში სწორედ ფედერალური ხელისუფლებისადმი (მოსკოვი), პირდაპირი ან არაპირდაპირი დაქვემდებარების საკითხი გადაიქცა კონსტიტუციური დებატების საფუძვლად, კერძოდ კი, სოხუმსა და თბილისს შორის დავის საგნად. მოსკოვის სახელისუფლებო წრეებში გაჩაღებულ ბრძოლებში გორბაჩოვის დამარცხებასთან და მთელი ძალაუფლების რუსეთის ფედერაციის ლიდერის, ბორის ელცინის ხელში გადასვლასთან ერთად (1991), “კავშირის არარუსმა ნაციონალობებმა ავტონომიის მოთხოვნები და თვით დამოუკიდებლობის პრეტენზიებიც კი წამოაყენეს” (თაღლი, 2007, 134). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ლიდერები გააქტიურდნენ და, მოსკოვის ფარული დახმარებით, თბილისის წინააღმდეგ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყეს.

ამგვარად, მნიშვნელოვანია გავიაზროთ საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ-ის და აფხაზეთის (ა)სსრ-ის სტატუსების ურთიერთმიმართება. საბჭოთა კავშირი 1922 წლის დეკემბერში შეიქმნა, ხოლო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ, რომელიც 1924 წლის 31 იანვარს გაფორმდა, ერთ სახელმწიფოდ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად – გააერთიანა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა (რსფსრ), უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (უსსრ), ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

(ბსსრ), ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (ასსფრ: აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) (ოფიციალური დოკუმენტი № 7, გვ. 101-102). როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულება აფხაზეთს არ მოიხსენიებდა ცალკე ერთეულად ახლადნამოყალიბებულ ერთობაში. ის საბჭოთა კავშირში აღმოჩნდა როგორც ასსფრ-ის ნაწილი, რომელსაც ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში მყოფი შეუერთდა. ამგვარად, არც ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დამფუძნებელი ხელშეკრულება და არც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია აფხაზეთის სტატუსს საქართველოს (სსრ-ს) საზღვრებს და უფლებებს მიღმა არ განსაზღვრავდა. ზემოთგანხილული კონსტიტუციების მსგავსად, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (მიღებული 1925 წლის 1 აპრილს, რომელიც დეტალურად ქვემოთ იქნება გაანალიზებული) აფხაზეთის სტატუსს საქართველოს სსრ-ს მიღმა არ განსაზღვრავდა, და მას არც ასსფრ-ის, და არც სსრკ-ის ფარგლებში არ მოიხსენიებდა. აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციაში აღნიშნული იყო, რომ “აფხაზეთის სსრ, რომელიც სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანდა საქართველოს სსრ-თან, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის საქართველოს სსრ-ს ფარგლებში და, როგორც ამ უკანასკნელის ნაწილი, უერთდება საბჭოთა კავშირს” (ოფიციალური დოკუმენტი 8, გვ. 110). ამგვარად, აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია აფხაზეთის სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში განსაზღვრავდა. ამ საკითხის უფრო დეტალურად წარმოსაჩენად მივმართავთ საქართველოს სსრ-ს, აფხაზეთის სსრ-ს და აფხაზეთის ასსრ-ს კონსტიტუციების შედარებითი ანალიზს.

აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუცია. აფხაზეთა პოლიტიკური უფლებები აფხაზეთის ასსრ-ში და საქართველოს სსრ-ში განისაზღვრებოდა აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის, აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის და საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციებით. *აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციაში* აღნიშნულია, რომ “აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში და საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ-ს უფლებების მიღმა, აფხაზეთის ასსრ დამოუკიდებლად წარმართავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომელიც მას აქვს გადაცემული” (მუხლი 64). აფხაზეთის ასსრ წარმართავდა ადგილობრივი მმართველობის საკითხებს და მი-

სი საქმიანობა საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში წარმართებოდა (მუხლი 66); (ოფიციალური დოკუმენტი № 2, გვ 18). ხოლო 93-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭო წარმართავდა ყველა იმ საკითხს, რომელიც ავტონომიურ ერთეულს ჰქონდა გადაცემული საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციების ფარგლებში (ოფიციალური დოკუმენტი № 2, გვ. 25). აშკარაა, რომ აფხაზეთის ასსრ-ის პოლიტიკური უფლებები შეზღუდული იყო საქართველოს სსრ-ის და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით; აფხაზეთის ასსრ-ს მოეთხოვებოდა მის მიერ მიღებული ყველა ნორმატივი ზემდგომი სტრუქტურების გამოცემულ კანონებთან და ნორმატივებთან შესაბამისობაში მოეყვანა. 116-ე მუხლში აღნიშნული იყო:

“აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და ბრძანებები ეფუძნება საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ-ს და აფხაზეთის ასსრ-ის დადგენილებებსა და ბრძანებებს, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ-ს და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოების (ე.ი. ზედა ემელონების – დ.მ.) დადგენილებებს და ბრძანებულებებს.” საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოები უზრუნველყოფდნენ აფხაზეთის ასსრ-ის მიერ მიღებული დადგენილებების აღსრულების მონიტორინგს (მუხლი 116 და მუხლი 118)” (ოფიციალური დოკუმენტი № 2, გვ. 32).

ყველა სხვა ადმინისტრაციული ხასიათის საკითხი საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს უნდა დაემტკიცებინა. ამგვარად, ადმინისტრაციულ საკითხებში არსებული აფხაზეთის ავტონომია ზედმიწევნით კონტროლდებოდა საქართველოს სსრ-ს და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით; ასევე აშკარაა აფხაზეთის ასსრ-ის პოლიტიკური უფლებების და გადაწყვეტილებების ვერტიკალური დაქვემდებარება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით.

აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუცია. საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის ასსრ-ს შორის არსებული ურთიერთობების მცირეოდენ განსხვავებული ინტერპრეტაცია შეიძლება აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1925 კონსტიტუციის საფუძველზე, რასაც მიმართავდა კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს ადგილობრივი აფხაზური ელიტის ერთი ნაწილი და საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოთხოვნის საფუძველად მიიჩნევდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 1925 წლის კონსტიტუცია შეიცავდა გარკვეულ მუხლებს, რომელთა თანახმად აფხაზეთის სსრ-ს საქართველოს სსრ-ს ექვემდებარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის პოლიტიკური ერთეულის სახელწოდება – აფხაზეთის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (აფხაზეთის სსრ) – იმთავითვე არ მიუთითებდა მის ავტონომიურ სტატუსზე საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. ამ კონსტიტუციის მე-2 მუხლში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთი წარმოადგენდა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა და მისი მეშვეობით უერთდებოდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას (მუხლი მე-17). ამგვარად, აფხაზეთის საქართველოსადმი დაქვემდებარება იმპლიციტურად იყო აღნიშნული და ის არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ მოკავშირე რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში. ამავე დროს, ამ კონსტიტუციის მე-4 მუხლში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო მმართველობა და მას არ ზღუდავდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება, ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ოფიციალური დოკუმენტი № 3, გვ. 5). ამგვარად, აფხაზეთი უზრუნველყოფილი იყვნენ ფართო ავტონომიით. კონსტიტუციის მე-17 მუხლი არ ეგულებოდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის არსებულ სამოკავშირეო ურთიერთობებს (ოფიციალური დოკუმენტი № 3, გვ. 8). თუმცა, აფხაზეთი პირდაპირ არ ექვემდებარებოდა ცენტრს – მოსკოვს. ამ კონსტიტუციის საფუძველზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აფხაზეთმა საქართველოსგან გამოყოფა და დამოუკიდებლობა მოითხოვეს. ანალოგიურ მოსაზრებას ემხრობა ჯორჯ ჰუიტი (2009), რომელიც შენიშნავს: “არძინბამ ლოგიკური ნაბიჯი გადადგა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენით, რომელიც თბილისთან პარალელურ ურთიერთობას აყალიბებდა და ორ ერთეულს ერთმანეთთან ფედერალურ პრინციპებზე აკავშირებდა” (ინტერნეტ წყარო № 43, გვ. 8).

1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია შეიცავდა დებულებას აფხაზეთის სსრ-ის ფარგლებში ბრძანებულებების და დადგენილებების დამოუკიდებლად მიღების შესახებ; კერძოდ, კონსტიტუცია აფხაზეთის სსრ-ს ანიჭებდა საქართველოს სსრ-ის მიერ აფხაზეთის რეგიონთან მიმართებაში გამოცემული ბრძანებულებების და დადგენილებების გადახედვის გარკვეულ უფლებებს. 22-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ “საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული ყველა კანონის, ბრძანების და დადგენილების აღსრულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე გულისხმობს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტე-

რიტორიასაც და მათი შესრულება სავალდებულოა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის” (ოფიციალური დოკუმენტი № 3, გვ. 10). ამავე დროს, 22-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგილობრივ ხელისუფლებას “საქართველოს სსრ-ის მიერ აფხაზეთის სსრ-თან მიმართებაში გამოცემული დადგენილებებისა და ბრძანებულებების შემდგომი დაზუსტების მიზნით დამოუკიდებელი ბრძანებულებების და დადგენილებების ინიცირების და დამტკიცების საშუალებას აძლევდა” (ოფიციალური დოკუმენტი № 3, გვ. 10). აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციის ეს დებულება ადგილობრივ ხელისუფლებას საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილებების და დებულებების წინააღმდეგ წასვლის საშუალებას წარმოადგენდა. აფხაზეთის ასსრ-ის ადგილობრივი ხელისუფლების ზემოთმოყვანილი ძალაუფლების გარდა, აფხაზეთის ერთეულს დამატებითი უფლებები მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციის 28-ე მუხლის ძალით. სახელდობრ, ამ მუხლში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირის, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის და საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციების და კანონების თანახმად, გარკვეული საკითხები ასევე იყო გადაცემული აფხაზეთის სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დაქვემდებარებაში (ოფიციალური დოკუმენტი № 3, გვ. 13).

აფხაზეთის სსრ-ის ყველა ეს უფლება მანიპულაციის საფუძველი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების (ყოფილი ასსრ) და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების (ყოფილი სსრ) მიერ მათი ორაზროვანი და ბუნდოვანი ინტერპრეტაციის გზით. აფხაზეთის სეცესიური ელიტა, რომელიც აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციას ეყრდნობოდა, ამტკიცებდა, რომ ამ კონსტიტუციის უზენაესობა “ხელოვნურად იქნა დამცრობილი” საბჭოთა კავშირის ეთნიკურად ქართველი არქიტექტორების – სტალინის და ორჯონიკიძის – მიერ.

საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუცია. საქართველოს სსრ-ის და აფხაზეთის ასსრ-ის ურთიერთმიმართების და საბჭოთა კავშირისადმი დაქვემდებარების განსხვავებული არგუმენტები მოიძევება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც 1978 წლის 15 აპრილს დაამტკიცა საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მე-9 ყრილობის მე-8 სესიამ. კონსტიტუციის 64-ე მუხლში აღნიშნული იყო: “აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია” (ოფიციალური დოკუმენტი № 5, გვ. 18). კონსტიტუციის მე-3 მუხლი ადგენდა, რომ ზედა მმართველი და აღმასრულებელი სტრუქტურების

მიერ გამოცემული ბრძანებულებები და დადგენილებები სავალდებულო იყო დაქვემდებარებული ერთეულებისადმი (ოფიციალური დოკუმენტი № 5, გვ. 5); აფხაზეთის ასსრ-ის ადგილობრივი საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილებები შესაბამისობაში უნდა მოეყვანათ საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის და აღმასრულებელი ხელისუფლების დადგენილებებთან.

კონსტიტუციით მკაფიოდ იყო განსაზღვრული საზღვრების სტატუსი და მათი ცვლილების წესები. საქართველოს სსრ-ის საზღვრები ვერ შეიცვლებოდა რესპუბლიკის რომელიმე ავტონომიური ერთეულის პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად. 70-ე მუხლი სახელმწიფო საზღვრების ცვლილების ნორმებს ადგენდა, აღნიშნული იყო, რომ “საზღვრები საქართველოს სსრ-ს და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მხოლოდ საქართველოს სსრ-ს და და მეზობელ სახელმწიფოს შეთანხმების შედეგად შეიძლება შეცვლილიყო, რაც საბჭოთა კავშირის აღმასრულებელ სტრუქტურებს უნდა დაემტკიცებინათ” (ოფიციალური დოკუმენტი № 5, გვ. 26). როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ასსრ-ის პრეტენზიები საბჭოთა კონსტიტუციების საფუძველზე საქართველოსგან გამოყოფის თაობაზე არღვევდა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებს და საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას. ამ პრეტენზიებს რაიმე არსებითი იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა. კონსტიტუციის ზემოთხაზოვლილი მუხლების გარდა, 71-ე მუხლი მკაფიოდ აღნიშნავდა, რომ საქართველოს სსრ აერთიანებდა აფხაზეთის ასსრ-ს, აჭარის ასსრ-ს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს (ოფიციალური დოკუმენტი № 5, გვ. 26). აშკარაა, რომ აფხაზეთის სტატუსი განსაზღვრული იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში.

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა და საკონსტიტუციო ვაკუუმი. 1992 წლის 2 იანვარს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შეიარაღებულმა დამხობამ ახალი ძალა შთაბერა საკონსტიტუციო დებატებს. ქვეყნის მართვა სამხედრო საბჭომ გადაიბარა, რომელშიც სამხედრო გადატრიალების ხელმძღვანელები – თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი შევიდნენ. სამხედრო საბჭომ, 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია. სამხედრო საბჭო ამტკიცებდა, რომ გამსახურდიას ხელისუფლება წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციასთან. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც 1992 წლის 2 იანვარს დაემხო, არა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, არამედ 1921 წლის 25 თებერვალს გამოცხადებული საქართველოს სსრ-ის მემკვიდრეს წარმოადგენდა და ის 1922, 1927, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციებს ეფუძნებოდა. სამხედრო საბჭოს მტკიცებით, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის

აქტი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე დაამტკიცა და სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის იურიდიული ძალა, ის [საქართველოს უზენაესი საბჭო] არ მიჰყვა მის მიერვე გაცხადებულ პრინციპებს და 1921 წლის კონსტიტუციის უარყოფით, უარყოფით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეობა. ამგვარად, საქართველოში დამყარდა ავტორიტარული რეჟიმი (ოფიციალური დოკუმენტი 9, გვ. 99). ვინაიდან ამ რეჟიმის პრეზიდენტი დამხობილ იქნა 1991 წლის 22 დეკემბერს, სამხედრო საბჭომ გამოიყენა ეს შესაძლებლობა და აღადგინა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობა; ახალი არჩევნების თარიღიც 1921 წლის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების საფუძველზე განსაზღვრა. სამხედრო საბჭო ხელისუფლებას საქართველოს პარლამენტს გადააბარებდა, რომელიც მომავალ არჩევნებზე იქნებოდა არჩეული (ოფიციალური დოკუმენტი 9, გვ. 100).

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში მომხდარმა პოლიტიკურმა პროცესებმა აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების საპასუხო რეაქცია გამოიწვია. მოწვეულ იქნა ადგილობრივი უზენაესი საბჭოს სპეციალური სხდომა, რომელმაც განიხილა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აფხაზეთის რესპუბლიკად გარდაქმნის და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს სხვადასხვა დადგენილებების გადახედვის საკითხი, რაც, მათი მტკიცებით, საბჭოთა კავშირის დაშლით იყო განპირობებული. სხდომას უძღვებოდა ვლადისლავ არძინბა. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ინიციატივით, აფხაზეთში ჩამოყალიბდა სამხედრო საბჭო, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს ვლადისლავ არძინბა. სამხედრო საბჭო პასუხისმგებელი იყო ადგილობრივი სამხედრო ერთეულების ჩამოყალიბებაზე და კოორდინირებას უწევდა ადგილობრივ გამწვევ პუნქტებს (გაზეთი № 28). შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ადგილობრივი სამხედრო საბჭოს შექმნით რეგიონული სამხედრო ძალების და გასამხედროებული დაჯგუფებების ინსტიტუციონალიზებას ცდილობდა (იხ. ქვეთავი 2.7. *სამხედრო ასპექტები*). თუმცა, პირველ რიგში, აფხაზეთის სამხედრო საბჭო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების ლეგალური საფუძვლების გამონახვას შეეცადა. საქართველოს რესპუბლიკისგან გამოსაყოფად ლეგალური ბრძოლა საკონსტიტუციო კომისიის მეშვეობით წარიმართა, რომელიც აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტმა 1992 წლის 10 აპრილს ჩამოაყალიბა და ავტონომიური ერთეულისთვის ახალი კონსტიტუციის შემუშავება დაევადა (ოფიციალური დოკუმენტი № 50, გვ. 107). კომისიის ხელმძღვანელად აირჩიეს ვლადისლავ არძინბა; კომისიაში 35 წევ-

რი შედიოდა და “აფხაზი ხალხის წარმომადგენლებისგან” იყო დაკომპლექტებული.

1992 წლის 12 ივლისს სოხუმში გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სპეციალური სესია, რომელმაც განიხილა აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მომავალი ურთიერთობების სახელშეკრულებო დოკუმენტის პროექტი. 1992 წლის 23 ივლისს, აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც აჩერებდა 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედებას და ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციის უზენაესობას აღადგენდა (ოფიციალური დოკუმენტი 55, გვ. 126).¹⁸ პარალელურად, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელწოდება აფხაზეთის რესპუბლიკით შეიცვალა, თუმცა, აფხაზეთის ასსრ-ის მეთაური, ვლადისლავ არძინბა, აღნიშნავდა, რომ “ეს გადაწყვეტილება აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას არ ისახავდა მიზნად” და ყურადღებას 1925 წლის კონსტიტუციაზე ამახვილებდა, სადაც აღნიშნული იყო: “აფხაზეთი და საქართველო გაერთიანებულნი არიან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე” (გაზეთი № 63, გვ. 1). ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ დროისათვის აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლება ლეგალური საშუალებებით, სტატუსთა გათანაბრების გზით ცდილობდა აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოცილებას, ხოლო პრეტენზიების განსამტკიცებლად საბჭოთა პერიოდის, პირველ რიგში აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციას ეყრდნობოდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადგილობრივი აფხაზი დეპუტატები პირველ რიგში რესპუბლიკის სტატუსის და სახელის შეცვლას შეეცადნენ. 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო სპეციალური კანონი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის შესახებ. ახალი კანონის თანახმად, აფხაზეთს ოფიციალურად აფხაზეთის რესპუბლიკა ეწოდა (ოფიციალური დოკუმენტი

38, გვ. 128). შემდეგ ამოცანად აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მომავალი ურთიერთობების განსაზღვრა დაისახა. 1992 წლის 23 ივლისს, აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეზოლუციით დამტკიცდა აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის გასაფორმებელი დოკუმენტის პროექტი. დოკუმენტი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს

¹⁸საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ შემოთავაზებული ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ა/რ შორის მიუღებლად მიიჩნია. აღინიშნა, რომ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას არ შეუცვლია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და აფხაზეთის სტატუსი, რაც 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის I მუხლით იყო დადასტურებული (ოფიციალური დოკუმენტი 54, გვ. 129-130).

სპეციალურ კომისიას გადაეცა, რომელსაც საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამომავლო ურთიერთობები უნდა განესაზღვრა (ოფიციალური დოკუმენტი 56, გვ. 129). გარდა ამისა, მიიღეს დადგენილება აფხაზეთის ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის შექმნის შესახებ (ოფიციალური დოკუმენტი 19, გვ. 128-129).

1992 წლის 23 ივლისის დადგენილებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეთაურის მოადგილე, თამაზ ნადარეიშვილი 29 ივლისს გამოეხმაურა და მისი პოლიტიკურ-იურიდიული შეფასება გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1992 წლის 23 ივლისის საპარლამენტო რეზოლუციის მეშვეობით აფხაზეთში სამხედრო გადატრიალება განხორციელდა. აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა აფხაზეთის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი მმართველობის დამყარებას. თუმცა, 1925 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, აფხაზეთი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რადგან მისი სუვერენიტეტი შეზღუდული იყო საქართველოს სსრ-ის, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით. იურიდიული თვალსაზრისით, 1925 წლის კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთი ავტონომიური ნაციონალურ-ტერიტორიული წარმონაქმნი იყო საქართველოს სსრ-ის ფარგლებში. შესაბამისად, 1978 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული აფხაზეთის იურიდიული სტატუსი, 1925 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული სტატუსის იდენტური იყო (ოფიციალური დოკუმენტი 17, გვ. 131-132).

აფხაზეთის არ-ის უზენაესი საბჭოს სპეციალურმა სესიამ გააუქმა აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია; აღინიშნა, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია არ ასახავდა რეგიონის მთელი მოსახლეობის სურვილს, რადგანაც ის აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. დამოუკიდებლობის დეკლარაცია ადგილობრივ უზენაეს საბჭოში მოქმედი კონკრეტული კლანის ინტერესად გამოცხადდა, რომლის მომდევნო ნაბიჯად აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის მიღება იქცეოდა, რაც უმრავლესობაზე უმცირესობის ტირანიას დაამყარებდა. საბოლოოდ, 1992 წლის 23 ივლისს მიღებული ყველა დადგენილება უკანონოდ და გაუქმებულად გამოცხადდა. 1978 წლის კონსტიტუცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ უზენაეს კანონად იქნა აღიარებული (ოფიციალური დოკუმენტი 17, გვ. 132).

1992 წლის 25 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ გამოსცა სპეციალური რეზოლუცია აფხაზეთის არ-ის უზენაესი საბჭოს მიერ აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმების თაობაზე მიღებული დადგენილების შესახებ. რეზოლუციის თანახმად, “საბჭოთა კავშირის დაშლას არ შეუცვლია სა-

ქართველოს რესპუბლიკის საზღვრები, მისი სახელმწიფოებრივი მთლიანობა და წესრიგი, ამგვარად არც აფხაზეთის არ-ის სტატუსი, რასაც ადასტურებდა საქართველოს სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის I მუხლი” (ოფიციალური დოკუმენტი № 53, გვ. 129-130). რეზოლუცია გამოხატავდა აფხაზეთის არ-ის უზენაესი საბჭოს მიერ 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმების გადაწყვეტილებას, რადგან ეს არ შეესაბამებოდა აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციის 162-ე მუხლს. ამ მუხლის თანახმად, დეპუტატების დადგენილი უმრავლესობა იყო აუცილებელი საკონსტიტუციო საკითხების მისაღებად და ეს უმრავლესობა სახეზე არ იყო 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმების დროს.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ეთნიკურად აფხაზი დეპუტატების პრეტენზიების განმამტკიცებელი საფუძვლები ძნელი მოსაძიებელია. აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭო¹⁹ აფხაზეთის არ-ის აფხაზი დეპუტაციის ერთი ნაწილის ინიციატივას გამოეხმაურა. მათი განცხადებით, 1978 წლის კონსტიტუცია, სხვა საბჭოთა კონსტიტუციების მსგავსად, საქართველოს საბჭოთა მმართველობისას მოახვიეს თავს, “ამგვარად, ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციას ეფუძნებოდა, არალეგიტიმურად უნდა მიჩნეულიყო.” მაშასადამე, 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმება ფაქტობრივად ადგილობრივი სტრუქტურის (საბჭოების) ლიკვიდაციას წარმოადგენდა. უფრო მეტიც, 1925 წლის კონსტიტუცია არ შეესაბამებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძვლად მიიჩნეოდა. აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭო მხარს უჭერდა 1921 წლის კონსტიტუციის 117 მუხლს, რომელიც აფხაზეთს (სოხუმის ოლქს) შიდა საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლებას ანიჭებდა (გაზეთი № 6, გვ. 1). 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებას აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს ქართველ დეპუტატთა ფრაქცია “დემოკრატიული აფხაზეთი” გამოეხმაურა. ფრაქციის წარმომადგენელთა განცხადებით, დაუშვებელი იყო აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მოსაზრების გათვალისწინების გარეშე და აფხაზეთის უზენაეს საბჭოს

¹⁹აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭო (აეეს) – ეროვნულ-პოლიტიკური ძალების გაერთიანება აფხაზეთში. შეიქმნა ქ. სოხუმში 1992 წლის 9 მაისს. ეროვნული ერთიანობის საბჭომ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი (თამაზ ნადარეიშვილი, მალხაზ პატარაია, ბორის კაკუბავა, გივი მეშველიანი, გურამ გაბისკირია, ალექსანდრე ჯიქია, მურმან სხულუხია), რომელიც წარმართავდა მიმდინარე საქმიანობას. საბჭოს სხდომებზე იხილებოდა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის საკითხები. ამ ორგანომ, ფაქტიურად, აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. მან დაიწყო პოლიტიკური და სამეურნეო მმართველობის პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის მზადება.

არ გააჩნდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ძირითადი კანონის შეჩერების უფლება (გაზეთი № 17, გვ. 1).

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებამ ფაქტობრივად ღიად დატოვა საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის არ შორის ურთიერთობის საკითხი. შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად 1993 წლის თებერვალში შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომლის შედეგადაც 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია მთელ რიგ შესაძლებლობებს იძლეოდა თბილისსა და სოხუმს შორის ახალი ინსტიტუციური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და შესათანხმებლად. საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის კონსტიტუციაში აღინიშნა:

“საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია უნდა განისაზღვროს 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით და არსებულ საზღვრებში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ურღვევობა, რომელიც აღიარებულია მსოფლიოს **ხალხების/ნაციების** და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, უნდა დადასტურდეს საქართველოს კონსტიტუციით და კანონებით. სახელმწიფო საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოებს შორის დადებული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე (მუხლი 2, პუნქტი 2)” (ოფიციალური დოკუმენტი № 6, გვ. 8).

ამგვარად, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად იქნა განსაზღვრული და მისი საქართველოს შემადგენლობის მიღმა განხილვა გამოირიცხა. იმავე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ “საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფო სტრუქტურა უნდა განისაზღვროს საკონსტიტუციო კანონით ხელისუფლების შეზღუდვის პრინციპის საფუძველზე, მას შემდეგ რაც სრულად მოხდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის გავრცელება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე” (ოფიციალური დოკუმენტი № 6, გვ. 9). ამავე დროს შენარჩუნდა აფხაზეთთან ნებისმიერი სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებების შესაძლებლობა, იქნებოდა ეს ფართო ავტონომია, თუ ქვეყნის ფედერალური მოწყობა. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის ცვლილებების შედეგად, რომელიც 2010 წელს განხორციელდა, აფხაზეთს გარანტირებული აქვს ფართო უფლებები საქართველოს ფარგლებში. აფხაზეთის ავტონომიურ რეგიონს მიენიჭა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. 67-ე მუხლში აღნიშნულია: “... აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით სტრუქტურებს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და არანაკლებ 30.000 ამომრჩეველს უნდა გააჩნდეს საკანონმდებლო ინიციატივის წამოყენების უფლება” (ოფიციალური დოკუმენტი № 6, გვ. 9). ცვლილება ძალაში შევიდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების

შემდეგ. აფხაზეთის პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან; კონსტიტუცია ითვალისწინებს აფხაზეთის ფართო წარმომადგენლობას საქართველოს სახელმწიფოში. მე-4 მუხლში აღნიშნულია: “სათანადო პირობების წარმოქმნის და საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველი სტრუქტურების ჩამოყალიბების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში შეიქმნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი” (ოფიციალური დოკუმენტი № 6, გვ. 15). სენატი დაკომპლექტდება აფხაზეთიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულებიდან არჩეული წევრებით. აფხაზეთის წარმომადგენლობა ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გათვალისწინებული და განმტკიცებულია კონსტიტუციით, რომელიც აფხაზეთის სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში არ განსაზღვრავს, და, ამგვარად, მას მომავალი მოლაპარაკებებისათვის ღია საკითხად ტოვებს.

აფხაზეთის სტატუსის გარშემო წარმართული საკონსტიტუციო დებატების ანალიზი ცხადყოფს, რომ საბჭოთა კონსტიტუციების საფუძველზე ძნელია მოიძებნოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (ყოფილი ასსრ) საქართველოს რესპუბლიკისგან (ყოფილი სსრ) გამოყოფის პრეტენზიების განმამტკიცებელი არგუმენტები. საბჭოთა კონსტიტუციების თანახმად, აფხაზეთი (ასსრ) დაქვემდებარებულია საქართველოს (სსრ). გარდა ამისა, თბილისში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის არსებული ურთიერთმიმართება არ შეცვლილა, რადგან 1921 წლის კონსტიტუცია, რომელიც სამხედრო საბჭომ მისი საქმიანობის იურიდიულ საფუძველად მიიჩნია, აფხაზეთის სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში განსაზღვრავდა და ამავე დროს, აფხაზეთს, მაშინდელ სოხუმის ოლქს, ავტონომიურ სტატუსს ანიჭებდა.

სამწუხაროდ, ცენტრსა და პერიფერიას შორის დაწყებული კონსტიტუციური დებატები და პოლიტიკური დაპირისპირება თანდათანობით ეთნიკური შეფერილობის და წანამძღვრების მქონე მცირე მასშტაბის დაპირისპირებებში გადაიზარდა. სეპარატისტული ტენდენციები და მოძრაობები სწრაფად გავრცელდა და ფეხი მოიკიდა საკანონმდებლო ინსტიტუტებში, კერძოდ [უზენაეს] საბჭოებში. ამ ყოველივემ კი ნიადაგი შექმნა აფხაზეთში სამხედრო შეტაკებების და ეთნოსთაშორისი დაპირისპირების დასაწყებად.

2.1.1. აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოგვარების გეგმების ინსტიტუციური ასპექტები (1990-იანი წლების დასაწყისი და 2000-იანი წლები)

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროექტები 1990-იან წლებში ორივე მხარის მიერ იყო წამოყენებული; თუმცა, რამდენადაც მხარეთა

პროექტები ერთი-მეორეს გამორიცხავდა, ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა და კონფლიქტის ამა თუ იმ ფორმით მოგვარება. სამშვიდობო გეგმების კრახი მეტწილად აფხაზეთის მომავალი სტატუსის და ამ რეგიონის ცენტრალური ხელისუფლებისადმი ინსტიტუციური დაქვემდებარების განსხვავებულმა ხედვამ განაპირობა. თარხან-მოურავი (1998) შენიშნავდა, რომ “ეთნიკური ჯგუფების თანაარსებობის შეუძლებლობა, უფრო წარუმატებელი ინსტიტუციური რეგულირების, და არა [კონფლიქტის] განსაკუთრებული თავისებურებების და გეოპოლიტიკური ფაქტორების შედეგად უნდა მივიჩნიოთ” (ინტერნეტ წყარო № 103, გვ. 76). თუმცა დავძენთ, რომ ამ უკანასკნელთა როლი არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო და შევნიშნავთ, რომ ინსტიტუციურ შეუთანხმებლობაზე სწორედ რომ რეგიონის გეოპოლიტიკური სიტუაცია ახდენდა გავლენას. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა სოხუმი ცენტრის კონტროლქვეშ დაებრუნებინა, თვითმმართველობის ფართო უფლებების და ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მისი ინტერესების ფართოდ წარმოდგენის ხარჯზე. საპირისპიროდ, აფხაზი ხელისუფალნი აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოცილებას ესწრაფოდნენ. არსებითად, ეს იყო კონფლიქტი ორი ერთეულის ვერტიკალური (თბილისის ხედვა) და ჰორიზონტალური (სოხუმის ხედვა) ურთიერთობების ჩამოყალიბების თაობაზე.

აფხაზური პროექტი. 1990-იანი წლების დასაწყისში წამოყენებული კონფლიქტის მოგვარების აფხაზური პროექტი (ტარას შამბას ავტორობით) საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ ხელისუფლებას (მოიხსენიებოდა როგორც საქართველო) და აფხაზეთს (მოიხსენიებოდა როგორც ცალკე რესპუბლიკა) შორის სახელმწიფო ურთიერთობების გადასინჯვას ესწრაფოდა. შამბას პროექტი აფხაზეთის არ-ის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის სხდომაზე დამტკიცდა. თუმცა, დეკლარაციებმა კრიტიკულად შეაფასეს შამბას პროექტი და სამომავლო განხილვისათვის საკუთარი პროექტი წარმოადგინეს. შამბას პროექტი საქართველოს და აფხაზეთს ორ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ წარმოადგენდა და საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტებად სახავდა. მომავალში იარსებებდა ორი დამოუკიდებელი მოქალაქეობა, სოხუმი და თბილისი სპეციალურ დესპანებს გაცვლიდნენ.

ეს პროექტი უარყო საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რადგანაც არღვევდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას; კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული საქართველოს რესპუბლიკისგან აფხაზეთის განუყოფლობა. თუმცა, ამ მოვლენიდან 20 წლის შემდეგ, ხაინდრავა (2011a) აღნიშნავდა, რომ ტარას შამბას პროექტი, *კანონი აფხაზეთის რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ურთიერთობების საფუძვლების შესახებ*, “რამდენიმე ყუ-

რადსადგებ ინიციატივას შეიცავდა, რომელთაც, სამწუხაროდ, იმ პერიოდში, სათანადო ყურადღება არ მიაქციეს” (ინტერნეტ წყარო № 52, გვ. 11). ძნელია შეაფასო ხაინდრავას მიერ ამ განცხადების გაკეთების მიზეზები: ეს არის შამბას პროექტის პოტენციალის რწმენა, თუ ის არსებული სიტუაციით იყო განპირობებული, რომელიც კონფლიქტის რეგიონში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად შეიქმნა.

1990-იანი წლების დასაწყისში უზენაესი საბჭოს აფხაზ დეპუტატთა ერთი ნაწილი აცხადებდა, რომ “აფხაზეთს არ გააჩნია ის მახასიათებლები, რომელიც მას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აქცევდა და, ამგვარად, ის მხოლოდ ავტონომიური ერთეულის სახით შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკაში” (გაზეთი 37, გვ. 2). ეს განცხადება აფხაზეთის (არ) საქართველოს რესპუბლიკისადმი კონსტიტუციურ დაქვემდებარებაზე მიუთითებდა და ადასტურებდა ავტონომიური რეგიონისადმი შეთავაზებულ კონსტიტუციურ გარანტიებს. კიდევ ერთხელ არაორაზროვნად ფიქსირდებოდა, რომ აფხაზეთის (არ) კონსტიტუცია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი უნდა ყოფილიყო და მასში ცვლილებები საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს სტრუქტურაში წარგზავნილ აფხაზ დეპუტატთა 2/3 უმრავლესობის თანხმობით უნდა შეტანილიყო (გაზეთი 37, გვ. 2).

1993 წლის შემოდგომაზე სოხუმის დაცემამ შეცვალა სიტუაცია და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების სიღრმისეული პროექტის შემუშავებისაკენ უბიძგა. თუმცა, სეცესიურად განწყობილი აფხაზური ელიტა უფრო რადიკალურად განეწყო და საქართველოს რესპუბლიკაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის ვერანაირ შესაძლებლობას ვერ ხედავდა.

მოცემული ქვეთავის მიზანია წარმოაჩინოს აფხაზური და ქართული მხარის მიერ მომავალი ინსტიტუციური ურთიერთობების ხედვები და მათ შორის არსებული ძირითადი განსხვავებები. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიანესლავ ჩირიკბას (1999) საკონსტიტუციო პროექტი. პროექტი აფხაზეთის სტატუსს საქართველოსთან საერთო სახელმწიფოს კონტექსტში განსაზღვრავდა. საქართველოს და აფხაზეთს უნდა შეექმნათ პოლიტიკურად თანასწორი რესპუბლიკები საერთო სახელმწიფოს ფარგლებში, რომელიც შიგა სტრუქტურაში კონფედერაციულ პრინციპებს, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობებში და იურიდიული სტატუსის განსაზღვრისას, ფედერალურ პრინციპებს დაეყრდნობოდა (ინტერნეტ წყარო № 21, გვ. 253). ჩირიკბას თანახმად, ეს არსებული ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი იყო, რომელიც მოაგვარებდა წინააღმდეგობას საქართველოს ცენ-

ტრის მიერ ტერიტორიული მთლიანობის და აფხაზების მხრიდან არაიერარქიული სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და მისწრაფებებს შორის. ჩირიკბას (1998) მტკიცებით, 1990-იან წლებში ქართველებს და აფხაზებს შორის კომპრომისის გამონახვის რეალური შესაძლებლობა არსებობდა, რამდენადაც “საქართველოს ოფიციალურად არასდროს არ გაუუქმებია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ... და ... აფხაზებს არასდროს ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ დამოუკიდებლობა საქართველოსგან” (ინტერნეტ წყარო № 22, გვ. 51).

ურთიერთობების ახალი მოდელი პოლიტიკური თანასწორობის, კავშირის შექმნისათვის მზაობის და ჩაურევლობის პრინციპებს ეფუძნებოდა. საერთო სახელმწიფოს ფარგლებში, თითოეული წევრის ურთიერთგააღებულება და პასუხისმგებლობა მკაცრად განისაზღვრებოდა:

1. საერთო სახელმწიფოს ეყობოდა პრეზიდენტი, პარლამენტი და მინისტრთა საბჭო, ექნებოდა დროშა, გერბი, ჰიმნი და სხვა სახელმწიფო სიმბოლიკა;

2. პარლამენტი და მინისტრთა საბჭო – თითოეული მხარის მიერ წარგზავნილი პროპორციული წარმომადგენლებით დაკომპლექტებული;

3. ოფიციალური ენა – ორივე სახელმწიფოს ოფიციალური ენა იქნებოდა ქართული, აფხაზური (და ოსური);

4. საერთაშორისო ხელშეკრულებები საერთო სახელმწიფოს მიერ გაფორმებული და აფხაზეთთან დაკავშირებული, აფხაზეთის ტერიტორიაზე ძალაში შევიდოდა მხოლოდ აფხაზეთის პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ (ინტერნეტ წყარო № 21, გვ. 260).

საერთო სახელმწიფო შეთანხმებულ გადაწყვეტილებას მიიღებდა ომის და მშვიდობის გამოცხადებისას, საზღვრების და საბაჟო კონტროლისას, ფედერალური ბიუჯეტის, მონეტარული პოლიტიკის და მაკროეკონომიკური დაგეგმარების პროცესში. პროექტში აღნიშნული იყო, რომ “საერთო სახელმწიფოს თავდაცვისა და ფედერალურ სახელმწიფოს ნაციონალური შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების სტრუქტურების კოორდინირების საკითხები სპეციალური შეთანხმებით დარეგულირდებოდა” (ინტერნეტ წყარო № 21, გვ. 261). დოკუმენტში მკაფიოდ იყო დაფიქსირებული, რომ ის პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, რომელიც არ შედიოდა საერთო სახელმწიფოს კომპეტენციების ფარგლებში, აფხაზეთის რესპუბლიკის იურისდიქციის ქვეშ ექცეოდა. გარდა ამისა, ორმაგი მოქალაქეობა, ანუ საერთო სახელმწიფოს და აფხაზეთის/აპსნის მოქალაქეობა, ცალკე ვალუტა აფხაზეთში, აფხაზეთის შეიარაღებული ძალები, რომელიც მულტიეთნიკურ საფუძველზე შეიქმნებოდა, ლინგვისტური უფლებები და საერთო სახელმწიფოსთან შეთანხმებული საერთაშორისო წარმომადგენლობა ასევე

იქნებოდა დაფიქსირებული საერთო სახელმწიფოს შექმნის შესახებ გაფორმებულ შეთანხმების ტექსტში (ინტერნეტ წყარო № 21, გვ. 262-264).

პროექტი გარკვეულწილად ორივე მხარისთვის კომპრომისულ ვარიანტს წარმოადგენდა და, ამავე დროს, ორ მხარეს შორის არსებულ ყველაზე სადაო საკითხებს და პირველ რიგში, მათი ტერიტორიების სუვერენიტეტის საკითხს არეგულირებდა. პროექტი მიზნად ისახავდა აფხაზეთის სუვერენიტეტის საკითხის საქართველოსთან საერთო სახელმწიფოში დარეგულირებას და, ამავე დროს, ნაწილობრივ ასახავდა საქართველოს პრეტენზიებს მისი სუვერენიტეტის მთელს ტერიტორიაზე გაგრძელების თაობაზე (ინტერნეტ წყარო № 22, გვ. 51). საერთო ფედერალური ინსტიტუტების მიღმა უზრუნველყოფილი იყო ტერიტორიული ერთეულების სრული სუვერენიტეტი საშინაო საქმეებში, რომელსაც მათი შესაბამისი არჩეული სახელმწიფო სტრუქტურები წარმართავდნენ (ინტერნეტ წყარო № 22, გვ. 52). ამგვარად, ქართული და აფხაზი ეთნიკური ჯგუფებისათვის წარმოიშობოდა დამოუკიდებელი, მაგრამ ამავე დროს გაზიარებული, სუვერენიტეტი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

გიორგი ანჩაბაძე (1998) ამტკიცებს, რომ დროსთან ერთად საქართველოში ფეხს იკიდებდა ქვეყნის ფედერალიზაციის იდეა. თუმცა, თბილისის მიერ ინიცირებული ქვეყნის საშინაო მოწყობის სტრუქტურა მიუღებელი იყო აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, “განსაკუთრებით ის ვერსიები, რომელთა თანახმად აფხაზეთი საქართველოს ავტონომიური ერთეულის სახით უერთდებოდა, მაგრამ სოხუმსა და თბილისს შორის ნარჩუნდებოდა ადმინისტრაციული კავშირები” (ინტერნეტ წყარო № 11, გვ. 73). ანჩაბაძე (1998) ეთანხმება ჩირიკბას საქართველოსა და აფხაზეთს შორის მომავალი ურთიერთობების საკითხზე და აღნიშნავს, რომ ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება მხოლოდ სამოკავშირეო სახელმწიფოს ფარგლებში იყო შესაძლებელი, სადაც საქართველო და აფხაზეთი თანაბარუფლებიანი პარტნიორები იქნებოდნენ (ინტერნეტ წყარო № 11, გვ. 74). ამავე დროს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება შესაძლებლად მიიჩნევა “საქართველოს ფედერაციულ საფუძვლებზე გარდაქმნას, სადაც აფხაზეთი ფართო პოლიტიკური სტატუსით გახდებოდა ფედერაციის სუბიექტი საქართველოს ფარგლებში; მას ექნებოდა საკუთარი კონსტიტუცია (რომელიც ერთიანი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისი იქნებოდა), პარლამენტი, უზენაესი საბჭო, ჰიმნი, გერბი, სახელმწიფო ემბლემა და სხვა ატრიბუტები” (ინტერნეტ წყარო № 103, გვ. 86). ამგვარად, ცენტრალური ხელისუფლება აფხაზეტს სთავაზობდა მაქსიმალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას ფედერალური შეთანხმების ფარგლებში; თუმცა, საბოლოოდ, იმ დროს ფედერაციული პრინციპები მიუღებ-

ლად იქნა მიხნეული, რადგანაც დიდი იყო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ანალოგიური პრეტენზიების წამოყენების შიში.

აღსანიშნავია, რომ ჩირიკბას სამშვიდობო გეგმა მიზნად ისახავდა ასევე საქართველოს სახელმწიფოს სრულ ფედერალიზაციას, სადაც აფხაზეთის მსგავსი სტატუსი უნდა მინიჭებოდა სამხრეთ ოსეთსა და აჭარას. 1990-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში არ არსებობდა თანხმობა ქვეყნის სრული ფედერალიზაციის თაობაზე. გაჩეხილაძე (1998), რომელიც აფხაზეთის საკითხზე 1990-იან წლებში მიმდინარე დებატებში აქტიურად იყო ჩართული, ჩირიკბას პროექტის კომენტირებისას აღნიშნავდა: პროექტი საქართველოს და აფხაზეთს ფედერაციის თანასწორუფლებიან პარტნიორებად წარმოაჩენდა, რაც რეალურად კონფედერაციას წარმოადგენდა და “ის რაც აფხაზეთი მხარის მიერ დათმობად იყო წარმოჩენილი, ფაქტობრივად აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას წარმოადგენდა; ამგვარად, ის მიუღებელი იყო თბილისისათვის და ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის” (ინტერნეტ წყარო № 28, გვ. 65). გაჩეხილაძის მსგავსად, სხვა ქართველი მეცნიერებიც შეაშფოთა ქვეყნის ერთი რეგიონისთვის ფედერალური სტატუსის მინიჭების შესაძლებლობამ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს პრეცედენტი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა რეგიონებს ფედერალური სტატუსის მოთხოვნისკენ უბიძგებდა, რაც უმოკლესი გზა იქნებოდა ქვეყნის დაშლისკენ. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდში გამოირიცხა აფხაზეთისთვის ფედერალური სტატუსის მინიჭების საკითხი.²⁰

თბილისის პროექტი. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტი კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულებას მოჰყვა. პროექტი წამოაყენა აფხაზეთის არ-ის მინისტრთა საბჭომ, რომელიც მუშაობას დევნილობაში, თბილისში, აგრძელებდა. გეგმა 15 დამოუკიდებელ პუნქტს ეფუძნებოდა, რომელიც აფხაზეთის პრობლემის საშინაო და საგარეო საკითხებს მოიცავდა; ქვემოთმოყვანილ ძირითად ასპექტებს ქართულ-აფხაზეთური მომავალი ურთიერთობების თაობაზე გასამართი დიალოგისთვის გარკვეული საფუძველი უნდა შეემზადებინა:

- აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება გაეროს მიერ მიღებულ სხვადასხვა დადგენილებებს უნდა დაფუძნებოდა: დადგენილება 849 (9 ივლისი, 1993) (ოფიცია-

²⁰ საქართველოს ფედერალიზაციის საკითხზე 1990-იან წლებში მიმდინარე დებატებისთვის იხ: იდეები საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის შესახებ // საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი № 4, აპრილი, 1998; საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები (2000), ჟურნალი *Pro et Contra*. ესეების კრებული, თბილისი.

ალური დოკუმენტი № 66, გვ. 154); დადგენილება 854 (6 აგვისტო, 1993) (ოფიციალური დოკუმენტი № 67, გვ. 156); დადგენილება 858 (24 აგვისტო, 1993) (ოფიციალური დოკუმენტი № 68, გვ. 156-157); დადგენილება 876 (19 ოქტომბერი, 1993) (ოფიციალური დოკუმენტი № 69, გვ. 159); შევნიშნავთ, რომ ყველა ამ დადგენილებას ხელი მოაწერა აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ;

- 1993 წლის 27 ივლისის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ცალმხრივ დარღვევაში გუდაუთის დაჯგუფებას ედებოდა ბრალი; მას არ უნდა მიწოდებოდა რაიმე სახის სამხედრო შეიარაღება და აღჭურვილობა;

- აფხაზეთის ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სამხედრო ფორმირებებს;

- ე.წ. აფხაზეთის უზენაეს საბჭოს და სხვა მმართველ სტრუქტურებს თვითღიკვიდაცია უნდა გამოეცხადებინათ და, პოლიტიკური კომპრომისის სახით, აფხაზეთის მინისტრთა საბჭო, რომელიც თბილისში აგრძელებდა საქმიანობას, ასევე გამოაცხადებდა თავს ლიკვიდირებულად; ე.ი. ორივე მხარე გაათავისუფლებდა გზას ცარიელი ფურცლიდან მოლაპარაკებების დასაწყებად;

- გაეროს სამშვიდობო ჯარები უნდა განლაგებულიყო აფხაზეთის ტერიტორიაზე; პარალელურად რეგიონში არსებული ყველა სამხედრო ფორმირება უნდა განიარაღებულიყო;

- აფხაზეთს უნდა დაწესებოდა მკაცრი ეკონომიკური სანქციები, რაც მას გაეროს დადგენილებების შესრულებას აიძულებდა;

- ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტებული ექსპერტთა კომისია განსაზღვრავდა აფხაზეთის მომავალ სტატუსს, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში თვითმმართველობის უფლებების მინიჭებით, რაც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში აისახებოდა;

- მომზადებოდა კანონპროექტი აფხაზეთში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად;

- გაეროს აფხაზეთი კიდევ ერთხელ უნდა ეღიარებინა საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ნაწილად და დაედასტურებინა, რომ ის დროებით იყო ოკუპირებული აფხაზი და ჩრდილო კავკასიელი ექსტრემისტების მიერ;

- კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გასმოდია იმ ფაქტს, რომ აფხაზეთი არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს (გაზეთი 41, გვ. 2).

აღნიშნული პროექტის საფუძველზე შესაძლებელი იყო მომავალი მოლაპარაკებების ნულოვანი წერტილიდან დაწყება, ხოლო ამ პროცესს ზედამხედველობას საერთაშორისო ორგანიზაციები გაუწევდნენ. რეალურად, ეს რუსეთ-საქარ-

თველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გახშირებული თბილისის სამშვიდობო შეთავაზების იდენტურია.

ზემოთმოყვანილი პუნქტების რეალურ განხორციელებას რუსეთის ფედერაციას და საქართველოს რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესრულება განაპირობებდა (გაზეთი № 24, გვ. 2). 2008 წლის აგვისტოს შემდგომი პროცესების მსგავსად, მაშინაც იგრძნობოდა რუსეთის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა. შეთანხმების I მუხლი უზრუნველყოფდა ორმხრივ ჩაურევლობას ერთმანეთის საშინაო საქმეებში; მე-4 მუხლი ორივე მხარეს ავალდებულებდა არ გაწევრიანებულიყვნენ მეორე მხარისთვის საზიანო რაიმე სახის ბლოკსა თუ ალიანსში; 30-ე მუხლი ახალი შეთანხმებების შემუშავების კრიტერიუმებს ადგენდა, რაც ზემოთმოყვანილი შეთანხმების სათანადო შესრულების აუცილებელი წინაპირობა გახდებოდა. მეგობრობისა და თანამშრომლობის შეთანხმება 10 წლის ვადით გაფორმდა (გაზეთი № 24, გვ. 2). ამგვარად, რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული შეთანხმება აფხაზ სეპარატისტებს თბილისთან მოლაპარაკებებისკენ უბიძგებდა და, ამავე დროს, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას რუსეთის მხრიდან აფხაზეთის საკითხზე ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას ჰპირდებოდა. თუმცა, შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ შესრულებულა; არც აფხაზ სეპარატისტებს სურდათ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ახალი სახის ურთიერთობების დამყარება და არც რუსეთი აპირებდა შეთანხმების პუნქტების შესრულებას; შესაბამისად, არც სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მხარდაჭერაზე ამბობდა უარს.

საქართველოს ხელისუფლებისთვის შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავალს აფხაზეთის მომავალი სტატუსის საქართველოს კონსტიტუციაში ასახვა წარმოადგენდა, რასაც რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხზე ხანგრძლივ მოლაპარაკებებში ჩართვა უნდა მოჰყოლოდა. პარადოქსულია, მაგრამ აფხაზეთის სტატუსი საქართველოს კონსტიტუციაში ცალმხრივად ორჯერ აისახა – 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში და 2011 წლის 15 თებერვალს იმავე კონსტიტუციაში ინიცირებული ცვლილებების დროს (იხ. ქვეთავი 2.1. საკონსტიტუციო დებატები). აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 15-წლიან პერიოდში, არ შეცვლილა აფხაზი სეპარატისტების პოზიციები. 2008 წლის აგვისტოს ომმა კი აჩვენა, რომ რუსეთის ფედერაციას ეკუთვნოდა საბოლოო სიტყვა ამ საკითხზე და ოფიციალურად დაადასტურა მისი, როგორც ძირითადი აქტორის, როლი აფხაზეთის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში (იხ. მე-5 თავი).

ბოდენის პროექტი. ჩირიკბას პროექტი მეტ-ნაკლებად ბოდენის გეგმის სახელით ცნობილი დოკუმენტის მსგავსი იყო, რომელიც გაეროს გენერალურმა მდი-

ვნის სპეციალურმა წარმომადგენელმა, დიტერ ბოდენმა შეიმუშავა აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად და რომელიც ოფიციალურად თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციების გამიჯვნის ძირითადი პრინციპების სახელით გახდა ცნობილი. ბოდენის გეგმა 2001 წლის დეკემბერში იქნა ინიცირებული და მიზნად ისახავდა “საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სპეციალური სუვერენული სტატუსის” დამკვიდრებას და კონფლიქტის დარეგულირებას “თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციების გამიჯვნის მეშვეობით, რომელიც, სხვათა შორის, 1994 წლის 4 აპრილის დოკუმენტის – ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ღონისძიებების დეკლარაციის – თანახმად განისაზღვრებოდა (ინტერნეტ წყარო № 60, გვ. 25).

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ბოდენის გეგმის თანახმად, აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოს წარმომადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და ფედერალური შეთანხმებით დადგენილი სპეციალური სტატუსით სარგებლობდა. ფედერალური შეთანხმება, რომელსაც კონსტიტუციური კანონის ფორმა ჰქონდა, ერთობლივი კომპეტენციებს და დელეგირებული ძალაუფლების წილს განსაზღვრავდა, რომელიც აფხაზეთისთვის 1992 წლამდე მინიჭებულ უფლებებს აღემატებოდა. ამ შეთანხმების განსახორციელებლად შეიცვლებოდა როგორც თბილისის, ასევე სოხუმის მიერ 1992-1993 წლების შემდეგ მიღებული კონსტიტუციები და ორივე მათგანში შევიდოდა მსგავსი მუხლები ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, თავისუფლების და ნაციონალური უმცირესობების დაცვის თაობაზე. საქართველოს სახელმწიფო და აფხაზეთი უნდა შეთანხმებულიყვნენ საკონსტიტუციური სასამართლოს შემადგენლობაზე და პროცედურებზე.²¹

ოლივერ უოლფის (2006) აზრით, “ბოდენის დოკუმენტი წარმომადგენდა ტერიტორიული მთლიანობის და ნაციონალური თვითგამორკვევის ურთიერთდაპირისპირებული პრინციპების დაბალანსების მცდელობას, რომელსაც მოლაპარაკებების პროცესის დაწყებისათვის გარკვეული საფუძველი უნდა შეექმნა” (გვ. 19). თუმცა, აღნიშნული პროექტი თბილისისა და სოხუმის პოზიციების რადიკალური განსხვავებულობის, მეტწილად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და აფხაზეთის სუვერენიტეტის ბუნდოვანი განსაზღვრისა და ფორმულირების გამო, ვერ განხორციელდა. ანჩაბადის (2011) მტკიცებით, ის არ წარმომადგენდა კონსტიტუციურ კონცეფციას, რომელიც კონფლიქტის მოგვარების რეცეპტს გვთავაზობდა. ეს დოკუმენტი უბრალოდ იმ პრინციპებს განსაზღვრავდა, რომელსაც მოლაპარაკებების გზით მიღწეული შეთანხმება უნდა დაფუძნებოდა (ინტერნეტ წყარო № 10, გვ. 9).

²¹წყარო: ეოჯა: “ ოუნ ჩ ომ პეჟნცეს აპერ” პაპერ პრუპარულ ბე მ ბასსადორ თეფრ ოუნ, შპეკალ ლეპრუსენტრფეე ოფტე შეტრუტრუ ენერლნ ეოჯა, 27 ოემ ბერ2001.

შტაინმაიერის პროექტი (2008 წლის ივლისი). ანალოგიურად, არ ეწერა რეალიზაცია ფრანც ვალტერ შტაინმაიერის გეგმას, სახელწოდებით *საქართველო/აფხაზეთი: კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ელემენტები*, რომელიც სამ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო: 1. მხარეებს შორის ნდობის მშენებლობით, მათ შორის ძალის გამოუყენებლობაზე შეთანხმების ხელმოწერით და ქართველი ლტოლვილების დაბრუნებით; 2. აფხაზეთის რეკონსტრუქციით, რომელსაც დონორი ქვეყნები დააფინანსებდნენ და 3. აფხაზეთის სპეციალური სტატუსის განსაზღვრით (ინტერნეტ წყარო № 10, გვ. 10).

1990-იანი და 2000-იანი წლების დასაწყისის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმების პერსპექტივების და კრახის მიზეზების ანალიზისას ძნელია არ დავეთანხმოთ კოპიტერსს (1998), რომელიც 1990-იანი წლების შუა ხანებში აცხადებდა, რომ “იმ პერიოდის ქართული და აფხაზეთი სამშვიდობო გეგმების და ამ კონფლიქტის ფედერალური და კონფედერალური ინსტიტუციური მოგვარების მთავარ პრობლემას მხარეთა ინფორმაციის ნაკლებობა წარმოადგენდა, რამდენადაც ისინი არ იცნობდნენ ერთი-მეორის ზოგად სამოქმედო სტრატეგიას” (ინტერნეტ წყარო № 24, გვ. 8). კოპიტერსს მიაჩნდა, რომ არ არსებობდა “ერთიანი საზოგადოებრივი აზრი საერთო სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, რომელზეც ქართული და აფხაზეთი ხელისუფლება მხოლოდ ზოგადად თანხმდებოდა” (გვ. 8).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ძირითადი უთანხმოების საგანს სოხუმსა და თბილისს შორის ახალი ინსტიტუციური კავშირების წარმოქმნის საკითხი წარმოადგენდა. აფხაზეთის საბჭოთა პერიოდის მსგავსი ვერტიკალური დაქვემდებარება თბილისისადმი, თვით გარანტირებული ფართო ავტონომიის ფარგლებში, მიუღებელი იყო აფხაზი ელიტისათვის, მაშინ როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადასინჯვა და აფხაზეთისთვის რაიმე ტიპის სტატუსის მინიჭება, რომელიც მას საქართველოს რესპუბლიკის მიღმა დააყენებდა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის იყო დაუშვებელი. რაც შეეხება შტაინმაიერის პროექტს, ის იმთავითვე უარყო ოფიციალურმა სოხუმმა, ხოლო 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი გაჩაღდა.

პერსონალური ფედერალიზმის მოდელი. თბილისსა და სოხუმს შორის მომავალი ურთიერთობების ჩამოყალიბების ამ ორი უკიდურესი პროექტის შუალედურ ვარიანტად გვესახება *პერსონალური ფედერალიზმის* იდეა, რომელიც მარტენ თეო ჯანსმა ჩამოაყალიბა. ავტორი ამტკიცებს, რომ პიროვნული გადაწყვეტა შეიძლება მოსახერხებელი გამოსავალი იყოს ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებში წამოჭრილი ურთიერთდაპირისპირებული ტერიტორიული პრეტენზიების განსამუხტავად. ამ იდეამ შეიძლება დადებითი როლი შეასრულოს ქართულ-აფ-

ხაზური კონფლიქტის ინსტიტუციურ მოგვარებაში. ჯანსის მოდელის მიხედვით ინსტიტუციური სტრუქტურა გააერთიანებს:

- აფხაზური ერთობის ხელისუფლებას, რომლის დაქვემდებარებაში მოექცევა ეთნიკურად სენსიტიური საკითხები და მოიცავს ა) აფხაზებს, ძირითადად აფხაზებით დასახლებულ ტერიტორიებზე; ბ) აფხაზებს, შერეულ, ან ძირითადად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე;

- ქართული ერთობის ხელისუფლებას, რომლის დაქვემდებარებაში მოექცევა ეთნიკურად სენსიტიური საკითხები და მოიცავს ა) ქართველებს, ძირითადად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე; ბ) ქართველებს, შერეულ, ან ძირითადად აფხაზებით დასახლებულ ტერიტორიებზე;

- ტერიტორიულ ხელისუფლებას, რომელიც მთლიანად მოიცავს აფხაზეთის რეგიონს და რომლის უფლებამოსილება გავრცელდება: ა) მთელი რეგიონისთვის მნიშვნელოვან ზოგად საკითხებზე; ბ) ტერიტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, გარემოს საკითხები და ა.შ.) ეთნიკურად შერეულ რეგიონებში. აფხაზეთის ტერიტორიული ხელისუფლება უნდა დაკომპლექტდეს ქართული და აფხაზური საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, თანასწორობის პრინციპის დაცვით, ან ორმხრივი ვეტოს მინიჭების საფუძველზე;

- საქართველოს კონსტიტუციაში უნდა შევიდეს სპეციალური ცვლილება, რომლის თანახმად ყველა სახის ფედერალური პოლიტიკური ქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება აფხაზეთის ავტონომიურ რეგიონთან, აფხაზეთის რეგიონული ხელისუფლების წინასწარ თანხმობას მოითხოვს (სადაც, ქართველებიც და აფხაზებიც, თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი) (ჯანს, 2000, გვ. 226-227).

ჯანსის (2000) მტკიცებით, ეს განსაკუთრებული მიდგომა თავიდან აგვაცილებს აფხაზების კვლავ პოლიტიკურ უმცირესობად გადაქცევის საფრთხეს. ამავე დროს, თბილისის გადაწყვეტილებას ადგილზე გადახედავდნენ აფხაზები. მეორეს მხრივ, “საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იქნება დადასტურებული და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში ჩარევის უფლება მიეცემა, როგორც ქართული, ასევე აფხაზური ერთობების ხელისუფლებების წინასწარი თანხმობის შემდეგ” (გვ. 227). პროექტის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს – სომხები და რუსები – ასევე მიეცემათ მათი ერთობის ხელისუფლების შექმნის უფლება, ან ისინი რომელიმე ზემოთნახსენებ ერთობაში ჩაერთვებიან.

შეიძლება ითქვას, რომ ჯანსის გეგმა საერთო სახელმწიფო უნიკალურ შეთავაზებას წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს ის საქართველოსთვის ძალზედ საშიში პრეცედენტი იქნებოდა მისი მრავალეთნიკური ბუნებიდან გამომდინარე.

ამგვარად, თბილისის გეგმა მომავალი სტატუსის თაობაზე მიუღებელი იყო აფხაზეთისთვის, ხოლო სოსუმის გეგმა – თბილისისათვის. ხაინდრავა (2011ა) მართებულად შენიშნავს, რომ “თავ-თავიანთი ნაციონალური პროექტების განხორციელების სურვილით შეპყრობილთ, არც ერთ მხარეს არ სურდა მეორის გაგება და ისინი არც ურთიერთგაგების მიღწევის ნებას ამჟღავნებდნენ” (ინტერნეტ წყარო № 53, გვ. 10).

კავკასიის სტაბილურობის პაკტი. წინა ორი სამშვიდობო პროექტის ანალოგიურ ხედვას ეფუძნებოდა კავკასიის სტაბილურობის პაკტი, რომელიც 2002 წლის მაისში იქნა წამოყენებული. პროექტის თანახმად, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ფედერალურ პრინციპებზე მოგვარდებოდა და ისინი ‘ერთიან სახელმწიფოს’ შექმნიდნენ საქართველოსთან და აზერბაიჯანთან. დამატებით შეიქმნებოდა სამხრეთ კავკასიის ერთიანობის რეგიონული ორგანიზაცია, რომელშიც ასევე ჩაერთვებოდნენ ავტონომიური ერთეულები – აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი, რომელთაც შეიძლება აჭარაც და ნახჭევანიც მიმატებოდათ, შესაბამის სახელმწიფოებთან ასიმეტრიული ურთიერთობით (მ ერძინ, 2003, გვ. 1). ახალი ერთობის მმართველ სტრუქტურას კონფედერაციის სახე ექნებოდა, ხოლო კავკასიური სახელმწიფოების ფედერაციულ სტრუქტურებს მარტივი ფორმა ექნებოდათ (მ ერძინ, 2003, გვ. 3). ამგვარად, ‘საერთო სახელმწიფოს’ იდეა ფედერალურ და კონფედერალურ მოდელებს შორის შუალედური არჩევანის სახით იქნა შემოთავაზებული. (ზოგადად პოსტსაბჭოთა კავკასიის, და კონკრეტულად საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების პან-კავკასიური გეგმები განხილულია: მე-3 თავი. აფხაზეთის კონფლიქტი მთიელ ხალხთა კონფედერაციის²² და კავკასიური სახლის იდეის ჭრილში).

ამგვარად, ორივე მხარის მიერ სხვადასხვა დროს ინიცირებულმა საკონსტიტუციო თუ სამშვიდობო პროექტებმა, რომლებიც კონფლიქტურ ერთეულებს შორის ურთიერთობის კონსტიტუციურ მოწესრიგება-დარეგულირებას ესწრაფოდა, არც ომის თავიდან აცილებას შეუწყო ხელი და არც იმ საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობის გადალახვას, რომელიც ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირებას განაპირობებდა. მთლიანობაში, ეს რეალობა განპირობებული იყო საბჭოთა ინსტიტუციური ჩარჩოების ომის გზით დატოვების შემდეგ, ახალი ინსტიტუციური ურთიერთობების ჩამოყალიბების სიძნელეებით. თუმცა, არა მხოლოდ ინსტიტუტები,

²² იხ. ავტორის სტატია: მაცაბერძე, დ. (2012). მთიელ ხალხთა კონფედერაცია და კონფლიქტი აფხაზეთის ირგვლივ, სპეციალური გამოცემა: კავკასია & გლობალიზაცია, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ჟურნალი, ჩ & ჩ ჩ გამოცემლობა, შვედეთი, კრებული 6, №2, 2012 (ინგლისურ და რუსულ ენებზე, ბეჭდური და ონლაინ <http://www.vniia.ru/ru/2012/zhurnaleng/c-g-2/04.s3q.pdf> ლერსიები).

არამედ პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკაც იმ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისსა და სოხუმს შორის ახალი ინსტიტუციური ურთიერთობების ფორმირებას განსაზღვრავდა და მეტწილად, აფერხებდა კიდევ.

2.2. განათლების საკითხები

უმაღლესი განათლების დაწესებულებების ირგვლივ წარმოქმნილი უთანხმოებები 1980-იანი წლების მიწურულს ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ხაზს წარმოადგენდა.²³ განათლების უფლებები და მშობლიურ ენაზე საგანმანათლებლო ინსტიტუტების ფლობის საკითხი გაცხოველებულად განიხილებოდა აფხაზეთში ქართული და აფხაზური ეთნიკური ჯგუფის მობილიზაციის პროცესში 1980-1990-იან წლებში. 1980-იანი წლების მიწურულს სოხუმის უნივერსიტეტის ქართულ და აფხაზურ სექტორებს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. ქართველ პროფესორთა ერთმა ნაწილმა სოხუმის უნივერსიტეტისაგან გამოყოფა მოითხოვა, რითაც ეთნიკური ქართველი და ეთნიკური აფხაზი პროფესორების დაპირისპირება თავიდან იქნებოდა აცილებული. რეალურად, სწორედ გამოყოფაზე წამოყენებულ პრეტენზიას მოჰყვა პირველი სისხლიანი ინციდენტი აფხაზეთში. ნათელა აკაბა, აფხაზ ქალთა ასოციაციის საბჭოს დირექტორი, ლექტორი და 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზთა ეროვნული მოძრაობის წევრი, სოხუმში აფხაზურ ენაზე მოქმედი უნივერსიტეტის არსებობის ფაქტს დადებითად არ აფასებს და აცხადებს, რომ ეს არ წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სხვა, უმცირესობაში მყოფი ეთნიკური ჯგუფების, პრივილეგიას. მისი განცხადებით,

“მოსკოვს უნდა გაეთვალისწინებინა და გადაეჭრა აფხაზური ენის განვითარებისა და დაცვის, ნაციონალური ტელევიზიის დაფუძნების და აფხაზთა სხვა მსგავსი მოთხოვნები; თუმცა, მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა აფხაზებისთვის გადაეფიქრებინა ზოგიერთი რადიკალური მოთხოვნა, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს სსრ-იდან გამოყოფას და 1931 წლამდე არსებული აფხაზეთის სტატუსის აღდგენას მოიცავდა” (ინტერნეტ წყარო № 6, გვ. 6).

²³კორნელი (2002) ამტკიცებს, რომ განათლების სისტემა ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებისა და წახალისების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი აზრით, საბჭოთა ხელისუფლება რეალურად წარმოქმნიდა იმ ინსტიტუტებს, რომლებიც სტუდენტებს შორის საერთო და, ამავე დროს, განცალკევებული იდენტობის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ეს იდენტობა კიდევ უფრო განმტკიცდებოდა საკლასო ოთახებში, “სადაც სატიტულო სტუდენტებს იმ წინაპრების კულტურას და ისტორიას ასწავლიდნენ, რომელთაც თანამედროვე ეთნიკურ ჯგუფთან პირდაპირი გენეტიკური კავშირი ჰქონდათ” (გვ. 254).

1989 წლის 2 ნოემბერს დამტკიცებული საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს № 515 დადგენილება ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გამამწვავებელ ერთ-ერთ ფაქტორად გადაიქცა. სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა აფხაზეთის ა.მ. გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სოხუმის ფილიალის გაერთიანების შესახებ მიღებულმა დადგენილებამ, რომელიც შესაბამის უნივერსიტეტებს ავალდებულებდა ერთობლივი მოქმედებებით გაერთიანების პროცესის 1990-1991 სასწავლო წლის ბოლოსთვის დასრულებას (ოფიციალური დოკუმენტი № 14, გვ. 13-14). მაქსიმ გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო განვითარებული მოვლენებმა მნიშვნელოვნად განაპირობა რეგიონში ეთნოსთაშორისი დაპირისპირებების გამწვავება. აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს განცხადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის არსებობა სოხუმში მნიშვნელოვნად აბრკოლებდა აკადემიური სასწავლო წლის ნორმალურ დასრულებას. ის ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა და ავტონომიურ რესპუბლიკაში ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გამწვავებას უწყობდა ხელს.

ქართველების და აფხაზების საგანმანათლებლო უფლებებისთვის დაპირისპირება 1989 წლის გაზაფხულზე დაიწყო. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 მაისის № 343გ დადგენილების ძალით, ქართველ პროფესორთა მოთხოვნის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი გაიხსნა სოხუმში (ოფიციალური დოკუმენტი № 12, გვ. 5). აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მსწრაფლ გამოეხმაურა ამ გადაწყვეტილებას და იმავე წლის 15 ივლისს სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ სოხუმში თსუ-ს ფილიალის გახსნა ამწვავებდა ეთნოსთაშორისი ურთიერთობებს და მოსახლეობის პროტესტს იწვევდა. აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა საბჭომ და საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს კომისიამ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ სცნო, იმ მოტივით, რომ აფხაზეთის ასსრ-ის წამყვან სტრუქტურებთან არ იყო შეთანხმებული და წინააღმდეგობაში მოდიოდა აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციასთან (ოფიციალური დოკუმენტი № 46, გვ. 6). აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა საბჭომ არ დაამტკიცა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე თსუ-ს ფილიალის შექმნის დადგენილება და დაგმო ეს ნაბიჯი როგორც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა ერთი ნაწილის სეპარატისტული ტენდენცია.

დასკვნით განცხადებაში, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო მოუწოდებდა:

1. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მოეთხოვა საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოსთვის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლის, ოკვილითაიას მიერ 1989 წლის 14 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ გამოცემული № 343 დადგენილების გაუქმება;

2. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სექტორის ბაზაზე თსუ-ს ფილიალის შექმნის შესახებ დადგენილების უარყოფისკენ;

3. თსუ-ს რექტორს, ნოდარ ამალლობელს, 1989 წლის 7 ივნისის №101 დადგენილების გაუქმებისაკენ, რომლის ძალითაც მისადები გამოცდები თსუ-ს სოხუმის ფილიალში 1989 წლის 20 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო (ოფიციალური დოკუმენტი № 15, გვ. 5-6).

1989 წლის 26 ივნისს საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი სიტუაცია განიხილა. მაქსიმ გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან ქართული სექტორის გამოყოფა შეუძლებლად იქნა მიჩნეული, რადგანც ეს სტუდენტთა ინტერნაციონალური განათლების და სწავლების პრინციპებს დაარღვევდა. ამგვარად ორი სექტორის გამიჯვნა დროებით ზომად ჩაითვადა. ხაზგასმით აღინიშნა ერთიანობის აღდგენის აუცილებლობა მომავალი ურთიერთობების მშვიდობიანი განვითარებისათვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტის გახლეჩა ხელს არ უწყობდა ეთნოსთაშორისი ურთიერთობების განმტკიცებას. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს უნდა მიეღო. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის “ლენინური პრინციპიდან” გადახრას წარმოადგენდა. ეს ყოველივე კი სახელმწიფო დონეზე ნაციონალურ დაძაბულობებს და ხალხთა შორის დაპირისპირებას იწვევდა, რაც საბჭოთა ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის და განახლების სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა (ოფიციალური დოკუმენტი № 15, გვ. 5-7).

გამწვავებული სიტუაციის ფონზე ცენტრი – მოსკოვი – „ეთნოსთაშორისი ძმობისა და ერთობის” პოლიტიკის შენარჩუნებას შეეცადა. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 17 ივლისს გამოსცა სპეციალური დადგენილება, რომელიც წამოჭრილი პრობლემის მოწესრიგებას ესწრაფოდა და მხარეებს (აფხაზეთის ასსრ-ის ყველა ეროვნების მოქალაქეებს) პრობლემის მშვიდობიანი ხერხებით, ინტერნაციონალიზმის და საბჭოთა ხალხის ძმობის პრინცი-

პების შესაბამისობაში მოგვარებისკენ მოუწოდებდა (ოფიციალური დოკუმენტი № 62, გვ. 7). აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს 1989 წლის 17 ივლისის დადგენილების გამოცემა იმავე წლის 15-16 ივლისის მოვლენებმა განაპირობა, როდესაც ეთნოსთაშორის დაპირისპირებებს რეგიონში 14 კაცი ემსხვერპლა, ხოლო 137 კაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი (გაზეთი № 72). ამგვარად, აკადემიური წრეები ჩაერთვნენ კონფლიქტისაკენ მიმავალ პროცესებში და პირველი მსხვერპლი სწორედ მათ შორის იყო. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება დაგვიანებული აღმოჩნდა და მან ვერ გაანეიტრალა ქართველებსა და აფხაზებს შორის გამძაფრებული ეთნოსთაშორისი პრეტენზიები. მეორეს მხრივ, მიმდინარე მოვლენების შესახებ ცენტრს (მოსკოვი) სერიოზული ნაბიჯები არ გადაუდგამს, თვით „ძმობისა და ერთიანობის“ რიტორიკის მხრივაც კი.

1989 წლის ივლისის მოვლენებს გამოსხაურება მოჰყვა *გაზეთ პრავდაში*, სადაც ხაზგასმული იყო “აფხაზეთში კომენდანტის საათის შემოდების აუცილებლობა” (გაზეთი № 4, გვ. 3). თუმცა, იური შატალინი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სპეციალური დანაყოფის ხელმძღვანელი, აღნიშნავდა, რომ არ არსებობდა აფხაზეთის ასსრ-ში საგანგებო ზომების გატარების აუცილებლობა. სავარაუდოდ, მიზანმიმართულად არ თქმულა უარი სპეციალური ზომების გატარებაზე; უფრო სარწმუნოა ის ვარაუდი, რომ ჯერ კიდევ იმ დროს წარმოდგენელი იყო ეთნოსთაშორისი პრეტენზიების წარმოშობის შესაძლო პოტენციური [ნეგატიური] შედეგები. თუმცა, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პოსტსაბჭოთა რეალობის კონტურები ეთნოსთაშორის მომავალ ურთიერთობებს ნაკლებად მშვიდობიან სამომავლო სცენარს წინასწარმეტყველებდა.

დროსთან ერთად, ინცინდენტის მონაწილე ყველა მხარემ უფრო სიღრმისეულად გაიაზრა განვითარებული პროცესები. უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებული მოვლენების მეორე წლისთავზე, 1991 წლის 12 ივლისს, ადგილობრივმა გაზეთმა *აფხაზეთის ხმა* გამოაქვეყნა მიმართვა აფხაზი ხალხისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ “1989 წლის 2 დღიანი მოვლენები ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში დარჩება როგორც სისხლიანი ინცინდენტი, რაც გონზე სიძულვილისა და ქიშპის გამარჯვებას ასახავდა და რომელსაც შედეგად უაზრო სისხლისღვრა მოჰყვა” (გაზეთი № 10). წარსული მოვლენები გაფრთხილება უნდა ყოფილიყო აღმოცენების პროცესში მყოფი ექსტრემიზმის, შოვინიზმისა და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზეთის ასსრ-ის ყველა მცხოვრებისათვის, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, თანაბარ მტერს წარმო-

ადგენდა. მიმართვაში გამოთქმული იყო იმედი, რომ დაძაბულობა განიშუხტებოდა და რეგიონში კვლავ მშვიდობა და ნდობა დაისადგურებდა (გაზეთი № 10).

უნივერსიტეტის გარშემო წარმოშობილი დაპირისპირებების გარდა, საქართველოს სსრ-ის განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული სხვადასხვა დადგენილებები და ბრძანებები ასევე მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზეთის არ ეთნიკურად აფხაზი მმართველი წრეებისთვის. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ 1991 წლის 31 ივლისს გამოცემული № 342 დადგენილების თანახმად, ავტონომიური რეგიონების სახალხო განათლების სამინისტროებს და არაქართულენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებს არაქართულ სკოლებში ეთნიკური ქართველი მოსწავლეების ჩარიცხვა აკრძალავდა (ოფიციალური დოკუმენტი 11, გვ. 79). ამ დადგენილებამ აფხაზების სერიოზული პროტესტი გამოიწვია. მათი მტკიცებით, ვინაიდან ეთნოსთაშორისი შერეული ქორწინებების რიცხვი მაღალი იყო, ბავშვები ყოველთვის არ საუბრობდნენ მათი ეთნიკური წარმომავლობის ენაზე, ობიექტური მიზეზების გამო, არაქართული ენა მათი მშობლიური ენა ხდებოდა. ასეთ შემთხვევებში, ამ ბავშვების ჩარიცხვა ქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ განათლების მისაღებად სასურველი ენის არჩევის შესაძლებლობას შეუზღუდავდა. აფხაზეთის ასსრ-მა აკრძალა ამ დადგენილების განხორციელება აფხაზეთის ტერიტორიაზე და სპეციალური პროგრამის შემუშავებისათვის მზაობა გამოაცხადა, რომელიც დაწყებამდე და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნაციონალური ენების სწავლებას უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფდა (ოფიციალური დოკუმენტი 48, გვ. 84). უნდა აღინიშნოს, რომ ეს დადგენილება სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს (არაქართველებს) არ უკრძალავდა დაწყებითი განათლების მისაღებად სასურველი ენის არჩევას და არაქართველებს ქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათი შვილების წაყვანას არ ავალდებულებდა.

აღსანიშნავია, რომ 1980-იანი-1990-იანი წლების დასაწყისის აფხაზეთში ლინგვისტურ დაპირისპირებას საფუძვლები საბჭოთა პერიოდის რუსიფიკაციის პოლიტიკაში ეძებნება. 1958 წლის საგანმანათლებლო რეფორმამ საბჭოთა რეჟიმში სრული რუსიფიკაციის გზაზე დააყენა. 1958 წლის შემდეგ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რეგიონებში შემცირდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა და ჩამოყალიბდა ახალი ტიპის სკოლა – არარუსული სკოლა, რუსულენოვანი ინსტრუქციით, სადაც მშობლიური ენა და ლიტერატურა მხოლოდ ერთ-ერთ საგნად ისწავლებოდა. ამგვარად, არარუს მშობლებს ოფიციალურად მიეცათ რუსულენოვან სკოლებში მათი შვილების გაგზავნის შესაძლებლობა. როგორც კრეინდლერი ამტკიცებდა, მხოლოდ 1953 წლის შემდეგ “დაიკავა

რუსულმა ცენტრალური ადგილი, რადგანაც ოფიციალური ძალისხმევა მისი როლის, როგორც ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის – ენის წარმოჩენისკენ იყო მიმართული” (დამოწმ. **ლსტინ**, 2001, გვ. 267).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, განათლების სფეროში, იქნება ეს დაწყებითი, თუ უმაღლესი, შეუძლებელია მოიძებნოს რაიმე არგუმენტი, რომელიც განამტკიცებს აფხაზების, როგორც ეთნიკური უმცირესობის შევიწროების მოსაზრებას; ისიც ცხადია, რომ აფხაზეთის ასსრ-ში რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობა აფხაზურ ელიტას ადგილობრივი ინტელექტუალების საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების საშუალებას აძლევდა. განათლების სისტემა და უფლებები, ლინგვისტურ უფლებებთან ერთად, უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ინტერ-ეთნიკური ურთიერთობის ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს და სწორედ ამ ასპექტების გააქტიურებით დაიწყო კონფლიქტის ლატენტური ფაზა აფხაზეთში, რომელიც საბოლოოდ სისხლიანი შეტაკებებით და ფართომასშტაბიანი ომით დამთავრდა.

2.3. ლინგვისტური უფლებები

1989 წლის იანვარში, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, გორბაჩოვი მცირე ხალხების, მათი კულტურის, ტრადიციების და ისტორიის დაცვის მოწოდებით გამოვიდა, რამაც საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალურ გამოცოცხლებას მისცა ბიძგი. ამ გამოსვლის შემდეგ ლინგვისტური უფლებები აფხაზეთში კამათის, ხოლო ენისა და კულტურის დაცვა – ნაციონალური გამოცოცხლების საგნად გადაიქცა. 1980-იანი წლების დასასრულს აფხაზეთში კონფრონტაციის დაწყებაში განათლების საკითხის როლის გამიჯვნა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ლინგვისტური ასპექტებისგან საკმოდ რთულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში რუსიფიკაციის პროცესი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე საქართველების. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში კულტურულ პროცესები რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. გაჩეჩილაძე (1998) შენიშნავს, რომ რუსიფიკაცია “გავლენას ახდენდა აფხაზთა, და ადგილობრივ ქართველთა უმეტეს ნაწილზე: ქართველთა ბავშვების რაოდენობა, რომლებიც რუსულ სკოლებში სწავლობდნენ 3.5-ჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე დანარჩენ საქართველოში, სადაც ქართველ ბავშვთა უმეტესი ნაწილი მათ მშობლიურ ენაზე ღებულობდა განათლებას. აფხაზეთში რუსული *lingua franca* როლს ასრულებდა და, პრაქტიკულად, ქართულ ენას პრიორიტეტი არ ენიჭებოდა” (ინტერნეტ წყარო № 28, გვ. 61).

ამ კონტექსტში მართებულია ტარას კუზოს (2002) შენიშვნა: “ენა და კულტურა იმპერიული ტრანზიციის ცენტრალურ საკითხებს წარმოადგენენ” (გვ. 248). აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში კი, ზემოთმოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რეგიონში ლინგვისტური დაპირისპირებისთვის რაიმე საფუძვლები არსებობდა, ეს რუსებსა და აფხაზებს შორის უფრო უნდა მომხდარიყო, ვიდრე ქართველებსა და აფხაზებს შორის.

1980-იანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დასაწყისში დაწყებული ლინგვისტური დაპირისპირება აფხაზური და ქართული ენების მომავალი განვითარების სახელმწიფო პროგრამების ირგვლივ კრისტალიზდა. ეს პროგრამები ურთიერთდაპირისპირებულ ხედვებს წარმოადგენდნენ და თითქმის მთლიანად გამორიცხავდნენ ერთი-მეორეს. 1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ-ის უზენაესმა და მინისტრთა საბჭოებმა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ სპეციალური დადგენილება მიიღეს, რომელმაც დაამტკიცა ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- ყველა პარტიულ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-კულტურულ და საჯარო დაწესებულებაში დაფიქსირებულიყო ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი;
- გაკონტროლებულიყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირება;
- იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას, შექმნილიყო ხელსაყრელი პირობები ქართული ენის სწავლებისათვის და სწავლისათვის;
- დაწყებით და უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში დაწესებულიყო ქართული ენის სწავლების ნორმები;
- შემოდებულიყო რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სტანდარტები, სადაც რუსულენოვანი კინოები და სატელევიზიო პროგრამები გადაიცემოდა ქართულენოვანი სუბტიტრებით;
- დადგენილიყო საგამომცემლო სტანდარტები (მათ შორის რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული, აფხაზურ-ქართული, ქართულ-აფხაზური, ოსურ-ქართული, ქართულ-ოსური, სომხურ-ქართული, ქართულ-სომხური, აზერბაიჯანულ-ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონების და სასაუბროების გამოცემებისათვის). (ოფიციალური დოკუმენტი № 28, გვ. 8).

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა არ ზღუდავდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტურ უფლებებს. პირი-

ქით, ქართული ენის განვითარების პარალელურად ის მხარს იჭერდა უმცირესობების ენებსაც. ამგვარად, ქართული ენის განვითარებაზე ზრუნვა არ აწესებდა რაიმე შეზღუდვებს აფხაზური ენის ფუნქციონირებისათვის. არჩევნების წინ, ქართული პარტიების ერთმა ნაწილმა, მათ შორის აფხაზეთის ა(სს)რ-ის ადგილობრივი ქართველი დეპუტაციის ერთმა წევრმა “საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისთვის მტკიცე კონსტიტუციური გარანტიები მოითხოვა, მათ შორის აფხაზეთში აფხაზური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება” (ქრეს, 1992 ბ, გვ. 82).

აფხაზები მალევე გამოეპასუხნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ახალ დადგენილებას და 1989 წლის 10 ოქტომბერს მიიღეს საპასუხო რეზოლუცია *აფხაზური ენის სახელმწიფო განვითარების შესახებ*. რეზოლუციას თან დაურთეს აფხაზური ენის განვითარების პროგრამა, რომელიც აფხაზეთის ასსრ-ში აფხაზურ ენას სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებდა, ახალისებდა მის ფართო გამოყენებას დაწვებითი განათლების სტრუქტურებში და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის 2 წლიანი პროგრამის გახსნისათვის ამზადებდა საფუძვლებს. პროგრამა ასევე ხაზს უსვამდა აფხაზური ენის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობას, ანმტკიცებდა მის როლს ტელერადიო მაუწყებლობაში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში აფხაზური ლიტერატურისა და ენის სწავლებას ახალისებდა (ოფიციალური დოკუმენტები № 25, გვ. 11). ამგვარად, ენა, რომელიც მართებულად მიიჩნევა ნაციონალიზმის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მგრძობიარე ასპექტად, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე გადაიქცა ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირების საგნად. შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტური ასპექტი აფხაზური ნაციონალური პროგრამის ძირითად ღერძად ჩამოყალიბდა.

ლინგვისტური ასპექტები ერთ-ერთმა პირველმა ვლადისლავ არძინბამ ახსენა გუდაუთაში წარმოთქმულ სიტყვაში, აფხაზური ენის განვითარების პროგრამის შემუშავებამდე. თავის გამოსვლაში არძინბა აღნიშნავდა, რომ *ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა* მტკიცუნულად მიიღეს არა მხოლოდ ეთნიკურმა აფხაზებმა, არამედ აფხაზეთის ასსრ-ის ყველა მცხოვრებმა, რადგანაც “ქართული ენა სახელმწიფო სტრუქტურების ერთადერთი ოფიციალური ენა ხდებოდა და, ამგვარად, რესპუბლიკის ყველა მცხოვრებლისთვის სავალდებულო” (გაზეთი № 54, გვ. 2). საბჭოთა 70-წლიანი მმართველობის შემდეგ, სხვადასხვა პერიოდში გატარებული რუსიფიკაციის პოლიტიკის წყალობით, სახელმწიფო ენის ცოდნის დონე ისე დაეცა აფხაზეთში, რომ მიღებულმა დადგენილებამ ეთნიკური აფხაზები მათ მომავალ ბედზე და სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობაზე დააფიქრა. ამავე დროს, ქართული ენის სახელმწიფო პროგრა-

მის მიერ ქართული ენის სახელმწიფო სტრუქტურების ერთადერთ ენად გამოცხადებამ, ადგილობრივი ეთნიკური აფხაზი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ეს რეზოლუცია არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სსრ-ის და აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციებს, რომლებიც აფხაზურს, ქართულს და რუსულ ენებს აფხაზეთის ასსრ-ის სახელმწიფო ენებად აცხადებდა (70-ე მუხლი) (ოფიციალური დოკუმენტი № 4, გვ. 20).

აფხაზური ენის სტატუსი არც დამცრობილა და არც შეზღუდულა 1995 წელს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების შემდეგ. საქართველოს კონსტიტუცია ქართულ ენას სახელმწიფო ენად აცხადებდა, მაგრამ აფხაზური სახელმწიფო ენად იქნა გამოცხადებული აფხაზეთში (მუხლი მე-8) (ოფიციალური დოკუმენტი 6, გვ. 17). საბჭოების მიერ ლინგვისტურ საკითხზე საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში მიღებული დადგენილებების, ასევე საქართველოს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კონსტიტუციების ანალიზი აჩვენებს, რომ არც ერთი მიღებული დადგენილება არ ზღუდავდა აფხაზური ენის გამოყენებას. ამგვარაა, რომ უმცირესობების ენებს შეზღუდვები საბჭოთა პერიოდში დაუწესდათ (რაც რუსიფიკაციის პოლიტიკის თანმდევ ეფექტად შეიძლება მივიჩნიოთ) ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ადგილობრივ აფხაზურ ელიტას ლინგვისტურ საფუძველზე უმცირესობის ჩაგვრის მტკიცების არანაირი მიზეზი არ მისცემია; ამგვარად, ლინგვისტური ასპექტი ვერ გამოდგებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების გამამართლებელ არგუმენტად.

2.4. სუვერენიტეტის საკითხები

აფხაზთა და ქართველთა მხრიდან სუვერენიტეტის საკითხზე ურთიერთპრეტენზიები პოსტსაბჭოთა კონფრონტაციის ერთ-ერთ ლაიტმოტივად იქცა. როგორც კოპიტერსი (1998) შენიშნავს, “ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური სუვერენიტეტი 1992-93 წლების ომის ძირითად საკითხებს წარმოადგენდნენ” (ინტერნეტ წყარო № 24, გვ. 2). ჩემი მხრივ კი დავძენ, რომ ეს ასპექტები არა ომის ნაწილად, არამედ ომის წინმსწრებ და განმაპირობებელ ფაქტორებად უნდა განვიხილოთ, რომელთაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ურთიერთდაკავშირების საკითხზე წამოწყებული ინსტიტუციური დაპირისპირება წარმოშვეს.

საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის I მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა წარმოადგენდა სუვერენულ,

დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მისი ტერიტორია განუყოფელი იყო. კონსტიტუციის 71-ე, 79-ე და 82-ე მუხლების თანახმად, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს სსრ-ის ფარგლებში შედიოდა. აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუცია შეესაბამებოდა საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას. აღსანიშნავია, თუ აფხაზეთის კონსტიტუციის მუხლები წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასთან, პრიორიტეტი ამ უკანასკნელს ენიჭებოდა. იგივე ფორმულირება გვხვდება აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციაში (ოფიციალური დოკუმენტი № 4). 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა არ ეწინააღმდეგებოდა ზემოთმოყვანილ მოსაზრებას, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 107-ე მუხლი აფხაზეთს ავტონომიურ სტატუსს ანიჭებდა, *სოხუმის მხარის* სახელწოდების ქვეშ და ამგვარად, აფხაზეთის სტატუსს საქართველოს ფარგლებში განსაზღვრავდა (გაზეთი № 68, გვ. 1).

არსებული რეალობის მიუხედავად, ადგილობრივი აფხაზი მმართველი წრეების მხრიდან თავი იჩინა უკმაყოფილებამ, რომელთაც 1990 წლის 25 აგვისტოს “აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ” დეკლარაცია გამოსცეს.²⁴ დეკლარაციის თანახმად, აუცილებელი იყო საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების გადასინჯვა სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ორივე მხარე ხელმოწერით დაადასტურებდა. იმავე ტიპის ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო საბჭოთა კავშირთანაც (ოფიციალური დოკუმენტი № 10, გვ. 110-112). საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცემული დადგენილების თანახმად, აფხაზეთის მიერ გამოცემული დადგენილება ანულირებულ იქნა. საპასუხოდ, აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა საბჭომ გამოსცა სპეციალური დადგენილება *აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ*. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ

“1990 წლის 25 აგვისტოს, აფხაზეთის სსრ-ის უზენაესი საბჭოს დეკლარატორთმა ნაწილმა გამოსცა დადგენილება *აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ* და დაამტკიცა *აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის* დეკლარაცია. აღნიშნული იყო, რომ უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობა შეეცადა გარკვეული მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებების გატარე-

ბას, ხალხის და წარმომადგენლობითი დეპუტაციის მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე” (ოფიციალური დოკუმენტი № 12, გვ. 112-113).

1990 წლის 9 მარტს, საქართველოს სსრ-ის მე-13 სესიის მე-11 ასამბლეამ დაადასტურა საბჭოთა ჯარების მიერ 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის და ანექსიის ფაქტი და საქართველო-რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების აღდგენა მოითხოვა (ოფიციალური დოკუმენტი № 27, გვ. 19). მოგვიანებით, 1990 წლის 20 ივნისს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო, რომელსაც 1990 წლის 9 მარტის რეზოლუციაში გარკვეული შესწორებები შეჰქონდა. ახალი რეზოლუციის თანახმად, საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში ანექსიის და ოკუპაციის გზით მოვიდა, არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ჭეშმარიტ ნებას და უკანონო იყო, რადგანაც ქვეყანაში უცხო ძალის მხარდაჭერით დამყარდა. ამგვარად, აუცილებელი იყო ახალი ტიპის ურთიერთობის ჩამოყალიბება საქართველოს სსრ-ს და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას (რსფსრ) შორის. რსფსრ-ს უზენაესი საბჭოს მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის ფაქტის აღიარება საფუძველად უნდა დადებოდა საქართველოს სსრ-სა და რსფსრ-ს შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას (ოფიციალური დოკუმენტი № 61, გვ. 26). 1990 წლის 20 ივნისს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენისათვის კანონიერი მექანიზმების შემუშავებას ისახავდა მიზნად.

იგივე გზას მიმართა აფხაზეთის ასსრ-მ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დასაცავად კანონიერი გარანტიების შესაქმნელად. 1990 წლის 25 აგვისტოს დამტკიცდა აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცემული სპეციალური რეზოლუცია – *აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის საკანონმდებლო გარანტიების შესახებ*. რეზოლუციაში ჩამოყალიბებული იყო პრეტენზიები აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე, რომელსაც 11 ნორმატიული არგუმენტით ასაბუთებდნენ:

1. აფხაზეთი რუსეთის იმპერიაში შევიდა 1810 წელს, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართული სამეფოებისგან დამოუკიდებელი ერთეული. გარდა ამისა, საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა 1801 წელს (ქართლ-კახეთის სამეფო), ხოლო აფხაზეთმა ის 1864 წლამდე შეინარჩუნა;

2. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის და რუსეთის იმპერიის რღვევის პირველი ნიშნების შემდეგ, აფხაზეთი შეუერთდა კავკასიელი მთიელების გაერთიანებას და კაზაკების სამხედრო დანაყოფებს.

3. 1918 წლის თებერვალში საქართველოსა და აფხაზეთს შორის გაფორმდა სპეციალური შეთანხმება, რომელიც ადასტურებდა “მდინარე ენგურიდან მდინარე ბზიფამდე ერთიანი და განუყოფელი აფხაზეთის” არსებობას. ამგვარად, იმ დროს, საქართველოს ექვემდებარება არ დაუყენებია დამოუკიდებელი და ცალკე მდგომი აფხაზეთის არსებობა;

4. 1918 წლის მაისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებას შეეწინააღმდეგნენ აფხაზები;

5. 1918-1921 წლებში აფხაზეთი “მთლიანად ოკუპირებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ნაწილების მიერ” და 1921 წლის თებერვალში კვლავ მოიპოვა დაკარგული დამოუკიდებლობა საბჭოთა ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ;

6. აფხაზეთში საბჭოთა მმართველობა აღდგა 1921 წლის 4 მარტს და 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთის რეგომის მიერ გამოცხადდა დამოუკიდებელი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა;

7. 1921 წლის დეკემბერში სტალინმა აიძულა აფხაზეთის სსრ სპეციალური შეთანხმების საფუძველზე ფედერაციული ერთობა შეექმნა საქართველოსთან;

8. 1931 წელს, სტალინის გავლენის და საბჭოთა კავშირზე მისი ზეწოლის შედეგად, სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად და საქართველოს სსრ-ში იქნა შეყვანილი;

9. 1930-იანი წლებიდან გატარებული სასტიკი რეპრესიები ქართულ ერში აფხაზების გათქვეფას ისახავდა მიზნად. ამგვარად, ბერია და მისი თანამებრძოლები აფხაზეთის გაქართველების მენშევიკურ პოლიტიკას მისდევდნენ;²⁵

10. აფხაზების წინააღმდეგ მიმართული შოვინიზმის ბოლო ტალღა 1985 წელს, დემოკრატიზაციის პოლიტიკასთან ერთად აგორდა, როდესაც საბჭოთა

²⁵ იმპერიული მმართველობის სტატისტიკის მონაცემებით, ქართველები რიცხოვნობით უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილი აფხაზეთში ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე. შემთხვევითია თუ არა, მაგრამ 1920-40-იან წლებში რუსული მოსახლეობის ზრდა აფხაზეთში ნაკლებ (უფრო მეტად თუ არა) წახალისებული არ იყო, ვიდრე ქართველების: 1926-1959 წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების თანახმად, რუსების რაოდენობა გაიზარდა 12.000-დან 87.000-მდე, ე.ი. 7,2-ჯერ, ხოლო ამავე პერიოდში სომხების რაოდენობა 2,6-ჯერ, ხოლო ქართველების 2,3-ჯერ (იხ. განჩილაძე, 1998, გვ. 59). ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში მცხოვრები უმცირესობები იძულებით იქნენ ასიმილირებულნი უმრავლესობაში მყოფ ქართულ მოსახლეობასთან. 1930-იან წლებში, როდესაც სხვა არა-რუს ხალხებს გააჩნდათ საკუთარი, კირილიცას საფუძველზე შექმნილი ანბანი, აფხაზებს ჰქონდათ გაქართველებული ანბანი, და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დახურული იყო ყველა მშობლიურ ენაზე მოქმედი სკოლა (გვ. 290). სტალინის გარდაცვალების შემდეგ, უმცირესობების უმეტესი უფლებები აღდგენილ იქნა, მაგრამ ცენტრალური მმართველობის შესუსტებამ, რასაც თან დაერთო მზარდი ქართული ჰეგემონია რესპუბლიკის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, უმცირესობების უკმაყოფილების გამოვლინება გამოიწვია, მეტწილად მათი დემოგრაფიული და კულტურული შესუსტების გამო (კორნელი, 2001, გვ. 291).

კავშირიდან გასვლის მსურველმა მოკავშირე რესპუბლიკებმა ე.წ. ძლიერი ცენტრი – ძლიერი რესპუბლიკების იდეა თავიანთ დასაყრდენად აქციეს, ხოლო პარალელურად უარყვეს მათი ავტონომიური ერთეულების ინტერესები (ოფიციალური დოკუმენტი № 57, გვ. 30-32).

ზემოთმოყვანილი მიზეზების გარდა, რომელთაც აფხაზეთის ასსრ ეყრდნობოდა საქართველოს სსრ-იდან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო მთელი რიგი ფუნდამენტური კანონები, რომლებიც აფხაზეთის ასსრ-ის სეცესიურად განწყობილმა ელიტამ აფხაზეთის ასსრ-ის მომავალი სტატუსის ამალგების გარანტიად გამოიყენა. ვლადისლავ არძინბა, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისადმი, ზვიად გამსახურდიასადმი, გაგზავნილ წერილში ამტკიცებდა, რომ გამსახურდიამ არ შეასრულა მიცემული დაპირება აფხაზეთის ნაციონალური და კულტურული უფლებების უზრუნველყოფის და დაცვის შესახებ. ახალი კანონი, რომელიც საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ინიციატივით გამოვიდა, შეიცავდა მუხლს ავტონომიური რესპუბლიკების უფლებების გაფართოების თაობაზე. გარდა ამისა, “ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების” პროექტის თანახმად, ყველა ტიპის რესპუბლიკას, იქნებოდა ეს საკავშირო თუ ავტონომიური, თანაბარი უფლებები უნდა მინიჭებოდა ფორმირების პროცესში მყოფი ფედერაციის ფარგლებში.

გამსახურდიამ დაშალა ადგილობრივი საბჭოები, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა და მათ ნაცვლად შექმნა *პრეფექტურები*.²⁶ არძინბას წერილში აღნიშნული იყო, რომ “აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს გარდა აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არსებობდა ალტერნატიული სახელმწიფო მართვის ინსტიტუტები და ადგილობრივი პრეფექტების დანიშვნის ბრძანების გამოცემამდე ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კანონი უნდა მიღებულიყო, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ ტიპს განსაზღვრავდა.” ადგილობრივი საბჭოების ლიკვიდაცია და პრეფექტების დანიშვნა არღვევდა ეთნიკური აფხაზეთის კონსტიტუციურ უფლებებს, რადგანაც ადგილობრივი მმართველობის სტილი და სტრუქტურა თავად ადგილობრივი მმართველობის მიერ უნდა განსაზღვრულიყო (გაზეთი № 80). არძინბამ ეჭვი შეიტანა საქართველოს ფარგლებში აფხაზეთისთვის რეალური ავტონომიის მინიჭების შესაძლებლობაში; ამგვარად, ნათელია, რომ ძველი, რომელიც აფხაზეთის (ა)სსრ-ს საბჭოთა პერიოდში შეუქმნეს, და ახალი თვითმმართველი ინსტიტუტების, რომელიც თბილისმა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შექმნა რეგიონში, შეჯახებამ კონფლიქტის აღმოცენება გამოიწვია.

²⁶ იხ. ინტერნეტ წყარო № 9, გვ. 17.

საპასუხოდ, როგორც უკვე ითქვა, 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს მე-11 ასამბლეის მე-10 სესიამ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაცია დაამტკიცა. დეკლარაცია, თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, აფხაზეთის სსრ-ს სუვერენულ სახელმწიფოდ აცხადებდა. დეკლარაციის საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრავდა მომავალ ურთიერთობას ახლადნამოყალიბებულ სახელმწიფოებთან; ის ამავე დროს საქართველოს სსრ-თან ახალი, თანასწორი ურთიერთობის საფუძველი იქნებოდა (ოფიციალური დოკუმენტი № 10). საპასუხოდ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ და აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ, 1990 წლის 26 და 31 აგვისტოს გააუქმეს აფხაზეთის ასსრ-ის სუვერენიტეტის დეკლარაცია (ოფიციალური დოკუმენტი № 49, გვ. 34-36).

აფხაზეთის დამოუკიდებლობის თაობაზე ცალკეული არგუმენტები და მოსაზრებები არძინბამ გაცილებით ადრე, 1989 წელს, გუდაუთაში ადგილობრივ საარჩევნო უბანში სიტყვით გამოსვლის დროს გაახშიანა. არძინბამ დაგმო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე 15 მოკავშირე რესპუბლიკისთვის ფართო სუვერენიტეტის მინიჭების იდეა, რომელიც მცირე ავტონომიური რესპუბლიკების ხარჯზე ხორციელდებოდა და აღნიშნა: “ავტონომიური რესპუბლიკების არსებული იურიდიული სტატუსი ნაციონალურ უთანასწორობას წარმოშობდა.” გარდა ამისა, არძინბამ საქართველოსა და აფხაზეთს შორის 1921-1931 წლებში არსებული ურთიერთობა გაიხსენა, რომელიც “ამ ორ ერთეულს შორის თანასწორ ურთიერთობას წარმოადგენდა, რაც ფედერაციის წევრი ერთეულების თანასწორობისა და სუვერენიტეტის საფუძველზე ხორციელდებოდა” (გაზეთი №54). მისი განცხადებით, 1931 წელს აფხაზეთი საქართველოს სსრ-ის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა და ამ ფაქტით ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი და მმართველობის სხვა სტრუქტურებისადმი პერიოდულად გაგზავნილი მიმართვებით გამოიხატებოდა (1947, 1957, 1967, 1978 და 1988 წლებში) (გაზეთი № 54, გვ. 2).

აფხაზეთა ელიტის ნაწილი საქართველოს სსრ-ის მიერ აფხაზეთის თაობაზე მიღებული დადგენილებების გადახედვის ინიციატივით გამოდიოდა, რასაც საქართველოსთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება უნდა მოჰყოლოდა. ეს ცვლილება საქართველოს სსრ-ს და აფხაზეთის ასსრ-ს იდენტურ ერთეულებად გადააქცევდა, ხოლო აფხაზეთი საბჭოთა კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების თანაბარი პარტნიორი გახდებოდა. სუვერენიტეტზე გაცხადებული პრეტენზიები, რომლებიც ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაციით და ნორ-

მატიული მტკიცებულებებით იყო გამყარებული, საქართველოს სსრ-ის უზენაეს-მა საბჭომ; ამ უკანასკნელმა დაგმო აფხაზური ელიტის გადაწყვეტილება და 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია ძალადაკარგულად და გაუქმებულად გამოაცხადა (ოფიციალური დოკუმენტი № 60, გვ. 34-35).

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების აზრით, აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იყო ლევან ალექსიძის საკონსტიტუციო პროექტის მეშვეობით, რომელიც გარკვეულწილად სიახლეს წარმოადგენდა უმცირესობის უფლებების დაცვის და მათი ძალაუფლებით აღჭურვის კუთხით.

საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის არ-ის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის თანამდებობა ეთნიკურ ქართველს ეჭირა.²⁷ უზენაესი საბჭოს მეთაურის არჩევის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე აფხაზეთის ასსრ-ს უზენაეს საბჭოს უნდა დაემტკიცებინა. ქართველი დეპუტატები დაასახელებდნენ ერთ კანდიდატს და უზენაესი საბჭო მას დაამტკიცებდა. თუმცა, კანდიდატურის შესახებ შეთანხმება ვერ მოხერხდა. ამავე დროს, გამსახურდიამ განაცხადა, რომ აფხაზი დეპუტაციისთვის სპეციალური კვოტები იქნებოდა შემოღებული საქართველოს პარლამენტში. ამ განცხადების შემდეგ, აკაკი ასათიანი და ლევან ალექსიძე ჩავიდნენ სოხუმში აფხაზეთთან სპეციალური შეთანხმების გასაფორმებლად (ინტერნეტ წყარო № 1). საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დელეგაციის ხელმძღვანელი, ლევან ალექსიძე, სოხუმში იმყოფებოდა 1991 წლის 7-8 მაისს და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის მომავალი ურთიერთობებისთვის კონცეპტუალური საფუძვლების მომზადებას ცდილობდა. დელეგაცია შეხვდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ვლადისლავ არძინბას და სხვა ადგილობრივ ოფიციალურ პირებს (გაზეთი № 23). საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, კომპრომისის სახით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნებისთვის უჩვეულო საარჩევნო პროცედურები იქნა ინიცირებული. 1991 წლის 9 ივლისის შეთანხმების

²⁷ 1990 წელს აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა 67 პროცენტი ეთნიკური აფხაზი იყო. იხ. ძურჭერ (2006), გვ. 116; ეთნიკურ აფხაზებს ეჭირათ ადგილობრივი უზენაესი საბჭოს ადგილების 40 პროცენტი, აფხაზეთის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნების 50 პროცენტი და რესპუბლიკის მინისტრების 67 პროცენტი. (იხ: ჟინეს, 1992). ამასთანავე, რეგიონის დემოგრაფიული სურათის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის აფხაზები ქართველებთან შედარებით უფრო ხელსაყრელ პოზიციაში იყვნენ. ომამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 530 ათასს უტოლდებოდა, რომელთა შორის 300 ათასი, რაც 56.6 პროცენტს შეადგენდა, ეთნიკურ ქართველ მოსახლეობას წარმოადგენდა. აფხაზები მოსახლეობის 80 ათასს შეადგენდნენ, რაც რეგიონის მოსახლეობის 16 პროცენტს უტოლდებოდა. დანარჩენს რუსები, ესტონელები და ებრაელები წარმოადგენდნენ ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ აფხაზებს შორის რიცხოვნობაზე და დიდი განსხვავების მიუხედავად, საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოში ავტონომიური რესპუბლიკიდან წარგზავნილი 15 დეპუტატიდან 8 ეთნიკური აფხაზი იყო; პირველი მდივნის 8 პოსტიდან, 5 ეთნიკურ აფხაზს ეჭირა; აფხაზეთის უზენაეს საბჭოში არჩეული 140 დეპუტატიდან, 57 ეთნიკური აფხაზი იყო, ხოლო ეთნიკური ქართველი – 53; რეგიონის 12 მინისტრიდან, 8 ეთნიკური აფხაზი იყო (ალრუძაძე 1996, გვ. 11).

თანახმად, აფხაზი ნაციონალიზმის წარმომადგენლები, რომლებიც აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენდნენ, საპარლამენტო უმრავლესობას მიიღებდნენ ადგილობრივ საკანონმდებლო სტრუქტურაში: აფხაზები (იმ დროს მოსახლეობის 17 პროცენტი) 28 ადგილს დაიკავებდნენ აფხაზეთის პარლამენტში, ქართველები (იმ დროს მოსახლეობის 46 პროცენტი) – 26 ადგილს, ხოლო სხვა ნაციონალობების წარმომადგენლები (იმ დროს მოსახლეობის 37 პროცენტი, ძირითადად სომხები, ბერძნები, რუსები) – 11 ადგილს (ოფიციალური დოკუმენტი, № 18, გვ. 76).

ჯონსი ხაზს უსვამს ალექსიძის პროექტის მნიშვნელობას, რომლის ძალითაც, “საკონსტიტუციო ცვლილების გატარება შეუძლებელი იქნებოდა ხმების 2/3 გარეშე, რაც აფხაზებს მათ ხელთ არსებული იურიდიული უფლებების და ძალაუფლების დაცვის საშუალებას აძლევდა” (გვ. 258). ამგვარად, ახალი საარჩევნო კოდექსი არ ბლოკავდა ეთნიკურ უმცირესობებს და მათ შორის აფხაზებს; მათ რეალურად ჰქონდათ ძალაუფლება, თუმცა აფრასიძე და სიროკი (2010) მართებულად შენიშნავენ, “რომ საარჩევნო კანონი, რომელიც რეგიონულ საფუძველზე შექმნილ პარტიებს ნაციონალურ არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავდა, პრაქტიკულად ბლოკავდა უკვე მობილიზებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლობის მიერ პარლამენტში ძალაუფლების ხელში აღებას” (გვ. 128). ამასთანავე, “საარჩევნო უბნები ეთნიკური პრინციპის მიხედვით იმგვარად იქნებოდა დემარკირებული, რომ რეალურად თითოეული ეთნიკური ჯგუფი მიიღებდა ადგილების ‘კვოტას’ 65 ადგილიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში (გვ. 58).

ახალი ინიციატივა სრულად შეესაბამებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაციას. დეკლარაციის თანახმად გარანტირებული იყო ადგილობრივი ნაციონალიზმის (აფხაზების), რომლებიც ავტონომიური ერთეულის სახელს – აფხაზეთს – წარმოქმნიდნენ, ინსტიტუციური წარმომადგენლობა (გაზეთი 68). საპარლამენტო არჩევნებისთვის ინიცირებულ იქნა ახალი სისტემა. ის ფაქტი, რომ გამსახურდიას და არძინბას შორის დიალოგი შედგა ისეთ მგრძობიარე საკითხზე, როგორც საარჩევნო კვოტებია, და ამ მხრივ გარკვეულ შეთანხმებასაც მიაღწიეს, ნოდის (1998) მიერ “ავგვისტოს პუტჩის შემდეგ მოსკოვში არსებული არეულობის” (ინტერნეტ წყარო № 81, გვ. 27) თანმდევ შედეგად არის მოხსენიებული.

გამსახურდიას დამხობის შემდეგ, საკონსტიტუციო ძალაუფლების გადანაწილების საკითხზე თბილისსა და სოხუმს შორის დიალოგი აღარ გაგრძელებულა. თბილისში სხვა მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი. გარდა ამისა, საქართვე-

ლოს ხელისუფლებაში სხვადასხვა ცენტრებს შორის ძალაუფლების პოლარიზაციამ სოხუმთან ძალაუფლების დანაწილების თაობაზე შეთანხმების მიღწევისთვის კოორდინირებული მოქმედება შეუძლებელი გახადა. სამწუხაროდ, აფხაზეთის რეგიონში წარმოქმნილი დაძაბული სიტუაცია ომში გადაიზარდა. საკონსტიტუციო შეთანხმების ჩაშლის საკითხის კომენტირებისას, ჯონათან უითლი იმოწმებს გია ნოდისას, რომლის მოსაზრებით, ძალაუფლების განაწილების თაობაზე შეთანხმება ჩაშალა “ახალი ადმინისტრაციის მიერ გამსახურდიის დელეგირებული ხაზის მცდელობამ, რასაც შეეწირა კიდევ ძალაუფლების განაწილების თაობაზე მიღწეული შეთანხმება. ამასთანავე, გამსახურდიას მომხრეების საპირისპიროდ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ახალი რეჟიმი *მოსკოვის მარიონეტი* იყო, შევარდნაძე შეეცადა ეჩვენებინა, რომ ის ნაციონალური ინტერესების კიდევ უფრო შეუვალი დამცველი იქნებოდა, ვიდრე გამსახურდია. ამიტომ, დიდი იყო 1991 წლის შეთანხმების ‘ნაციონალური ინტერესების დაღატად’ წარმოჩენის ცდუნება” (გვ. 72). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 1992 წლის იანვრის გადატრიალების შემდეგ, რეგიონში ომის დაწყებამდე, აფხაზეთის უზენაესი საბჭო რამდენჯერმე შეიკრიბა ამ კვოტების პრინციპის თანახმად.

ზემოთაღწერილი საკონსტიტუციო შეთანხმების პროექტი უარყოფს გოლცის (2009) მტკიცებას, რომ “გამსახურდიას უნიტარულ საქართველოში გაქრებოდა ავტონომიური რეგიონის მოსახლეობისთვის საბჭოთა სტილის პრიორიტეტული კვოტების ფარგლებში ბოძებული პრივილეგიები – მისაღები ადგილები უნივერსიტეტში, სამუშაო კვოტები დასაქმებისთვის და სხვა პრივილეგიები, რომლითაც ოფიციალურად აღიარებული საბჭოთა უმცირესობები სარგებლობდნენ” (გვ. 17). რეალურად, ძალაუფლების დანაწილების მექანიზმებმა, რომელიც გამსახურდიამ აფხაზეთის ხელისუფლებას შესთავაზა, მხოლოდ დროებით დაამშვიდა სიტუაცია რეგიონში.

ალექსიდის კანონპროექტი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური კვოტების გადანაწილება კიდევ უფრო ხელსაყრელი იყო აფხაზეთისთვის. მოცემული თავის ქვეთავები 2.2. *სავანმანათლებლო უფლებები* და 2.3. *ღინგვისტური უფლებები* წარმოაჩენენ, რომ ამ მხრივაც პოსტსაბჭოთა სოციალური ცხოვრება აფხაზეთისათვის სასარგებლოდ წარიმართა *უნიტარულ ქართულ სახელმწიფოში*. გამსახურდიას პერიოდში საკონსტიტუციო პროექტის, როგორც განსაკუთრებული შეთავაზების ფაქტის კომენტირებისას, ჯონსი აღნიშნავს, რომ “აფხაზეთში გატარებული საკონსტიტუციო პოლიტიკა ეწინააღმდეგება გამსახურდიას, როგორც უკომპრომისო ნაციონალისტის რეპუტაციას, რომელსაც სწამდა, რომ *‘საქართველო ქართველების იყო’*” (გვ. 258).

ცენტრალური ხელისუფლების მიღებულ დადგენილებას ადგილების კვოტების განაწილების თაობაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებს (აფხაზები და ქართველი დეპუტატები, ასევე რეგიონში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი 11 დეპუტატი) ახალი კანონის მიღებისთვის გარდაუვლად ესაჭიროებოდათ ხმების 2/3, რაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თანამშრომლობის გარანტიას წარმოადგენდა. 1991 წლის 27 აგვისტოს, აფხაზეთის არ-ის უზენაესმა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება ხმების 2/3 უმრავლესობის ძალაში შესვლის თაობაზე. დადგენილების თანახმად, *აფხაზეთის ასსრ-ის 1991 წლის 27 აგვისტოს ახალი კანონი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ძალაში შევიდოდა საქართველოს (ყოფილი სსრ) და აფხაზეთის (ყოფილი ასსრ) უზენაესი საბჭოების მიერ აფხაზეთის პოლიტიკურ-იურიდიული სტატუსის საბოლოოდ განსაზღვრის შემდეგ*. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვერ მოხერხდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება აფხაზეთის პოლიტიკურ-იურიდიული სტატუსის შესახებ, ამგვარად, ხმების 2/3-ის პრინციპი სპეკულაციის და შემდგომი დებატების საგნად გადაიქცა.

აფხაზეთის ირგვლივ გამართულ საკონსტიტუციო დებატებში და 1990-იანი წლების ადრეული პერიოდის პროცესებში 2/3 უმრავლესობის საკითხი ყველაზე საკამათო პრობლემას წარმოადგენს. კორნელი (2002) ამტკიცებს, რომ ქართულ და აფხაზურ ფრაქციებს შორის ძირითადი დაპირისპირება წარმოიშვა “მნიშვნელოვანი” საკითხების ხმების 2/3-ის მიღების წინაპირობის შემოღებისას, თუმცა საარჩევნო კოდექსი ბუნდოვნად განსაზღვრავდა კონკრეტულად რა ტიპის საკითხებზე იყო საუბარი. ავტორის თანახმად, ამ ინიციატივას ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზები, მაგრამ ემხრობოდნენ ქართველები, რომლებიც ამ წინაპირობას მათი პოზიციების დაცვის გარანტიად მიიჩნევდნენ. ამგვარად, კორნელი ასკვნის, რომ ქართველებსა და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის (რომლებიც აფხაზეთის არ-ის პარლამენტში 11 ადგილს იკავებდნენ) გარიგების მიღწევის შემთხვევაში, აფხაზები მათთვის არახელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდებოდნენ. თუმცა, ავტორი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხმების 2/3-ის წინაპირობა არახელსაყრელი იყო აფხაზებისთვის, რადგანაც ის ასევე აღნიშნავს, რომ “ეთნიკური აფხაზებისთვის გათვალისწინებული ადგილების კვოტა რესპუბლიკის პარლამენტში რეალურად უფრო მეტი იყო, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლების მინისტრთა პოსტების 2/3; გარდა ამისა, ადგილობრივი კომუნისტური პარტიის შტოების ხელმძღვანელები ასევე ეთნიკური აფხაზები იყვნენ” (ნორელ 2002, გვ. 263-264). ამგვარად, ავტორი თავად

ასკენის, რომ ცენტრალური ხელისუფლების შეთავაზება ხელსაყრელი იყო ეთნიკური აფხაზებისთვის.

1991 წლის 22 სექტემბერს, 12 ოქტომბერს, ასევე 1 და 15 დეკემბერს ჩატარდა აფხაზეთის არ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნები. მთლიანობაში არჩეულ იქნა 63 დეპუტატი, მათ შორის 28 აფხაზი და 24 ქართველი. დასკვნით ეტაპზე, აფხაზეთის არ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ვლადისლავ არძინბა (გაზეთი № 86, გვ. 2). ამგვარად, დაცული იყო აფხაზების უფლებები და გარანტირებული იყო ადგილობრივი ეთნიკური აფხაზი მოსახლეობის წარმომადგენლობა საკანონმდებლო დონეზე. მათ მოიპოვეს უმრავლესობა და ეთნიკური აფხაზი აფხაზეთის არ-ის უზენაესი საბჭოს მეთაურად აირჩიეს. ამგვარად, საკონსტიტუციო პროექტის შეთავაზებები რეალურად განხორციელდა, თუმცა აფხაზების უკმაყოფილებას იწვევდა ის ფაქტი, რომ გამსახურდიას საარჩევნო კანონი კრძალავდა ეთნიკურ საფუძველზე რეგიონული პარტიების რეგისტრაციას. ჯონსის (1992ბ) თანახმად, “ახალი საარჩევნო კანონი უკრძალავდა აფხაზებს 1990 წლის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში აიდგილარასთვის ხმის მიცემას, რადგანაც ეს ორგანიზაცია ცალკეულ ტერიტორიულ ინტერესებს გამოხატავდა” (გვ. 87). არჩევნებამდე 9 თვით ადრე მიღებული საარჩევნო კანონი რეგიონული პრინციპით ჩამოყალიბებულ პარტიებს არჩევნებისთვის დარეგისტრირებას უკრძალავდა და ხმის მიცემის უფლებას ართმევდა იმ არაქართველებს, რომელთაც ეთნიკურ საფუძველზე შექმნილი პარტიებისათვის სურდათ ხმის მიცემა (ქონეს, 1993, გვ. 295).

ამგვარად, აშკარა იყო ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი დათმობები; აფხაზურ ელიტას არ შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე პრეტენზია უმცირესობის ჩაგვრის, ან ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებში არასათანადო წარმომადგენლობის თაობაზე. პირიქით, ინიცირებულმა და განხორციელებულმა ცვლილებებმა აფხაზეთის არ-ის უმრავლესობაში მყოფი ეთნიკური ქართველი მოსახლეობის სრულებით ბუნებრივი და რაციონალური უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ჯონსი (1992ბ) აღნიშნავს, “[აფხაზების] უპირატესმა წარმომადგენლობამ რესპუბლიკის უმაღლეს პარტიულ და ადმინისტრაციულ პოსტებზე, გარანტირებულმა კვოტებმა უმაღლეს განათლებაში (სადაც მათ არ სჭირდებოდათ მისაღები გამოცდების ჩაბარება) და რეგიონში რუსულის დომინანტურმა გამოყენებამ, ქართველების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია” (გვ. 87).

მკვლევართა ერთი ჯგუფი შენიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ნაციონალური პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტების მეშვეობით საბჭოთა პერიოდში ეთ-

ნიკურ აფხაზებსა და ქართველებს შორის გარკვეულწილად განიმუხტა დაძაბულობა. დერლუგიანი (2007), იმოწმებს რა მარტინს, აღნიშნავს, რომ “დაძაბულობები შეკავებული იყო ბიუროკრატიული პროცედურებით და ნაციონალობებზე ოფიციალური საბჭოთა დისკურსის მიერ შემოდებული შეზღუდვებით” (გვ. 73). საბჭოთა ეთნიკური კვტების სისტემა ადგილობრივ ქართველებს არ აძლევდა აფხაზეთის არ-ის საპარლამენტო არჩევნებში ავტომატური უმრავლესობის მოპოვების შესაძლებლობას, რაშიც წარმატებით იყენებდა “გარე” მოკავშირეებს – რუსებს, ჩეჩნებს, სომხებს და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, რითაც აბალანსებდა ქართველი უმრავლესობის მიერ წარმოქმნილ უთანასწორობას (ერუგუან, 2007, გვ. 75). საბჭოთა პერიოდში ეთნიკური აფხაზების რაოდენობა 100.000 განისაზღვრებოდა, რაც რეგიონის მთელი მოსახლეობის (დაახლოებით 450.000) 17% შეადგენდა. ეთნიკური რუსების, სომხების და ბერძნების ეთნიკური წილი დაახლოებით აფხაზების ხვედრით წილს უდრიდა და 12-17 პროცენტს შორის მერყეობდა; სანის და გრანტის თანახმად, ქართველები 40-46 პროცენტთან უმრავლესობას წარმოადგენდნენ (დამოწმ. ერუგუან-თან, 2007, გვ. 73). მართლაც, ეთნიკური აფხაზების წარმატებული თანამშრომლობა რეგიონის სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მათთვის ხელსაყრელ პოზიციას წარმოქმნიდა ადგილობრივ პარლამენტში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისთვის აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრების 41%, რესპუბლიკის მინისტრების 67% და დაბალ ინსტანციებში მომუშავეთა კიდევ უფრო დიდი რაოდენობა ეთნიკურად აფხაზ სატიტულო ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ (ჭ ჰეაფუ, 2005, გვ. 57).

საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სწორედ საბჭოთა სტილის კვტა შესთავაზა აფხაზებს, რაც მათთვის ძალზედ ხელსაყრელი იყო. დერლუგიანი იხსენებს 1991 წლის მოვლენას, როდესაც აფხაზების ხელმძღვანელობას გამსახურდიასთან ძალაუფლების გაზიარების თაობაზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა ჰქონდა (იხ. ზემოთ). იგივე მომენტს შენიშნავს კინგი (2008): “გამსახურდიამ, შესაძლოა ჩვეული პროცესების წინააღმდეგ, გარკვეულ პროგრესს მიაღწია უკმაყოფილებების შესუსტებაში, მაგრამ თბილისში მომხდარი პუტჩის შემდეგ მისმა ძალადობრივმა დამხობამ პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების ყველანაირი შანსი ამოწურა” (გვ. 215). “ძალაუფლების განაწილების” პროექტის კრახს ერთნაირად აფასებენ დერლუგიანი და კინგი. როგორც კინგი (2008) შენიშნავს, “შეგარდნადემ ვერ მოახერხა იმ პოლიტიკოსების გაკონტროლება, რომლებიც აფხაზეთის პრობლემის სწრაფ სამხედრო მოგვარებას უჭერდნენ მხარს. ქართული ჯარები და გასამხედროებული დაჯგუ-

ფებები აფხაზეთისკენ დაიძრნენ – თუმცა შეჭრის უშუალო მიზეზი ჯერ კიდევ სადაო საკითხს წარმოადგენს ორივე მხარისათვის” (გვ. 215). ამავე კონტექსტში დერლუგუიანი (2007) ამტკიცებს, რომ “საქართველოს პირველი პრეზიდენტის ჩამოგდების შემდეგ, კიტოვანს და იოსელიანს კიდევ ერთი სამხედრო წარმატების მოპოვება სურდათ; ან შესაძლოა ისინი ოკუპანტების როლის მორგებას ესწრაფოდნენ, რათა მათი ჯარები საქართველოს ტერიტორიის უმდიდრესი მხარის ძარცვით დაეჯილდოებინათ. აფხაზეთის პარლამენტის მიერ მიღებული რამდენიმე უპასუხისმგებლო დადგენილების წინაპირობად გამოყენების შემდეგ, ქართველმა მთავარსარდლებმა 1992 წლის აგვისტოში ბლიცკრიგი წამოიწყეს” (გვ. 76).

ძალაუფლების განაწილების პროექტის ჩავარდნის დერლუგუიანისეული და კინგისეული შეფასება კრიტიკას ვერ უძლებს, მეტწილად იმ პერიოდის აფხაზეთის პრობლემის მხოლოდ საშინაო განზომილებაზე გადამეტებული კონცენტრირების გამო. კინგი და დერლუგუიანი არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ლევან ალექსიძის საკონსტიტუციო პროექტის – ძალაუფლების განაწილების მექანიზმის – კრახი თბილისში მომხდარი სამხედრო გადატრიალების ფართო კონტექსტში უნდა გაანალიზდეს: მხედველობაშია მისაღები თანმდევი დაპირისპირება ერთის მხრივ ყოფილი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, ხოლო, მეორეს მხრივ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო ფორმირებებს შორის; აგრეთვე გასაანალიზებელია შინაგანი ჯარის რკინიგზის დაცვის მიზნით აფხაზეთში გაგზავნის ფაქტი და ამ მოვლენის მრავალმხრივი ინტერპრეტაციები. ამასთანავე, მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს ინსტიტუციური კავშირები ადგილობრივ აფხაზ ელიტას და ცენტრში – მოსკოვში არსებულ იმდროინდელ საბჭოთა ელიტის ერთ ნაწილს შორის, რამაც, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პროცესების სამომავლო განვითარება.

ლევან ალექსიძის საკონსტიტუციო პროექტის ფარგლებში აფხაზეთისთვის მინიჭებული პრიორიტეტების მიუხედავად, ისინი გაემიჯნენ აღნიშნულ პროექტს და პრობლემის მოგვარების მათეული ხედვა წარმოადგინეს, რომელიც აფხაზეთის და აფხაზეთის სუვერენიტეტის აღიარებას ითვალისწინებდა. 1992 წლის 12 აგვისტოს არძინბამ განაცხადა, რომ ისინი მზად იყვნენ საქართველოსთან ორმხრივი შეთანხმების და პარტნიორობის დოკუმენტის ხელმოსაწერად, თუმცა დაუშვებელი იყო აფხაზეთის ამა თუ იმ ფორმით საქართველოსადმი დაქვემდებარება. გარდა ამისა, არძინბამ მზადყოფნა გამოთქვა აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსი სამხედროების მომავალი სტატუსის თაობაზე რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებების წარმოებისთვის [იხ. ქვეთავები 2.7. სამხედრო ასპექტები]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ აფხა-

ზეთისთვის საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მაქსიმალური ავტონომიის შენარჩუნების გარანტიები რეგიონში მცირე მასშტაბის სამხედრო შეტაკებების პირველი ინციდენტისთანავე იქნა დადასტურებული. საქართველოს ვიცე-პრემიერი და თავდაცვის მინისტრი, თენგიზ კიტოვანი აცხადებდა, რომ “არავითარი ეჭვი არ შეიძლება იქნეს შეტანილი საქართველოს სახელმწიფოში აფხაზების უფლებების გარანტირების საკითხში. ეს სახელმწიფო საბჭოს მიმართვამაც დაადასტურა” (გაზეთი № 57, გვ. 2-3). კიტოვანი პირობას დებდა, რომ აფხაზებს საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე მიენიჭებოდათ პოლიტიკური უფლებები და აფხაზეთი ისარგებლებდა იმ ტიპის სახელმწიფო თვითმმართველობით, რომელიც სრულად ასახავდა აფხაზების და რეგიონის მთელი მოსახლეობის ინტერესებს. “ეთნიკური აფხაზების და აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ინტერესები დაცული იქნება” (გაზეთი № 57, გვ. 2), აღნიშნავდა კიტოვანი. თუმცა, 1992 წლის 14 აგვისტოს რეგიონში ომი დაიწყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზებს საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში უმცირესობის დაცვის კუთხით მაქსიმალური გარანტიები შესთავაზა. რამდენიმე რეგიონული (ქართული) სოციალური ორგანიზაციის ძლიერი პროტესტის მიუხედავად, უმცირესობის უფლებების დამცავი შეთავაზება ძალაში დარჩა და ის არასოდეს არ უარყვია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ამგვარად, შეიქმნა მომავალი ურთიერთობის ახალი ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც კიდევ უფრო ხელსაყრელი იყო აფხაზეთისთვის, ვიდრე საბჭოთა პერიოდის ეთნიკური კვოტების სისტემა. შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ ეს ახალი ინსტიტუციური შეთავაზება მომხიბვლელი და მისაღები უნდა ყოფილიყო აფხაზეთისთვისაც; განსაკუთრებით 70-წლიანი ავტონომიის ფარგლებში უმცირესობების საბჭოთა სტილის ბუნდოვანი უფლებების ფონზე. რეალურად კი შეუძლებელი აღმოჩნდა ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირების თავიდან აცილება. აფხაზური ელიტის მთავარ მოთხოვნას აფხაზეთის სუვერენიტეტი წარმოადგენდა. თავდაპირველად დაწყებული უთანხმოებები, მოგვიანებით სისხლიან კონფლიქტში გადაიზარდა, რამაც ქართულ-აფხაზური ელიტების პოსტსაბჭოთა ურთიერთქმედება სამხედრო ინსტიტუტების ფარგლებში გადაიტანა. 1990 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულმა კანონმა, რომლის ძალითაც ავტონომიურ რეგიონებს და ოლქებს რეფერენდუმის საფუძველზე საბჭოთა კავშირის ფარგლებში დარჩენა შეეძლოთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირიდან გასვლას არჩევდა, კიდევ უფრო დაძაბა ქართულ-აფხაზური ურთიერთობა და დამატებითი საფუძველი შეუქმნა აფხაზი ელ-

იტის ნაწილს საქართველოსგან გამოყოფისთვის საბრძოლველად.²⁸ ამგვარად, პოსტსაბჭოთა პერიოდში შეუძლებელი გახდა საბჭოთა ინსტიტუციური ურთიერთობის ეთნოსთა თანამშრომლობად გარდაქმნა, რაც, ინსტიტუციური თვალსაზრისით, კონსოციაციის მონაპოვრებს უნდა დაფუძნებოდა. სამწუხაროდ, მომავალი ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ეთნოსთაშორისი დაპირისპირებების გზით წარიმართა.

2.5. რეფერენდუმები და თანმდევი პრობლემები

საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების საკითხი ქართულ-აფხაზური უთანხმოების კიდევ ერთ საბაზად იქცა. საქართველოში რეფერენდუმის ჩატარება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1990 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ასამბლეამ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმად:

1. საბჭოთა კავშირის მრავალეთნიკური სახელმწიფო უნდა გარდაქმნილიყო სუვერენული სახელმწიფოების ნებაყოფლობით და თანასწორ გაერთიანებად, ე.ი. დემოკრატიულ-ფედერალურ სახელმწიფოდ;

2. სპეციალურ კომისიას უნდა მოემზადებინა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება; კომისიაში შევიდოდნენ რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების უმაღლესი ხელმძღვანელი პირები, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (ოფიციალური დოკუმენტი № 26, გვ. 52).

1991 წლის 16 იანვარს სსრკ უზენაესმა საბჭომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე რეფერენდუმის ორგანიზების შესახებ გამოსცა დადგენილება. რეფერენდუმის ჩატარების დღედ 1991 წლის 17 მარტი განისაზღვრა (ოფიციალური დოკუმენტი № 45, გვ. 56-57). ამ პროცესის პარალელურად ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ასსრ-ს შორის. საქართველოს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული ეროვნული ხელისუფლება

²⁸ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი ასპექტია აფხაზეთის ირგვლივ განვითარებული პოსტსაბჭოთა პროცესების გასააზრებლად, რომელიც საბოლოოდ 1990-იანი წლების დასაწყისში ომით დასრულდა. ციურხერი (2006) მიიჩნევს, რომ ახალი კანონი (საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე რეფერენდუმის გამართვის შესახებ) ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შემდგომი გაფუჭების კიდევ ერთ მიზეზად იქცა: “ახალმა კანონმა თავიდან ვერ აიცილა საბჭოთა კავშირის შიგნიდან აფეთქება და მან მხოლოდ ავტონომიური ოლქების და რესპუბლიკების სეპარატისტული მისწრაფებები განამტკიცა” (გვ. 149).

მართავდა, ხოლო აფხაზეთის ასსრ-ს ყოფილი კომუნისტური ელიტა განაგებდა, რომელიც ყოფილ ცენტრზე – მოსკოვზე იყო ორიენტირებული.

1991 წლის 28 თებერვალს საქართველოს ხელისუფლება საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების დადგენილებას გამოეხმაურა. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებაში აღნიშნული იყო:

1. ქართველმა ხალხმა თვითგამორკვევის საკითხი საკუთარი სახელმწიფოს შექმნის გზით 2500 წლის წინ გადაჭრა. მე-20 საუკუნეში მათ საკუთარი სუვერენული სახელმწიფოს ფლობის სურვილი 1919 და 1990 წლის არჩევნებით დაადასტურეს;

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განახლებული ფედერაციის იდეა საკმაოდ ბუნდოვანია, მეორეს მხრივ, საკავშირო რეფერენდუმი არღვევს საქართველის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტს, რადგანაც რეფერენდუმის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მომავალი არა მისი მოქალაქეების, არამედ “მოკავშირე რესპუბლიკების” მოსახლეობის მიერ უნდა განისაზღვროს (ოფიციალური დოკუმენტი № 43, გვ. 63).

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე აიკრძალა 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება და ალტერნატიული რეფერენდუმის დღედ 1991 წლის 31 მარტი დაინიშნა. დადგენილების თანახმად, რეფერენდუმზე გატანილ იქნა შემდეგი შეკითხვა: *თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?* (ოფიციალური დოკუმენტი № 43, გვ. 64). იმავე დღეს, კონტრზომის სახით, აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა საბჭომ გამოსცა სპეციალური დადგენილება აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე და მოქალაქეებს 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობისკენ მოუწოდა. დადგენილებამ საარჩევნო კომისიას რეფერენდუმის მომზადება დაავალა (ოფიციალური დოკუმენტი №36, გვ. 64).

აფხაზეთის სახალხო ფრონტი აიდგილარა საქართველოში 1991 წლის 31 მარტს დანიშნულ ალტერნატიულ რეფერენდუმს გამოეხმაურა. აიდგილარას თავმჯდომარე, სერგეი შამბა, აღნიშნავდა, რომ საქართველოში დანიშნული რეფერენდუმი და პარლამენტის მიერ მისი შედეგების დამტკიცება აფხაზი ხალხის ინტერესებს და მისწრაფებებს ვერ გამოხატავდა. მისი თქმით, “აფხაზეთის ბედი აფხაზებს უნდა განესაზღვრათ, ხოლო საბჭოთა კავშირის და აფხაზეთის კონსტიტუციები ამისთვის ყველანაირ საფუძველს ქმნიდნენ” (გაზეთი № 69). შამბამ დაგმო ავტონომიის იდეა, როგორც საქართველის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან „მოძველებული ყაიდის” და “სამარცხვინო” შეთავაზება. მან აფხაზეთის სტატუსის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსამდე ამაღლება და სუვერენული

ქვეყნის სტატუსი მოითხოვა; ასევე დაადასტურა სამეზობლოში ნებისმიერ სუვერენულ ერთობასთან ნორმალური კორიზონტალური ურთიერთობის შენარჩუნებისთვის მზაობა. შამბამ ყურადღება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ აფხაზეთი ვერ ჩაითვლებოდა საქართველოს ნაწილად, რადგანაც საქართველოს დამოუკიდებლობა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღდგა და იმ დროისათვის საქართველოსა და აფხაზეთს, როგორც მოლაპარაკების ორ თანასწორ მხარეს შორის, შეთანხმება არ არსებობდა; სპეციალური შეთანხმება მხოლოდ 1918 წლის ივნისში გაფორმდა (გაზეთი № 2). იმავე სულისკვეთებით იყო ზურაბ ახბა, აფხაზეთის სახალხო მოძრაობის – აიდგილარას – ხელმძღვანელის მოადგილე. მისი განცხადებით, [რადგანაც აფხაზები] “დამოუკიდებელი აფხაზეთის შექმნისათვის იბრძოდნენ, რეფერენდუმი აფხაზეთისთვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მიღების შანსს წარმოადგენდა” (გაზეთი № 12). ამგვარად, აფხაზი ელიტის ნაწილი მიიჩნევდა, რომ საკავშირო რეფერენდუმი აფხაზებს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებას მისცემდა, ე.ი. ისინი დარჩებოდნენ საბჭოთა კავშირში. საპირისპიროდ, რეგიონის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა და აფხაზეთში არსებული სხვა ეთნიკური ჯგუფები (მათი ინტერესების გამომხატველი სოციალური ორგანიზაციები) ცალსახად უარს აცხადებდნენ რეფერენდუმში მონაწილეობაზე და საკავშირო რეფერენდუმის დღეს უბნებზე გამოცხადებაზე.

ორი ალტერნატიული რეფერენდუმის ჩატარების საკითხი სერიოზულად განიხილებოდა და პრეზიდენტმა გამსახურდიამ 17 მარტის რეფერენდუმის საკითხზე 1991 წლის 15 მარტს სატელევიზიო გამოსვლისას მიმართა ქვეყნის მოსახლეობას. მისი განცხადებით, რეფერენდუმის ორგანიზატორები უგულვებელყოფდნენ საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომელიც 17 მარტის რეფერენდუმს უკანონოდ აცხადებდა საქართველოს ტერიტორიაზე; საბჭოთა კონსტიტუცია აფხაზეთის ასსრ-ს საქართველოს ფარგლებში აქცევდა და მის ტერიტორიაზე რეფერენდუმის ორგანიზება საქართველოს რესპუბლიკის პრეროგატივაში შედიოდა. ამგვარად, უგულვებელყოფილი იყო საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ-ის ძირითადი ნორმატივები. დოკუმენტურად იქნა დადასტურებული აფხაზეთის მოსახლეობის მექანიკური ზრდა (ადგილობრივ რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად აფხაზეთის ტერიტორიაზე ტურისტების და სამხედრო ნაწილების გადაყვანა რუსეთის ფედერაციიდან) (გაზეთი № 83). შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმის და მისი შედეგების კანონიერებაში ეჭვის შესატანად მრავალი მიზეზი არსებობდა მომზადების პროცესში და-

ფიქსირებული სერიოზული (იურიდიული და პროცედურული) დარღვევების გამო.

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს განცხადების თანახმად, 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაიმართა რეფერენდუმი,²⁹ რომელსაც აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეუერთდნენ. ამგვარად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარდა ორი რეფერენდუმი – საკავშირო და საქართველოს რესპუბლიკის (საქართველოს სსრ) მიერ ორგანიზებული.

რესპუბლიკების ერთმა ნაწილმა – საქართველომ, ლიტვამ, მოლდავეთმა, ლატვიამ, სომხეთმა და ესტონეთმა – მონაწილეობა არ მიიღეს საკავშირო რეფერენდუმში. 1991 წლის 22 მარტს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა სპეციალური რეზოლუცია და საქართველოს ავტონომიურ ტერიტორიებზე ჩატარებული რეფერენდუმების შედეგები გაუქმებულად გამოაცხადა. საქართველოს ტერიტორიაზე 17 მარტის რეფერენდუმის შედეგების გაუქმების მოთხოვნით სპეციალური დადგენილება გაეგზავნა საბჭოთა კავშირის რეფერენდუმის კომისიას (ოფიციალური დოკუმენტი № 35, გვ. 67). საბჭოთა კავშირის რეფერენდუმის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ვ.პ.ორლოვისადმი და საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, ვ.რაზმაძისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე 17 მარტის რეფერენდუმის ჩატარებისას დაფიქსირებული პროცედურული ნორმების დარღვევის და გადაცდომების მრავალი შემთხვევა; აგრეთვე რეფერენდუმის შედეგების გაყალბების ფაქტი (გაზეთი № 5). 1991 წლის 21 მარტს რეფერენდუმის შედეგები სცნო საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ და საკავშირო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტის დასრულება დაავალა (ოფიციალური დოკუმენტი № 44, გვ. 66).

საქართველოს რესპუბლიკის პირველმა ვიცე-გენერალურმა პროკურორმა ვ.გვარამიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს მეთაურს, ზვიად გამსახურდიას, წარუდგინა მემორანდუმი აფხაზეთის ტერიტორიაზე 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე საკავშირო რეფერენდუმის გამართვის იურიდიული საფუძვლების შესახებ. მემორანდუმში აღნიშნული იყო, რომ რეფერენდუმში საბჭოთა კავშირის და საქართველოს საკანონმდებლო პროცედურების სერიოზული დარღვევებით იქნა ორგანიზებული და ჩატარებული. სხვა მრავალ ფაქტს შორის, საუბარი იყო ისეთ დარღვევებზე, როგორცაა საარჩევნო უბნებ-

²⁹ რეფერენდუმის შედეგების თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეობა 147 მილიონმა მოქალაქემ მიიღო და მათგან 112 მილიონმა (67 %) საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი.

ზე საარჩევნო კომისიის წევრების თვითნებური შეცვლა, საარჩევნო კომისიის დასკვნით ოქმებს ხელს აწერდნენ ისეთი პირები, რომლებიც არ შედიოდნენ საარჩევნო კომისიაში, ხშირად თავად საარჩევნო კომისიის წევრები არღვევდნენ საარჩევნო პროცედურებს, ამომრჩეველთა რაოდენობა ხელოვნურად იყო შემცირებული 52 ათასი ამომრჩეველით, უმთავრესად აფხაზეთის ასსრ-ის ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე; რეფერენდუმის საორგანიზაციო პროცედურები ხელოვნურად იყო გართულებული გალის ოლქში, რომელიც მეტწილად ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული, საარჩევნო კომისიები სათანადოდ არ მუშაობდნენ და ა.შ. გარდა ამისა, აფხაზეთის ასსრ-ის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ მისცეს (რადგან მათი მონაწილეობა სრულიად შეცვლიდა რეფერენდუმის შედეგებს, დ.მ.) (გაზეთი № 81).

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში მოქმედი სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაციები განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის მნიშვნელობაზე. 1991 წლის 25 მარტს აფხაზეთის მოსახლეობისადმი სპეციალური მიმართვა შეიმუშავა *პელსინკის კავშირმა – ეროვნული ხსნის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონულმა ორგანიზაციამ*. მიმართვის ავტორები იმედოვნებდნენ, რომ ქვეყნის ეთნიკურად არა-ქართველი მოსახლეობა მხარში დაუდგებოდა ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას 1918 წლის 26 მაისის *დამოუკიდებლობის აქტის* საფუძველზე დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. *საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი* კი თავის მხრივ აღნიშნავდა, რომ “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა **ნაციისთვის** თავისუფალი განვითარების პირობებს შექმნიდა” (გაზეთი № 9). ამგვარად, ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციები ყოველმხრივ ცდილობდნენ საქართველოს მთელი მოსახლეობის შეკავშირებას და, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერთიანი ფრონტით გამოყვანას. იგივე ორგანიზაცია რეფერენდუმის საკითხს საერთაშორისო დონეზე გამოეპასუხა. მან სპეციალური პეტიცია გაუგზავნა გაეროს გენერალურ მდივანს, პერეს დე კუელარს, ზვიად გამსახურდიას და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს. პეტიციაში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამობდა 17 მარტის რეფერენდუმს და მას პოლიტიკურ ავანტიურად მიიჩნევდა. რეფერენდუმი ნეგატიურ მოვლენას წარმოადგენდა, რადგანაც, ერთის მხრივ, ის სეპარატისტებს და მათ მოსკოველ მფარველებს გარკვეულ იმედს უსახავდა; ხოლო, მეორეს მხრივ, ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაციას

წარმოადგენდა, რადგანაც მათ საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალებას არ აძლევდა (გაზეთი № 82, გვ. 2).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რეფერენდუმის საკითხი ასევე ინსტიტუციურად იყო განპირობებული, რადგანაც სსრკ-ს ცენტრს – მოსკოვს და მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრს – თბილისს მათი კონკრეტული უფლებები და მოვალეობები ჰქონდათ განსაზღვრული რეფერენდუმების ჩატარების დროს, რაც, შესაბამისი კონსტიტუციების თანახმად, მათ განსხვავებულ პასუხისმგებლობას განაპირობებდა. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ-ს მის ტერიტორიაზე რეფერენდუმის ორგანიზების და ჩატარების უფლება არ გააჩნდა ცენტრის, თბილისის, თანხმობის გარეშე, რომელსაც ის, საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ-ის და აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციების თანახმად, პირდაპირ ექვემდებარებოდა. საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება აფხაზეთის ასსრ-ის სეცესიურად განწყობილი ხელმძღვანელობისთვის დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის წამოწყების კარგ წინაპირობას წარმოადგენდა; ის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ალტერნატიული პოლიტიკური კურსის წარმართვის შესაძლებლობას ქმნიდა, რაც მოგვიანებით საქართველოსგან გამოყოფით დასრულდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ რეფერენდუმის ორგანიზება პოლიტიკური პროცესების შედეგად ცენტრისგან ინსტიტუციური გამიჯვნის პრეცედენტი იქნებოდა. ადგილობრივი ინსტიტუტები პოლიტიკურ ცხოვრებას ან ახალი კავშირის ფარგლებში წარმართავდნენ, რომლის შექმნაც საკავშირო რეფერენდუმის მიზანს წარმოადგენდა, ან მის გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოსგან გამოყოფის ოცნება პოლიტიკურ რეალობად უნდა ქცეულიყო.

2.6. ეკონომიკური საკითხები

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ ხელისუფლებას და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის ეკონომიკის სფეროში დაპირისპირება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში დაიწყო. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1990 წლის 19 აპრილს, სსრკ-ს პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა დაამტკიცა *საბჭოთა კავშირის კანონი საბჭოთა კავშირს, მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლების შესახებ*. ამ კანონის ძალით მოკავშირე რესპუბლიკებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს, საბჭოთა კავშირის კანონების მიღმა და მათს შესაბამისად, თითქმის თანაბარი უფლებები მიენიჭათ შესაბამის ტერიტორიებზე. მიღებული კანონის მე-7 მუხლი ავტონომიურ ერთეულებს მათ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრების და ბუნებრივი რესურსების დამოუკიდებელი მარ-

თვისა და განკარგვის უფლებას ანიჭებდა. მათ დამატებით რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საბიუჯეტო საკითხების დამოუკიდებლად მართვის, კერძოდ ფასების დადგენის და ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობის წარმმართველი ბრძანებების გამოცემის (მაგ. ლიცენზიების გაცემა), უფლება მიეცათ (ოფიციალური დოკუმენტი №20, გვ. 22-23).

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესმა მოკავშირე რესპუბლიკების და მათი ავტონომიური რეგიონების ეკონომიკური მდგრადობა ეჭვქვეშ დააყენა. საქართველოს სსრ-ის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია აქტიურად განიხილებოდა. 1989 წლის 6 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე, საწარმოების წარმომადგენლებს შეხვდა საქართველოს მომავალი ეკონომიკური პოლიტიკის განსახილველად. “მთელს რესპუბლიკაში სოციალური საკითხების მოგვარების და სტაბილიზაციის მიზნით გადაუდებელი ზომების მიღების აუცილებლობის” შესახებ მსჯელობისას აქტიურად განიხილეს აფხაზეთში მიმდინარე პროცესები (გაზეთი № 64, გვ. 1). რეალურად, ავტონომიური რეგიონის ეკონომიკური თვითკმარობა აფხაზეთ ელიტას კონფლიქტური ქცევისკენ უბიძგებდა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესმა საბჭომ გამოსცა სპეციალური დადგენილება აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ. ყველა საკავშირო და ავტონომიური დაქვემდებარების ქარხნები აფხაზეთის ასსრ-ის საკუთრებად გამოცხადდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებას ასსრ-ის მმართველი სტრუქტურები განკარგავდნენ.³⁰ აფხაზეთის სახელმწიფო სტრუქტურებმა აღწერეს მთელი სახელმწიფო ქონება და სამართავად სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს გადასცეს (ოფიციალური დოკუმენტი № 33, გვ. 85). აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს დადგენილებით შეიქმნა აფხაზეთის საბაჟო სამსახური (ოფიციალური დოკუმენტი № 30, გვ. 86).

ორივე ზემოთმოყვანილი რეზოლუცია ავტონომიური რეგიონის თბილისისგან დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნას ისახავდა მიზნად. 1991 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა სპეციალური რეზოლუცია, რომელიც რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის თაობაზე აფხაზეთის ასსრ-ის დადგენილებას აუქმებდა (ოფიციალური დოკუმენტი № 24, გვ. 86). დადგენილების თანახმად, აფხაზეთის საბაჟო სამსახურის შექმნა ეწინააღმდეგებოდა კანონს “საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შესახებ,” რომელიც 1991

³⁰ აფხაზეთი ავტონომიის მოსახლეობის დაახლოებით 1/6 შეადგენდნენ, თუმცა ისინი აკონტროლებდნენ რაიკომების სამდივნოთა პოზიციების თითქმის ნახევარს და პირველი მდივნების პოზიციებზე მნიშვნელოვნად სჭარბობდნენ ქართველებს; ისინი შეადგენდნენ სახელმწიფო მინისტრთა 67 პროცენტს და საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელთა 71 პროცენტს (ჩონელი 2002, გვ. 185).

წლის 15 სექტემბერს იქნა დამტკიცებული. ამ უკანასკნელის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოცემული კანონები თანაბარი ძალის მატარებელი იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ავტონომიური რეგიონები მათ ლოკალურ სტრუქტურებში განკერძოებულ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებდნენ. ამგვარად, საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება კრძალავდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რადგანაც ეს უკანასკნელი საქართველოს რესპუბლიკის კანონებთან მოდიოდა წინააღმდეგობაში (ოფიციალური დოკუმენტი № 39, გვ. 87).

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სტრუქტურა და საკუთრების მართვის სტილი აფხაზეთს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასგან მიმართებაში თავიანთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე პრეტენზიების გაცხადებისთვის სერიოზულ საფუძველს უქმნიდა. აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 24 მარტის № 46 დადგენილების თანახმად, საბჭოთა კავშირისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ქარხნები, ორგანიზაციები და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები პირდაპირ აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის დაქვემდებარებაში გადავიდა. დადგენილება აფხაზეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების ქონების დეტალურ აღწერას ავალებდა. ამ სიაში შესული ფინანსური და მატერიალური ქონება აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს გადაეცემოდათ (ოფიციალური დოკუმენტი № 13, გვ. 105-106).

საქართველოს სახელმწიფო საბჭომ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს № 46 დადგენილებას სპეციალური რეზოლუციით უპასუხა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ზემოთნახსენებ დადგენილებას არანაირი იურიდიული საფუძველები არ გააჩნდა და აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე მდებარე ეკონომიკური ქონება აფხაზეთის ასსრ მართვაში ვერ გადაეცემოდა, რადგანაც, უფრო ადრე, 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოსცა სპეციალური დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მთელი ქონების საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კაბინეტის დაქვემდებარებაში გადაცემასთან დაკავშირებით (ოფიციალური დოკუმენტი № 52, გვ. 110).

აფხაზეთში დაწყებული ეკონომიკური პოლიტიკა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ არსებული უფრო ფართო ეკონომიკური გათვლების ნაწილს წარმოადგენდა. 1991 წლის 5 მარტის სატელევიზიო მიმართებაში გამსახურდიამ ყურადღება გაამახვილა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შემოღებულ ეკონომიკურ ბლოკადაზე: “ეკონომ-

იკური და ენერგეტიკული ბლოკადა ცენტრის ხელში ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს” (გაზეთი № 55). გამსახურდიას თანახმად, მოსკოვის ტაქტიკა, მათ შორის ეკონომიკური პოლიტიკა და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სიტუაციის დაძაბვა, საქართველის ხელმძღვანელობაზე ზემოქმედებას ისახავდა მიზნად, რათა ის საბჭოთა კავშირის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე დაეყოლიებინათ. შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისადმი წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა. მას შემდეგ რაც რეგიონში მცირე მასშტაბის სამხედრო ინციდენტებმა იჩინა თავი, საქართველოს ხელისუფლებამ სიტუაციის სტაბილიზაციისკენ მიმართული ყოველისმომცველი ზომების გატარების ინიციატივით გამოვიდა. კომპლექსური დოკუმენტის მე-9 მუხლში აღნიშნული იყო: “აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასწრაფოდ უნდა გატარებულიყო ეკონომიკური რეფორმები. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს, აგრეთვე მიწის რესურსების და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს, უნდა შეემუშაებინა საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების უფლებების გამმიჯნველი ყოველისმომცველი გეგმა; ასევე უნდა დადგენილიყო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის კონკრეტული ნორმები და პრინციპები” (ოფიციალური დოკუმენტი № 89).

გასაკვირი არ არის, რომ აფხაზეთის ადგილობრივმა ელიტამ, სეცესიური პოლიტიკის გასაძლიერებლად, საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური სტრუქტურების გამოყენება დაიწყო; თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მზად იყო ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობისთვის, - არც გამსახურდიას და არც შევარდნაძეს, მათი პრეზიდენტობისას ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური საფუძვლების შეზღუდვა, ან შეკვეცა არ უცდიათ.

საბჭოთა ეკონომიკური მართვის სისტემა რეგიონში რეალურად წარმოქმნიდა კონკრეტულ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას, რომელიც თვით საბჭოთა კავშირის პერიოდშიც კი თბილისის კონტროლს მიღმა არსებობდა. ამ სტრუქტურებმა საკმარისი ეკონომიკური საფუძვლები შეუქმნეს გუდაუთაში კონცენტრირებულ სეცესიურ ჯგუფებს თბილისთან დაპირისპირებისთვის. ამავე დროს, საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან და გასასვლელი შავ ზღვაზე მათ ახალი ეკონომიკური კავშირების დამყარების საშუალებას აძლევდა, სულ მცირე რუსეთთან მაინც, რომელიც მათ ამ მხრივ არანაირ პრობლემას და შეზღუდვას არ უქმნიდა. 1990-იანი წლების ეკონომიკური უთანხმოებები თბილისსა და სოხუმს შორის დაპირისპირების მხოლოდ დასაწყისი იყო, ხოლო აფხაზეთს რეალურად გააჩნდა ალტერნატიული ეკონომიკური სივრცე რუსეთის ფედერაციის სახით. ცეცხლის

შეწყვეტის სხვადასხვა ხელშეკრულებების ძალით სეცესიურად განწყობილი აფხაზი ელიტებისთვის დაწესებული ეკონომიკური ბლოკადის გათვალისწინებით, აფხაზეთისთვის რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური მხარდაჭერის როლი დეტალურ ანალიზს მოითხოვს, რომელიც სცდება მოცემული ქვეთავის მიზანს.

აფხაზეთის კონფლიქტის ეკონომიკური სფეროს ანალიზის შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ნათელია ამ ასპექტის ფართო კონტექსტუალიზაციის აუცილებლობა: მხედველობაშია მისაღები საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის ეკონომიკური საფუძვლების შემზადება საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში; ეს პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, რომელიც საბჭოთა პერიოდის სხვადასხვა ეკონომიკური დადგენილებების გადასინჯვით ხასიათდებოდა და საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციების საფუძველზე წარიმართა. ეს პერიოდი შეიძლება განვიხილოთ რეგიონის პოსტკონფლიქტური (ადრეული 1990-იანი წლები) ეკონომიკური ცხოვრების ნაწილად. თუმცა, 2000-იანი წლებიდან შეიძლება ცალკე ეტაპის გამოყოფა, სადაც აშკარაა აფხაზეთის ძლიერი ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე და მათი თანამშრომლობა. ეს კავშირები კიდევ უფრო გაძლიერდა სოჭის ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობის დაწყებასთან ერთად და უაღტერნატივო გახდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რაზეც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი. თუმცა, აფხაზ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მართებულად შენიშნავს რუსეთის ფედერაციაზე აფხაზეთის ძლიერი დამოკიდებულების ნეგატიურ გამოძახილს და დამანგრეველ შედეგებს მათი ქვეყნის მომავალი სახელმწიფოებრიობისათვის; ისინი ასევე აღიარებენ, რომ არსებული დილემიდან – თბილისი, ან მოსკოვი – გამოსავალი არ არსებობს. პირველი მათგანი მათთვის არასასურველია წარსული ომის გათვალისწინებით, თუმცა მეორე არჩევანი არანაკლებ სახიფათოა აფხაზების თვითგადარჩენისთვის და სახელმწიფოებრიობისთვის (*იხ. თავი 5, ქვეთავი 5.2. საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია სეპარატისტული რეგიონებისადმი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: ოკუპირებული ტერიტორიები – ახალი ინსტიტუციური მექანიზმი?*).

2.7. სამხედრო ასპექტები

აფხაზეთის რეგიონში პოსტსაბჭოთა დაპირისპირების სამხედრო ასპექტები ერთ-ერთი ყველაზე საკამათო თემაა, ეს იქნება მეომარი მხარეების შეიარაღებით მომარაგება, რუსეთის ფედერაციის და ჩრდილო კავკასიელი მეზობლების მონაწილეობა კონფლიქტში, თუ საბჭოთა პერიოდის ადგილობრივი [რუსული] სამხედრო ბაზებიდან რეგიონში იარაღის გავრცელება. გოლცი (2009) 1990-იანი

წლების დასაწყისში მიმდინარე პროცესების აღწერისას შენიშნავს: “აფხაზეთში, ე.წ. სიამოვნების ინდუსტრიამ – სპა და სანატორიუმები, რომლებიც 1960-იან და 1970-იან წლებში საბჭოთა სამხედრო ოფიცრების დასვენებისთვის იყო განკუთვნილი, კურორტული (და უდაოდ ჭეშმარიტი სიყვარული) წარმოშვა დასასვენებლად ჩამოსულ საბჭოთა ოფიცრების კლასსა და აფხაზ ხელმძღვანელობას შორის, რამაც სერიოზული გავლენა და გამოძახილი ჰქოვა მომავალში” (გვ. 17).

ბლენკის (2009) მოსაზრების თანახმად კი, თავდაპირველ ეტაპზე რუსი სამხედროები გარკვეულწილად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში. ის ამტკიცებს, რომ “რუსეთის თავდაპირველი საქმიანობა საქართველოში, კერძოდ 1993-94 წლებში, ადასტურებს, რომ ამ პერიოდში რუსეთის შეიარაღებული ძალები უკონტროლოდ მოქმედებდნენ, ხოლო რუსეთის ადრეული პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროცესების ძირითად მამოძრავებელ ძალას სამხედროები წარმოადგენდნენ, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ” (გვ. 107-108).

საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის სამხედროები “დიდი გავლენით სარგებლობდნენ ახლო საზღვარგარეთში რუსეთის პოლიტიკის განსაზღვრაში” (ინტერნეტ წყარო № 81, გვ. 34); ხოლო 2006 წლის შემდეგ აფხაზეთში რუსი სამხედროების მოქმედების რადიკალურად განსხვავებული სურათი იხატება: შეინიშნება წინასწარგანზრახული, უფრო უკეთ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული რუსული სამხედრო მოქმედებები და მონაწილეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომით დამთავრდა (იხ. თავი მე-5).

მკვლევრების ერთი ნაწილი ეთნიკურ ჯგუფებს შორის იარაღის გავრცელებაზე ამახვილებს ყურადღებას და ეთნოსთაშორის დაპირისპირებების პროვოცირება-ხელშეწყობასა და აღმოცენებაში მათი როლის დადგენას ცდილობს.³¹ თუმცა, ცოტა მათგანი თუ განიხილავს “საბჭოთა კომუნისტური პარტიის სტრუქტურებიდან მემკვიდრეობით მიღებულ იმ არსებს, რომელთა საშუალებითაც აფხაზურ ელიტას ხელი მიუწვდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებზე და უშუალო კავშირში იყო სამხედრო პერსონალთან, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლაში მხარდაჭერის მისაღებად” (ჩ ორელი 2002, გვ. 266). არც ერთი ნაშრომი სიღრმისეულად არ განიხილავს 1991 წლის 22-23 თებერვალს რუსული სამხედრო ნაწილების აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ფაქტს, რომლის მიზანს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის რეკონსტრუქცია იყო და რაც საქართველის სუვერენიტეტის და ტერიტორიული უზენაესობის დარღვევას წარმოადგენდა (გაზეთი № 22). არსობრივად, იგივე მოხდა 2008 წლის აგვისტოს

³¹იხ. გური და ჰარგი (1994).

ომის წინ, როდესაც რუსეთის სამხედრო-ლოჯისტიკური დანაყოფი შეიყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე (საქართველო), ლესელიძესა და ოჩამჩირეს რეგიონს შორის რკინიგზის ხაზის რეკონსტრუქციის მიზნით (იხ. თავი 5). ამგვარად, ეს ორი ინციდენტი შეიძლება შეფასდეს როგორც შორეული მიზნების და შესაძლო შედეგების მქონე ორი იდენტური, შედარებითი მოვლენა. ორივე მათგანმა საფუძველი შეამზადეს საქართველოს ტერიტორიაზე ინტერვენციის განსახორციელებლად; ინფრასტრუქტურის მოსამზადებელი სამუშაოების შედეგად, ადგილობრივი აფხაზი სამხედრო ძალები უზრუნველყოფილ იქნენ რუსული სამხედრო მხარდაჭერით, რაც გადამწყვეტი იყო მათი წარმატებისთვის თითოეულ შემთხვევაში (აფხაზეთის ასსრ-ზე კონტროლის მოპოვებაში მდინარე ენგურამდე 1993 წელს და კოდორის ხეობის აღებაში 2008 წელს).

საბჭოთა კავშირის სტრუქტურა და ადგილობრივი საბჭოების ინსტიტუტები აფხაზეთის მმართველ სტრუქტურებს და ელიტებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხედრო საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის საშუალებას აძლევდა. ამან აფხაზებს ადგილობრივი სამხედრო ჯგუფების და “აფხაზური არმიის” შექმნის საშუალება მისცა, რომელიც ეფექტურად გამოიყენეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. 1991 წლის 27 ნოემბერს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: *სამხედრო რეზერვის შექმნის და აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი მობილიზაციის, და აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნის შესახებ* (ოფიციალური დოკუმენტი № 34, გვ. 91).³² ამ ორმა დოკუმენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აფხაზეთის საშინაო სამხედრო საქმეების წარმართვაში; განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც ადგილობრივი ელიტების განწყობა დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ იყო მიმართული და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მმართველობას უპირისპირდებოდა. შესაძლებელია ამ ორი დოკუმენტის მიღების აუცილებლობა სამხედრო სამსახურის გაგლის მსურველ აფხაზ მოქალაქეთა რიცხვის რადიკალურმა შემცირებამ გამოიწვია. გარდა ამისა, აფხაზეთის გენერალურ პროკურორს და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა იმ პიროვნებების იდენტიფიცირება, რომლებიც სამხედრო სამსახურის გაუქმებას ცდილობდნენ (გაზეთი № 46). პარალელურად, აფხაზეთის არ-ის უზენაესმა საბჭომ დაგმო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცემული ბრძანება საქართველოს შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარ-

³² 1992 წლის დასაწყისში ქართველმა დეპუტატებმა უკმაყოფილება გამოთქვეს არძინბას გადაწყვეტლებით ცალკე აფხაზური არმიის შექმნის გამო. იმავე წლის მაისში მათ ბოიკოტი გამოუცხადეს აფხაზეთის პარლამენტის სესიებს და 1992 წლის 30 ივნისს ქართულმა დეპუტაციამ დემონსტრაციულად დატოვა სესია და შენობის სხვა ნაწილში დაიწყო შეხვედრების გამართვა.

დიის – შექმნის შესახებ და საფუძვლად მოიტანა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დადგენილებები, რომლებიც სამხედრო დანაყოფების შექმნას და მათ იარაღით აღჭურვას გამოირიცხავდნენ (ოფიციალური დოკუმენტი № 32, გვ. 75).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთის რეგიონში სამხედრო მზადების კონტექსტში ორი ძირითადი მომენტი შეიმჩნევა. პირველი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი (შემდგომში ცნობილი როგორც რუსეთის ჯარები ამიერკავკასიაში) არ დაშლილა და უზარმაზარი ბიუროკრატიული ინსტიტუტის სახით შენარჩუნდა, რომლის სამხედრო მოსამსახურეები მჭიდრო კავშირში იყვნენ ავტონომიების ადგილობრივ ხელისუფლებასთან (ევლანაი 2006, გვ. 218). ამასთანავე, ცალკეული აფხაზეთი სამხედრო დანაყოფების იარაღით მომარაგების საკითხი ადვილად მოგვარდა საბჭოთა პერიოდიდან შემკვიდრეობით მიღებული არხების მეშვეობით. 1991 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა № 5482 და № 3697 საბჭოთა სამხედრო დანაყოფების ქონების, მიმე შეიარაღების და არტილერიის აფხაზეთის ასსრ-ის პირდაპირ დაქვემდებარებაში და მფლობელობაში გადაცემის დადგენილება გამოსცა (ოფიციალური დოკუმენტი № 29, გვ. 95-96). დამატებით, იმავე დღეს, აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების და № 57 ბრძანების თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებული სამხედრო და პოლიციური ძალების მართვისა და კოორდინირებისთვის დროებითი სამხედრო საბჭო შეიქმნა. № 5482 და № 3697 სამხედრო დანაყოფები ახლადშექმნილი სამხედრო საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ გადავიდნენ (ოფიციალური დოკუმენტი № 31; ოფიციალური დოკუმენტი № 22, გვ. 96). დამატებით, № 68087 სამხედრო დანაყოფის ქალაქ სოხუმში არსებული ქონება აფხაზეთის რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა (ოფიციალური დოკუმენტი № 51, გვ. 112-113). მაგალითისთვის, აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეთაურის № 64 დადგენილება მიმართავდა № 74545, № 10935, № 62329 რუსული სამხედრო ნაწილების მეთაურებს, ე.ნ.იგნატოვს, ვ.გ.პეტროვს და ა.ა.დოლგოპოლოვს და მათ განკარგულებაში არსებული შეიარაღების აფხაზეთის რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებისათვის გადაცემას ავალებდა (გაზეთი № 87). დადგენილებას ხელს აწერდა აფხაზეთის არ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა. აშკარაა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა (საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კანონებზე დაყრდნობით) რომელთა უმეტესობა ნელ-ნელა გაუქმდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ძალების საქართველოს უზენაეს საბჭოში მოხვლის შემდეგ, ხოლო, მეორეს მხრივ, აშკარა იყო აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი ხელისუფლების ღია სამ-

ხედრო მზადება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ეს სამხედრო მზადება ამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ როგორც 1992-93 წლებში, ისევე 2008 წელს, რეგიონში განხორციელებული ქმედებები არ წარმოადგენდა სპონტანურ რეაქციას და ისინი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი და წინასწარგანზრახული სამხედრო დაპირისპირების ნაწილი იყო.³³

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს (1991 წლის 29 დეკემბერი) გადაწყვეტილება უკანონოდ გამოაცხადა საქართველოს უზენაესმა საბჭომ, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოცემულ სამხედრო დადგენილებებს. ამ დროისთვის უკვე ჩამოყალიბებული იყო საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო; ამ სტრუქტურის მიღმა ნებისმიერი სამხედრო დანაყოფის შექმნა უკანონო და დაუშვებელი იყო, როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ასევე იურიდიული თვალსაზრისით. გარდა ამისა, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა აფხაზეთში სამხედრო სამსახურის არსებობას, ხოლო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტს არ ჰქონდა ამ სფეროსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება. ამგვარად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება უკანონოდ და გაუქმებულად გამოცხადდა (ოფიციალური დოკუმენტი № 42, გვ. 92-93). შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან უთანხმოების და ინსტიტუციური დაპირისპირების კიდევ ერთ ხაზს ქმნიდა. აფხაზეთში ცალმხრივი სამხედრო “მშენებლობა” ადგილობრივი ხელისუფლების სეცესიური მისწრაფებების სერიოზულ სიგნალს წარმოადგენდა. 1991 წლის 4 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოსცა სპეციალური დადგენილება და შეაჩერა აფხაზეთის ასსრ-ის 1991 წლის 27 ნოემბრის დადგენილება, რადგანაც ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციებს (გაზეთი № 90). მოგვიანებით, 1992 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყოფილი საბჭოთა არმიის შეიარაღება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოაცხადა. რეზოლუცია ასევე გმობდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა არმიის

³³ სამხედრო ასპექტების ანალიზისას ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზები ყურადღებას ამახვილებენ რუს გენერლებსა და ქართველ სარდალს – თენგიზ კიტოვანს შორის არსებულ მჭიდრო კავშირებზე. იმოწმებს რა ტრენინს, აკაბა (2011ბ) ამტკიცებს, “ცნობილი ფაქტია რუს გენერალ პავლე გრაჩოვსა და ქართველ სარდალ თენგიზ კიტოვანს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობები” (ინტერნეტ წყარო № 6, გვ. 9). თუმცა პიროვნული ურთიერთობები მაინც და მაინც არ იყო აუცილებელი სამხედრო შეიარაღების საშოვნელად, რადგანაც კავკასიაში “იარაღი დიდი რაოდენობით მოედინებოდა დაშლის პროცესში მყოფი საბჭოთა არმიის საცავებიდან. როგორც ახლადდამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოები, ასევე მათ წინააღმდეგ ამბოხებული სამხედრო დანაყოფები, ადვილად შოულობდნენ შეიარაღებას, იქნებოდა ეს იაფად შეძენილი, თუ ადვილად მოპარული საბჭოთა იარაღი” (*ოუპლდ & ძურჰერ* 2003, გვ. 253).

სამხედრო ქონების რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში გადაცემას, რადგანაც ეს ფაქტი ამ შეიარაღებაზე საქართველოს ხელისუფლების კანონიერ პრეტენზიებს და ინტერესებს არ ითვალისწინებდა (გაზეთი № 87).

აფხაზური სამხედრო შენაერთების მშენებლობის კონტექსტში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყოფილი საბჭოთა არმიის რუსული სამხედრო დანაყოფების მეთაურთა მიერ იარაღის და სხვა ტიპის სამხედრო საკუთრების თვითნებური განკარგვის ფაქტს (გაზეთი № 87). სავსებით შესაძლებელია, რომ ეს შეიარაღება საბოლოოდ სხვადასხვა სამხედრო შენაერთების და გასამხედროებული დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, აფხაზეთის და მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდნენ. ეს განსაკუთრებით მართებულია აფხაზურ სამხედრო ფორმირებებთან მიმართებაში, რადგანაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ არ გააჩნდათ სამხედრო შეიარაღების მიღების რაიმე ეფექტური წყარო, რუსული მხარის მიერ მიწოდების გარდა.³⁴ აფხაზეთში მოგვიანებით განვითარებული მოვლენების, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის აფხაზების სამხედრო შესაძლებლობების და მათ ხელთ არსებული შეიარაღების ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ ბრძანებას (იარაღის გადაცემის თაობაზე – დ.მ.) მსწრაფლ დაემორჩილნენ აფხაზეთში განთავსებული რუსული სამხედრო ნაწილების მეთაურები. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზოგადად პოსტტოტალიტარულ ტრანსფორმაციაში სამხედრო სფერო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ტრანსფორმაციის თავდაპირველ ეტაპზე სულ უფრო მზარდი იყო სამხედროების გავლენა და პირდაპირი ჩარევა პოლიტიკურ პროცესებში, რუსული სამხედროების ჩართვა აფხაზეთში მიმდინარე პოსტსაბჭოთა ლოკალურ პროცესებში სრულებითაც არ არის გასაკვირი.

აფხაზური შეიარაღებული ძალების ფორმირებას მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები. თუ კონფლიქტის საწყის ეტაპზე მხოლოდ მცირე კალიბრის პისტოლეტები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენებოდა, მოგვიანებით აფხაზური გასამხედროებული შენაერთების შეიარაღებაში გამოჩნდა ტანკები, ჯავშანმანქანები, საარტილერიო დანადგარები და საავიაციო სისტემები. სარწმუნო წყაროების თანახმად, № 643 რუსულმა სარაკეტო საარტილერიო დანაყოფმა 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზ სეპარატისტებს შემდეგი სახის შეიარაღება გადასცა: 984 შაშხანა, 267 პისტოლეტი, 18 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 600 სასიგნალო რაკეტა, 500-ზე მეტი

³⁴ამ საკითხზე გამოქვეყნებულ რამდენიმე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსული სამხედრო დანაყოფები ქართულ და აფხაზურ შენაერთებს პირდაპირ და არაპირდაპირ დახმარებას უწევდნენ 1992-94 წლებში. იხ: ლაკობა (2001). ზვერვეი (1996), გვ. 51-60; ჩერვონაია (1994).

ბომბი, სხვადასხვა სახის სამხედრო მანქანები, სამხედრო ფორმები, საკეები და საინჟინრო აღჭურვილობა.³⁵ ციურხერი (2006) აღნიშნავს, რომ “საქართველოს ეროვნული გვარდია და მხედრიონი სამხედრო აღჭურვილობას საბჭოთა (მოგვიანებით რუსული) არმიისგან იღებდა: 1992 წლის ივლისში ამ სამხედრო დანაყოფებმა ადგილობრივი რუსული სამხედრო ბაზებიდან 50 ტანკი მიიღეს” (გვ. 139-140). მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი დამატებითი ასპექტი, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხედრო ჩართულობას აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში განაპირობებდა: ამ მხრივ გადამწყვეტი იყო ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორი (ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ მე-3 თავი). ნოდია ამტკიცებს, რომ

“აფხაზეთის კრიზისმა ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კავკასიაში ნაციონალური განწყობის მზარდი ენერჯის მიმართულების შეცვლას, რომელიც, სხვა შემთხვევაში, რუსეთში იფეთქებდა. გარდა ამისა, მუსა შანიბოვი, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერი, ღიად დაემუქრა რუსეთის ხელისუფლებას, რომ თუ ისინი აფხაზეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს დაუჭერდნენ მხარს, მაშინ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები ჩეჩნეთს მიბაძავდნენ და რუსეთისაგან დამოუკიდებლობისთვის დაიწყებდნენ ბრძოლას” (ინტერნეტ წყარო № 81, გვ. 36).

შევნიშნავთ, რომ ადგილობრივი არალეგალური ფორმირებების შეიარაღება გაცილებით ადრე დაიწყო, კერძოდ 1989 წელს. 1989 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ სხდომაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე იარაღის არალეგალური გავრცელების საკითხი განიხილეს. მომხსენებლები უკმაყოფილონი იყვნენ მილიციის ადგილობრივი მაღალჩინოსნების ცალკეული მოქმედებებით. აღინიშნა, რომ შსს ოჩამჩირის რეგიონული განყოფილების თავდაცვის დანაყოფის მეთაურმა, პოლკოვნიკმა დ.შლარბამ სამშობლოს უღალატა. მოხსენების თანახმად, “1989 წლის 16 ივლისს, ადგილობრივი მცხოვრებლების კონკრეტულ ჯგუფებს დაურიგდათ თოფები და ტყვია-წამალი. ამ მოვლენას მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ განყოფილებებზე თავდასხმები” (გაზეთი № 91, გვ. 3). გატარებული კონტროლის შედეგად, მოსახლეობიდან ამოიღეს გატაცებული იარაღის 42.8 პროცენტი: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 70 პროცენტი, ავტომატების 76 პროცენტი, პისტოლეტების 38 პროცენტი, შაშხანების 72 პროცენტი და ორლულიანი თოფების 31 პროცენტი (გაზეთი № 91, გვ. 3). სხდომამ მიზანშეწონილად მიიჩნია სპეციალური ოპერატიული შტაბის შექმნა, რომელიც მოსახლეობ-

³⁵ იხ. გაზეთი №6.

იდან იარაღს ამოიღებდა, რადგანაც იარაღის დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ რჩებოდა მოსახლეობის ხელში.

1989 წლის აგვისტოს მიწურულს, აფხაზეთის ასსრ-ის მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე აღნიშნავდა, რომ 1989 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციისთვის ზოგიერთი პრევენციური ზომა იქნა მიღებული. მისი განცხადებით, “დაახლოებით 2123 პისტოლეტი და სხვა ცეცხლასროლი იარაღი იქნა ამოღებული მოსახლეობიდან, მაგრამ ეს ვერ მოაგვარებდა პრობლემას და დიდი რაოდენობით შეიარაღება რჩებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელში” (გაზეთი № 53). საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თავს დაესხნენ ადგილობრივი მილიციის შენობებს, საიდანაც გაიტაცეს დაუზუსტებელი რაოდენობის იარაღი და ტყვია-წამალი. შეიქმნა ამ ინციდენტების გამოსაძიებელი სპეციალური ოპერატიული კომისია (გაზეთი № 43, გვ. 4). საინტერესოა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: 1989 წლის 15 ივლისიდან “საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კონფისკაციას დაექვემდებარა 5.327 თოფი, მათ შორის 3 ავტომატური ცეცხლასროლი იარაღი, 122 ავტომატი, 38 პისტოლეტი, 210 შაშხანა, 1692 სანადირო თოფი და 922 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება” (გაზეთი № 44, გვ. 3). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით მთლიანობაში დაფიქსირდა რეგიონებში მილიციის განყოფილებებზე თავდასხმის 28 ფაქტი (გაზეთი № 15, გვ. 2).

1989 წლის 21 ივლისს გაიმართა კომუნისტური პარტიის ადგილობრივი კომიტეტის სპეციალური სხდომა, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელის, პოლკოვნიკ იური შატალინის და აფხაზეთის ასსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის მიხეილ ჩილკოვის მონაწილეობით. შატალინმა აღნიშნა, რომ “დოსააფის სკოლებიდან გატაცებულ იქნა 56 ავტომატური ცეცხლასროლი იარაღი, 40 პისტოლეტი, 33 შაშხანა, 55 მცირე კალიბრის შაშხანა, 5452 თოფი და 72650 ტყვია, რომელიც მოგვიანებით მოსახლეობაში დარიგდა. მოსახლეობიდან მხოლოდ ამ იარაღის მცირე ნაწილის ამოღება მოხერხდა” (გაზეთი № 67). ჩილკოვმა კი დასძინა, რომ დასავლეთ საქართველოში შექმნილი ზოგადი სიტუაცია ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მოსახლეობაში იარაღის გავრცელებაზე. ამ ტიპის ინციდენტები თითქმის ყოველდღე ხდებოდა 1989 წლის ივლისში.³⁶ აღსანიშნავია, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური რეზოლუციით 18-

³⁶ ის გაზეთები: *კომუნისტი*, № 168 (20509), 22.07.1989; *კომუნისტი*, № 167 (20508), 21.07.1989.

დან 40-წლამდე ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაცია გამოცხადდა (ოფიციალური დოკუმენტი № 41, გვ. 135).

ახლადჩამოყალიბებული ოპერატიული შტაბის უფროსად აფხაზეთის ასსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ვ.შადური დაინიშნა. დაისაჯნენ აფხაზეთის ასსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ იარაღის უკანონო გავრცელებაზე (გაზეთი № 91, გვ. 3). კინგი (2008) ამტკიცებს, რომ “ეს არადიარებული შენაერთები კარგად იყო დაცული ცალკეული სამხედრო ძალების მიერ, რათა მათ შესძლებოდათ სახელმწიფოს მხრიდან დარტყმის მოგერიება ... მათი რიცხვი 500-დან 5000-მდე მერყეობდა ... და ყველა მათგანის განკარგულებაში იყო ჯავშანშეიარაღება და აღჭურვილობა, რომელიც ან საბჭოთა შეიარაღებული ძალებისგან მიიღეს მემკვიდრეობით, ან რუსეთისგან, ან საერთაშორისო ბაზრებზე შეიძინეს” (გვ. 218-219). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული მონაცემები ადასტურებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი არალეგალური გასამხედროებელი ფორმირებების ხელში იარაღის მოხვედრის და ფართოდ გავრცელების კინგისეულ ვარაუდს და შეფასებას.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთში, გიორგი ხაინდრავა, 1992 წლის 4 ნოემბრის მოხენებაში აღნიშნავდა, რომ რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალები ბომბავდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო ნაწილების პოზიციებს. ის ასევე აფიქსირებდა სამხედრო თვითმფრინავის ნომერს - № 47271, რომელიც გუდაუთას მხრიდან გამოჩნდა ცაში (გაზეთი № 31, გვ. 1). აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილების მონაწილეობა კონფლიქტში სულ უფრო ცხადი ხდებოდა. ამ მოვლენების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 25 თებერვალს გამოსცა სპეციალური დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილების შესახებ. დადგენილების თანახმად, “დაუშვებლად იქნა მიჩნეული რუსეთის სამხედრო შენაერთების შემდგომი ყოფნა აფხაზეთში, ხოლო ამავე დროს საქართველოს პარლამენტს რუსული სამხედრო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის საკითხზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების წარმოება დაევადა” (გაზეთი № 45, გვ. 1).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება თავის განცხადებაში ძალზედ ფრთხილად ეკიდებოდა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში რუსეთის მონაწილეობის საკითხს, რადგან შევარდნაძე რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას ცდილობდა. მისი განცხადებით, “საქართველოს წინაშე არ-

სებული სიძნელეების მიუხედავად, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქმედებებით იყო გამოწვეული, საქართველოს უნდა მოეძებნა ამ ქვეყანასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გზები” თუმცა, შემოფოტებული იყო გაეროსადმი რუსეთის მიერ წაყენებული მოთხოვნით, რითაც ცდილობდა “სპეციალური უფლებების მიღებას სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკების წინააღმდეგ სადამსჯელო ზომების გასატარებლად” (გაზეთი № 25, გვ. 1).

საქართველოს და აფხაზეთის შსს სამინისტროების ცნობები აჩვენებს თუ როგორ ხდებოდა სამხედრო შეიარაღების გავრცელება აფხაზეთის და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ მხარდაჭერილი აფხაზეთის მილიტარიზაცია 1990-იან წლებში დასაწყისშიც გაგრძელდა. როგორც გაჩეხილაძე (1998) აღნიშნავს, “ის ფაქტი, რომ აფხაზეთმა შესძლო არმიის შენარჩუნება, იმ დროს როდესაც ეკონომიკა ძირითად მეფერმეობის და სანქციების პირობებში არსებობდა, გვაფიქრებინებს, რომ რეგიონი დამოკიდებული იყო მნიშვნელოვან არაოფიციალურ და გარე (არაჰუმანიტარულ) დახმარებაზე, რამაც აფხაზეთს სამხედრო პოტენციალის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა” (ინტერნეტ წყარო № 28, გვ. 56).

სამხედრო ასპექტების ანალიზისას ალექსანდრო პეტერსენი ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისადმი რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური წრეების არაერთგვაროვან დამოკიდებულებაზე. პეტერსენი (2008) ამტკიცებს, რომ “ელცინი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო პოზიტიურად იყო განწყობილი შევარდნაძის მოქმედებებისადმი [აფხაზეთში], თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები მერყეობდნენ თავიანთ ღოიადობებში, ხოლო აფხაზეთში განლაგებული [რუსული] სამხედრო ნაწილების მეთაურები აფხაზეთისადმი იყვნენ სიმპატიურად განწყობილნი. ისინი აფხაზეთის ჩრდილოკავკასიელი მოკავშირეების წვრთნასა და აღჭურვაში დებულობდნენ მონაწილეობას” (გვ. 198). ავტორი ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებს, რომ რუსული თვითმფრინავების მიერ სოხუმის დაბომბვის პარალელურად რუსეთის სხვა სამხედრო ნაწილები ქართულ სამხედრო შენაერთებს აწვდიდნენ შეიარაღებას (გვ. 198) ... ხოლო მოსკოვის ქაოტური მონაწილეობა არასტაბილური ტრანზიციის პროცესში მნიშვნელოვანწილად ხსნის 1992 წლის აგვისტოში ომის გაჩაღების მიზეზებს (გვ. 199).

აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს სხვადასხვა დადგენილებების და ბრძანებულებების ანალიზი აჩვენებს, რომ მემკვიდრეობით მიღებულმა საბჭოთა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზი ელიტების მხრიდან რეგიონში სამხედრო პოზიციების განსამ-

ტკიცებლად. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში მოსკოვში პოლიტიკურ და სამხედრო წრეებს შორის წარმოშობილმა განხეთქილებამ და მათმა განსხვავებულმა თუ ორაზროვანმა პოზიციამ აფხაზეთთან (და მთლიანად საქართველოსთან) მიმართებაში, დამატებითი სტიმული მისცა რეგიონში გაჩაღებულ სამხედრო “მშენებლობას.” აშკარა იყო იარაღის უკონტროლო გავრცელება რეგიონში, რაზეც პასუხისმგებლობა შეიძლება მოსკოვის საბჭოთა მემკვიდრეობას დაეკისროს. ჩემი აზრით, მნიშვნელობა არ აქვს თუ როგორ ვრცელდებოდა იარაღი და ვინ ღებულობდა მას. ამ ქვეთავმა წარმოაჩინა ის რეალური წყაროები და არსები, რომელთა მეშვეობითაც აფხაზეთი სამხედრო ნაწილები მარაგდებოდნენ უშუალოდ ომის დროს და ომის წინა პერიოდში. ეს მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს რეგიონში სამხედრო მშენებლობის საკითხის გასააზრებლად. ეს პროცესი წარმართა მემკვიდრეობით მიღებული საბჭოთა ინსტიტუტების მეშვეობით (პოლიტიკური და სამხედრო, 1990-იანი წლების დასაწყისში) და უფრო ღია და “გამჭვირვალე” გახდა 2000-იანი წლებიდან. სწორედ ამ პერიოდშიდან აშკარა გახდა აფხაზეთისადმი განუხრელი რუსული მხარდაჭერა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრდა.³⁷

ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორც იკვეთებოდა ქართულ და აფხაზეთურ ელიტებს შორის კონფლიქტის შტრიხები საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში და როგორ გადაიზარდა ის რეალურ კონფლიქტში მისი დაშლის შემდეგ. კონფლიქტური ურთიერთობის თითოეული შტრიხის წარმოშობა შესაძლებელი გახდა საბჭოთა პერიოდის ურთიერთდაკავშირებული და, ამავე დროს, ურთიერთგამომრიცხავი ქართული და აფხაზეთი ეთნიკური უფლებების (საბჭოთა პერიოდი) და მათი მანიპულირების (პოსტსაბჭოთა პერიოდი) მეშვეობით. კონსტიტუციური დაპირისპირება ინსტრუმენტული იყო ეთნოსთაშორისი პრეტენზიების ჩამოყალიბებაში, რაც სხვადასხვა აფხაზეთურ და ქართულ კონსტიტუციებს ეფუძნებოდა. თუმცა, ამ კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ არ არსებობდა რაიმე ნორმატიული საფუძველი საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფისთვის. საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდის არც ერთ კონსტიტუციას ეჭქვეშ არ დაუყენებია აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოს ფარგლებში. დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუცია აფხაზეთის სტატუსის საკითხს ღიად ტოვებს სამომავლო განხილვისათვის. ამგვარად, დატოვებულია სივრცე მხარეებს შორის მომავალში მოლაპარაკებების წარმოებისთვის.

³⁷ იხ. ასმუსი (2010); კორნელი და სტარი (2009); დე ვაალი (2010).

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის მიერ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ინიცირება, მოკავშირე რესპუბლიკებში მზარდი ნაციონალური მოძრაობების პირობებში, თბილისსა და სოხუმში მყოფი ელიტებს შორის ურთიერთობის დაძაბვის კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორი იყო. ელიტების პრეტენზიების საფუძველები მოიძებნა რეგიონის საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, საიდანაც ინტელექტუალები აქტიურად ჩაერთნენ აფხაზეთის იდენტობის, ასევე მათი კულტურული და თვითგამორკვევის უფლებების თაობაზე წამოწყებულ დაპირისპირებაში. ამავე დროს, რეგიონის ეკონომიკური ინფრასტრუქტურა აფხაზეთის სამომავლო თვითკმარობის ძლიერ წინაპირობებს ქმნიდა. და ბოლოს, საბჭოთა სამხედროების არსებობა რეგიონში ის ნაპერწკალი აღმოჩნდა, რომელმაც ბიძგი მისცა ეთნოსთაშორისი კონფლიქტის დაწყებას 1992 წლის 14 აგვისტოს.³⁸

შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ქართულ-აფხაზეთური დაპირისპირების ყველა ასპექტი ინსტიტუციურად იყო კონსტრუირებული და ლიმიტირებული; ე.ი. საბჭოთა ინსტიტუციურ მემკვიდრეობას ეფუძნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ წარმოქმნიდნენ პოსტსაბჭოთა აფხაზეთური ელიტების მიერ წამოყენებული პრეტენზიების რაიმე ლეგალურ საფუძველს (განსაკუთრებით 1990-იანი წლების დასაწყისში), ყველა მათგანი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ქართულ-აფხაზეთური ურთიერთობების გაუარესებას პოსტსაბჭოთა პერიოდში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ისინი წარსულზე დამოკიდებულებით ხასიათდებოდნენ და, ამგვარად, წარმართავდნენ კიდევ დაპირისპირებას; ამ ფაქტორებმა ნიადაგი შეამზადეს ქართულ-აფხაზეთური დაპირისპირებისთვის 1990-იანი წლების დასაწყისში და განაპირობეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. მართალია მეოთხედი საუკუნე გავიდა ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის მომხდარი პირველი ინციდენტიდან და ევრაზიის ბოლო იმპერიის, საბჭოთა კავშირის, დაშლიდან, თუმცა მისი ინსტიტუციონალიზებული ეთნოპოლიტიკური და სამხედრო მემკვიდრეობის გავლენა ჯერ კიდევ ძლიერ იგრძნობა რეგიონში.

³⁸ აფხაზეთში სიტუაციის უკიდურესად დაძაბვის პარალელურად სპეციალური განმარტებითი წერილი გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის პრესსამსახურმა. ჭერილში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ომი არ შეიძლებოდა მოხსენიებულიყო როგორც დაპყრობა, რადგანაც არ არსებობდა პრეცედენტი, რომ სახელმწიფოს მისი საკუთარი ტერიტორია დაეპყრო. ამგვარად, ეს არგუმენტი და ამის მტკიცება, უბრალოდ უაზრობა იყო. ამავე დროს, აფხაზეთი ვერ მოახერხებდა საკუთარი ბედის განსაზღვრას საერთაშორისო კანონების მიხედვით, რადგანაც მისი ბედი უკვე გამორკვეული იყო 1918 წელს, როდესაც მან საკუთარი ავტონომიური ერთეული შექმნა საქართველოს [დემოკრატიული] რესპუბლიკის ფარგლებში. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლების მიზანი არ იყო აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმება. სოხუმში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი ხელისუფლების შექმნა, რომელიც გუდაუთელი სეპარატისტების მიზნების გაცხადებას მოჰყვა, ადასტურებს ამ მოსაზრებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ეთნიკური აფხაზები ასევე შედიოდნენ ამ დროებითი ხელისუფლების შემადგენლობაში (იხ. გაზეთი № 77, გვ. 2).

თავი 3. კონფლიქტური ქართულ-აფხაზური იდენტობების ჩამოყალიბების და შენარჩუნების ინსტიტუციური ბუნება

შესავალში მოკლედ აღინიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოთა ინსტიტუტებსა და ქართულ-აფხაზური იდენტობების კონტექსტში ისტორიის ინსტრუმენტალიზაციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა კონფლიქტური ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ინსტიტუციური აქტორები (რომლებიც პოლიტიკურ და კულტურულ სტრუქტურებს წარმოადგენდნენ) ძირითად მოქმედ პირებად გვევლინებოდნენ კონფლიქტის ლატენტურ და აქტიურ ფაზაში. ჯონსი (2006) აღნიშნავს, რომ “საბჭოთა სახელმწიფო წარმატებით მანიპულირებდა ქართული ნაციონალიზმის ტრადიციული კონცენტრირებით კულტურულ საკითხებზე, განსაკუთრებით ენასა და ლიტერატურაზე. ქართული ნაციონალიზმი კულტურულ ფენომენად რჩებოდა და მხოლოდ *პერესტროიკასთან* და აფხაზური და სამხრეთ ოსური სეცესიის კვალდაკვალ გადაიქცა პოლიტიკურ მოძრაობად და გამოწვევა გაუგზავნა საბჭოთა სახელმწიფოს” (გვ. 256).

ამ თავში განხილულია კავშირები იდენტობას, ისტორიულ ნარატივებსა და ინსტიტუტებს შორის; წარმოჩენილია თუ როგორ უწყობდნენ ხელს ინსტიტუტები ახალი იდენტობების აღმოცენებას და როგორც ხდებოდა საბჭოთა ინსტიტუციური მემკვირეობის გამოყენებით ამ იდენტობების კონფლიქტური ბუნების ჩამოყალიბება. თუ აფხაზეთის შემთხვევაში კარგად არის შესწავლილი ურთიერთმიმართება ისტორიულ ნარატივებსა და ისტორიის ინსტრუმენტალიზაციას შორის, ისევე როგორც პოლიტიკასა და ისტორიას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება, დღემდე სათანადო ყურადღება არ მიქცევია ინსტიტუტების გავლენას ნარატივების ინსტრუმენტალიზაციაზე, ასევე მათი შემქმნელების და გადამწერების მოქმედებებსა და მათ ზოგად საქმიანობაზე.

3.1. ინსტიტუტების როლი კონფლიქტური ნაციონალური იდენტობების ფორმირებაში

1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში განვითარებული პროცესები ნაციონალიზმის და ეთნიკურობის კვლევებში არსებული ორი ძირითადი ცნების – *სახელმწიფოსა* და *ნაციის* ნაზავის გარშემო კონცენტრირდა. ადგილობრივი აფხაზური ელიტა და მათი მოკავშირეები, საკუთარი დამოუკიდებელი ერი-სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძოდნენ, ხოლო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება რესპუბლიკის ფარგლებში ფართო პო-

ლიტიკურ-კულტურული უფლებების გარანტიების შეთავაზებით მათი სეცესიური მისწრაფებების განეიტრალებას ცდილობდა. იმ პერიოდის ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკას (ქართველი ერის სახელმწიფო) და ადგილობრივ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის (აფხაზი ერის/ეთნიკური ჯგუფის სამშობლო), კარგად წარმოჩინდება კონორის (1972) სიტყვებში, რომელიც აღნიშნავს: “[...სახელმწიფო], როგორც იურიდიული ცნება, საერთო პოლიტიკური ინსტიტუტების და ეფექტური ხელისუფლების მეშვეობით ორგანიზებულ, კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურ ჯგუფს ეწოდება. საპირისპიროდ, ნაცია განისაზღვრება როგორც სოციალური ჯგუფი, რომელსაც გააჩნია საერთო იდეოლოგია, ინსტიტუტები და ტრადიციები და ერთიანობის განცდა ... ნაცია შეიძლება სახელმწიფოს ნაწილს მოიცავდეს, ემთხვეოდეს სახელმწიფოს, ან ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცდებოდეს” (გვ. 333).

ამგვარად, წარსული ისტორიის ინტერპრეტირების და შესაბამისი პოლიტიკური ერთეულის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ინსტიტუტების (ეფექტური ხელისუფლება) მანიპულირებით შესაძლებელი გახდა ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის გაჩაღება. როგორც როჯერს ბრუბაკერი (1996) შენიშნავს, “სახელმწიფოს ცნება, როგორც კონკრეტული ნაციის სახელმწიფოსი, პოლიტიკური სივრცის ორგანიზების ძირითად საშუალებად იქცა” (გვ. 3), მაშინ როდესაც, ვიქტორ ზასლავსკის (1992) მართებული შენიშვნით, “ეთნიკურობა ინსტიტუციონალიზებული იყო ჯგუფურ დონეზე, ეთნოტერიტორიული ფედერაციული ერთეულების შექმნით, რომელთაც ადმინისტრაციულ იერარქიად ორგანიზებული ადგილობრივი პოლიტიკური ელიტები მართავდნენ” (გვ. 99).

ადგილობრივი აფხაზური ელიტა და მათი მოკავშირეები საკუთარი, დამოუკიდებელი ერი-სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძოდნენ, ხოლო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აფხაზებს პოლიტიკურ-კულტურული უფლებების გარანტიებს სთავაზობდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ საზღვრებში. აფხაზთა ხელთ არსებული კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტების რესურსები კიდევ უფრო ამძაფრებდა ამგვარი მიკუთვნებულობის, მიჯაჭვეულობის და მესაკუთრეობის გამოხატვას, რამაც ავტონომიურ რეგიონში პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტების ურთიერთგადაჯაჭვის და ურთიერთშერევის გამო ძალადობრივი ფორმა შეიძინა. ბრუბაკერი (1996) აღნიშნავს, რომ “სახელმწიფოს ცნება, რომელიც მას როგორც კონკრეტული ერის სახელმწიფოდ მოიაზრებს – პოლიტიკური სივრცის ხელახალი წარმოსახვისა და რეორგანიზების საფუძვლად იქცა” (გვ. 3). ავტორის აზრით, “საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ნაციონალური ბრძოლები არ წარმოადგენდნენ და არც ახლა წარმოადგენენ ნაციების ბრძოლას; არამედ ისინი ინსტიტუციურად კონ-

სტრუირებული ნაციონალური ელიტების დაპირისპირებაა; სწორედ ინსტიტუციურად განპირობებული ელიტები უპირისპირდებიან მეტოქე ეთნიკური ჯგუფის ელიტებს” (გვ. 25). ამ ქვეთავში ნაჩვენებია ინსტიტუციონალიზებული ელიტების მიერ ისტორიული ნარატივების გამოყენება აფხაზეთში გაჩაღებულ დაპირისპირებაში, რაც არსებულ ლიტერატურაში მეტწილად ქართულ-აფხაზური ეთნიკური ჯგუფების დახლეჩილი და დანაწევრებული წარსულის შედეგად განიხილება.

ვიზიარებთ ციგანკოვის (2001) მოსაზრებას, რომელიც გვირჩევს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ *ნაციონალური იდენტობა* და *ეთნიკური იდენტობა*: “ეს უკანასკნელი აღნიშნავს ეთნიკური ჯგუფისადმი ღოიადობას და მიჯაჭვულობას, და მას შეიძლება საერთო არაფერი არ ჰქონდეს სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ნაციონალური იდენტობის აღმოცენებას და შენარჩუნებას განაპირობებენ” (გვ. 15-16). ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ინსტიტუტების როლი კონფლიქტური *ნაციონალური იდენტობების* ფორმირებაში; ინსტიტუტები განამტკიცებენ ნაციონალურ იდენტობებს და ხელს უწყობენ კონფლიქტური ხასიათის მქონე სხვადასხვა მნიშვნელობების ფორმირებას და გავრცელებას. ახალი მნიშვნელობების და იდენტობის სტრუქტურები ხელსაყრელი ინსტიტუციური ზომების, განმეორებითი ისტორიის მაქინაციის და პოლიტიკური “მთარგმნელების” საქმიანობის შედეგად ყალიბდება. ეს წარმოადგენს ისტორიული მაქინაციების და ინსტიტუტების გამბიტს, რომელმაც “შეიძლება იდენტობის მეტ-ნაკლებად კონსოლიდაციას შეუწყოს ხელი, და, ამგვარად, ნაციონალური იდენტობის და მისადმი წარმოშობილი საფრთხის გამოცნობის კონტექსტში გაანალიზდეს” (თსუგანკოვ, 2001, გვ. 23). ზოგადად, ეთნიკური იდენტობის ნაციონალურ იდენტობად გარდაქმნა ეთნიკური ჯგუფების ინსტიტუციური მახასიათებლების კრისტალიზაციის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

აფხაზეთში საბჭოთა ინსტიტუტების ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვნად განაპირობა აფხაზების, როგორც ეთნიკური ჯგუფის, ქართველებისგან განცალკევება. ამავე დროს, ამ პროცესმა, საერთო წარსულის საპირისპიროდ, კიდევ უფრო გამოკვეთა არსებული განსხვავებები, რასაც უკვე ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნდა, როგორც საბჭოთა კავშირის შექმნის, ასევე მისი დაშლის დროისთვის. თუმცა, 70 წლიანი საბჭოთა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ასევე არ შეეძლო გადაეღახა საუკუნეობრივი თანაცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებები ქართველებსა და აფხაზებს შორის ისტორიულად შეიგრძნობოდა, ამ ფაქტორს ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის არასდროს გამოუწვევია კონფლიქტი სახელმწიფოს შიგნით. ამგვარად, 1990-იანი წლების დასაწყისის კონფლიქტური პროცესები შეიძლება აიხსნას როგორც ტრანზიციის პროცესში იდენტობის კრი-

ზისის შედეგი: “სადაც ერთ დროს გაბატონებული იყო იდენტობის პოლიტიკა და ოდესღაც ძველი სოციალური კონტრაქტის ინსტიტუტები დასუსტდნენ, კულტურული კონფლიქტური განსხვავებები და თვით ძალადობაც კი, კიდევ უფრო გაიზარდა” (ჩრწუნდ 1998, გვ. 2). ჩემი აზრით, და ეს კვლევისთვის შერჩეული ცვლადების ანალიზმაც დაადასტურა, საბჭოთა ინსტიტუციონალიზებულმა განსხვავებებმა კონფლიქტური იდენტობების კრისტალიზაცია და ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირება განაპირობა, მეტწილად იმიტომ, რომ თვით ეს პროცესი საბჭოთა ინსტიტუციურ (ძირითადად პოლიტიკურ და კულტურულ) სტრუქტურებში წარიმართა. თუმცა, გარკვეული ახსნა უნდა მოეძებნებოდეს აფხაზების ქართველებისაგან გაუცხოებას და რუსეთთან დაახლოებას. ხაინდრავა (2011b) ამტკიცებს, რომ “აფხაზების ქართველებისადმი შიშს და აფხაზურ ნაციონალიზმს საკუთარი ფესვები, რესურსები და ტრადიციები გააჩნია, რაც ხშირად მოსკოვს და მოსკოვის ‘იმპერიალიზმს’, არ უკავშირდება. ამგვარად, აფხაზების არგუმენტი, რომ ქართველების არაშორსმჭვრეტელური მოქმედებები თუ დაუდევრობები მუდმივად უბიძგებდა აფხაზებს რუსეთისაკენ, არც თუ უსაფუძვლოა” (ინტერნეტ წყარო № 55, გვ. 10).

აფხაზების ეთნიკური მობილიზაცია არ წარმოადგენდა ძნელ ამოცანას; ენტონი მარქსის (2002) თანახმად, “ჯგუფური ცნობიერება [...] ოფიციალური პირებისა და ელიტების მიერ კონსტრუირდება, რომლებიც მიმართავენ ისტორიის შერჩევით გამოსხმობას რათა მიაღწიონ ლეგიტიმაციას და მიზანმიმართულად დაივიწყონ წარსულის თუ აწმყო შიგა დაპირისპირების არასასურველი გამოცდილება. ერთიანი იდენტობის განცდა, გამაერთიანებელი ეთნიკურობა და ერთიანი ენა ნელ-ნელა იქნა გამოგონებული, კონსტრუირებული და გამყარებული, ხშირად ექსპლიციტურადაც, რაც სოციალური შეთანხმებულობის გაძლიერებას უწყობდა ხელს” (გვ. 105).

აფხაზეთის შემთხვევა კარგად ჯდება ციგანკოვის (2001) მიერ შემოთავაზებულ ნაციონალური იდენტობების ინსტიტუციონალიზაციის პროცესში: “ნაციონალურმა ტრადიციებმა, ისტორიებმა, ეთნიკურმა შემადგენლობამ, და ჰომოგენურობამ, რომლებიც ინსტიტუციური სტრუქტურების მეშვეობით იყო გამყარებული, ნაციონალურ ფორმულაში ან გარე გამოწვევებისადმი პასუხის სტრატეგიაში პპოვა გამოხატულება” (გვ. 17). მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური ნაციონალიზმის გამოვლინება საბჭოთა იმპერიის დასასრულს დაემთხვა და ამ ფაქტმა თავად აფხაზური ნაციონალიზმის წარმოშობის ამხსნელ მრავალ კონსტრუქტს დაუდო საფუძველი, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ “იდენტობები შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული ორგანიზაციის კონტექსტში და ნაციონალიზმი თა-

ვად არის სტრუქტურული და სტრუქტურირებადი ფენომენი; ამ ფაქტს კი სათანადო ყურადღება ჯერ არ მიქცევია ... ამგვარად, ნაციონალური ქმედება გააზრებულ უნდა იქნეს როგორც აზროვნების ნაციონალისტური ფორმის გამოსატყულება, რომელიც წინ უსწრებდა ნაციონალური მოქმედებების დაწყებას” (ეძსანგერ 2002, გვ. 9).

3.2. ინსტიტუტები და ისტორიის პოლიტიკური გადაწყვერის მოთხოვნილება

ეთნოსთაშორისი კონფლიქტური პრეტენზიები აფხაზური (და რა თქმა უნდა ქართული) საისტორიო ნარატივების, ისტორიის სახელმძღვანელოების, პოლიტიკური დისკურსის და იდენტობის მარკერების რეინსტიტუციონალიზაციით გამოიხატა. ამგვარად, ელიტების სურვილები და მოქმედება ადვილად გარდაიქმნა ნაციის დაცვისთვის გასატარებელ აუცილებელ ზომებად. აფხაზეთის შემთხვევაში ეს ისტორიის პოლიტიკური გადაწყვერის მეშვეობით განხორციელდა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას დაიწყო და რომელიც ადგილობრივი პოლიტიკური და სამხედრო ელიტების მიერ, ისტორიკოსებთან და ინტელექტუალებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ცალკეული პოლიტიკური მიზნებისათვის იქნა გამოყენებული. ეს უკანასკნელი კი დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობის ისტორიულ გამართლებაზე ზრუნავდნენ.

საქართველოს შემთხვევაში კიდევ ერთი ასპექტი უნდა იქნეს გათვალისწინებული. ცენტრალური ხელისუფლება თავად ნაციონალურ განწყობაზე იყო და ამგვარად, გარკვეულწილად, უპირისპირდებოდა ნაციონალურ უმცირესობებს. ეთნიკური უმცირესობები ძალაუვნებურად რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ნაციონალური ლოზუნგების სამიზნეები აღმოჩნდნენ. ისინი სეპარატიზმში და რუსეთთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს. საპასუხოდ, ნაციონალური გრძნობები გამწვავდა ავტონომიური სტატუსის მქონე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე. ამგვარად, ორი ნაციონალური ტენდენცია დაუპირისპირდა ერთმანეთს, თუმცა მათ შორის არსებობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი და არსობრივი განსხვავება: პირველი – ეთნიკური უმცირესობების ნაციონალური მოძრაობა – პოლიტიკურად იყო მოტივირებული და ძლიერ გარე ზეგავლენას განიცდიდა. სჩაიჩი (2005) ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, როგორც აფხაზეთმა, ასევე ქართველებმა, ძლიერი ნაციონალური გამოცოცხლება განიცადეს. რადგანაც ორივე ეთნიკური ჯგუფი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ცდილობდა, კონფლიქტი აფხაზეთის პოლიტი-

კური სტატუსის საკითხის წამოჭრით დაიწყო (ინტერნეტ წყარო № 97). ჩემის მხრივ კი დაეძინა, სწაიხი ყურადღების მიღმა ტოვებს ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, რაც პრობლემის სრულყოფილ ახსნაში გვეხმარება: ქართულ-აფხაზური ურთიერთობები გაჯერდა წარსული ისტორიის გადაწერილი ნარატივებით და საუკუნეობრივი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რეინტერპრეტირებული ვერსიებით. თბილისის წინააღმდეგ პოსტსაბჭოთა პერიოდში სოხუმის მიერ წამოყენებულ პრეტენზიებში და ინიცირებულ პოლიტიკურ დებატებში საგანმანათლებლო ინსტიტუტების როლის გათვალისწინებით, ძნელია უარყოთ ის ფაქტი, რომ “[ნარატივების] ინტერპრეტირება ინსტიტუტებით იყო წაქეზებული და განპირობებული; და ეს ინტერპრეტაციები კულტურული იდენტობების პოლიტიკურ იდენტობებად გარდაქმნაში კატალიზატორის ფუნქციას ასრულებდა” (ჩ რწ ფრდ 1998, გვ. 12).

ამ თავში შევეცადეთ გვეჩვენებინა ინსტიტუტების მნიშვნელოვანი როლი აფხაზური პრეტენზიების განმტკიცებაში და წარმოგვეჩინა ამ პროცესში ინსტიტუტებსა და ისტორიულ ნარატივებს შორის არსებული კავშირების მნიშვნელობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტს დიდი ხნის ისტორია აქვს და ის მხოლოდ რუსულ მაქინაციებს ვერ დაბრალდება. სწაიხი (2005) აღნიშნავს, რომ ქართული და აფხაზური ნაციონალიზმები და მათ შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც სათავეს მეფის რუსეთის ეპოქიდან იღებს, კონფლიქტის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. თუმცა, ეს დაპირისპირებები საბჭოთა კავშირის ეთნიკური ჰარმონიის ოფიციალური რიტორიკით იქნა შერბილებული (ინტერნეტ წყარო № 97). ქართველებისაგან აფხაზების ეთნიკურად განსხვავებულ ჯგუფად მიჩნევა და წარმოჩენა აფხაზების მხრიდან საქართველოსგან გამოყოფის სურვილის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია. ამან აფხაზებს საკუთარი ეთნიკური სამშობლოს შექმნისკენ უბიძგა, იქნებოდა ეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, ან ავტონომიური რეგიონის მიხედვით სახის ფედერაციაში (აქ მეტწილად რუსეთის ფედერაცია იგულისხმებოდა). რამდენიმე ფაქტი სწაიხის ვარაუდის საპირისპიროს ამტკიცებს. პირველ რიგში, აფხაზების ქართველებისაგან გამაცალკევებელი ნარატივები საბჭოთა პერიოდში შეიქმნა და საპროტესტო პეტიციებიც და მოძრაობები ამ პერიოდში გაიმართა და დაიწერა. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, არც ერთ მათგანს საქართველის სსრ-ის ცენტრალურ ხელისუფლებასთან სრულმასშტაბიანი დაპირისპირება არ მოჰყოლია. ამ პროცესში ძმობისა და ერთობის ოფიციალურ რიტორიკას მხოლოდ მეორადი როლი შეიძლება მიენიჭოს. პირიქით, “დიდი ძმის” – მოსკოვის – ხელი უფრო გამოიკვეთა საბჭოთა პერიოდის ეთნოსთაშო-

რის დაძაბულობებისა და წინააღმდეგობების როგორც ინიცირებაში, ასევე მათ განეიტრალებაში.

აფხაზებში საერთო ეთნიკურობის განცდას კულტურული და ისტორიული წყაროები გააჩნია. სმიტი (1989) ეთნიკურ ერთობას “საერთო წინაპრების, მითების, ისტორიის და კულტურის ერთი ელემენტის (მაგალითად ენა) მქონე სახელდებულ მოსახლეობად [ერთობად] მოიხსენიებს, რომლებიც ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ჯგუფური სოლიდარობის გრძნობა აკავშირებთ” (გვ. 344). ენა და კონკრეტულ ტერიტორიაზე კომპაქტური სახლობა ის ძირითადი ელემენტებია, რომლებიც აფხაზების საერთო ეთნიკურობის და იდენტობის შეგრძნებას წარმოშობს. ეს კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოთა ინსტიტუტებით. აფხაზური სოლიდარობა, რომელიც გაცნობიერებულ “ქართულ საფრთხეს” დაუპირისპირდა, იმ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რომელიც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების და მე-20 საუკუნის აფხაზური ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია. ამ კონტექსტში, სხვა კულტურული ელემენტები, როგორცაა რელიგია, ჩაცმის სტილი, მუსიკა ან ფოლკლორი, ნაკლებ მნიშვნელოვანია. აფხაზებს ახასიათებთ ქართველებისგან განსხვავებული კულტურა, ტრადიციები და ჩვევები, მაგრამ ენა მათი ეთნიკური იდენტობის მთავარ და ქართველებისაგან ძირითად განმასხვავებელ, მარკერს წარმოადგენს. აფხაზური იდენტობისთვის აფხაზური ენის განსაკუთრებული როლი შეიძლება აფხაზური იდენტობის სხვა მახასიათებლების მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან მსგავსებითაა განპირობებული. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ სამხრეთ კავკასიის ხალხებთან სიახლოვემ და ხშირმა კონტაქტებმა ქართული და აფხაზური კულტურების მნიშვნელოვან დაახლოებას და შერწყმას ჩაუყარა საფუძველი (ინტერნეტ წყარო № 13). კულტურის სფეროში არსებულმა ინსტიტუციურმა განსხვავებებმა კიდევ უფრო განამტკიცა აფხაზების პრეტენზიები საქართველოსგან სეცესიაზე (იხ. თავი 2, ქვეთავები 2.2. *განათლების საკითხი* და 2.3. *ლინგვისტური უფლებები*).

გამჭვირვალობა და პერესტროიკა ქართულ-აფხაზური კონფლიქტური კოლექტიური მეხსიერების და ერთი-მეორის აღქმის გამოცოცხლებას დაემთხვა. აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის ჩამოყალიბებაში კოლექტიური მეხსიერების როლი საფუძვლიანად შეისწავლა კოპიტერსმა, რომელმაც აფხაზეთზე აფხაზი და ქართველი ავტორების მიერ დაწერილი ნაშრომები შეაგროვა. ერთ-ერთ ესეეში ნოდია ამტკიცებს, რომ ორი ძირითადი შეკითხვა – “*ვინ არ ვართ ჩვენ*” და “*ვინ არის ჩვენი უპირველესი მტერი*” – რომლებიც ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი ძირითადი ასპექტებია, პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისის-

თვის აფხაზური ნაციონალური იდენტობის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენდა. ნოდის თანახმად, აფხაზეთში კონფლიქტის დასაწყისისათვის, სახეზე იყო აფხაზური ნაციონალური კონცეფციის მხოლოდ ერთი ასპექტი: ქართველები მტრები არიან. თუმცა, უკეთესი არ იყო ამ საკითხისადმი ქართველების დამოკიდებულება. ერთ-ერთ ნაშრომში, ანჩაბაძე, აფხაზი მკვლევარი, ქართველების მიერ აფხაზების აღქმის შემდეგ აღწერილობას გვთავაზობს: არაცივილიზებული და არაკულტურული ხალხი, საკუთარი ეთნო-კულტურული პოტენციალის გარეშე, რომელსაც არ შეუძლია თვითგანვითარება და არ აქვს მაღალი კულტურული სტანდარტები (ანდ 1999). სახეზე იყო ჩამოყალიბებული ნეგატიური სტერეოტიპები. თუმცა, ნეგატიური სტერეოტიპები თავისთავად არ იწვევენ კონფლიქტს; პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტების არსებობამ შესაძლებელი გახადა აკადემიური დებატების პოლიტიკურ დაპირისპირებად გარდაქმნა.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაუარესებას არა ისტორიული წარსული და განსხვავებული ურთიერთაღქმა განაპირობებდა თავისთავად, არამედ ის ფაქტი, რომ ეს აღქმები საბჭოთა პერიოდში, საბჭოთა ინსტიტუტების მეშვეობით, ინსტიტუციურად იყო მხარდაჭერილი და განმტკიცებული; პირველ რიგში კულტურულად, საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ისტორიული ნარატივებით, შემდგომ, მენტალურად, საგანმანათლებლო პოლიტიკის მეშვეობით და ბოლოს პოლიტიკურად, აფხაზეთში პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობით. ამ ყოველივეს კი აგვირგვინებდა აფხაზი ეთნიკური ჯგუფის ცალკე ინსტიტუციური წარმომადგენლობა ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებში. კვლევამ აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის მრავალ ადგილობრივი სტრუქტურაში აფხაზები ქართველებს სჭარბობდნენ.

ქართველების და აფხაზების მიერ 1992 წლის ზაფხულის მოვლენების განსხვავებული შეფასება კიდევ უფრო განამტკიცებდა კონფლიქტურ ქართულ-აფხაზურ იდენტობებს. ცნობილი აფხაზი მკვლევარი, გიორგი ანჩაბაძე, რომელიც მიღებულია როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ აკადემიურ წრეებში, ამ კონკრეტული მოვლენის შეფასებისას წერს: “აფხაზებისთვის, ამ წლების მოვლენები საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელმწიფოთაშორის ომს წარმოადგენდა. სამხედრო მოქმედებების დაწყებისთანავე, 1992 წლის 16 სექტემბერს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება (იხ. ოფიციალური დოკუმენტი № 40), სადაც აღნიშნული იყო: “1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა აფხაზეთზე და მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიის აქტს წარმოადგენდა” (ინტერნეტ წყარო № 11). საქართვე-

ლოს სახელმწიფო საბჭო ამ დადგენილებას 1992 წლის 17 აგვისტოს სპეციალური რეზოლუციით გამოეხმაურა, სადაც აღნიშნული იყო: “აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები საქართველოს საზღვრების გადახედვაზე და მისი ტერიტორიის ნაწილის ჩამოშორებაზე მიანიშნებს ... ეს ასევე არის ძალაუფლების უზურპაციის პროცესის დასასრული და მონოეთნიკური დიქტატურის დამყარება” (ინტერნეტ წყარო № 11, გვ. 69). ამგვარად, ნათელია, რომ მიმდინარე პროცესები იმთავითვე (ქართულ და აფხაზურ) იდენტობებზე პირდაპირ მუქარად და თავდასხმად აღიქმებოდა. ამავე დროს, ორივე მხარის მიერ პროცესების ინსტიტუციურმა შეფასებამ, რომლებიც ორი ხედვის ურთიერთშეთანხმებას გამორიცხავდა, ეთნიკურ ჯგუფებს შორის წამოწყებული ინსტიტუციური ბრძოლა წარმატებით გარდაქმნა კონფლიქტური პრეტენზიების კიდევ ერთ წყაროდ, რამაც, თავის მხრივ, ურთიერთგამომრიცხავი და დაპირისპირებული ქართულ-აფხაზური იდენტობების შემდგომ ფორმირებას შეუწყო ხელი.

ამ თავში ნაჩვენებია ქართულ-აფხაზური კონფრონტაციის კონფლიქტური იდენტობების კონტექსტში ინსტიტუციური ანალიზის აუცილებლობა. განხილულია პოსტსაბჭოთა ნაციონალური პროექტი. თუმცა ჩვენი მიზანი არ იყო ამ ნარატივების ფორმირების უშუალო პროცესის წარმოჩენა – როგორ შეიქმნა, განვითარდა და კრისტალიზდა ისინი. მოცემული ანალიზის საფუძველზე შევნიშნავთ, რომ იდენტობის კონსტრუირებასა და ნარატივების ფორმირების პრობლემაზე, ასევე ისტორიის მანიპულაციის საკითხზე შექმნილ ნაშრომთა უმეტესობა ყურადღებას არ ამახვილებს საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის ქართული და აფხაზური ნაციების პოლიტიკურად ინსტიტუციონალიზებულ ბუნებაზე და იმ ელიტების ინსტიტუციონალიზაციაზე, რომლებიც ისტორიკოსთა დებატებით მანიპულირებდნენ. მათი დიალოგი აგრესიულ ბუნებას იძენდა. სწორედ ეს განაპირობებდა ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის კონფლიქტის გაჩენას ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე, ერთის შეხედვით მშვიდობიანი ურთიერთობების კვალდაკვალ. ამგვარად, აშკარაა ორი ეთნიკური ჯგუფის ინსტიტუციური შეზღუდვების და ინსტიტუციური ურთიერთქმედების მნიშვნელობა 1990-იანი წლების დასაწყისში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კულტურული და ისტორიული ცრურწმენები განაპირობებენ შიგა ჯგუფურ შეჭიდულობას და ლოიალობას, რომელსაც შეიძლება სტრატეგიული გათვლები დაეფუძნოს. სწორედ ამის საფუძველზე წარმოიშობა რაციონალურად განპირობებული უპირატესობების განცდა. ამგვარად, კულტურულმა და ინსტრუმენტულმა ლოგიკამ შეიძლება ერთიმეორე განამტკიცოს (არს, 2002, გვ. 120). ინსტიტუციონალიზებული წარსულის არსებობა (ქართველებსა და აფხაზებს შორის შესაბამისი ტერიტორიული ერ-

თეულების ფარგლებში საბჭოთა პერიოდის ინსტიტუციური ურთიერთობები, წერილობითი ნარატივები და ისტორიის კანონი, მეტწილად წარსულის დაპირისპირებული და ურთიერთგამომრიცხავი აღქმა), როგორც გარკვეული წანამძღვრები, კარგად გამოიყენეს ცალკეულმა პოლიტიკოსებმა კონკრეტული პოლიტიკური ხაზის გასატარებლად და საკუთარი პრეტენზიების, ხოლო შემდგომში მომავალი ძალაუფლების, განსამტკიცებლად.

ამ თავში შევეცადე გარკვეულწილად შემეფსო იდენტობას, ნარატივებსა და მათ შემქმნელ ინსტიტუციურ აქტორებს შორის არსებული კავშირების ანალიზის ნაკლოვანებები. კვლევის შედეგად დაისახა ქართულ-აფხაზური კონფლიქტური იდენტობების ინსტიტუციური წინააღმდეგობის სამომავლო ანალიზის რამდენიმე მიმართულება: ამ მხრივ, გასააზრებელია უმცირესობების და უმრავლესობების ინსტიტუტების ბუნება. საბჭოთა პერიოდში უმცირესობების და უმრავლესობების ინსტიტუტები მოკლებული იყვნენ რეალურ ძალაუფლებას. ამავე დროს, უმცირესობების იდენტობები, მათ შორის აფხაზების, ძლიერად იყო პოლიტიზირებული. შეჯამების სახით დავესესხებით კრაუფორდს (1998), რომელიც კარგად ეხმიანება რეგიონში უმრავლესობის და უმცირესობის ინსტიტუტებს შორის არსებული კავშირებს და ამ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტური იდენტობების აღმოცენებას: “[ძალადობის] აღმოცენება უფრო ინტენსიური იქნება იმ სახელმწიფოებში სადაც პოლიტიკური იდენტობები უკიდურესად იყო პოლიტიზირებული და სადაც ინსტიტუტები ყველაზე მეტად იყო დასუსტებული. ამ სახელმწიფოებში, პოლიტიკური თარჯიმნები უფრო ადვილად ახერხებენ მხარდამჭერთა მობილიზაციას ეთნიკური მიმართვების საფუძველზე” (გვ. 18). ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ წარსულის ინტერპრეტაციის კონფლიქტური ნარატივების ანალიზი საკმარისი არ არის კონფლიქტის მიზეზების გასაგებად. საბჭოთა კავშირის ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა – პირველ რიგში პოლიტიკურმა და კულტურულმა ინსტიტუტებმა – ნოყიერი ნიადაგი შექმნა ეთნიკურად შეფერილი სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის, ხოლო არსებული ურთიერთგამომრიცხავი ნარატივები იმ “შესაძლებლობის ფანჯრებად” მოგვევლინენ, რომლებმაც ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის რეალური კონფლიქტის წამოწყება უზრუნველყო. სწორედ ამაში მდგომარეობს კონფლიქტური ქართულ-აფხაზური იდენტობების ფორმირების მთავარი არსი, რომელიც პოლიტიზირდა საბჭოთა პერიოდში, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეალურ ომში გადაიზარდა.

თავი 4. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ტრანსფორმაცია და ახალი ინსტიტუციური შესაძლებლობები რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: პერსპექტივები და პრობლემები

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა აფხაზეთის კონფლიქტის ანალიზის ახალი მიმართულებება წარმოშვა. ომმა, ერთის მხრივ, შეცვალა როგორც ზოგადად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობები, ასევე კონკრეტულად კონფლიქტის კონტექსტში მათი ურთიერთმიმართება; ამავე დროს, გარდაუვალი გახდა კონფლიქტის მოსაგვარებლად ახალი მიდგომების შემუშავება. ამ მხრივ მთავარ პრობლემას აფხაზეთის რეგიონის პოლიტიკური აღიარების და რუსეთის ეკონომიკური ექსპანსიის შეჩერება წარმოადგეს. ამგვარად, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთის კონფლიქტის ირგვლივ შექმნილი რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტი, აქტორების პოზიციათა ცვლილება და კონფლიქტის არსებული ფაზის და სამომავლო ტრანსფორმაციის პერსპექტივების ქართული, აფხაზური, რუსული და ევროპული ხედვების ურთიერთმიმართება. ეს საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, ერთი მხრივ, შესაძლო საერთო ინტერესები, რამაც მხარეთა (ქართველებსა და აფხაზებს) შორის კონტაქტების წამოწყებას შეიძლება შეუწყოს ხელი, ხოლო, მეორე მხრივ, ის არსებული შეზღუდვები, რომლებიც როგორც აფხაზების პოზიციით, ასევე რუსეთის მიერ აგვისტოს ომის მიღწევების ლეგიტიმაციისა და შენარჩუნებისაკენ მიმართული მცდელობებითაა განპირობებული.

2008 წლის აგვისტოს მოვლენები გაცილებით ადრე დაიწყო და მისი ფესვები 2001 წლამდე მიდის. დე ვაალი (2010) მიიხნევს, რომ “სიტუაცია რეალურად რუსეთში ადმინისტრაციის ცვლილებამ შეცვალა. ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინი მოვიდა და თანდათანობით დაიწყო საქართველოს დასჯის, აფხაზეთის იზოლაციის დასრულების და კონფლიქტში ძალაუფლების ბალანსის შეცვლისკენ მიმართული პოლიტიკის გატარება” (გვ. 166). ამავე კონტექსტში აკაბა (2011ა) მართებულად შენიშნავს: “რაც უფრო ისწრაფოდა საქართველო დასავლეთისკენ, უფრო მკაცრდებოდა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და რბილდებოდა ის აფხაზეთისადმი” (ინტერნეტ წყარო №5, გვ. 17). შევნიშნავთ, რომ რუსეთის თვალსაზრისით უკრაინის და საქართველოს ნატოში გაწევრიანება გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება ევროპული უსაფრთხოების სისტემიდან რუსეთის იზოლაციის გზაზე ... რეალურად, შავი ზღვა “ჩრდილოატლანტიკურ ტბად გადაიქცევა” (კჰალდბე, შილდუე, 2011, 8).

კონფლიქტური რეგიონებისადმი თბილისის პოლიტიკა აგვისტოს ომის შემდეგ რამდენიმე მიმართულებით შეიძლება დავეყთ: ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მიღება, რომელმაც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სტატუსი განსაზღვრა როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიებისა, და არა როგორც სეპარატისული რეგიონებისა; საერთაშორისო მასშტაბით რუსეთის მიერ ინიცირებული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების პოლიტიკის შეკავებისთვის გატარებული ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა ამ რეგიონების პოტენციურად აღიარების მსურველ სახელმწიფოებთან ახლო პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების დამყარებას და ამით მათი შემდგომი აღიარების თავიდან აცილებას; მეორე მხრივ, ცნება *ოკუპირებული ტერიტორიების* საერთაშორისო მასშტაბით დამკვიდრებას (ევროსაბჭოს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიღებულ რეზოლუციებში). პარალელურად, კონფლიქტის მოსაწესრიგებლად შემუშავებული ახალი სამშვიდობო გეგმები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებთან უშუალო კონტაქტების დამყარებაზე და მათთვის კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის, ასევე ერთობლივი ეკონომიკური პროექტების შეთავაზებაზე კონცენტრირდა. ეს მოიცავდა ამ რეგიონის მცხოვრებლებისთვის ფართო ჩართულობას როგორც საქართველოსთან, ასევე ევროპასთან; აგრეთვე, სასაზღვრო ზონებში ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფარგლებში.

ამ თავში დეტალურად განვიხილავთ საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ინიცირებული ახალი სამშვიდობო გეგმას, რომელიც გაანალიზდება ქართველი, აფხაზი, რუსი და ევროპელი პოლიტიკოსების და ექსპერტების მოსაზრებების კონტექსტში. ეს საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ ამ მხრივ არსებული წინააღმდეგობები და ამ სამშვიდობო გეგმის განხორციელების როგორც პოზიტიური ასპექტები, ასევე ხელისშემშლელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროექტი განხილული იქნება როგორც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ახალი ინსტიტუციური მექანიზმი და ქართული და აფხაზური ეთნიკური ჯგუფების მორიგების ახალი პლატფორმა. ამავე დროს გაანალიზებული იქნება სამშვიდობო გეგმის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები, მათი შესაბამისობა და კრიტიკა ერთის მხრივ ევროსაბჭოს და ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციებთან, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზური მხარის მიერ სამშვიდობო გეგმის ცალკეული პუნქტების შეფასებებთან, და წამოყენებულ კონტრარგუმენტებთან, მიმართებაში.

აფხაზთა პოზიციების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი მყარად იცავენ მოპოვებულ “დამოუკიდებლობას” და ამ გზიდან გადახვევას არ აპირებენ, თუმცა, ამ აგე დროს, მათ სერიოზულად აფიქრებთ რუსეთის ფედერაციაზე მზარდი პოლიტიკური-ეკონომიკური დამოკიდებულება და უკვე მისი ალტერნატიული და დამაბლანსებელი ძალის გამონახვის აუცილებლობაზე ფიქრობენ. რუსეთის მხრიდან აგვისტოს ომის შემდეგ რეგიონში მოპოვებული უპირატესობა განხილულია პოსტსაბჭოთა რეგიონული გეოპოლიტიკის და 2014 წლის სოჭის ოლიმპიური თამაშების მოსამზადებელი პერიოდის კონტექსტში, სადაც აფხაზეთის რეგიონს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ბოლოს, მოცემულ თავში დასკვნის სახით შემოთავაზებული იქნება აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთის რეგიონში არსებული სუსტი წერტილები, რომელმაც შეიძლება არსებულ *status quo*-ს გარღვევის შესაძლებლობა შეექმნა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სასარგებლოდ. ამ მხრივ გაანალიზებული იქნება ევროპულ მეცნიერთა მიერ 2010-2011 წლებში აფხაზეთის რეგიონში ჩატარებული კვლევის შედეგები.³⁹

2003 წლის ვარდების რევოლუცია და რუსეთის პოლიტიკური წრეების ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს პროდასავლური კურსისადმი, საქართველოში არსებული კონფლიქტის ზონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში – ვითარების შესაძლო გამწვავებას მოასწავებდა. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის და მისი პოლიტიკური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის – ერთ-ერთი ძირითადი (მთავარი თუ არა) დაპირება – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება სეპარატისტულ რეგიონებში. დერლუგუიანი (2007) ამტკიცებს, რომ საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სწრაფი აღდგენის დაპირება, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება (რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის გაღების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო) და მოსკოვში პუტინის მმართველობის სტილი, რომელიც მზარდ ნაციონალისტურ პოლიტიკას ატარებდა და საერთაშორისო დონეზე პოზიციების გამყარებას ესწრაფოდა, რუსეთ-საქართველოს ომის წინმსწრებ პარალელურ პროცესებად შეიძლება განვიხილოთ (გვ. 79). ჩემი აზრით, ეს პროცესები ორ განზომილებაში უნდა გაანალიზდეს – შიგა (თბილისში ახლად არჩეული ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზეთისადმი და სამხრეთ ოსებისადმი და მათი რეაქციები ცენტრის ახალ პოლიტიკაზე/შეთავაზებებზე) და გარე (ვარდების რევოლუციის ხელისუფლების აფხაზეთი და სამხრეთ ოსური საზოგადოებისთვის, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისადმი მიმართული

³⁹ Colin flint, et al.

გზავნილების აღქმა რუსეთის მიერ და რუსეთის რეაქცია, რომელიც საბოლოოდ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომით დამთავრდა). აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 2008 წლის ომის შემდეგომი მოვლენების გათვალისწინებით, ო'ლონგვილი და მისი კოლეგები (2011) ამტკიცებენ, რომ განვითარებულმა პროცესებმა “აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საზოგადოებრივი აზრის მარგინალიზაცია გამოიწვია: ეს რეგიონები გარედან კონსტრუირდება, პირველ რიგში, როგორც სტრატეგიული ობიექტები” (გვ. 4). ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია აფხაზეთისადმი რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მხარდაჭერის ზრდა, განსაკუთრებით დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ და ნატოს ბუქარესტის სამიტის წინა პერიოდში.

ნაციონალური უმცირესობებისადმი სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკის მაგისტრალური ხაზი სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების და ინკლუზიური მოქალაქეობის მშენებლობას ეფუძნებოდა, რასაც თან უმცირესობის უფლებების დაცვის და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის შეთავაზებები ახლდა. თვითმმართველობის უფლება, ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების დონეზე წარმომადგენლობა და უმცირესობების ენის და კულტურის შენარჩუნების საკითხი, საქართველოს მიერ აფხაზეთისადმი [და სამხრეთ ოსებისადმი] შეთავაზებული სამშვიდობო გეგმების ცენტრალურ ასპექტებს წარმოადგენდნენ. ამ ამოცანის მნიშვნელოვან მხარეს სეცესიური რეგიონებისთვის შემუშავებულ და მათთვის შეთავაზებულ პროექტებში რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება და ინტეგრირება წარმოადგენს. თუმცა, რადგან საქართველოს საშინაო და საგარეო მისწრაფებები და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა “ახლო საზღვარგარეთისადმი” ერთმანეთს არ ემთხვეოდა, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ნელ-ნელა გამწვავდა. დერლუგუიანი ამტკიცებდა, რომ აფხაზეთის პრობლემა თანდათანობით “სოჭის ოლიმპიური თამაშების მომზადებათან დაკავშირებული მშენებლობის საინვესტიციო ბუმის საკითხებზე კონცენტრირდა, ხოლო აფხაზური ელიტა და მოხერხებული მოქალაქეები თავიანთ წილ სარგებელს ეპოტინებოდნენ. მათ, ერთი მხრივ, ძლიერი რუსი კაპიტალისტების კოლონიზაციის ეშინიათ, ხოლო, მეორე მხრივ, მოსალოდნელი სარგებლის ხელიდან გაშვების” (ერსუგუან, 2007, გვ. 79-80). დერლუგუიანი აფხაზეთისთვის რუსეთ-საქართველოს ომსაც ვარაუდობდა: “რა შედეგიც არ უნდა მოჰყვეს აფხაზეთის დაუფლებისათვის წამოწყებულ ახალ ბრძოლას, ოლიმპიური პროექტი აშკარად უზრუნველყოფს სეპარატისტული ანკლავის რუსეთში ინტეგრაციას. მაგრამ, პირველ რიგში, როგორც ჩანს, კიდევ ერთ ომს ექნება ადგილი, რადგანაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ

საქართველო უმოქმედოდ დაელოდება აფხაზეთის კიდევ უფრო მჭიდრო დაკავშირებას სოჭის ტურისტულ კომპლექსთან” (ერფუგუან, 2007, გვ. 79).

საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ არაღიარების პოლიტიკასთან ახლდა ამ მიმართულებით შემუშავებული კონკრეტული დოკუმენტები: *სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით* (ინტერნეტ წყარო №101) და *ჩართულობის სამოქმედო გეგმა* (ინტერნეტ წყარო №4), რომლებიც საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტრომ შეიმუშავა. ეს კომპლექსური დოკუმენტები ყოფილ სეპარატისტულ რეგიონებთან ახალი (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული) ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის ამზადებენ საფუძვლებს და მათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოიხსენიებენ; დოკუმენტების მთავარი მიზანია ამ კონფლიქტების სახელმწიფოს შიგა პრობლემიდან სახელმწიფოთაშორის პრობლემად წარმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს *ეთნიკური კონფლიქტის* იარღიყის ჩანაცვლებას. კონფლიქტები წარმოჩინდება ფართო კონტექსტში, სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონის ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში რუსეთის პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით.

აფხაზეთის პოლიტიკური ელიტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა თბილისის სამშვიდობო ინიციატივა, რადგანაც ის ისევ ვერტიკალურ დაქვემდებარებას ეყრდნობოდა; ამავე დროს, სამშვიდობო გეგმის თანახმად, მომავალ ურთიერთობებში, წამყვანი პოზიცია საქართველოს ენიჭება, ხოლო აფხაზეთი უბრალოდ სამშვიდობო გეგმის მონაპოვრებით ისარგებლებენ. ამგვარად, მნიშვნელოვანია აფხაზეთის თავალთახედვით სამშვიდობო გეგმის სუსტი და ძლიერი მხარეების გააზრება. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ორივე მხარეს გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოყვანილი მოსაზრება კოპიტერსმა (1998) 1998 წელს ჩამოაყალიბა, ის კარგად შეესაბამება დღევანდელ რეალობას: “ქართველი და აფხაზი ელიტები მათ ინიციატივებზე საზოგადოებიდან წამოსული რეაქციებიდან მუდმივად თავის დაცვას ცდილობენ. ორივე ხელისუფლებას ნდობის დაკარგვის ეშინია და ეს ნაწილობრივ ხსნის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ თანხმობის მიღწევის და სამშვიდობო შეთანხმების გაფორმების თაობაზე მნიშვნელოვანი პროგრესის არარსებობას” (ინტერნეტ წყარო №24, გვ. 7).

ამ მოსაზრებას მეტ-ნაკლებად ამყარებს კოლინ ფლინტის და მისი კოლეგების მიერ აფხაზეთში ბოლო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები (იხ. ქვემოთ). თუმცა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული შეთანხმების ვერ მიღწევის მიზეზი შეიძლება კინგის მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებაში დავინახოთ.

ჩარლზ კინგი (2001) ამტკიცებს, რომ “კონფლიქტის საბოლოო მოგვარების რეალური დამაბრკოლებელი მიზეზი შეიძლება შეუთანხმებელ პრეტენზიებსა და საერთაშორისო მოლაპარაკებების მიღმა იძებნებოდეს და ეს თითოეულ რეგიონში პოლიტიკური ელიტების მიერ რეალურად ფუნქციონირებადი სახელმწიფოების ჩამოყალიბება იყოს; ისინი ისევე მოქმედებენ, როგორ ის ქვეყნები, რომელთა ნაწილს ისინი ფორმალურად წარმოადგენენ” (გვ. 535). დღეისათვის ამას ემატება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციის გაბატონებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოზიციები რეგიონში. დაპირისპირებულ მხარეებს შორის მათ მიერ შემუშავებულ სამშვიდობო პროექტების ფარგლებში კომპრომისზე წასვლის სურვილის არქონა სერიოზულად აბრკოლებს მომავალ მოლაპარაკებებს. აგვისტოს ომის შემდეგ თბილისის მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტების კრახის მიზეზების ანალიზისას ხაინდრავა (2011ა) აღნიშნავს: “კონფლიქტის მოგვარებისადმი საქართველოს მიდგომის ძირითადი პრინციპები ... არ შეცვლილა და ისინი აფხაზეთის სტატუსს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში განსაზღვრას და იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნებას ეფუძნება” (ინტერნეტ წყარო №53, გვ. 19); ეს გამორიცხავს აფხაზური [და ოსური] მხარეების მიერ აღნიშნული სამშვიდობო პროექტით დაინტერესებას, მით უმეტეს რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ.

4.1. სეპარატისტული რეგიონიდან ოკუპირებულ ტერიტორიამდე

2010 წლის თებერვალში საერთაშორისო კრიზისების ჯგუფმა (IF) გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც დოკუმენტურად წარმოაჩენდა აფხაზეთის სულ უფრო მზარდ დამოკიდებულებას რუსეთის უსაფრთხოების მექანიზმებზე, საბიუჯეტო დოტაციებზე და ინვესტიციებზე. ო'ლონგლინი (2011) და მისი თანაავტორები ამტკიცებენ, რომ “აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაზე მზარდი დამოკიდებულების პრობლემა წინ უსწრებს 2008 წლის აგვისტოს ომს, როდესაც 2000-2008 წლებში, პუტინის ორ საპრეზიდენტო ვადაში, რუსულ-აფხაზური ურთიერთობები ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად დათბა” (გვ. 6). მოცემული ქვეთავის მიზანს არ წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს ომის საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში მომხდარი შიგა ცვლილებების, და ორ ქვეყანას შორის მის შედეგად გამოწვეული ურთიერთობების ტრანსფორმაციის კონტექტში გააზრება. რა თქმა უნდა, ორივე მათგანი საგანგაშო და საშიში იყო.⁴⁰ მო-

⁴⁰ამ კონტექსტში კვლევის საინტერესო მიმართულებებად გვესახება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზების შემდეგ კითხვებზე პასუხის ძიება: აგვისტოს ომი, ეს

ცემული ქვეთავი აგვისტოს ომის ინსტიტუციური ცვლილებების კონტექსტში წარმოჩენას შეეცდება და მიჰყვება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონში არსებული სტატუს კვოს რღვევის შემდეგ არჩეული კურსის ანალიზს (აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ). პარალელურად, აკადემიური ნაშრომების და ანალიტიკური ნაწერების (*policy papers*) ანალიზის საფუძველზე კვლევა შეეცდება წარმოაჩინოს აფხაზი ელიტის დამოკიდებულება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმებისადმი; ამ კონტექსტში გააზრებული იქნება საქართველოს და რუსეთის მიმართ აფხაზთა პოზიციების ცვლილება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

4.1.1. აგვისტოს ომის პოლიტიკური კონტექსტი

ასმუსის განცხადება შემოთავაზებული ანალიზის ამოსავალ წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც მრავალგზის დადასტურდა 2008 წლის აგვისტოს ომამდე და კარგად ასახავს იმ პერიოდში არსებულ რეალობას: “მოსკოვს პრაქტიკულად არ აინტერესებდა ამ კონფლიქტების მოგვარება, რადგან ეს საქართველოს დასავლეთთან კიდევ უფრო სწრაფი დაახლოების საშუალებას მისცემდა” (სმ უს, 2010, გვ. 12). ასმუსის სიტყვები ლაკონურად წარმოაჩენს კონფლიქტის დაწყების არსს, მის ტრანსფორმაციას რუსი სამშვიდობოების პირობებში და რუსეთ-საქართველოს ომის სახით საბოლოო კულმინაციას. ვარდების რევოლუციის ხელისუფლების მიერ ღიად გაცხადებული პრო-დასავლური, პროევროპული და ნატოს წევრობისკენ მიმართული პოლიტიკა განსაკუთრებით შემაშფოთებელი აღმოჩნდა მოსკოვისათვის. რუსეთი ნატოს წევრი სახელმწიფოების გარემოცვაში მოქცევას ვერ შეეგუებოდა, საქართველოს შესაძლო ჩართვა წევრობის სამოქმედო გეგმაში () კი ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნებოდა. 2008 წლის აგვისტოში საქართველოს კონფლიქტური ზონების მეშვეობით რუსეთის მიერ საქართველოს დასავლური მისწრაფებების დაბლოკვის მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს ხინტბა (2011ბ): “2008 წლის აგვისტო რუსეთის წინააღმდეგობის სიმბოლოს, რუსეთის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად, სხვა სახელმწიფოების თანხმობის გარეშე, მიღების, დადასტურებას წარმოადგენდა” (ინტერნეტ წყარო №63, გვ. 31). ამგვარად, ხინტბა იმპლიციტურად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ აგვისტოს ომი არ წარმოადგენდა ქართველების

იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სამხრეთ ოსეთზე კონტროლის დამყარების მცდელობა და რუსეთის ფედერაცია მხოლოდ ეთნიკური უმცირეობის დაცვის მოტივით ჩაერთო კონფლიქტში, თუ ეს ომი “კავკასიურ ხაფანგს” წარმოადგენდა, სადაც რუსეთის მთავარი მიზანი საქართველოს არსებული ხელისუფლების შეცვლა იყო, რითაც ის საქართველოს პროდასავლურ და ნატოს წევრობისკენ აღებულ კურსს შეაჩერებდა? და ბოლოს, უფრო მართებული ხომ არ იქნება ეს ომი ფართო, კერძოდ რუსეთისა და აშშ/დასავლეთს დაპირისპირების, კონტექსტში განვიხილოთ, სადაც მთავარ ფსონს საქართველოს კონფლიქტური ზონები წარმოადგენდნენ 2008 წელს?

აფხაზეთთან და ოსებთან დაპირისპირებას; რეალურად ეს იყო რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ კავკასიაზე კონტროლის დამყარება საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მეშვეობით. ამგვარად, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის (2008), ახალი ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიის (2009) და თავდაცვის დოქტრინის (2010) კონტექსტში უნდა განვიხილოთ (ლებუ, 2010, გვ. 2).

2008 წლის აგვისტოს მოვლენები მხოლოდ საგარეო კონტექსტში – საქართველოს კონფლიქტური რეგიონებისადმი რუსეთის ფედერაციის ინტერესების და დამოკიდებულების ცვლილებაში – არ უნდა დავინახოთ; მას სერიოზული შიგა, აფხაზური განზომილებაც გააჩნდა. ამ პროცესების ფესვებს 2004 წლამდე მივყავართ, როდესაც სეცესიურ რეგიონში ჩატარებულ ოქტომბრის არჩევნებში ორი კანდიდატი – სერგეი ბაღაფში – საბჭოთა პერიოდის ოფიციალური პირი და რაულ ხაჯიმბა – ყოფილი თავდაცვის მინისტრი და პრემიერ მინისტრი, დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ხაჯიმბა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვლადისლავ არძინბას ჯგუფთან და მოსკოვის უშიშროების სტრუქტურებთან, ხოლო ბაღაფში არძინბას მმართველობით განაწყენებული წრეების მხარდაჭერით სარგებლობდა, რომლებიც “რუსეთთან მეგობრობის, მაგრამ დისტანციის შენარჩუნების პოლიტიკას ემხრობოდნენ” (ეჭ ააღ2010, გვ 203). მართალია ხაჯიმბამ მოიგო არჩევნები, მაგრამ რუსეთის უხეში ჩარევის და აფხაზეთისთვის დაწესებული პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადის შედეგად რუსეთმა დე-ფაქტო პრეზიდენტად ბაღაფშის გამოცხადება მოახერხა. ჩემი აზრით, ამ მოვლენებმა აჩვენა, რომ რუსეთი ვეღარ იქნებოდა უწინდებურად დარწმუნებული მის მყარ პოზიციებში აფხაზეთის რეგიონში. აუცილებელი იყო სასწრაფოდ აფხაზეთზე სრული კონტროლის მოპოვება, რომელიც კავკასიაში რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი სოჭის ოლიმპიადის წინ. ამ დროისთვის აფხაზეთი საშინაო საქმეებს უკვე რუსეთისგან დამოუკიდებლად აღარ განკარგავდა.

რუსეთმა აფხაზეთში პოზიციების შესანარჩუნებლად კიდევ ერთი წინაპირობა შექმნა და აფხაზეთის მცხოვრებლებს რუსული პასპორტები დაურიგა. სოკორი (2008) ამტკიცებს, რომ “მოსკოვი რუსეთის მოქალაქეების დაცვის მოტივით აპელირებდა. მას შემდეგ რაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს მასობრივად დაურიგა რუსული პასპორტები, რუსეთის ხელისუფლება ჩარევით დაცვაზე აცხადებს პრეტენზიას, მათ შორის ამ ორ რეგიონში სამხედრო ძალების შენარჩუნებაზე” (ინტერნეტ წყარო №100, გვ. 2). მისი განცხადებით, რუსმა სამშვიდობოებმა, რომლებიც რეალურად კონფლიქტის მონაწილე მხარეს წარმოადგენდნენ, ისევე როგორც თავად რუსეთი, 1992-93 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტი 1993-94 წლებიდან რუსეთ-საქართველოს კონფლიქტად გარდაქმნეს;

ამგვარად, რეგიონში სახეზეა რუსეთის სამხედრო ინტერვენცია და მისი მხრიდან აფხაზ სეცესიონისტ ხელისუფალთა ღია და აშკარა მხარდაჭერა (გვ. 2). ეს ყოველივე კი განმტკიცებული იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ საზღვარგარეთ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვის მოტივით. ინგმარ ოლდბერგი (2010) მართებულად შენიშნავს, რომ 2008 წელს რუსეთმა საქართველოში შეჭრა საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების გენოციდში დადანაშაულებით, ან გენოციდის მოწყობის დაგეგმვის ბრალდებით გაამართლა (გვ. 13). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთს 2008 წლის აგვისტომდე ბევრად ადრე უნდა დაეგეგმა ომი, თუმცა ასევე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ის “კავკაზ 2008” სამხედრო წვრთნების გაგრძელებას წარმოადგენდა. რომელი ვერსიაც არ უნდა იყოს ჭეშმარიტი, ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტია, რომ “რუსებმა, და აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მათმა სეპარატისტმა მოკავშირეებმა, დაგეგმეს ომი და განახორციელეს ის 2008 წლის აგვისტოში, რაც მოულოდნელი იყო ქართველებისთვის” (ელენჰაუერ 2009, გვ. 162). მართლაც, მიუხედავად მთელი რიგი წინმსწრები სიგნალებისა, 2008 წლის 8-12 აგვისტოს მოვლენები სიურპრიზი იყო როგორც საქართველოსთვის, ასევე მისი დასავლელი მოკავშირეებისათვის. ეს მართებულად იწვევს გაოცებას, რადგანაც 2008 წლის აგვისტოს ომს წინ უძღოდა რუსეთის მიერ წაქეზებული მთელი რიგი პროვოკაციები.

2006 წლის 14 ივნისს სოხუმში გაიმართა სპეციალური სამიტი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის ლიდერების მონაწილეობით, სადაც ხელი მოეწერა *მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას*. აღნიშნულ შეხვედრაზე კომენტარებისას ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ “პროვოკაციების მიუხედავად რუსეთი შეინარჩუნებს სამშვიდობო ჯარებს ამ რეგიონებში” (*ლდონოვ*, 2009, გვ. 61). რუსეთის მმართველი პოლიტიკური წრეები აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში არა მხოლოდ სამშვიდობო ოპერაციების გაგრძელებას ესწრაფოდნენ, არამედ სეპარატისტული ელიტისათვის რეალური სამხედრო მხარდაჭერის გაწევის შესაძლებლობასაც განიხილავდნენ. აფხაზი სეცესიური ელიტისადმი მხარდაჭერის დასადასტურებლად, 2008 წლის 6 მარტს რუსეთი ცალმხრივად გამოვიდა 1996 წლის იანვარში დსთ-ს სამიტზე აფხაზეთისთვის დაწესებული სანქციების რეჟიმიდან. ამგვარად, რუსეთს აფხაზეთის ხელისუფლებასთან ინტენსიური სამხედრო და სხვა სახის კონტაქტების დასამყარებლად ხელ-ფეხი გაეხსნა. 16 აპრილს, პრეზიდენტმა პუტინმა “რუსეთის ხელისუფლებას სოხუმთან და ცხინვალთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარება დაავალა” (*ლდონოვ*, 2009, გვ. 67). აღსანიშნავია, რომ ეს მოსკოვის ერთჯერად აქციას არ წარმოადგენდა და მას მთელი რიგი მსგავსი პროცესები მოჰყვა. ამგვარად, ნილსონი მართებულად შენიშნავს, რომ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში *status quo*-ს ცვლილებისკენ საქართველოს ხელისუფლების მისწრაფება (დამოწ-

მეზ. ჩორნელჯ შტარ 2009, გვ. 6) რუსეთის ფედერაციის ცალმხრივი მოქმედებებით იყო განპირობებული და საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ მათზე პასუხს წარმოადგენდა.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან აგვისტოს ომისთვის მზადების კიდევ ერთი მოტივაციაზე შეიძლება ვისაუბროთ. ნილსონი (2009) ამტკიცებს, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, “საქართველოს სახელმწიფოებრიობის სისუსტე არ იძლეოდა მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევის საშუალებას, არც რეფორმების განხორციელების, და არც საქართველოზე რუსეთის პოლიტიკური ბერკეტების გაწონასწორების მხრივ” (გვ. 101); თუმცა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა სააკაშვილის პრეზიდენტობისას, რომელმაც საქართველო დასავლურ და ნატოსკენ მიმავალ გზაზე გადაიყვანა. ეს ორი ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ეთანხმება რა ნილსონს, სუნი ამტკიცებს, რომ აგვისტოს ომით რუსეთმა მის ერთ-ერთ ყველაზე მერყევ და მოწყველად სასაზღვრო რეგიონში – კავკასიურ მიჯნაზე – უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებზე გამარჯვების მოპოვება მოახერხა. სუნი ყურადღებას ამახვილებს იმ პერსპექტივებზე, რომელიც კავკასიას მოსკოვისათვის სტრატეგიულ რეგიონად აქცევდა. ეს რეგიონი [სამხრეთ კავკასია] მოსკოვს საშუალებას აძლევდა:

- გაეტარებინა მისი სტრატეგიული ინტერესები ჩრდილოეთ კავკასიაში;
- გარკვეული ზეგავლენა მოეხდინა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე;
- სხვა მეტოქეების – ირანის, თურქეთის და არაბული სამყაროს საპირწონედ – რეგიონზე გავლენა შეენარჩუნებინა (ინტერნეტ წყარო №92).

საქართველოს სეცესიურ ტერიტორიებთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციის აგვისტოს ომის წინა პერიოდის მოქმედებები ცხადყოფს, რომ რუსეთმა აფხაზეთთან (და სამხრეთ ოსეთთან) ახალ ინსტიტუციურ ურთიერთობებს ჩაუყარა საფუძველი; რეალურად კი ამ ტერიტორიებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია. თუმცა, აგვისტოს ომის ძირითად მიზანს ამ მონაპოვარის ლეგალიზება არ წარმოადგენდა. დე ვაალი (2010) აცხადებს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პოზიციების განმტკიცებით “რუსეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მისი გავლენის სფეროს არსებობა და დაბლოკა მისი მეზობლების ნატოში გაწევრიანების ამბიციები ... ორ სეცესიურ ტერიტორიას თავისთავად ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, ისინი უფრო საქართველოს და დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთის გავლენის კონტექსტში უნდა განვიხილოთ,” (გვ. 221) მიიჩნევს ავტორი. აგვისტოს ომმა თანდათანობით ახალი *status quo* დაამკვიდრა რეგიონში, რომელიც აშკარად ხელსაყრელია რუსეთისთვის. რუსეთი ყველანაირად შეეცდება კავკასიაში სტრატეგიული გავლენის და საყრდენის შენარჩუნებას, რაც “აგვისტოს ომის სტატუს ქვოს ლეგიტიმიზაციით” (ინ-

ტერნეტ წყარო № 83) არის შესაძლებელი. ამგვარად, აგვისტოს ომი შეიძლება რუსეთის მხრიდან რეგიონის გლობალურ სტრატეგიულ “შთანთქმად” და არა რეგიონში რუსეთის გავლენის ჩვეულებრივ გავრცელებად განვიხილოთ.

ასმუსი (2010) ამტკიცებს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი რუსეთის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე *პრივილეგირებულ ინტერესებზე* პრეტენზიების გაცხადების შედეგს, ხოლო თავად ომი დასავლეთის და ევროკავშირის მიერ კოსოვოს აღიარებაზე რუსეთის პასუხს წარმოადგენდა. ამავე დროს, ეს იყო რუსეთის გამაფრთხილებელი სიგნალი ყველასთვის – აი რა მოუვიდოდა ნებისმიერ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას თუ ისინი, სააკაშვილის მსგავსად, დასავლეთისკენ და დასავლური ინსტიტუტებში წევრობისკენ, პირველ რიგში კი ნატოსკენ, განაგრძობდნენ სვლას. 2009 წლის 24 იანვარს ჩ წერდა, “მოსკოვმა გააფრთხილა დასავლეთი, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობას დომინოს ეფექტი ექნებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე არსებულ სეცესიურ რეგიონებზე” (*აფ ჯოუ* , 2010, გვ. 71-72) და ასრულდა ეს 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში. საერთაშორისო მეტოქეობაზე, როგორც აგვისტოს ომის ძირითად გამომწვევ მიზეზზე, ყურადღებას ამახვილებს ჩეტერიანი. ის ამტკიცებს, რომ კავკასიაში არასტაბილურობის წყაროს “ორ ძირითად ძალას – აშშ-სა და რუსეთს შორის – როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური, მეტოქეობა წარმოადგენდა” (ინტერნეტ წყარო № 106). ამგვარად, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის ცვლილება არა 2008 წლის აგვისტოს ომის უშუალო წინა პერიოდის პროცესებმა განაპირობა, არამედ ყველა მხარის წინასწარდაგეგმილმა მოქმედებებმა და რეგიონის მიღმა არსებულ ალიანსებში მომხდარმა თანმდევმა ცვლილებებმა.

ასმუსი 2001 წლის შემდგომი პერიოდის, პუტინის გაპრეზიდენტების, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ტრანსფორმაციის და რუსეთის დასავლეთისადმი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცისადმი დამოკიდებულების ცვლილების ანალიზს გვთავაზობს. ის ამტკიცებს, რომ დასავლეთის ქვეყნების ინტერესები უარყოფილ იქნა, როდესაც რუსეთმა ბორის ელცინის მიერ არჩეული დემოკრატიის გზიდან ვლადიმირ პუტინის ხელმძღვანელობით მზარდ ავტორიტარულ გზაზე გადაუხვია. გარდა ამისა, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის ფედერაციამ მისი ინტერესების უგულვებლყოფად აღიქვა. ასმუსი მიიჩნევს, რომ პუტინის რუსეთმა საქართველო დასავლეთზე და აშშ-ზე შურისძიების მაგალითად ამოირჩია და პუტინი ამ ფაქტს არც მაღავდა სააკაშვილთან სეპარატისტული რეგიონების თაობაზე გამართული მოლაპარაკებების დროს. ამავე დროს, 2008 წლის აპრილის ბუქარესტის სამიტზე ნატოს მიერ საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის () მინიჭებაზე უარის თქმა რუსეთმა საქართველოზე თავდასხმისთვის მწვანე შუქის ანთებად აღიქვა.

დე ვაალი (2010) სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესებს აგვისტოს ომის დაწყების უმთავრეს წინაპირობად მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ “პუტინის და მედვედევის ეპოქაში, ის [რუსეთის ფედერაცია] აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყოფნას, სამხედრო ალიანსს სომხეთთან და ამ სამ ქვეყანასთან არსებულ მილსადენებს [პოლიტიკის] ინსტრუმენტებად იყენებს” (გვ. 97). პოპჯანევსკი (2009) კი მიიჩნევს, რომ აფხაზეთისთვის რეალური ბრძოლა არა 2008 წლის აგვისტოში, არამედ 2008 წლის აპრილში, ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ, დაიწყო. მისი აზრით, 2008 წლის 16 აპრილს უკვე სახეზე იყო სიტუაციის გაუარესების პირველი ნიშნები, როდესაც “თავისი პრეზიდენტობის უკანასკნელ დღეებში პუტინმა ხელი მოაწერა საპრეზიდენტო დადგენილებას, რომლის თანახმად რუსეთის სახელმწიფო უწყებებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ადმინისტრაციასთან ოფიციალური კავშირების დამყარება დაავალა; მათ უნდა უზრუნველყოთ რუსეთსა და ამ ორ რეგიონს შორის სავაჭრო ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია და რეგიონის მოსახლეობისათვის საკონსულო მომსახურების გაწევა (გვ. 145). დე ვაალი (2010) ეთანხმება ამ მოსაზრებას, და შენიშნავს, რომ ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ “რუსეთის ხელისუფლებამ მომდევნო ნაბიჯები გადადგა და აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან უშუალოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დამყარება გამოაცხადა” (გვ. 209). ამგვარად, გასაკვირი არ არის, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ ნატო ბუქარესტის სამიტის წინ დე-ფაქტო აფხაზი ხელისუფლებისთვის შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა, რომელიც აფხაზებს “ფართო ავტონომიას, თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, სამთავრობო დონეზე რესპუბლიკის წარმომადგენლობას და ავტონომიურ რეგიონთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე ვეტოს უფლებას და ეთნიკურ აფხაზს ვიცე-პრეზიდენტის პოსტს სთავაზობდა, უპასუხოდ დარჩა (იფსკ, 2008, გვ. 115). დიტრიხი შენიშნავს, რომ ეს შეთავაზება არენდ ლიპპარტის მიერ ჩამოყალიბებულ კონსოციალური დემოკრატიის თეორიის გარკვეულ ნიშნებს – სეგმენტურ ავტონომიას, სეგმენტური ვეტოს უფლებას, ადმინისტრაციული ხელისუფლების კოალიციას და პროპორციულ წარმომადგენლობას სახელმწიფო ინსტიტუტებში – შეიცავდა.⁴¹

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ომი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის *a priori* პირდაპირი დაპირისპირების შედეგად ვერ ჩაითვლება და მას საერთაშორისო განზომილება გააჩნია (რუსეთი vs. ევროკავშირი/აშშ და დასავლეთი). თუმცა, ეს ომი მძიმე დარტყმა იყო საქართველოსთვის, სეპარატისტული რეგიონებისადმი ახალი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა წარმოაჩინა და ცხადყო, რომ ისინი სეპარატისტულ ტერიტორიებად ვე-

⁴¹ ის: იფსკ . (1977), *Democracy in Plural Societies*, ეწ ავენ, ჯალ ნიფრისი რუს.

დარ ჩაითვლებოდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთი გაბატონდა ამ რეგიონებში. ასევე ცხადი გახდა, რომ დასავლეთი, ევროკავშირი/აშშ, ვერ დაეხმარებოდა საქართველოს ამ ტერიტორიების დაბრუნებაში და ვერც საქართველოს პროდასავლურ მისწრაფებებს დააკმაყოფილებდა რუსეთის ფედერაციათან დაპირისპირების ხარჯზე. ამგვარად, საჭირო იყო რაიმე ახალი გზის გამონახვა, რომელიც რუსეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს საქართველოს გავლენის ქვეშ დააბრუნებდა და სამომავლოდ ამ რეგიონების საქართველოში რეინტეგრაციის პერსპექტივას შექმნიდა.

4.1.1. აგვისტოს ომის ეკონომიკური კონტექსტი

რუსეთ საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს თავისი ეკონომიკური წინამძღვრები გააჩნდა და ისინი გლობალური აქტორების რეგიონული ინტერესების ნაწილს წარმოადგენდნენ. მარტინსი (2010) ამტკიცებს, რომ მას შემდეგ რაც მოსკოვმა 2014 წელს ოლიმპიური თამაშების ქალაქ სოჭში მასპინძლობის უფლება ოფიციალურად მოიპოვა (2007 წლის ივლისი) აფხაზეთის საკითხი განსაკუთრებით მტკინვეული გახდა რუსეთის ფედერაციისთვის. მარტინსი, სხვა მოსაზრებებს შორის (რუსეთის წინააღმდეგობა კოსოვოს ომისადმი და, შემდგომში, მისი დამოუკიდებლობის აღიარებისადმი, აგრეთვე სამომავლოდ საქართველოს ნატოს წევრობისადმი სააკაშილის გაცხადებული კურსისადმი – იხ. ზემოთ) მკაცრად ემხრობა ზემოთმოყვანილ არგუმენტს. რუსეთმა სცნო აფხაზეთის მიერ მათ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების კონტროლის უფლება და სანაცვლოდ აფხაზეთის ტერიტორიის სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის გამოყენების ნებართვა მიიღო (ინტერნეტ წყარო №74, გვ. 9). ყველა ეს მოსაზრება მეტ-ნაკლებად სარწმუნოა და თითოეული მათგანი შეიძლება სხვადასხვა არგუმენტებით განმტკიცდეს, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, უდაოა რუსეთისათვის აფხაზეთის ეკონომიკური სარგებელი.

მარტინსი (2010) ამტკიცებს, რომ აფხაზეთის კონტროლის ქვეშ აყვანის დროს რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური გათვლები მჭიდროდ უკავშირდებოდა 2014 წლის სოჭში დაგეგმილ ოლიმპიურ თამაშებს. აფხაზეთი ამ მხრივ ხელსაყრელი და განსაკუთრებული სარგებლის მომტანი იყო, კერძოდ:

- გეოგრაფიული სიახლოვე და მდიდარი რესურსები, იაფი ტრანსპორტირების შესაძლებლობით; აფხაზეთის ხელისუფლებამ, სერგეი ბაღაფშის ხელმძღვანელობით, მხარდაჭერის საჩვენებლად, რუსეთს სამშენებლო მასალები და მუშახელი შესთავაზა ოლიმპიური თამაშებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ასაშენებლად;

- აფხაზეთში არსებობდა აუცილებელი საავტომობილო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, რომლის ნაკლებობასაც სოჭი განიცდიდა. აფხაზეთის ჩართვა სოჭის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთს დროს და ფულს დაუზოგავდა, ხოლო აფხაზეთის ხელისუფლებას უზარმაზარ ინვესტიციას და შემოსავალს მოუტანდა ტურიზმის სფეროში;

- სოჭის ოლიმპიურ პროექტში მონაწილეობა აფხაზეთს უზარმაზარ მოგებას პირდებოდა, იქნება ეს სოჭის მშენებლობის ბუმთან დაკავშირებული პირდაპირი ინვესტიციები, თუ სხვა სახის ეკონომიკური სარგებელი. შედეგად, ის კიდევ უფრო გადაინაცვლებს რუსეთის ორბიტაზე, გაიზრდება მისი ეკონომიკური დამოკიდებულება და რუსეთის ფორმალურ წევრად გახდომის სამომავლო შესაძლებლობა (ინტერნეტ წყარო №74, გვ. 10). შევნიშნავთ, რომ რუსეთი მიზნად ისახავს ჩრდილოეთ კავკასიის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, რისთვისაც ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში მხოლოდ 2011 წელს 400 მილიარდი რუბლის ინვესტიცია ჩაიდო, ხოლო დავოსის სამიტზე რუსეთის ხელისუფლებამ 2011 წლის იანვრისთვის დაღესტანში და ადიღეაში სათხილამურო ტურიზმის განვითარების გეგმა წარადგინა (თარჯან-ოურვი 2011, გვ. 84). 2008 წლის აგვისტოს ომს რუსეთ-აფხაზეთის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები მოჰყვა. 2009 წლის მაისში, ბადაფშმა აფხაზეთის რკინიგზის და სოხუმის აეროპორტის მართვის უფლება, ინვესტიციების და სესხების სანაცვლოდ, 10 წლის ვადით რუსეთს გადასცა. იმავე წლის ოქტომბერში ამ ნაბიჯს მოჰყვა სატრანსპორტო შეთანხმება “რომელიც აფხაზეთის პასუხისმგებლობას საჰაერო და საზღვაო გადაზიდვებზე რუსეთს გადასცემდა” (ჩოლუყ & იფტეილ 2010, გვ. 65).

აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ერთ ნაწილს განსაკუთრებით აშფოთებს რუსეთის ფედერაციაზე აფხაზეთის სამომავლო დამოკიდებულება, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს მათი დამოუკიდებლობის პოტენციალს. მაგალითად, ბესლან ბუტბამ, ეკონომიკური განვითარების პარტიის წარმომადგენელმა, აფხაზეთის ხელისუფლება გააკრიტიკა და გააფრთხილა, რომ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების დიდი ოდენობით გადაცემა “ქვეყნის მომავალი პოლიტიკური დამოუკიდებლობის საფუძვლებს ძირს გამოუთხრიდა” (ჩოლუყ & იფტეილ 2010, გვ. 66). ბუტბას მსგავსად, რაულ ხაჯიმბამ (ვიცე-პრეზიდენტი 2009 წლის მაისამდე) “აფხაზეთის ხელმძღვანელობა აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ გაყიდვაში დაადანაშაულა” (ჩოლუყ & იფტეილ 2010, გვ. 66). ამგვარად, კოპენი მართებულად შენიშნავს, რომ “ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა არასაკმარის ცდუნებას წარმოადგენს აფხაზეთისთვის მათ შორეულ პოლიტიკურ მიზნებზე უარის თქმისთვის” (ინტერნეტ წყარო №53, გვ. 13). შე

იძლება ითქვას, რომ აფხაზეთის რუსეთზე მზარდი ეკონომიკური დამოკიდებულება აფხაზი ელიტის ერთი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს. თუმცა, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ამ მხრივ რაიმე ცვლილება მოხდეს უახლოეს მომავალში.

4.12. აგვისტოს ომის სამხედრო წანამძღვრები

აგვისტოს ომის სამხედრო წანამძღვრები ბევრად უფრო ვრცელ დროით პერიოდში შეიძლება განვიხილოთ, კერძოდ წინმსწრები რამდენიმე თვე და წელიწადი. ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ აფხაზეთის რეგიონში რუსეთის სამხედრო ნაწილების მზარდი კონცენტრაციისა და შესაძლებლობების განმტკიცების პარალელურად, სამხრეთ კავკასიისადმი უსაფრთხოების განმტკიცებისათვის აშშ-ს მზარდმა მხარდაჭერამ რეალურად საპირისპირო შედეგი გამოიღო და რეგიონის ქვეყნების ნაწილს პრობლემების საკუთარი ძალებით მოგვარების რწმენა ჩაუნერგა. ეს იმ დროს, როდესაც, რუსეთი სულ უფრო ცხადად ესწრაფოდა სამხრეთ კავკასიაში, და ზოგადად შავი ზღვის რეგიონში, პოზიციების განმტკიცებას, რაშიც მნიშვნელოვანი საყრდენს აფხაზეთის რეგიონზე სრული სამხედრო-პოლიტიკური კონტროლის მოპოვება წარმოადგენდა. ამ კონტექსტში მიჩაილ დ. მიჰალკა და მარკ. რ. ვილკოქსი (2010) ყურადღებას აშშ-ს მხარდაჭერით 2002-2004 წლებში საქართველოში განხორციელებულ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაზე ამახვილებენ, რომელიც 64 მილიონი დოლარით დაფინანსდა და რომლის მიზანს ანტიტერორისტული ოპერაციებისთვის, მილსადენების დაცვისთვის და შიგა სტაბილურობის შენარჩუნებისათვის ქართველი სამხედროების მომზადება წარმოადგენდა. ამას დაემატა ერაყში გასაგზავნად ქართული სამხედრო შენარჩუნების მოსამზადებლად 2005 და 2006 წლებში გამოყოფილი 16 და 30 მილიონი დოლარი. ავტორები შენიშნავენ, რომ რეალურად, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე ერაყში გასაგზავნად 4 ბრიგადა გაიწვრთნა და აღიჭურვა. თუმცა ეს საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დეკლარირებულ მისიას და მიზანს წარმოადგენდა. მიჰალკა და ვილკოქსი (2010) 2006 წლის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე ამახვილებენ ყურადღებას, კერძოდ “აშშ მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში საქართველოს მნიშვნელოვნად მზარდ თავდაცვით შესაძლებლობებზე, რამაც საქართველოს თანამედროვე შეიარაღებული ძალების შექმნის საშუალება მისცა” (ინტერნეტ წყარო №76, გვ. 29). მეორე მხრივ, ანტონენკო (2006) აცხადებს, რომ საქართველოსადმი აშშ მიერ გაწეული სამხედრო მხარდაჭერამ ინსტრუმენტული როლი ითამაშა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის გაჩაღებაში. ავტორს მოჰყავს საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (თ), რომელიც 2000 ქართველი ჯარისკაცის მომზადებას ისახავდა მიზნად და ამერიკისადმი და დასავლური სახელმწიფოებისადმი აფხაზეთის დე-ფაქტო

პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას 2002 წლის მარტის მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო: “საქართველოსთვის გაწეული სამხედრო მხარდაჭერას შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყოლოდა და კონფლიქტის ესკალაცია გამოეწვია ... აშშ-ს მხარდაჭერით გაწვრთნილი სამხედრო ნაწილები აფხაზეთის წინააღმდეგ ომში შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული” (გვ. 307). უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კვლევის მიზანს არ წამოადგენს 2008 წლის აგვისტოს ომის წინა პერიოდში საქართველოს სახელისუფლებო წრეების გადაჭარბებულ სამხედრო რიტორიკაში საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის და აშშ-ს სამხედრო წვრთნების როლის კრიტიკა; ძნელია ვამტკიცოთ, რომ ომის ესკალაციას აშშ-ს სამხედრო დახმარებამ შეუწყო ხელი. ანალოგიურად შესაძლებელია ომის გამომწვევ მიზეზად პუტინსა და სააკაშვილს შორის გამართული საიდუმლო მოლაპარაკებები მივიჩნიოთ. თუმცა, რადგანაც არ არსებობს ამ ვარაუდის განმამტკიცებელი ან დამასაბუთებელი, ისევე როგორც მათი ერთმნიშვნელოვნად უარყოფი, რაიმე ხელშესახები და სარწმუნო წყარო, მოცემული კვლევა აფხაზეთის რეგიონის კონფლიქტის სამხედრო ასპექტების განხილვისას გვერდს უგლის ამ საკითხს და მომავალი კვლევის საგნად მიიჩნევს.

რუსეთისთვის შავი ზღვის სანაპირო სტრატეგიულ არეალს წარმოადგენს. აფხაზეთის სანაპირო ზოლზე შესაძლებელია როგორც სამხედრო გემების, ასევე წყალქვეშა ნაგების განლაგება და მათი ეფექტური გამოყენება (კჰაიდლე, შილვე, 2011, 13). ამგვარად, იზრდებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზი სეპარატისტების სამხედრო შესაძლებლობების მხარდაჭერის ტექნიკური და ფინანსური რესურსები. აფხაზი სეცესიონისტი ელიტისადმი რუსულმა სამხედრო დახმარებამ ახალი ძალა 2004 წელს, საქართველოს პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდეგ შეიძინა, რასაც მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუარესება მოჰყვა. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო დაჩქარდა საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების მილიტარიზაცია. ილარიონოვი (2009) ამტკიცებს, რომ “ოჩამჩირის და გალის ბაზების ნაგებობები სამხედრო დანიშნულებით გადაკეთდა, სადაც 100 ათას ადამიანზე გათვლილი სამხედრო შეიარაღება, აღჭურვილობა და საწვავი განთავსდა” (გვ. 59). საქართველოს კონფლიქტური რეგიონებისადმი მიწოდებული რუსული შეიარაღება აჭარბებდა საქართველოს მთლიან სამხედრო შესაძლებლობებს; განდგომილი რეგიონები ორჯერ უფრო მეტ შეიარაღებას ფლობდნენ, ვიდრე საქართველო (გვ. 60).

რუსეთმა დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციების შეთანხმებაც დაარღვია. 2008 წლის აპრილში მოსკოვმა პარაშუტისტთა დივიზია ნოვოროსიისკის საჰაერო-სადესანტო დანაყოფიდან აფხაზეთში გადაისროლა. ამ ძალების სამხედრო აღჭურვილობა ადასტურებს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის აშკარა და ძლიერ შეიარაღებას. აფხაზეთის სამხედრო შესაძლებლობები გაიზარდა “3 ბუკის ტი-

პის ანტი-საჰაერო კომპლექსით, 14 დამატებითი დ-30 ტიპის თვითმავალი საარტილერიო დანადგარით, 10 ცალი 122 მილიმეტრის ბმ-30 მულტისარაკეტო სატყორცნი დანადგარით, 20 ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო დანადგარით, 120 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით, 2 ვერტმფრენით და ამ დანადგარების მუშა-მოსამსახურე 180 რუსი ტექნიკოსით. გარდა ამისა, მოსკოვმა თავისი სამხედროების რიცხვი 1997-დან 2.542-მდე გაზარდა” (Lashin, 2009, გვ. 69). პოპჯანევსკი (2009) აღნიშნავს, რომ 2008 წლის 31 მაისს, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დამატებით 400 სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა აფხაზეთში სოხუმი-ოჩამჩირის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის აღსადგენად (გვ. 146). ეს ოპერაციები ოფიციალურად აფხაზეთისთვის გაწეულ ჰუმანიტარული დახმარების ნაწილად ჩაითვადა, თუმცა აშკარა იყო ამ სამხედრო ნაბიჯების რეალური არსი. მოგვიანებით, 2008 წ. 20 ივლისს, ცოცხალი ძალის გადამყვანი 40 ჯავშანმანქანით, ქვეითი ჯარი შევიდა კოდორის ხეობის ქვემო ნაწილში. ამას მოჰყვა დაპირება სეპარატისტული ხელისუფლებისადმი მათი სამხედრო პოტენციალის გაზრდის თაობაზე.

2009 წლის სექტემბერში გაფორმებულმა სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებამ კიდევ უფრო გაზარდა რუსი სამხედროების როლი აფხაზეთში. ახალი ხელშეკრულება “რუსეთისთვის 49 წლიანი ვადით ხელმისაწვდომს ხდიდა აფხაზეთში არსებულ სამხედრო ინფრასტრუქტურას და ბაზებს (მათ შორის გუდაუთას საჰაერო და ოჩამჩირის საზღვაო ბაზებს)” (ჩოლუყ & იტყელა, 2010, გვ. 64). აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული შეიარაღების ზრდა აგვისტოს ომის შემდეგაც გაგრძელდა და “მ-300 სარაკეტო სისტემები და ტოჩკა-ტიპის რაკეტები განთავსდა. ამავე დროს რეგიონი მე-7 სამხედრო ბაზის დისლოკაციის ადგილად განისაზღვრა” (კადაღე, შიღვე, 2011, 13-14).

ბლენკი (2009) რეგიონში რუსეთის სამხედრო პოტენციალის ზრდის ფართო კონტექსტუალიზაციას გვთავაზობს. ავტორის აზრით, ეს საქართველოს ტერიტორიაზე ანტიდასავლური და ნატოს საწინააღმდეგო სამხედრო პოზიციების გაძლიერებას წარმოადგენდა; ე.ი. ეს იყო, ერთი მხრივ, ნატოს საწინააღმდეგო ევრაზიის სამხედრო პლატფორმის – კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ჩშთ) მშენებლობის ნაწილი, ხოლო, მეორე მხრივ, ფორმირების პროცესში მყოფი რუსეთის თავდაცვის პოლიტიკაში სამხედრო ოფიცრების მიერ გავლენის მოპოვებისაკენ მისწრაფების გამოხატულება (გვ. 108-109). მოსაზრება სააკაშვილის გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით სავსებით საფუძვლიანია, რამდენადაც ეს უკანასკნელი აშკარად პროდასავლურ ორიენტაციას ამჟღავნებდა. არგუმენტის მეორე ნაწილი კონფლიქტის ორივე პერიოდთან მიმართებაში არის ვალიდური, რადგანაც ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ რუსი სამხედროების ინტერესები ადვილად გაქრებოდა. დე ვაალი (2010) აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში რუსეთის მონაწილეობასთან დაკავშირებით გარკვეულწილად

ნეიტრალურ პოზიციაზე დგას. ქართველთა პრეტენზიების აფხაზეთში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე და აფხაზური არგუმენტების, რომ სახეზე იყო საკუთრივ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და რუსეთი ორივე მხარეს ეხმარებოდა, ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე, დე ვაალი მიიჩნევს, რომ “ჭეშმატირება სადღაც ამ ორ ვარაუდს შორის უნდა ვეძებოთ” (გვ. 159).

პირად კავშირებზე დაყრდნობით ასმუსი (2010) გვთავაზობს გარკვეულ მონაცემებს, რომელიც ადასტურებს, რომ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო პოზიციების გაძლიერება აგვისტოს ომამდე დაიწყო. ქართველ ინფორმანტზე დაყრდნობით, ასმუსი წერს, რომ შესაბამისმა ქართულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა უკვე 2008 წლის გვიან გაზაფხულზე დააფიქსირა რეგიონში განთავსებული “დიდი ოდენობით / თღჯავშანმანქანები, -30 ტიპის ქვემეხები, შ -11 ბუკის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები, -21 გრადის ტიპის სარაკეტო და ძმ 02304 შპალა ტიპის სამხედრო საზენიტო სისტემები” (გვ. 166).

აფხაზეთში აგვისტოს ომის შემდეგ არსებული სიტუაციის შეფასებისას, სხვადასხვა საერთაშორისო მოხსენებებსა და ანგარიშებზე დაყრდნობით, ო'ლონგვილი, კოლოსოვი და ტოალი (2011) შენიშნავენ, რომ 2009 წლის 15 სექტემბერს “რუსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელმძღვანელობამ სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება გააფორმეს, რომელიც რუს სამხედროებს აფხაზეთში განთავსებული სამხედრო ინფრასტრუქტურის და ბაზების მშენებლობისა და განახლების საშუალებას აძლევდა” (გვ. 6). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რეგიონში რუსეთის სამხედრო მონაწილეობა ან ფარული იყო, ან საერთაშორისო შეთანხმებებით იზღუდებოდა, უშუალოდ აგვისტოს ომის წინა პერიოდში და მის შემდეგ, რუსეთი ღიად დაადგა რეგიონის სრული მილიტარიზაციის გზას. აფხაზეთის რეგიონში გაიზარდა რუსეთის სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია, რომელთა შეიარაღება საკმარისი იყო არა მხოლოდ “სამშვიდობო,” არამედ თავდაცვითი და შეტევითი ომის საწარმოებლადაც. ამის არაპირდაპირ დასტურად გვევლინება 2008 წლის 8-12 აგვისტოს შემდეგ რუსეთის სამხედრო შენაერთების თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გაშლა.

აგვისტოს ომის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო წინამძღვრების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2008 წლის 8-12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი მხოლოდ 2008 წლის ზაფხულის მოვლენების ნაწილს არ წარმოადგენდა და მისთვის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო წინაპირობები წლების მანძილზე მზადდებოდა, სულ მცირე 2004 წლიდან მოყოლებული მაინც. ამავე დროს ის არა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური წინააღმდეგობის ნაწილი იყო, არამედ საქართველოს პროდასავლური კურსით რუსეთის გაღიზიანების გამოძახილი. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველო მტკიცედ დაადგა და-

სავლური ორიენტაციის გზას და მიზანმიმართულად გამოვიდა რუსეთზე ეკონომიკურ-ენერგეტიკული დამოკიდებულებიდან; რაც შეეხება რუსეთზე პოლიტიკურ დამოკიდებულებას, რუსეთი ამას საქართველოს კონფლიქტური ტერიტორიების ეფექტური პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტროლის გზით ინარჩუნებდა, რაც საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოს ომით განამტკიცა.

4.2. საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია სეპარატისტული რეგიონებისადმი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: ოკუპირებული ტერიტორიები – ახალი ინსტიტუციური მექანიზმი?

2008 წლის აგვისტოს ომის ცხელი ფაზის დასრულებისთანავე საქართველოს ხელისუფლების მთავარ საზრუნავად კონფლიქტური ტერიტორიებისადმი ახალი მიდგომის შემუშავება იქცა. ახალი პოლიტიკის წარმართვა კონფლიქტური ზონების გარშემო განვითარებულმა ორმა ურთიერთდამოკიდებულმა მოვლენამ განაპირობა: პირველ რიგში, აგვისტოს ომი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მანამდე არსებული ფარული დაპირისპირების ღია გამოვლინებას წარმოადგენდა, რადგანაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე ჩრდილოელი მეზობელი ოფიციალურად მშვიდობისმყოფელის სტატუსით სარგებლობდა. მეორე მხრივ, ვარდების რევოლუციის ხელისუფლებამ მიუღებლად მიიჩნია კონფლიქტების ქართულ-აფხაზურ [და ქართულ-ოსურ] “დაპირისპირებად” მონათვლა და მათ ჩანაცვლებას ან ნეიტრალური ტერმინებით შეეცადა ან ყოფილი სეპარატისტული რეგიონები ღიად გამოაცხადა ოკუპირებულ ტერიტორიებად (2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ). ამან საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის ფედერაციის ოკუპანტ ძალად გამოცხადების საშუალება მისცა, რამაც წერტილი დაუსვა მის მედიატორის სტატუსს, რომლითაც ეს ქვეყანა რეგიონში 1993-2008 წლებში სარგებლობდა. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით აპელირებდა, რომლითაც საფრანგეთის, საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება გააფორმეს საქართველოსა და რუსეთს, და არა საქართველოსა და აფხაზეთს/სამხრეთ ოსეთს შორის (ინტერნეტ წყარო №105, გვ. 22).

ახალი სტრატეგია მნიშვნელოვან შემობრუნებად შეიძლება იქცეს თბილისსა და სოხუმს შორის არსებულ ურთიერთობებში, რადგან ახალი სამშვიდობო ინიციატივით “აფხაზეთს დასავლეთთან ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა ეძლევა კონკრეტულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე, რაც რუსეთის გავლენის შემცირებს შეუწყობს ხელს” (ჩოლყუ & იჭკელ 2010, გვ. 60). ქოლი და მიტჩელი მიიჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლების ახალი შეთავაზება მნიშვნელოვანი გარდგევაა, რადგანაც “აფხაზეთის,

როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსს, არასოდეს სცნობენ არც აშშ, და არც ევროკავშირი” (გვ. 60). ამავე დროს, აფხაზეთში უკვე აფიქრებთ რუსეთის ფედერაციაზე მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულება.

2008 წლის აგვისტოს ომამდე სააკაშვილის მიერ ინიცირებული კონფლიქტების მოგვარების ბოლო ინიციატივა იმავე წლის მარტში გაუღედა. ინიციატივის ფარგლებში, რეგიონს შესთავაზეს ფართო ავტონომია ფედერალური ურთიერთობების ფარგლებში, ასევე კულტურის, ენის და აფხაზური იდენტობის დაცვის გარანტიები. საერთაშორისო ვოკრშოპზე – “*რეინტეგრაციის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საქართველოში*” – გამოსვლისას, რომელიც საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული, სააკაშვილმა გაახმაურა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად შემუშავებული მთელი რიგი წინადადებები, რომლებიც მოიცავდნენ ერთიანი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას, აფხაზეთის წარმომადგენლების შეყვანას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში, ეთნიკური აფხაზისთვის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს, აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე ვეტოს უფლებას, შეუზღუდავ ავტონომიას, და უსაფრთხოების მთელ რიგ გარანტიებს (ინტერნეტ წყარო №74). სეცესიური აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ახალ ინიციატივას მომდევნო დღეს გამოეხმაურნენ. სერგეი ბაღაფშმა, სეპარატისტი აფხაზების ლიდერმა, სამშვიდობო გეგმა “ნატოს სამისტისწინა პროპაგანდად შეაფასა ... რითაც საქართველო ნატოს თვალში საკუთარი თავის მშვიდდომისმოყვარე ნაციად წარმოჩენას ცდილობდა” (შშ ოქ, 2009, გვ. 132). ბაღაფშმა უარჰყო სააკაშვილის შეთავაზება და ის მიუღებლად გამოაცხადა. აგვისტოს ომმა აჩვენა, რომ სეპარატისტული აფხაზეთის მხრიდან არ არსებობდა დიალოგისთვის მზაობა და ბაღაფშის უარი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსეთის ფედერაციის ფართო გეგმის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ, სადაც მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის სეპარატისტულ რეგიონებს ენიჭებოდათ.

2010 წლის 27 იანვარს საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა ახალი დოკუმენტი *სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიებისადმი: ჩართულობა თანამშრომლობის გზით*,⁴² რასაც 2010 წლის ივლისში ჩართულობის სა-

⁴² აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი *სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიებისადმი: ჩართულობა თანამშრომლობის გზით* დაეფუძნა მხარეებსა და მედიატორებს შორის ადრე ხელმოწერილ შეთანხმებებს და საერთაშორისო ორგანიზაციების დადგენილებებს. ის ეფუძნება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს, დამტკიცდა 2008 წლის ოქტომბერში; 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას; ევროსაბჭოს 2008 წლის 1 სექტემბერის შეხვედრის შემაჯამებელ ოქმს; გაეროს გენერალური ასამბლეის 2009 წლის 28 აგვისტოს დადგენილებას “იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ;” ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დადგენილებებს “საქართველო-რუსეთის ომის შედეგების შესახებ” (№1633 (2008), №1647 (2009), №1648 (2009), №1644 (2009), №1683 (2009), “საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული სიტუციის შესახებ მომზადებულ მოხსენებებს (შ /164(2009)7, შ /164(2009)9,

მოქმედო გეგმის დამტკიცება მოჰყვა. ეს უკანასკნელი ოკუპირებული ტერიტორიებისადმი სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ძირითად პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. ახლადშემუშავებული დოკუმენტის – სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიებისადმი: ჩართულობა თანამშრომლობის გზით – ძირითადი მიზანი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თბილისსა და სოხუმს შორის წარმოქმნილი ჩიხიდან გამოსავლის მოძებნაა. ანტონენკო ამტკიცებს, რომ ახალი პოლიტიკური პროექტი უფრო პოზიტიური იყო, ვიდრე წინა ვარიანტი – კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ; და “იზოლაციისა და არადიარებიდან ჩართულობის პოლიტიკისკენ (ადიარების გარეშე) გადადგმული ნაბიჯი პოზიტიურად შეაფასა ევროკავშირმა და სასურველ ნაბიჯად მიიჩნია საქართველოში” (ინტერნეტ წყარო № 101). განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში გამოყენებული ცნებები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შეთავაზებები. ეს ნაწილობრივ იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ ეს რეგიონები უკვე სარგებლობენ რუსეთის ფედერაციისგან მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობით, თუმცა, ამავე დროს, რეგიონში არსებული რუსეთის ფედერაციის ჯარების “გულმოდგინების” იმედად არიან; და ამგვარად, მათ არ აქვთ მომავლის სხვა რაიმე ალტერნატივა, თუ არა ფედერაციული, კონფედერაციული, თუ სხვა რაიმე სახის კავშირის საქართველოს სახელმწიფოსთან.

ახალი სამშვიდობო გეგმა დაფუძნებულია ევროპული სახელმწიფოების მიერ გაზიარებულ და ჰელსინკის საბოლოო აქტში ასახულ საერთო პრინციპებზე. დოკუმენტის მიზანია აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონიდან (სამხრეთ ოსეთი) ჯარების გაყვანის მიღწევა. სახელმწიფო სტრატეგიის თანახმად, “ამ ტერიტორიების ანექსირების პროცესი უნდა შებრუნდეს და ისინი მშვიდობიანი გზით უნდა ინტეგრირდნენ საქართველოს საკონსტიტუციო წყობაში” (ინტერნეტ წყარო №91). სახელმწიფო სტრატეგია ცდილობს წინ აღუდგეს ოკუპაციის თანმდევ იზოლაციას და დაყოფას, რისთვისაც ქმნის ჩართულობის ჩარჩოებს, მოტივაციას და მექანიზმებს. საქართველოს ხელისუფლებას სწამს, რომ ეს გამყოფ მიჯნებზე საზოგადოებებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობით, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციითა და განვითარებით, არსებული მექანიზმების გაძლიერებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, ადამიანის უფლებების დაცვის და მოძრაობის თავისუფლების ხელშეწყობით შეიძლება იქნეს მიღწეული. ჩართულობის სტრატეგია ასევე მიზ-

შ /16ფ(2009)15); ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის და ნაციონალური უმცირესობების საკითხის უმაღლესი კომისარის “ადამიანთა უფლებები ომით დაზარალებულ რეგიონებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ” (I ლ/ B მოხსენება) 2008 წლის 27 ნოემბერის მოხსენებებს (ინტერნეტ წყარო № 101).

ნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის და იდენტობის დაცვას, ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებს ხელშეწყობას და ზემოთდასახელებული პუნქტების განხორციელებისათვის ლეგალური საფუძვლების გამონახვას (ინტერნეტ წყარო №91). ბუნებრივია, ყველა ეს მიდგომა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას აუცილებელ წინაპირობად აყენებს, მას შემდეგ რაც მოლაპარაკებების და მშვიდობიანი პროცესის შედეგად ამ ტერიტორიებიდან გავლენ ოკუპანტი ჯარები და იძულებით გადაადგილებული პირები უკან დაბრუნდებიან. ამავე დროს, ეს მიდგომები ხელს შეუწყობს ომის შედეგად დაზარალებულ საზოგადოებებს შორის ნდობის მშენებლობის პროცესს.

ჩემი აზრით, გარკვეულწილად, დოკუმენტი იმთავითვე მიიჩნევს, რომ აფხაზური და სამხრეთ ოსური საზოგადოება მზად არის ქართულ საზოგადოებასთან ურთიერთობების განახლებისთვის. ამგვარად, მათ უნდა შესთავაზონ ახალი ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ყოფილ მეზობელ მხარეებს მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობას მისცემს. თუმცა, ისიც რეალობაა, რომ ეს დოკუმენტი აფხაზებისთვის და ოსებისთვის გარკვეულ იმედის ფანჯარას წარმოადგენს; მათ ეძლევათ შანსი დაუბრუნდნენ საქართველოს, და ამ მხრივ შესაძლებელია ინსტიტუციური თანამშრომლობის კონკრეტულ ჩარჩოებზე მოლაპარაკება და შეთანხმება. ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლება გარკვეული პრაქტიკული შეთავაზებითაც გამოდის, რამაც ოკუპირებული ტერიტორიის ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოში დაბრუნებისკენ უნდა უბიძგოს. თუმცა, რუსეთის ძლიერი სამხედრო ყოფნა კონფლიქტის ზონებში ადგილობრივ აფხაზ და ოსურ საზოგადოებას არსებული სიტუაციისადმი საკუთარი მიდგომის დამოუკიდებლად შემუშავების შესაძლებლობას არ აძლევს. გარდა ამისა, სამშვიდობო გეგმის მომავალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონფლიქტის წარსული მემკვიდრეობა და მეხსიერება; თუმცა, ზოგიერთი აფხაზური ჯგუფის დამოკიდებულება აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის მოქმედებებისადმი, თბილისის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმის ფარგლებში მომავალი თანამშრომლობის გარკვეულ შესაძლებლობებს წარმოშობს. განსაკუთრებით იმედისმომცემია ის ფაქტი, რომ შესაძლებელია დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის მიზნით შექმნილი კიდევ ერთი სახელმწიფო დოკუმენტის – *ქართულობის სამოქმედო გეგმა* – შესავალ ნაწილშივე აღნიშნულია, რომ “საქართველო ესწრაფის ამ მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარებას, ადამიანთა და რეგიონული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მათი იზოლაციის შემცირების და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის” (ინტერნეტ წყარო №4). ეს კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც დღია ყველა დაინტერესებულ მხარესთან განსახილველად; მართალია შე-

საძლებელია ნაციონალური უმცრესობების (აფხაზების და ოსების) ინტერესების გათვალისწინებით მასში ცვლილებების შეტანა, დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიულ მთლიანობის პრინციპს განუხრევლად უნდა ინარჩუნებდეს. ეს დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონს *ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ*, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის ოქტომბერში დაამტკიცა, და რომელშიც გარკვეული ცვლილებები 2010 წლის თებერვალში შევიდა ვენეციის კომისიის დასკვნების გათვალისწინების საფუძველზე. ჩართულობის მიღწევა შესაძლებელია მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების, განათლების, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, ჯანდაცვის სექტორში თანამშრომლობის შედეგად; ამას ხელს შეუწყობს ხალხის ყოველდღიური ინტენსიური ურთიერთობები, კულტურული მემკვიდრეობის და იდენტობის დაცვა, ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და ადამიანის უფლებების დაცვისათვის იურიდიული და ადმინისტრაციული ზომების ერთობლივი გატარება. რადგანაც ოკუპირებულ ტერიტორიებთან ჩართულობა ოკუპანტებთან ახლო ურთიერთობას მოითხოვს, დოკუმენტის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლება “გააგრძელებს ურთიერთობას ოკუპანტ ძალებთან ქენევის პროცესის ფარგლებში, ან რომელიმე პოტენციური ფორუმის მეშვეობით, რათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის წარმატებული განხორციელება იქნეს უზრუნველყოფილი” (ინტერნეტ წყარო №4). მოცემულ ქვეთავში ნაჩვენებია იქნება, რომ ორივე დოკუმენტის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხაზგასმის გამო, ოფიციალური სოხუმი უარს ამბობს თანამშრომლობაზე; ამგვარად, ვფიქრობთ, ამ მხრივ, სასურველია უფრო ნეიტრალური ფორმულირების გამონახვა, რომელსაც გარკვეულწილად გვთავაზობს ევროკავშირის სამშვიდობო ინიციატივა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სამშვიდობო პროექტი ოთხ განზომილებიანია, და ის ოკუპირებული ტერიტორიებზე წარმოქმნილი ჩიხური სიტუაციის გარღვევას ცდილობს. ეს ძირითადად გამყოფ ხაზების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ურთიერთობების, თანამშრომლობის და პარტნიორობის გააქტიურებით უნდა მოხდეს. რაც შეეხება პროექტის 4 განზომილებას, ესენია: *ჰუმანიტარული, ადამიანური, სოციალური და ეკონომიკური*. ამ სფეროებში თანამშრომლობას ჩართულობის ინსტრუმენტები განამტკიცებს, რომლებიც ახალ – ძირითადად სოციალურ და პოლიტიკურ – ინსტიტუტებს წარმოქმნიან; ეს უკანასკნელნი კი ქართველებსა და აფხაზებს შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყობენ ხელს, აგრეთვე დადებითი შედეგების მომტანი იქნება დღესდღეობით აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისათვის.

ეს ინსტრუმენტებია:

- **ნეიტრალური სტატუსის მქონე ურთიერთქმედება:** ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთ-

ის ფაქტობრივი ხელისუფლების კავშირს ნეიტრალური სტატუსის მქონე ოფიცრების დახმარებით, რომლებიც ორივე მხარის თანხმობით დაინიშნებიან; ისინი იმოქმედებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის ეგიდით და ორივე მხარის მიერ დამტკიცებული პროექტების განხორციელებას შეეცდებიან;

- **ნეიტრალური საიდენტიფიკაციო ბარათი და სამოგზაურო დოკუმენტი:** ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდება სოციალური სერვისები და შესაძლებელი იქნება თავისუფალი გადაადგილება; მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მათ კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებისას. სიტყვა *ნეიტრალურით* აქ მოქალაქის სტატუსი მოიხსენიება;

- **ნდობის ფონდი:** გასცემს გრანტებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მოქმედ ორგანიზაციებზე, რომლებიც საზღვრის ორივე მხარეს ახორციელებენ პროექტებს;

- **ერთობლივი საინვესტიციო ფონდი:** მხარს უჭერს ბიზნესებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ქმნიან სამუშაო ადგილებს და გამყოფი საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ საზოგადოებებს შორის კომერციულ კავშირებს აყალიბებენ. ამ ფონდს ერთობლივად დააფინანსებენ დონორები და ბიზნესმენები;

- **თანამშრომლობის სააგენტო:** ხელს შეუწყობს გამყოფი მიჯნების გასწვრივ ურთიერთობებს. ის ჩამოყალიბდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით და რეინტეგრაციის სახელმწიფო სამინისტროს დაექვემდებარება. ეს სტრუქტურა საქმიანობას საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის შესაბამისად განახორციელებს და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების მუშაობას;

- **საფინანსო ინსტიტუტები:** შესაძლებელს გახდის ანგარიშების, ნაღდი ფულის გადარიცხვის და სხვა ლეგალური ტრანზაქციების განხორციელებას; ხელს შეუწყობს ჰუმანიტარული და განვითარების სააგენტოების, აგრეთვე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არსებული ბიზნესების ნორმალურ საქმიანობას;

- **ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სააგენტო:** დაადგენს ფასებს გამყოფ მიჯნებზე, ყველა სფეროში, დაუმუშავებელი პროდუქციით დაწვებული, შეფუთვით, ხარისხის კონტროლით და დისტრიბუციით დამთავრებული, (ინტერნეტ წყარო № 4).

დოკუმენტის თანახმად, ეს ასპექტები არ წარმოადგენენ საბოლოო ნუსხას და ისინი სამომავლო თანამშრომლობის შესაძლო სფეროების სახითაა შეთავაზებული. ისინი ერთმანეთს ავსებენ, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ და, ამგვარად, მრავალი პროგრამის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ეს ინსტრუ-

მენტები სახელმწიფოს შიგნით საერთო ინსტიტუტების ურთიერთქმედების ახალ შესაძლებლობებს ქმნიან. ეს ახალი შეთავაზება საქართველის ხელისუფლების მიერ საბჭოთა პერიოდიდან შემკვიდრებით მიღებული ინსტიტუტების ფარგლებში მომდინარე დებატებისგან და დაპირისპირებებისგან გამიჯვნის მცდელობას წარმოადგენს; და ამავე დროს, მომავალი თანამშრომლობისათვის ახალ ინსტიტუციურ სექტორებს წარმოშობს. მთავარია, არა სახელმწიფო დონის აქტორები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები განახორციელებენ ამ ინსტიტუციური სტრუქტურების მონიტორინგს. ისინი წარმოქმნიან თანამშრომლობის ერთიან სივრცეებს ოკუპირებული ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის გარეშე და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ურთიერთობას არ საჭიროებენ. პოლიტიკური საკითხების გადაჭრა სამომავლოდ არის გადადებული, როდესაც ახალი ინსტიტუტების ფარგლებში თანამშრომლობისა და ურთიერთობის რეალური პროცესი დაიწყება, ხოლო ეს ინსტიტუტები ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებისთვის ინტენსიურად იმუშავენ.

4.2.1. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის საშინაო შეფასება

მოცემული ქვეთავი აანალიზებს აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემუშავებულ კონფლიქტის მოწესრიგების სამშვიდობო გეგმის საშინაო შეფასებას. პოლიტიკოსთა და ექსპერტთა მოსაზრება ორ ნაწილად იყოფა: ერთნი თვლიან, რომ სამშვიდობო გეგმა განუხორციელებელია, რადგან ის რუსეთის ფაქტორს არ ითვალისწინებს და კონფლიქტის რუსეთის გვერდის ავლით მოგვარებას ცდილობს; ამავე დროს, დე-ფაქტო ხელისუფლების გვერდის ავლით რეგიონის მცხოვრებლებთან კონტაქტების დამყარების მცდელობა კი, რაც დოკუმენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, აფხაზეთში აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის გაძლიერებული სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმის პირობებში შედეგს ვერ გამოიღებს. ხუციშვილი (2010) ამტკიცებს, რომ საქართველოს სამშვიდობო პროექტს სამომავლო პერსპექტივა არ გააჩნია. სტრატეგიის მთავარი დოკუმენტი, *ჩართულობა თანამშრომლობის გზით მიმართულია* არა მხოლოდ მოქალაქეებისადმი და ჯგუფებისადმი, არამედ კონფლიქტური ზონების დე-ფაქტო ხელისუფლებისადმიც. ამავე დროს, “იმთავითვე ნათელი იყო, რომ დე-ფაქტო ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ ნებისმიერ ინიციატივას შეეწინააღმდეგებოდა” (ინტერნეტ წყარო №37); ამასთანავე, რამდენადაც აფხაზებიც და ოსებიც ძალის გამოუყენებლობის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებას მოლაპარაკებების ძირითად წინაპირობად აყენებენ, ხოლო თბილისი მის ხელმოწერას ეწინააღმდეგება, შეთავაზებული სამშვიდობო დოკუმენტის მომავალი ძალზედ ბუნდოვანია, თუ არ ვიტყვით, რომ მას განხორციელების ნულოვანი პერსპექტივა გააჩნია. ხუციშვილის აზრით, რეალურად

დრო რუსეთზე მუშაობს, სულ უფრო და უფრო გაძნელება სტატუს ქვოს შეცვლა და “ორივე მხარის მიერ წარმოებული პოლიტიკა უფრო გააღრმავებს იზოლაციას და გაზრდის უსაფრთხოების რისკებს” (ინტერნეტ წყარო №37). რუსეთის ფედერაციის მიერ სამშვიდობო გეგმის მოწონებისა და მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობა ნაყოფს ვერ გამოიღებს და შეუძლებელი იქნება კონფლიქტის ზონების ირგვლივ გარღვევის მიღწევა. მთავარია, რომ მოლაპარაკებებისათვის მზადყოფნა კონფლიქტში უშუალოდ ჩართული ეთნიკური ჯგუფებისაგან წამოვიდეს; თუმცა, ამ კონტექსტში, გასათვალისწინებელია კონფლიქტის სამპოლუსიანი, და არა ორპოლუსიანი, ხასიათი.

4.2.1.1. პოლიტიკური ასპექტების ანალიზი

ქართველ ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სტრატეგიის მთავარი პრობლემა ტერმინ “ჩართულობის” ბუნდოვანი განსაზღვრებაა. გეგეშიძე (2011) ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ “სოხუმისთვის თბილისის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი წინადადება მიუღებელია, და მას სუვერენიტეტის დაკარგვის და საქართველოსთან ინტეგრაციის გზაზე დადგომად განიხილავს” (ინტერნეტ წყარო №30, გვ. 32). თუმცა, გეგეშიძე ამავე დროს აუცილებლად მიიჩნევს ამ მხრივ გარკვეული ზომების მიღებას, რადგან აფხაზეთი უკვე 2002-2003 წლებიდან დაადგა რუსეთთან ცალმხრივი დე-იზოლაციის გზას, რამაც, პრაქტიკულად, 1996 წლის დსთ-ს სანქციებს რეალური სოციო-ეკონომიკური აზრი დაუკარგა (გვ. 31). გეგეშიძე ერთ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: აფხაზეთის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებელია დასავლეთთან თანამშრომლობა, რითაც მას რუსეთის ვერ უზრუნველყოფს. ეს კი, პირველ რიგში, საერთაშორისო ურთიერთობების დივერსიფიკაციითა შესაძლებელი (გვ. 31). ამ მხრივ ცენტრალური ხელისუფლების სამშვიდობო გეგმა დიდ პერსპექტივებს იძლევა. ამ გეგმის ძირითადი მიზნები ევროკავშირის (არალიარება და ჩართულობა) და აშშ-ს (ჩართულობა აღიარების გარეშე) მოსახრებებთან სრულ თანხვედრაშია, რაც დასავლეთს რუსეთის მიერ აფხაზეთის “სრული შთანთქმის” თავიდან აცილების საშუალებას აძლევს (გვ. 31). თუმცა, გეგეშიძე შენიშნავს, რომ ამ მხრივ გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს აფხაზეთის დე-იზოლაციის საქართველოს და ევროკავშირის ხედვებს შორის: საქართველოსთვის დე-იზოლაცია და დასავლეთთან აფხაზეთის “ურთიერთობა” მხოლოდ თბილისის გავლით არის შესაძლებელია, მაშინ როდესაც ბრიუსელი არ თვლის, რომ ეს აუცილებლად თბილისის მეშვეობით უნდა იქნეს მიღწეული (ინტერნეტ წყარო №30, გვ. 36). გეგეშიძე (2011) არალიარების პოლიტიკაში გარკვეულ საფრთხეებს ხედავს. მისი აზრით, საქართველოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ორგანიზაციების ჩართულობის პირობები და წესები და-

საგლეოს არჩევანის წინაშე აყენებს: “ან დამორჩილდეს ამ წესებს, და რისკის ქვეშ დააყენოს მისი მხრიდან სოხუმზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან დაუპირისპირდეს საქართველოს. მთავარ გამოწვევას კი ამ ორ არჩევანს შორის ოქროს შუალედის გამონახვა წარმოადგენს” (ინტერნეტ წყარო №33, გვ. 20). გეგეშიძე თვლის, რომ დასავლეთი შეეცდება “შეაკავოს” არაღიარების პოლიტიკა, რაც მომავალში საქართველის ცენტრალური ხელისუფლების ძირითად ინსტრუმენტად დარჩება კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, ხოლო დასავლეთი საქართველოსთან მიმართებაში “სტრატეგიული მოთმინების” პრინციპის გამტარებელი იქნება (ინტერნეტ წყარო №34, გვ. 27). გეგეშიძე მიიჩნევს, რომ “არაღიარების” პოლიტიკა საქართველოს დროის მოგების საშუალებას აძლევს, რაც ხელსაყრელია:

- მისადმი ნდობის მოსაპოვებლად, და არა მხოლოდ სეპარატისტულ რეგიონებში, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიაში;
- მომავლის იმ მოდელის ჩამოსაყალიბებლად, სადაც საქართველო სანდო პარტნიორად იქნება წარმოჩენილი;
- ისტორიის და პოლიტიკური ცხოვრების დემითოლოგიზაციისთვის (ინტერნეტ წყარო №34, გვ. 37).

ანტონენკოს მტკიცებით, “ჩართულობა აღიარების გარეშე ... კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არსებობს ახლო მომავალში კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა ... პირველ რიგში, სამშვიდობო გეგმის არაღიარების კომპონენტი გარკვეულ სტრატეგიულ ბერკეტებს ინარჩუნებს კონფლიქტის მოგვარების საკითხზე ნებისმიერი მოლაპარაკებების ფორმატში; ამასთანავე, საქართველო ვერ შეურიგდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საზოგადოებების უსასრულო იზოლაციას” (ინტერნეტ წყარო №12).

თუმცა, აფხაზეთში ჩატარებული გამოკითხვა არაღიარების პოლიტიკის საწინააღმდეგო შედეგებს პროგნოზირებს; კერძოდ, საქართველოსგან “მტრის ხატის” შექმნას, რომელიც აფხაზეთის აღიარებას აბრკოლებს, და აგრესორის იმიჯის ჩამოყალიბებას, რომელიც საფრთხეა აფხაზეთისათვის. პარალელურად, გაძლიერდება მოსაზრება, რომ რუსეთი აფხაზეთის უსაფრთხოების და შემდგომი განვითარების ერთადერთ გარანტიას წარმოადგენს, რაც აფხაზეთს რუსეთზე კიდევ უფრო მიაჯაჭვავს (ინტერნეტ წყარო №34, გვ. 37).

ნოდია ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული გეგმის კრიტიკით გამოდის, და აღნიშნავს, რომ ჩართულობა ძნელი მისაღწევი იქნება, რადგან ამით რუსეთი და აფხაზეთი/სამხრეთ ოსეთი არ არიან დაინტერესებულნი. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლება (ნაშრომის დაწერის დროს სააკაშვილის ხელისუფლება იყო) შემდეგი დილემის წინაშე დგას: “როგორ შეიძლება მათი

მმართველი ხელისუფლების გვერდის ავლით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ საზოგადოებებთან უშუალო კავშირების დამყარება და ჩართულობის მიღწევა” (ინტერნეტ წყარო №12). ნოდია ასკენის, რომ სასურველია ჩართულობა არა აფხაზურ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებთან, და მათ ხელისუფლებასთან იქნეს მიღწეული, არამედ საქართველოს და რუსეთს შორის. ნოდია ყურადღებას უფრო ობიექტურ მიზეზებზე ამახვილებს, რომლებიც საქართველოს მიერ ინიცირებულ სამშვიდობო პროექტის რეალიზაციას აფერხებს. არსებული სტრატეგიის შეფასებისას ნოდია აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების შეხედულებები და საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა, აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმის ფართო საერთაშორისო რეკლამირება და მხარდაჭერის მოპოვება. მისი აზრით, მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ნებისმიერი სამშვიდობო გეგმა მიუღებელი იქნება აფხაზეთისთვის და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი დე-ფაქტო ხელისუფლებისათვის. “დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიძლება შემოგეთავაზონ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის კრეატიული ფორმები, და საქართველოს ხელისუფლება დაარწმუნონ, რომ ასეთი “ჩართულობა” ხანგრძლივ დროით პერიოდში კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობას უტოვებს ქვეყანას” (ინტერნეტ წყარო №113).

ზაქარეიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება არ დათანხმდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ სამშვიდობო გეგმას; თუმცა, მისი მტკიცება, რომ სამშვიდობო გეგმა ხანგრძლივ დროით პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი არ არის მართებული შენიშვნა; საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტრომ აღნიშნული სამშვიდობო გეგმა სამომავლო განხილვისთვის გაახშიანა და შესაძლებელია მასში კორექტივების შეტანა მონაწილე მხარეების დიალოგის შემდეგ, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. გარდა ამისა, განსაზღვრული არ არის ამ პროექტის განხილვის და რეალური განხორციელების ვადები; ეს მოქნილობა კი 2012 წლის არჩევნების შემდეგ მოსული ხელისუფლების მიერ მისი ტრანსფორმაციის შესაძლებლობას იძლევა; თუმცა ზაქარეიშვილი (2011) დასძენს, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარება ძალზედ ორაზროვანია: რეალურად ეს აფხაზეთისთვის არა საოცნებო დამოუკიდებლობას, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მეშვეობით რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციას წარმოადგენს, რაც საერთაშორისო საზოგადოებას აფხაზეთისთვის გარკვეული ალტერნატივის შეთავაზების საშუალებას აძლევს; ეს კი შეიძლება მათი ჭეშმარიტი და ისტორიული ინტერესების საქართველოსთან ფედერალური ურთიერთობების ფარგლებში, საერთაშორისო კანონის თანახმად დაცვაში გამოიხატოს (ინტერნეტ წყარო №123 გვ. 28).

ტურაშვილი კონფლიქტების მოსაგვარებლად მხარეებს შორის შესათანხმებელ ორ მნიშვნელოვან ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, საერთაშორისო მოლაპარაკებების პოლიტიკურ საკითხებზე კონცენტრირება ძირითად პრობლემას წარმოადგენს და სასურველია მხარეებმა რეგიონის იურიდიული სტატუსის საკითხი დროებით გვერდზე გადადონ, რადგან ამ მხრივ შეთანხმების მიღწევა საკმაოდ რთულია; სანაცვლოდ, აუცილებელია “რბილი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაზე კონცენტრირება, რაც სტაბილურობას უზრუნველყოფს” (ინტერნეტ წყარო №81). თუმცა, უნდა აღინიშნოს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმები ზუსტად რომ სტაბილურობის რბილი მექანიზმებით უზრუნველყოფაზეა კონცენტრირებული და, ამ მხრივ, სამშვიდობო გეგმასა და საერთაშორისო რეკომენდაციებს შორის არ არსებობს წინააღმდეგობა. მეორეს მხრივ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტები და საერთაშორისო საზოგადოების რეკომენდაციები სრულ თანხვედრაშია: საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული რეალური სიტუაციის მონიტორინგის საშუალება უნდა მიეცეთ.

საქართველოს მაშინდელი ოპოზიციური წრეები ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმისადმი და აცხადებენ, რომ ის საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. გოგა ხაინდრავას განცხადებით, ეს არის “ბუნდოვანი კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელსაც თვით ხელისუფლებაც კი არ ასრულებს ზედმიწევნით” (ინტერნეტ წყარო №96, გვ. 36) ირაკლი ალასანია კი დასძენდა, რომ სამშვიდობო გეგმა “მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების დასანახად შეიქმნა, და ის აფხაზურ-ქართული ურთიერთობების განმტკიცებას არ ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ეკონომიკურ საკითხებზე უნდა კონცენტრირებულიყო, და არა სეცესიური რეგიონის ბლოკადაზე” (ინტერნეტ წყარო №96, გვ. 36-37). ალასანია და ხაინდავა ხელისუფლებას აფხაზეთთან სარკინიგზო ხაზის გახსნას ურჩევდნენ, რაც რეგიონის ეკონომიკურ გამოცოცხლებას და ნდობის ამაღლებას გამოიწვევს. ხელისუფლების წარმომადგენლები არ ეთანხმებოდნენ ამ მოსაზრებებს. დარჩიაშვილის განცხადებით, რომ სამშვიდობო გეგმა რეალისტური იყო და “აფხაზეთის ხელისუფლების სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია აფხაზების მხრიდან ინდივიუალურ ერთეულებს შორის ეკონომიკური საქმიანობის წამოწყება” (ინტერნეტ წყარო №96, გვ. 36). ამავე დროს, დარჩიაშვილი ეწინააღმდეგებოდა სარკინიგზო ხაზის გახსნას, რადგან მას პოლიტიკური დატვირთვა აქვს და ამ გადაწყვეტილებას წინ სტატუსის შესახებ შეთანხმება უნდა უძღოდეს; ეს უკანასკნელი კი “იურიდიულ და პოლიტიკურ დონეზე უნდა იქნეს მიღწეული” (ინტერნეტ წყარო №96, გვ. 38). ამავე დროს, სახელისუფლებო წრეების

წარმომადგენლები ოპტიმისტურად უყურებდნენ არსებულ სიტუაციას და სწამდათ, რომ “პოლიტიკური რისკის ფასად შესძლებენ არსებული პოლიტიკური სიტუაციის ალტერნატივის შექმნას, სხვაგვარად რეალობის დეგრადირება გარდაუვალია” (ინტერნეტ წყარო №96, გვ. 39).

რეალურად დასავლეთის მიზანს საქართველოსადმი რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეკავება წარმოადგენს, რაც რუსეთს კონფლიქტური რეგიონების ჩაყლაპვის საშუალებას არ მისცემს; ამ მხრივ კი დასავლეთს *ჩართულობა* უფრო სასარგებლო პოლიტიკად მიაჩნია, ვიდრე *იზოლაცია* (გვ. 29). ამ მიზნით, არალიარების პოლიტიკის პარალელურად, თბილისი აფხაზეთში [და სამხრეთ ოსეთში] გარე აქტორების ეკონომიკური საქმიანობის ფორმალიზებას ცდილობს, რაც დასავლეთის მიერ არალიარების პოლიტიკის კოორდინირების პარალელურად უნდა წარიმართოს (ინტერნეტ წყარო № 34, გვ. 30).

ამგვარად, აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის სამშვიდობო გეგმის პოლიტიკური მხარე ერთი მხრივ არალიარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ჩართულობაზეა კონცენტრირებული; ორივე მათგანი კი ძნელი მისაღწევი იქნება რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონი ეკონომიკურად ექსკლუზიურად რუსეთზე არიან დამოკიდებულები და საეჭვოა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის ეკონომიკურმა ნაწილმა ადვილად მოახერხოს არსებულ სიტუაციაში გარღვევის შეტანა, რასაც ზურგს, პირველ რიგში, რეგიონების ახალი, რუსეთის მიერ “ალიარებული” სტატუსი უმაგრებს.

4.2.12 ეკონომიკური ასპექტების ანალიზი

საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიცია თანხმდება, რომ აუცილებელია აფხაზეთთან ეკონომიკური კავშირების დამყარება, თუმცა, პოლიტიკური და სამართლებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამ ამოცანის რეალიზაცია შეუძლებელია. საქართველოს პარლამენტის წევრ, დავით დარჩიაშვილისთვის გაუგებარია “როგორ უნდა მოხერხდეს ენგურის გადაკვეთა ეკონომიკურ კონტექსტში, რადანაც ეს პოლიტიკურ და ლეგალურ, და არა ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს” (ინტერნეტ წყარო №96, გვ. 34); ამავე დროს მას აფიქრებს რუსული ბიზნესების ზრდა რეგიონში, “რომელსაც ეკონომიკაში იმპერიალისტური მიზნები და კვაზიმითოლოგიური ამბიციები ამოძრავებს; ამგვარად ის იმთავითვე უნდა გამოირიცხოს ამ პროცესებიდან (გვ. 35). საქართველოს პარლამენტის წევრის, შოთა მაღაშხიას განცხადებით კი ამ მხრივ წინა პლანზე ბიზნეს საქმიანობის ლეგალური ასპექტები იწვევს, და “რეგიონში ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობას უნდა შეესაბამებოდეს” (ინტერნეტ წყარო №96, გვ. 35).

ოპოზიციის ერთი ნაწილი კი აფხაზეთთან ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად სომხეთის ფაქტორის გამოყენებას ემხრობა. აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტ სააკაშვილის პირადი ელჩი 2005-2008 წლებში, ირაკლი ალასანია, აცხადებს, რომ “სომხეთმა შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში და მასში აფხაზეთი და ქართული მხარე ერთიანად ჩაერთვება” (ინტერნეტ წყარო №96, გვ. 34). თუმცა, ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება მესამე ქვეყნის მონაწილეობის გარეშე შესაძლებელია, რომლის მაგალითად ენგურის და ვარდნილის ჰიდროელექტროსადგური სახელდება. ემზარ ჯგერენაია (2011) აცხადებს, რომ ამ სექტორში თანამშრომლობის არსებულმა გამოცდილებამ შეიძლება ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძვლები შექმნას; მსგავსი სახის პროექტად საქართველოს გავლით რუსეთიდან თურქეთში ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა სახელდება. ეს უკანასკნელი ხელსაყრელი იქნება ენგურის გაღმა-გამოღმა მხარეებისათვის (გვ. 30). მხარეების დამაკავშირებელ პროექტებად ჯგერენაიას აგრეთვე სომხეთიდან და საქართველოდან რუსეთში ტვირთების ნაწილობრივ აფხაზეთის რკინიგზით გადაზიდვა ესახება, რომლის მოცულობა 14.5 მილიონ ტონას შეადგენს წელიწადში, ხოლო ამ მოცულობის 1/3 აფხაზეთის რკინიგზის გავლით გადაზიდვა რეგიონს წელიწადში 15 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალს მოუტანს. ამ შემთხვევაში საქართველო დამატებით მოგებას არ უნდა ელოდოს, რადგან დღეს ამ ტვირთის გადაზიდვა ფოთის პორტის მეშვეობით ხორციელდება (ინტერნეტ წყარო № 51, გვ. 31). პარუთინ ქაჩატრიანი (2008) ჯერ კიდევ 2008 წელს აცხადებდა, რომ ტვირთების ბათუმისა და ფოთის პორტებისადმი მიმართვა, საიდანაც ის ბორნებით რუსეთსა და სხვა ქვეყნებში გადაიზიდებოდა, 2008 წლის აგვისტოსთვის სომხეთის ტვირთბრუნვის 70 პროცენტს შეადგენდა, აზერბაიჯანთან და თურქეთთან ჩაკეტილი საზღვრების, და ირანთან სომხეთის მცირე სახმელეთო კავშირის პირობებში (ინტერნეტ წყარო № 52, გვ. 7).

ანალოგიური მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზმა, რომლის აფხაზეთის რკინიგზასთან დაკავშირების შემთხვევაში აქ რუსეთიდან, უკრაინიდან და ჩინეთიდან მომავალი ტვირთები მოხვდება. ასევე შესაძლებელია თურქეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან მომავალი ტვირთების სოხუმი-თბილისის სარკინიგზო ხაზის მეშვეობით გატარება, ხოლო ევრო-კავკასიური ტვირთბრუნვის ზრდა ერთის მხრივ აზიასა და ევროპას შორის მძიმე ტვირთების მოძრაობას გაზრდის, და ამავე დროს გადაზიდვის ღირებულებასა და დროს 30 პროცენტით შეამცირებს (გვ 31). ჯგერენაიას (2011) აზრით, “ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელოვან სფეროდ ენგურის ორივე ნაპირზე ტურიზმის განვითარება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ენგურის აფხაზეთის სანაპიროზე არ არსებობს სათანადო ინფრასტრუქტურა, მეორე ნაპირზე ამ

მხრივ უკვე საკმაო გამოცდილებაა დაგროვილი, კერძოდ სვანეთში, ანაკლიაში და განმუხურში ტურიზმის განვითარების კონტექსტში, რომ აღარაფერი ვთქვათ ბათუმზე და მთლიანად აჭარაზე. ამგვარად, მხარეებს შორის კომუნიკაციების აღდგენა აფხაზურ მხარეს ტურისტული პოტენციალის განმტკიცების საშუალებას მისცემს” (ინტერნეტ წყარო №51, გვ. 32).

ჯგერენაია (2011) ყურადღებას იმ ასპექტებზე ამახვილებს, რომელთაც შეიძლება ამ პროექტების განხორციელებას შეუშალოს ხელი:

- რუსული სამხედროების ყოფნა რეგიონში და ენგურზე მხოლოდ ერთი გამშვები პუნქტის არსებობა;

- საქართველოს “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონით” დაწესებული შეზღუდვები;

- ევროკავშირის და მსო-ს მიერ ამ ტერიტორიების სრული კონტროლის მოთხოვნის წამოყენება, როგორც საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების წინაპირობა;

- ნორმალური საბაჟო რეჟიმის ჩამოყალიბების შეუძლებლობა, რამდენადაც დე-ფაქტო სავაჭრო ურთიერთობები არ შეესაბამება საზღვრის *de jure* არაღიარებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს (ინტერნეტ წყარო №51 გვ. 33). ამ ყოველივეს კი თან უნდა ახლდეს არადისკრიმინაციული ფორმის კონტროლის მექანიზმების შემოღება, რომელიც საერთაშორისო ნორმებთან იქნება შესაბამისობაში და არ დაარღვევს როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს, ასევე ევროკავშირის მოთხოვნებს (ინტერნეტ წყარო № 51, გვ. 33). ამგვარად, სამშვიდობო გეგმის ეკონომიკური ასპექტები სცდება საკუთრივ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს და ფართო რეგიონულ გეოსტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. აფხაზეთის ეკონომიკური გახსნილობით კი პირველ რიგში სომხეთი და ირანი არიან დაინტერესებულნი, თუმცა ამის მიღწევა ძნელი იქნება, თუ შეუძლებელი არა, რუსეთის ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

4.2.2. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის აფხაზური შეფასება

აფხაზების მხრიდან აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის გეგმის შეფასება და ანალიზი იმ ფაქტს ეფუძნება, რომ მათ, 2008 წლის 17 სექტემბერს რუსეთთან გაფორმებული *მეგობრობის, თანამშრომლობისა და ორმხრივი დახმარების ხელშეკრულებით* საკუთარი უსაფრთხოების საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრეს (ინტერნეტ წყარო №105, გვ. 19). აფხაზეთის პოლიტიკური წრეები და ექსპერტები მსწრაფლ გამოეპასუხნენ აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს

ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებულ სამშვიდობო გეგმას, და ის იმთავითვე მიუღებლად მიიჩნიეს, თუ აპრიორი არ იქნებოდა აღიარებული აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რაც მათი აზრით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილ “ახალ რეალობას” წარმოადგენდა. პრეტენზიები გამოითქვა როგორც სამშვიდობო დოკუმენტის ცალკეული ფორმულირებების მიმართ, მაგალითად როგორცაა *ოკუპირებული ტერიტორიები*, ასევე სამშვიდობო დოკუმენტის განხორციელების განარტი საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, პირველ რიგში კი ევროკავშირისადმი, რომელიც იმთავითვე გამოცხადდა “თბილისისადმი მიკერძოებულ” მხარედ. აფხაზეთის ხელისუფლება უკმაყოფილოა ევროკავშირის პოზიციით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დოკუმენტის სამომავლო პერსპექტივა უიმედოა, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აფხაზებს აშფოთებთ მათი სუვერენიტეტის საკითხი რუსეთთან მჭიდრო ალიანსის პირობებში. საიდ გეზერდავა (2011) აცხადებს, რომ “თუ აფხაზეთი აღიარებამდე დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს, რუსეთ-აფხაზეთის ორმხრივმა ურთიერთობამ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მოპოვებული სუვერენიტეტი” (ინტერნეტ წყარო №36, გვ. 16). თუმცა, ამავე დროს, აფხაზეთში 2011 წელს ჩატარებულ გამოკითხვაზე დაყრდნობით არდა ინალ-იპა და შაკრილ ასიდა (2011) აცხადებენ, რომ აფხაზეთში “მცხოვრებთა უმეტესობა რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარებას და რეგიონში რუსეთის სამხედრო ყოფნას აფხაზეთის უსაფრთხოების და გარე აგრესიისაგან დაცვის გარანტიად მიიჩნევს” (ინტერნეტ წყარო №49, გვ. 18). რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მხარდაჭერა აფხაზეთისადმი განსაკუთრებით გაიზარდა დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ და ნატოს ბუქარესტის სამიტის (2008) წინ. ვინაიდან “აფხაზეთში სწამთ, რომ ალიანსში გაწევრიანება საქართველოს აფხაზეთის წინააღმდეგ ომის წამოწყებისაკენ უბიძგებს” (ინტერნეტ წყარო №105, გვ. 26), საქართველოს მხრიდან ნატოში გაწევრიანების აქტიური მცდელობა ცუდად იქნა მიღებული აფხაზეთში.

პოლიტიკური წინააღმდეგობების მიუხედავად, აფხაზები გარკვეულწილად ხედავენ სამშვიდობო ინიციატივის საერთო ასპექტებს სამომავლო ეკონომიკური თანამშრომლობის მხრივ, თუმცა დასძენენ, რომ ნებისმიერი სახის ეკონომიკური ურთიერთობა ორ თანასწორ მხარეს შორის შეთანხმებას უნდა წარმოადგენდეს და არა სოხუმის თბილისისადმი დაქვემდებარებას.

4.2.2.1. პოლიტიკური ასპექტების ანალიზი

აფხაზების დამოკიდებულება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმისადმი რამდენიმე განზომილებისაგან შედგება; ესენია: საშინაო სოციალურ-პოლიტიკური დისკურსი და ამით განსაზღვრული დამოკიდებულება საქართველოსადმი და რუსეთისადმი; აგრეთვე, სამ-

შვიდობი გეგმაში დანახული პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული/იდენტობის საფრთხეები. ვენედიქტოვა (2011) მიიჩნევს, რომ აფხაზეთმა უფრო აქტიურად უნდა გამოხატოს საქართველოსთან პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების სურვილი და აჩვენოს, რომ ამ მხრივ მას გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება შეუძლია. თუმცა, “საქართველოს არსებული ხელისუფლებისადმი ნდობის ნაკლებობა ამ მხრივ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს და მხარეებს შორის ნაყოფიერი მოლაპარაკებების განახლებას აფერხებს” (ინტერნეტ წყარო №116, გვ. 12). ამასთანავე, აფხაზებს მიაჩნიათ, რომ საქართველო კონფლიქტის ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებობის ფაქტის იგნორირებას შეეცადა, რაც ქართულ-აფხაზური ორმხრივი შეთანხმების მიღწევას არ უწყობს ხელს (ინტერნეტ წყარო №105, გვ. 18).

აფხაზების მხრიდან სამშვიდობო გეგმის კრიტიკა ცნება *ოკუპირებულ ტერიტორიებს* ეფუძნება, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან არის დაკავშირებული. ამ გეგმით აფხაზების დასავლეთთან კავშირები მთლიანად საქართველოს მიერ იქნება კონტროლირებული, და, როგორც ჩანს, სრულად გამორიცხავს *აფხაზებს*, ამტკიცებს კვარჩელია (ინტერნეტ წყარო №69, გვ. 13). ვალერი ბასარია (2011) კი მიიჩნევს, რომ სტრატეგიაში ტერმინ “*ოკუპირებული ტერიტორიების*” გამოყენება ამ გეგმის ყველა მხარისათვის მისაღებ პოლიტიკურ დოკუმენტად გადაქცევეს შეუძლებელს ხდის (გვ. 25). ამგვარად, ავტორი მიიჩნევს, რომ ეს სტრატეგია “არ არის შიგა მოხმარებისთვის – აფხაზებისთვის და სამხრეთ ოსებისთვის – განკუთვნილი და მხოლოდ საქართველოს მხრიდან დასავლეთისთვის მშვიდობიანი მიზნების ჩვენებაზეა გათვლილი” (ინტერნეტ წყარო №16, გვ. 26). ირაკლი ხინტბას (2011) აზრით კი “საქართველო აფხაზეთის დე-იზოლაციას ეწინააღმდეგება, რადგანაც გარე სამყაროსთვის მისი გახსნა კიდევ უფრო დააშორებს თბილისთან, რამაც საბოლოოდ შეიძლება სეცესიური რეგიონის საერთაშორისო აღიარება გამოიწვიოს” (ინტერნეტ წყარო №59, გვ. 7). ხინტბა ასევე ამტკიცებს, რომ აფხაზეთის იზოლაციის ტაქტიკა საქართველოს მხრიდან მცდარ მოსაზრებას ეფუძნება: “გარე სამყაროსთან კავშირების არქონით ‘გატანჯული და ღონეგამოცლილი,’ ამავე დროს რუსეთის მხრიდან მზარდი ზეწოლის პირობებში აფხაზები თავად გააკეთებენ ‘ისტორიულ არჩევანს’ საქართველოს სასარგებლოდ, რომელიც უკვე ჩამოყალიბებული იქნება დემოკრატიულ და აყვავებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად [...] ამავე დროს კი იზოლაცია მოსახლეობას პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ განაწყობს, რომელიც მთავარი დამნაშავე იქნება იზოლაციაში” (ინტერნეტ წყარო № 58, გვ. 19).

არდა ინალ-იპა (2011) მიიჩნევს, რომ აფხაზეთში ნაციონალური პროექტის არარსებობა გაართულებს ჩართულობის მიღწევას: მონო-ეთნიკური სახელმწიფოს შექმნა იზოლაციის შენარჩუნებას მოითხოვს, ხოლო ღია აფხაზური საზო-

გადოების მშენებლობა საწინააღმდეგო საჭიროებებს წარმოშობს (გვ. 18). სამშვიდობო გეგმისადმი პოზიციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შექმნა რუსეთის, როგორც “მსხნელის” იმიჯს, რომელიც 1992-93 წლებიდან დამკვიდრდა და რასაც რუსული მედიის მიერ მიწოდებული არამეგობრული დასავლეთის იმიჯი ამყარებს; ამ ყოველივეს კი აფხაზეთში დასავლეთის, და ამგვარად დეიზოლაციის იდეის, უარყოფამდე მივყავართ (გვ. 17). მიუხედავად იმისა, რომ არდა ინალ-იპა სრულად აცნობიერებს რუსული ენიდან მომდინარე საფრთხეებს და აფხაზეთის ეკონომიკური სუბსიდირებისგან თავის დაღწევის აუცილებლობას, დეიზოლაცია აღიქმება როგორც “გლობალიზაციის აგრესიული გავლენის შედეგად, რასაც საზიანო გავლენა ექნება აფხაზეთს კულტურაზე, ენაზე, და ზოგადად, დამახასიათებელ სოციალურ ინსტიტუტებზე.” (ინტერნეტ წყარო №46, გვ. 15). თუმცა ვენედიქტოვას (2011) მიაჩნია, რომ რუსეთში რეალური მოდერნიზაციის დაწყების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება უფრო ღია საგარეო პოლიტიკის წარმოება, რაც დადებით შედეგებს მოიტანს აფხაზეთის განვითარებისათვის; ეს კი საბოლოოდ შეიძლება დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების შედეგად საერთაშორისო აღიარების პროცესის დაჩქარებით დაგვირგვინდეს (ინტერნეტ წყარო № 116, გვ. 13).

ამავე დროს არდა ინალ-იპა (2011) აცხადებს, რომ რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების გაცნობიერება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ აფხაზები თანახმანი არიან რუსეთის ევროკავშირით ჩანაცვლებაზე, რასაც მათ საქართველოს და ევროკავშირის მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმა უქადით. მიუხედავად იმისა, რომ ინალ-იპა ევროკავშირის შეთავაზებაში გარკვეულ პოზიტიურ ასპექტებს ხედავს – კერძოდ, “ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ტოტალიტარიზმისგან გათავისუფლებას და დეიზოლაციის გზით კონტაქტების დამყარებას, რასაც პოლიტიკური აღიარების გარეშე ევროპული სტანდარტების დამკვიდრება მოჰყვება” (გვ. 29), მისი აზრით საკვანძო პრობლემას დოკუმენტის თანახმად აფხაზეთის ევროპასთან საქართველოს მეშვეობით დაკავშირება წარმოადგენს (გვ. 30); ამგვარად, ევროპის მიერ ინიცირებული ჩართულობის გეგმა აფხაზეთს ევროპასა და რუსეთს შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობის წინაშე არ უნდა აყენებდეს და ევროპული ინიციატივა რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა დისტანცირდეს საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტროს მიერ ინიცირებული პოლიტიკური კურსისაგან (ინტერნეტ წყარო №48, გვ. 31), დასძენს ინალ-იპა.

ნადეჟდა ვენედიქტოვა (2011ბ) კი მტკიცებს, რომ აფხაზების შეხედულებას დასავლეთზე მეტწილად დასავლეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ გაკეთებული მოწოდებები და განცხადებები განაპირობებს, რაც საკუთარი სახელმწიფოს შექმნისკენ აფხაზების მისწრაფებას ეწინააღმდეგება (ინტერნეტ წყარო №116, გვ. 10). ვენედიქტოვა იმოწმებს აფხაზეთ-

ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს და აცხადებს, რომ “აფხაზეთში გამოკითხულ ყოველ 8 ადამიანში უმეტესობა დასავლეთის მიერ აფხაზეთის აღიარების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა არასასურველად მიიჩნედა დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება (ინტერნეტ წყარო №116, გვ. 11). ხინტბა (2011) კი მიიჩნევს, რომ ევროკავშირს მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს აფხაზეთის სუვერენიტეტისადმი და “ბრიუსელს აშკარად არ სურს ნეიტრალიტეტის შენარჩუნება სტატუსის საკითხთან დაკავშირებით” (ინტერნეტ წყარო №63, გვ. 35). მისი მოსაზრებით, აფხაზეთი დაკარგა საქართველომ და არ-აღიარების და იზოლაციის პოლიტიკის შედეგად ის შეიძლება ასევე ევროკავშირმაც დაკარგოს. თუმცა, ჩემი მხრივ დავძენ, მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა პრობლემას ვერ მოაგვარებს, ის შეიძლება დადებითი შედეგების მომტანი აღმოჩნდეს საქართველოსთვის, რადანაც შეინარჩუნებს აფხაზეთის იზოლაციის, და, ამგვარად, მის არაღიარების კურსს.

ლიანა კვარჩელია (2011), კი მიიჩნევს, რომ საქართველოს სტრატეგია ევროპული ‘ჩართულობის’ პოლიტიკის საქართველოს ‘რეინტეგრაციის’ პოლიტიკასთან დაკავშირებას ცდილობს, რამაც “აფხაზეთა თვალში ევროპული ინიციატივის დისკრედიტაცია გამოიწვია” (ინტერნეტ წყარო №68, გვ. 14). კვარჩელიას აზრით, ევროპის პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ აფხაზეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობაზე კი არ უნდა კონცენტრირდეს, არამედ აფხაზეთსა და ევროპას შორის თანამშრომლობის პოლიტიკის შემუშავებაზე უნდა ფოკუსირდეს, ეს იქნება შავი ზღვის აუზის, თუ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ფარგლებში (ინტერნეტ წყარო №68, გვ. 14). ვენედიქტოვა (2011) აფხაზეთსა და ევროკავშირს შორის შესაძლო სამომავლო ურთიერთობის რეცეპტსაც კი გვთავაზობს. მისი აზრით, “ევროკავშირმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ნაწილობრივად აღიარებული სახელმწიფოებისათვის დროებითი სტატუსი უნდა შეიმუშაოს, რაც მას მსგავს ერთეულებთან ფორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს, ეს კი აფხაზეთის რეგიონს უთანასწორო განვითარებას ააცილებს თავიდან” (ინტერნეტ წყარო № 116, გვ. 13).

ხუციშვილის ზემოთმოყვანილი ვარაუდი არც თუ უსაფუძვლოა და მას ოპორტიუნული ტერიტორიების შესახებ კანონის ხინტბასეული შეფასება ამყარებს. ხინტბას სჯერა, რომ აღნიშნული კანონი პრობლემას საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ კონფლიქტად წარმოაჩენს, ამგვარად “აფხაზეთი არ არის წარმოჩენილი ამ დაპირისპირების მხარედ; ეს ხედვა კი 1990-იანი წლების დასაწყისის შემდეგ მთელი დეკადის განმავლობაში დამკვიდრდა” (ინტერნეტ წყარო №73, გვ.32). ხინტბას განსაკუთრებით ის ფაქტი აშფოთებს, რომ ამ კანონის მეშვეობით საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების პროცესის დაბლოკვას ცდილობს. ამგვარად, აღნიშნული კანონი არა საქართველოს

მიერ რუსეთის ფედერაციის შეკავების, არამედ აფხაზეთის მის დაქვემდებარებაში მოქცევის მცდელობად არის აღქმული. *ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის* მსგავსად, ხინტბა ასევე ეწინააღმდეგება *სახელმწიფო სტრატეგიას* *ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ* – ჩართულობა თანამშრომლობის გზით კანონს. მისი განცხადებით, ეს დოკუმენტი აფხაზეთისთვის სულ მცირე ორი მიზეზის გამო არის მიუღებელი: პირველ რიგში, ის გვერდს უვლის აფხაზეთის ხელისუფლებას, მეორეს მხრივ კი აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ხელსუფლებასთან შეუთანხმებელ ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას კრძალავს (ინტერნეტ წყარო №70).

ამგვარად, ცხადია, სტატუსისა და ურთიერთდაქვემდებარების საკითხი ჯერ კიდევ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონი საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგის პირობებში აფხაზეთს თბილისისადმი ჰორიზონტალურ, და არა ვერტიკალურ დაქვემდებარებაში აქცევს, ეს ფაქტი მაინც მიუღებელია სოხუმისათვის. ამასთანავე, ხინტბა ვერ ხედავს კავშირს “აფხაზეთის, როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფოს, და საქართველოსთან ერთად კონფლიქტის მოგვარებას შორის” (ინტერნეტ წყარო №73, გვ. 34). მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ თბილისის მეშვეობით აფხაზეთის დასავლეთთან დაკავშირება მიუღებელია აფხაზი საზოგადოებისათვის ... *ნაციონალურ ინტერესებს* არავინ ანაცვალებს დეიზოლაციის ეფემერულ მიზნებს (ინტერნეტ წყარო №58, გვ. 20). კვარჩელიას (2011) აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ სტრატეგიის დეპოლიტიზირებაზე უნდა იზრუნოს და სამშვიდობო გეგმის ძირითად მიზნად “ნდობის აღდგენისკენ თანამშრომლობა უნდა გამოაცხადოს” (ინტერნეტ წყარო № 68).

ჩემი აზრით, რუსეთის მიერ აღიარების შემდეგ აფხაზეთის მომავალს ხინტბა გარკვეულწილად 1990-იანი წლების დასაწყისის პოსტკონფლიქტური სიტუაციის პერსპექტივიდან აფასებს. ის რუსეთის ფედერაციასთან აგვისტოს ომის შემდეგ გაფორმებულ *რუსეთსა და აფხაზეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და ორმხრივი დახმარების ხელშეკრულებაზე* (2008 წლის 17 სექტემბერს), *აფხაზეთის რესპუბლიკის ნაციონალური საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცებისთვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ* (2010 წლის 18 თებერვალს) ხელმოწერილ შეთანხმებებზე და *ერთიანი საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ ხელშეკრულებაზე* (2010 წლის 16 ოქტომბერი) ამახვილებს ყურადღებას. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ანალოგიური ხელშეკრულებები 1990-იანი წლების დასაწყისშიც გაფორმდა, თუმცა მათ აფხაზეთისთვის ეფექტური დამოუკიდებლობა არ მოუტანია; სავარაუდოდ არც 2008 წლის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებები იქნება რაიმე პოზიტიური შედეგის მომტანი აფხაზეთის ეფექტური “დამოუკიდებლობისათვის.” ამასთანავე

ხინტბას აფიქრებს აფხაზეთზე სხვა ქვეყნების მიერ გარე კონტროლის დაწესების შესაძლებლობა, რადგან ამ ფაქტმა “შეიძლება აფხაზეთი თანდათანობით რუსეთის გავლენის სფეროდან გამოიყვანოს” (ინტერნეტ წყარო № 73, გვ. 37).

აფხაზი ექსპერტები აფხაზეთში არსებული სიტუაციას მისაღებად აფასებენ და სრულად აკმაყოფილებთ ამ ეტაზე მხოლოდ რუსეთის მიერ მათი აღიარება. ექსპერტთა მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ “ნაწილობრივი აღიარება მხოლოდ დროებითი ფენომენია და ეს შუალედური ნაბიჯია ფართო იურიდიული აღიარებისაკენ მიმავალ გზაზე” (ინტერნეტ წყარო №49, გვ. 19). ამავე დროს, რუსეთზე სულ უფრო მზარდი დამოკიდებულების გაცნობიერების მიუხედავად, აფხაზეთში არ განიხილავენ საქართველოსთან დაკავშირების შესაძლებლობას, და მას რუსეთის ალტერნატივად არ მიიჩნევენ (გვ. 19). კვარჩელია (2011) თვლის, რომ “რუსეთ-აფხაზეთის პარტნიორობის ჩამოყალიბებისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველოს ცრუ იმედები არ უნდა გაუჩინოს, რომ რუსეთთან ასიმეტრიული ურთიერთობების შედეგების გაცნობიერების შემდეგ აფხაზეთს ‘აყვავებულ’ საქართველოსთან დაბრუნება მოუხდება” (ინტერნეტ წყარო №68, გვ. 13).

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები საქართველოსთან მოლაპარაკებების წარმოებას გამორიცხავენ და რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ამახვილებენ ყურადღებას, მათ სერიოზულად აფიქრებთ ჩრდილოელ მეზობელზე “მიბმა” და რეალურად აფასებენ იმავე ძალისაგან – რუსეთის ფედერაციისგან – მათი ეფექტური დამოუკიდებლობისათვის შექმნილ სერიოზულ დაბრკოლებებს; მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფო მხარს უჭერდა, და დღესაც ეხმარება “დამოუკიდებლობის” შენარჩუნებაში. ხინტბა რეალურად აფასებს იმ ჩიხურ სიტუაციას, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა და წუხს რეგიონის რუსეთზე სულ უფრო მზარდი ეკონომიკური დამოკიდებულების გამო. თუმცა, აფხაზეთის მომავლის ხინტბასეული შეფასება და ამ მხრივ შემოთავაზებული რეკომენდაციები გვაფიქრებინებს, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, თვით მათი დამოუკიდებლობის “აღიარების” შემდეგ. ამ კონტექსტში ხინტბა ამტკიცებს, რომ:

- საშინაო დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი აფხაზეთში აფხაზეთის გაცხადებულ ნაციონალურ მისწრაფებებს უნდა ეფუძნებოდეს;

- მოსკოვის მიერ გამოყოფილი თანხა გამჭვირვალედ უნდა დაიხარჯოს და აფხაზეთის მომავალი ფინანსური დამოუკიდებლობის საფუძვლები უნდა ჩამოყალიბდეს;

- აფხაზეთს უნდა ჰქონდეს რთულ გარემოებებში მანევრირების შესაძლებლობა (ინტერნეტ წყარო №73, გვ. 38).

მსგავს პოზიციაზეა საიდ გეზერდავა (2011), რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს შორის ასიმეტრიულ ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ “აფხაზეთის სუვერენტიტეტის შენარჩუნება რუსეთზე დამოკიდებულად; ეს ქვეყანა აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს განაგებს და აფხაზეთში ძირითად სახელმწიფო სტრუქტურებს აკონტროლებს. ამ ფაქტის გათვალისწინებით, აფხაზეთმა უნდა იზრუნოს საკუთარი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე, რასაც საფუძვლად მყარი სამხედრო და ეკონომიკური სისტემა უნდა დაედოს” (ინტერნეტ წყარო №36, გვ. 16). თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის არ არსებობს ცეცხლის განუახლებლობის საერთაშორისო გარანტიების მქონე ხელშეკრულება, აფხაზები ვერ ხედავენ რეგიონში რუსების სამხედრო ყოფნის რაიმე ალტერნატივას; გარდა ამისა, მათ აშფოთებთ დასავლეთის მიერ საქართველოს ‘ტერიტორიული მთლიანობის’ მხარდაჭერა ყოფილი საქართველოს სსრ-ის საზღვრებში (გვ. 14). ამ მიზნით, რუსეთთან გაფორმებული *ხელშეკრულება აფხაზეთის საზღვრების დაცვის ერთობლივი ღონისძიებების შესახებ* მნიშვნელოვანია აფხაზეთისთვის, თუმცა გურგულია (2011) აქაც საზღვრის მონიტორინგის პროცესში რუსულ-აფხაზურ უთანასწორობაზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც 1300 რუსი სასაზღვრო ჯარისკაცია განლაგებული, ხოლო აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მხოლოდ 300 ჯარისკაცით არის წარმოდგენილი (ინტერნეტ წყარო №39, გვ. 14-15).

აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი რეალობის შეფასებისას, აკაბა და ხინტბა (2011) აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში არ განიხილება დამოუკიდებლობის რაიმე ალტერნატივა და აფხაზებს არც საქართველოსთან და არც რუსეთთან შეერთება არ სურთ. “მაქსიმუმ, რაც მისაღებია [ჩვენთვის] ასოცირებული ურთიერთობების დამყარებაა [რუსეთის ფედერაციასთან] ... მაშინ როდესაც მხარეების მიზნები [საქართველოსი და აფხაზეთის] შეურიგებელი და ურთიერთგამომრიცხავია” (ინტერნეტ წყარო №8, გვ. 41). აკაბა და ხინტბა იმ ასპექტებს გამოყოფენ, რომლებიც არა მარტო დააბრკოლებენ ქართველებსა და აფხაზებს შორის მოლაპარაკებების პროცესს, არამედ კიდევ უფრო გააღრმავებენ მომავალში გაუცხოებას; კერძოდ უნდობლობას, შიშს და საფრთხის შეგრძნებას, აგრეთვე ჩართულობის მართვის სტრუქტურების და მექანიზმების ნაკლებობას (გვ. 41). მათი აზრით, სამშვიდობო გეგმის განხორციელებას კიდევ უფრო აძნელებს ორი ფართოდ გავრცელებული მითი: პირველი, რუსეთი წარმოადგენს მთავარ პრობლემას და ქართველებსა და აფხაზებს შორის გაუგებრობა არ არსებობს; და მეორე, აფხაზეთი აცნობიერებს, რომ მისთვის რუსეთი წარმოადგენს მთავარ საფრთხეს, და, ამგვარად, ის საქართველოსკენ შემობრუნდება. მათი აზრით ეს მითები პო-

პულარულია საქართველოში, რეალურად კი ამ მითებსა და აფხაზეთში არსებულ რეალობას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს (ინტერნეტ წყარო №8).

ამგვარად, შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტები მიუღებელია აფხაზეთისთვის, რადგანაც ისინი არ სცნობენ მათ დამოუკიდებლობას და სოხუმის ისეთი თბილისისადმი დაქვემდებარებას ცდილობენ. თუმცა, ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ წარსული მათ თბილისთან კავშირების გაბმის და თანამშრომლობის წამოწყების საშუალებას არ აძლევს, მოსკოვთან სამომავლო (ამჟამად უთანასწორო) კავშირი აფხაზეთისთვის სრულიად მიუღებელია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ლტოლვილების დაბრუნების მხრივ პოზიტიურ გარღვევას არ უნდა ველოდოთ, თუმცა აფხაზები შესაძლებელია დათანხმდნენ აფხაზეთის ფართო აღიარების სანაცვლოდ მათი ნაწილის მიღებას [აფხაზების და სომხების 80%, რუსების 70%, ქართველების 18.5% არ სურთ ლტოლვილების დაბრუნება, გააფხაზებული ქართველების 37% ემხრობა ამ იდეას, ხოლო 33.8% პასუხის გაცემა გაუჭირდა (' ოუგჰლ ეგალ2011, გვ. 29). ამასთანავე, აფხაზების 79% მხარს უჭერს დამოუკიდებლობას, სომხების 51% რუსეთის ნაწილად ყოფნა ურჩევნია, ხოლო 44% დამოუკიდებლობა, ისევე როგორც აფხაზეთში მცხოვრებ რუსების 58% დამოუკიდებლობა უნდა, ხოლო 38% რუსეთთან ინტეგრაცია. აფხაზების მხოლოდ მცირე ნაწილი (19%) ემხრობა რუსეთთან სრულ ინტეგრაციას (' ოუგჰლ ეგალ2011, გვ. 31-32). კვლევის ავტორების თანახმად, აფხაზების დიდი ნაწილი იმედით უყურებს მომავალს და მათ ნახევრად აღიარებულ დამოუკიდებელ სტატუსს. ეს მონაცემები ნათელყოფენ თუ რატომ ეწინააღმდეგებიან აფხაზები მათი ტერიტორიის ოკუპირებულად მოხსენიებას, რასაც საქართველოს ხელისუფლება აგვისტოს ომის შემდეგ ესწრაფვის. (ვრცლად იხ. ინტერნეტ წყარო №111).

აფხაზები არც სამშვიდობო პროექტის საერთაშორისო გარანტიებით არიან კმაყოფილნი; აკაბა და ხინტბა (2011) ამტკიცებენ, რომ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის ოფისის ინიციატივა – *ჩართულობა აღიარების გარეშე* – პოზიტიურად იქნა მიღებული აფხაზეთში, თუმცა მთავარ პრობლემას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ შეთავაზება თბილისიდან წამოვიდა, რადგანაც ევროკავშირის ოფისი აქ მდებარეობს (ინტერნეტ წყარო №8, გვ. 45). ამასთანავე, რამდენადაც ნებისმიერი სახის ჩართულობა მოითხოვს საზღვრების გასწვრივ აქტიურ კონტაქტებს, აფხაზებს აფიქრებთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები გალის რეგიონში. ამგვარად, ხინტბას აზრით, საეჭვოა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის *ჩართულობა აღიარების გარეშე* განხორციელება, მნიშვნელობა არ აქვს ის თბილისიდან იქნება ინიცირებული, თუ ბრიუსელიდან. ეს წინააღმდეგობა უფრო ევროკავშირის და რუსეთის ურთიერთობების პრობლემის ნაწილია, სადაც ისინი

ერთმანეთს აფხაზეთის საკითხზე ეწინააღმდეგებიან, და არა სამშვიდობო ინიციატივაში თბილისისა და ბრიუსელის პოზიციათა ბალანსის საკითხზე სოხუმის ნეგატიური პოზიციის შედეგი.

არსებულმა სიტუაციამ მხარეები თითქოსდა ჩიხში შეიყვანა, საიდანაც ახლო მომავალში გამოსავლის მოძებნა შეუძლებელია. ამას ნაწილობრივ თავად მხარეებს შორის ნდობის ნაკლებობა უწყობს ხელს, რასაც მედიატორის, რომელთანაც ერთად ისინი მოლაპარაკებების მაგიდას უნდა მოუსხდნენ, მიმართ უნდობლობა ემატება. კაშიგი აფხაზეთში გამომავალი დამოუკიდებელი გაზეთის, *ჩეგემსაკია პრავდას*, დამფუძნებელი და რედაქტორი, აღნიშნავს, რომ “ორივე მხარისათვის მისაღები მედიატორების არარსებობამ გარდაუვალი ზეგავლენა იქონია როგორც კონფლიქტის ზონაში არსებული პირობების შეფასებაზე, ასევე ინცინდენტების პრევენციისა და საპასუხო მექანიზმების (I ლ) ფორმატში გამართულ მოლაპარაკებებზე, რომელიც ქენევის შეხვედრების ფარგლებში იმართება” (ინტერნეტ წყარო №56). ირაკლი ხინტბას (2011) აზრით, თავად ევროკავშირის მოქმედებები აქცევს ევროკავშირს აფხაზეთისთვის მიუღებელ მხარედ და ამ მხრივ ყურდღებას ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაზე ამახვილებს, რომელმაც [აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი] *ოკუპირებულ ტერიტორიებად* აღიარა და ‘*ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ*’ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია მოიწონა (ინტერნეტ წყარო №58, გვ. 21).

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის კრიტიკის კიდევ ერთ ასპექტს თავად შემოთავაზებული ფორმულირება *ოკუპირებული ტერიტორიები* წარმოადგენს. ხინტბა აცხადებს, რომ ის ვერ ხედავს აფხაზეთს თბილისის სამშვიდობო გეგმაში, რომელიც “*იზოლაციის მოხსნის ცნებას დე-ოკუპაციით* ანაცვლებს და აფხაზეთს საქართველოს ხელისუფლებასთან აფხაზეთის მმართველი წრეების გვერდის ავლით კონტაქტების დამყარებისაკენ უბიძგებს” (ინტერნეტ წყარო №72). იგივე მოსაზრებას გამოთქვამს ინალ-იპა, და ამტკიცებს, რომ ამ დოკუმენტს გამოკვეთილი პოლიტიკური მისია აქვს – ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტა; საქართველოს მიერ გამოყენებული ცნებები – *ოკუპირებული ტერიტორიები* და *მარიონეტული რეჟიმები* – სრულფასობით მიუღებელია აფხაზეთისთვის და სამხრეთ ოსებისთვის (ინტერნეტ წყარო №47). ინალ-იპა ასევე გმობს ჩართულობის ევროპულ სტრატეგიას, რადგანაც ის “აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებულების გადალახვას ცდილობს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კონტროლის დაბრუნებას ისახავს მიზნად” (ინტერნეტ წყარო №47). ინალ-იპა საქართველოსა და ევროკავშირის სტრატეგიის მსგავსებას უსვამს ხაზს და მათი განხორციელების ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავს, რადგანაც ორივე მათგანი უგულვებელყოფს აფხაზეთის ინტერესებს და აღრმავებს მის იზოლაციას და უთან-

ასწორი განვითარებას. ერთის შეხედვით აშკარაა, რომ აფხაზებს არ მოსწონთ მათი ოკუპირებულად წამორჩენა, თუმცა ცალკე მსჯელობის საგანია თუ რამდენად დამოუკიდებლობის არიან ისინი და როგორ ესახებათ მათ რუსეთის ფედერაციასთან ერთად საკუთარი დამოუკიდებლობის “რეალიზება.”

აფხაზეთში ჩატარებული გამოკითხვა ცხადყოფს, რომ აფხაზები დასავლეთის მიერ აფხაზეთის აღიარებას კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ გზად განიხილავენ: “თბილისთან მშვიდობის მიღწევის ერთადერთი გზა დასავლური საზოგადოების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაა” (ინტერნეტ წყარო №49, გვ. 19-20) და მიანიშნებენ, რომ ამ შემთხვევაში აფხაზეთი ნაკლებად დამოკიდებული იქნება რუსეთზე და ნეიტრალურ ქვეყნად ჩამოყალიბების შანსი გაუზიარდება; მეორე მხრივ კი, აფხაზეთის აღიარებით საქართველოს გაუადვილდება ნატოში შესვლა და ევროკავშირში გაწევრიანება. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზთა ერთი ნაწილი დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს საქართველოსთან ვაჭრობის საგნად გადაქცევასაც არ გამორიცხავს. ამავე დროს, იმავე გამოკითხვა ცხადყოფს, რომ აფხაზთა დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ საქართველოსთან რაიმე სახის დათმობაზე წასვლას: მათთვის დათმობები მისაღებია მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, პოლიტიკურ კონტექსტში კი სრულიად გამორიცხულია (გვ. 21). თუმცა, ამავე დროს, უახლოესი 10-20 წლის განმავლობაში საქართველოს მხრიდან აფხაზეთის აღიარებას გამორიცხავენ (ინტერნეტ წყარო №49).

აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური სიტუაციის ანალიზისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს 2011 წელს აფხაზეთში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს. 2011 წლის 26 აგვისტოს, პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, 2011 წლის 29 მაისს, სპეციალური საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა აფხაზეთში (ინტერნეტ წყარო №2, გვ. 4). ბაღაფშისა და ანქვაბის ტანდემის ნეიტრალიზაციისა და პოლიტიკურ სცენაზე რაულ ხაჯიმბას მნიშვნელოვან ფიგურად გადაქცევის შემდეგ, რომელმაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, აფხაზეთის მმართველობაში ტრიუმფირატი ჩამოყალიბდა, რომელიც 2011 წლის დეკემბრის არჩევნებით დასრულდა, მას შემდეგ რაც ბაღაფშმა ხაჯიმბა დაამარცხა და ანქვაბმა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა მომავალ “საპრეზიდენტო არჩევნებამდე,” რომელიც 2014 წელს უნდა ჩატარდეს (ინტერნეტ წყარო №122, გვ. 1). ზაქარეიშვილის (2011) მტკიცებით, ეს არჩევნები გარკვეულწილად ანტი-რუსული პოზიციების გაძლიერება და არძინბას კურსის გაგრძელების დადასტურება იყო, როდესაც ანქვაბი აფხაზეთში მიწის გაყიდვის წინააღმდეგ გამოვიდა: “აფხაზეთის სამოქალაქო კოდექსი უცხოელებს აფხაზეთში საკუთრების შექმნას არ უკრძალავს, მაგრამ რაც შეეხება მიწას, ეს სახელმწიფო საკუთრებაა და ის არ იყიდება” (ინტერნეტ წყარო №122, გვ. 3). ზა-

ქარეიშვილი შენიშნავს, რომ ეს ძირითადად რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ ამავე დროს დასძენს, რომ 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის წინ ნაკლებ სავარაუდო იყო რუსულ-აფხაზური ურთიერთობების გაუარესება (ინტერნეტ წყარო №122, გვ. 3). ირაკლი ხინტბა (2011) კი საგარეო პოლიტიკის ნაკლებ კონკრეტულობის გამო აკრიტიკებდა ანქვების საარჩევნო პროგრამას, სადაც მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებაზე იყო საუბარი და მულტივექტორული საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა არ ჩანდა (გვ. 3). ხინტბას განცხადებით, ანქვების პრეზიდენტად არჩევა ანტი-რუსულ “გამოხტომას” არ წარმოადგენს და ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ პრეზიდენტმა მედვედევმა პირველმა მიულოცა ანქვებს გამარჯვება (გვ. 3). ანქვების გამარჯვება არ ნიშნავს, რომ აფხაზეთში მისაღები გახდება დასავლური პერსპექტივა და ევროპის შემოთავაზებული სტრატეგია “ჩართულობა აღიარების გარეშე” (ინტერნეტ წყარო №62, გვ. 3).

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის არც ერთ პოლიტიკურ ასპექტს არ ეთანხმებიან და სამშვიდობო გეგმის ფარგლებში დასავლეთთან კავშირის პოზიტიურ ასპექტებზე დათანხმებას მათი დამოუკიდებლობის დათმობაზე წასვლად განიხილავენ. მათთვის ასევე მიუღებელია დასავლეთთან კავშირის დამყარება, თუ ეს პირდაპირი ან არაპირდაპირ საქართველოს მეშვეობით მოხდება და მიიჩნევენ, რომ ადრე თუ გვიან დასავლეთი მათი აღიარების გზას დაადგება. ამავე დროს, გარკვეულ საფრთხეებს ხედავენ ექსკლუზიურად რუსეთზე დამოკიდებულებაში და მულტივექტორული საგარეო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე ფიქრობენ; თუმცა, ეს მათ საქართველოსთან რაიმე ტიპის ურთიერთობის, თუ ეს არ იქნება ურთიერთობა ორ დამოუკიდებელ და თანასწორ სუბიექტს შორის, დამყარებისაკენ არ უბიძგებს.

4.2.2. ეკონომიკური ასპექტების ანალიზი

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სამშვიდობო გეგმის ეკონომიკური ასპექტებისადმი აფხაზები ისევე კრიტიკულად არ არიან განწყობილნი, როგორც ამ დოკუმენტის პოლიტიკური მხარისადმი. აფხაზების განცხადებით, აფხაზეთის ეკონომიკა გაუარესდა 1996 წლის შემდეგ, როდესაც თბილისის დაუქინებული მოთხოვნით მიღებულ იქნა “დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოს დადგენილება აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე.” რაც საფუძვლად დაედო აფხაზეთის ეკონომიკურ იზოლაციას (ინტერნეტ წყარო №7, გვ. 8). 1999 წელს რუსეთის მიერ ბლოკადის მოხსნის შემდეგ, ნაწილობრივ შესუსტდა ეკონომიკური ემბარგო, ხოლო 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის და მნიშვნელოვან როლს თამაშობს აფხაზეთის [ეკონომიკურ] დეიზოლაციაში

(გვ. 9-10). თბილისი კი აფხაზეთის ფინანსური სისტემის ბლოკადას, სოხუმის აეროპორტის და საზღვაო პორტის გახსნის თავიდან აცილებას და აფხაზეთის მაცხოვრებლებისათვის უცხოეთის ქვეყნების ვიზების გაცემის დაბლოკვას ცდილობს (ინტერნეტ წყარო №7, გვ. 10).

მართალია აფხაზებს არ სურთ საქართველოს ორბიტაზე დაბრუნება, მაგრამ, სავარაუდოდ რუსეთზე მზარდი ეკონომიკური დამოკიდებულების გათვალისწინებით, თბილისთან ეკონომიკური კავშირების დამყარების შესაძლებლობას მაინც განიხილავენ. ირაკლი ხინტბა თანამშრომლობის მაგალითად ენგურის ჰიდროელექტროსადგურს ასახელებს, თუმცა დასძენს, რომ “მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა დე ფაქტო აფხაზ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ოჩამჩირეში და გალში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ამ რეგიონების ეკონომიკური ორიენტაციის (პრორუსულიდან პროქართულად) შეცვლას ისახავდა მიზნად” (ინტერნეტ წყარო №61, გვ. 7). ხინტბას განცხადებით, აფხაზების მიერ ამ საფრთხის გაცნობიერება მათ საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხის აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების საკითხთან დაკავშირებისაკენ უბიძგებს (გვ. 7). ამასთანავე, საქართველოსთან პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხი აფხაზეთის პოლიტიკურ წრეებში ქულების დაწერის საგნად გადაიქცა და აქტიურად გამოიყენება პოლიტიკური ოპონენტების მიერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში (ინტერნეტ წყარო №61, გვ. 8). ხინტბასთვის არც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის ეკონომიკური პაკეტი დამაჯერებელი, რადგანაც, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადებით, ერთი მხრივ, კრძალავს ამ რეგიონებში ეკონომიკურ საქმიანობას ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის გარეშე, ხოლო, მეორე მხრივ, “ამ ტიპის საქმიანობის შესაძლებლობას მხოლოდ საქართველოს ნაციონალური ინტერესების დაცვის კონტექსტში განიხილავს” (ინტერნეტ წყარო №61, გვ. 9-10). ამავე დროს, ჩაკეტილი საზღვარი არ არის აფხაზეთის პოლიტიკურ ინტერესებში და სამშვიდობო გეგმის შეთავაზებები აფხაზეთს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს: აღმოსავლეთ აფხაზეთის ეკონომიკურ რეაბილიტაციას და მდინარე ენგურზე ტრანსსასაზღვრო ვაჭრობით აფხაზეთს რეგიონს ეკონომიკურ პროცესებში ჩართავს შეუწყობს ხელს (გვ. 12). ვალერი ბასარიას (2011) განცხადებით, “ოკუპირებული ტერიტორიებისადმი საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით ფარგლებში გათვალისწინებული თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა სკეპტიციზმით იქნა მიღებული აფხაზების მიერ, “რაც რუსი სამხედროების მოქმედებებით და საზღვრის გადაკვეთისას დამატებითი ბარიერების წარმოქმნით არის განპირობებული” (ინტერნეტ წყარო №17, გვ. 23).

უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთში ჩატარებული გამოკითხვა ცხადყოფს, რომ აფხაზები კონფლიქტის განახლებას სრულებით გამორიცხავენ და მთელ ყურადღებას ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა, და საშინაო პრობლემების მოგვარებაზე ამახვილებენ. “დღესდღეობით საქართველო არ აპირებს დათმობებზე წასვლას, ასე რომ აზრი არ აქვს ორმხრივი მოლაპარაკებების წარმოებას” (ინტერნეტ წყარო №49, გვ. 19). აფხაზებს აშფოთებთ აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაზე სულ უფრო მზარდი და ექსკლუზიური ეკონომიკური დამოკიდებულება. საიდ გეზერდავას (2011) აზრით, მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ სექტორში რუსეთსა და აფხაზეთს შორის კავშირი შეიძლება დახასიათდეს როგორც “დონორი სახელმწიფოს და მიმღები სახელმწიფოს ურთიერთობა, რაც უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და ადრე თუ გვიან ის სერიოზულ ზიანს მიაყენებს აფხაზეთის სუვერენტიტეტს. ამგვარად, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სრული მოდერნიზაციის პარალელურად, აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს აფხაზეთის დამოუკიდებელი ეკონომიკური ზრდა და განვითარება,” (ინტერნეტ წყარო №36, გვ. 17). აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენტიტეტის დაკარგვის სერიოზული საშიშროების წინაშე დგას, რისი გადალახვაც, გეზერდავას აზრით, მხოლოდ შიგა პოტენციალის სრული ათვისებით და საგარეო გარემოს დამოუკიდებელი განვითარებისათვის გამოყენებით არის შესაძლებელი. ამ მხრივ კი აფხაზები აქტიურად განიხილავენ როგორც საქართველოსთან ერთიანი ეკონომიკური პროექტების წამოწყებას, ასევე კავკასიის რეგიონულ საერთაშორისო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობებს. აფხაზეთის ეკონომიკის სექტორის დივერსიფიცირება საშური საქმეა, რამდენადაც რუსეთსა და აფხაზეთს შორის “ვაჭრობის ბრუნვამ 2010-2012 წლებში 130 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმავე პერიოდში რუსეთმა აფხაზეთს 10.8 მილიარდი რუბლის დახმარება გამოუყო, რაც 362.5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ეს კი 2010 წლის აფხაზეთის ბიუჯეტს 3-ჯერ აღემატება” (ინტერნეტ წყარო №39, გვ. 14). თუმცა, ეს აფხაზებს თბილისთან ეკონომიკური ურთიერთობების წამოწყებისაკენ არ უბიძგებთ. ო’ლონგვილისა და მისი კოლეგების (2011) მიერ აფხაზეთში ჩატარებული კვლევის თანახმად, “აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვლის, რომ რეგიონში უკეთესი ეკონომიკური სიტუაციაა, ვიდრე დანარჩენ საქართველოში,” (გვ. 19) თუმცა ავტორებს ეჭვი ეპარებათ ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში, რადგანაც აფხაზეთის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ შეუძლია დანარჩენ საქართველოში მოგზაურობა და ამგვარად, ენგურის გაღმა ნაპირზე არსებული სიტუაციის ზუსტი შეფასება. კვლევის ავტორები თბილისის ეკონომიკური ინიციატივებისადმი აფხაზი მოსახლეობის ინტერესის ნაკლებობას შემდეგი მიზეზით ხსნიან: აფხაზებს სწამთ რომ ისინი უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე

მოსახლეობა დანარჩენ საქართველოში. ავტორები ასევე შენიშნავენ, რომ გალის რეგიონის მცხოვრებლები საპირისპიროს ფიქრობენ (გვ. 19).

აფხაზებს, ძირითადად პოლიტიკურ ოპოზიციას, განსაკუთრებით აშფოთებს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ინიცირებული გეგმა რუსეთისა და აფხაზეთის მოქალაქეებისათვის აფხაზეთში უძრავი ქონების ფლობის თანაბარი უფლებების მინიჭების შესახებ. ამ კუთხით ცვლილებები იქნა შეტანილი კანონმდებლობაში, რომლის თანახმად, ადრე მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებს ჰქონდათ აფხაზეთში მიწის საკუთრებაში ფლობის უფლება (გვ. 15). თუმცა, აფხაზეთის სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთში საკუთრების ფლობის უფლებით მხოლოდ აფხაზები არ უნდა სარგებლობდნენ, რადგანაც ეს სხვა ქვეყნის მოქალაქეებს აფხაზეთის მოქალაქეობის ხელოვნურად მიღებისაკენ უბიძგებს, რაც, სხვა მრავალ პრობლემას შორის, დემოგრაფიულ ცვლილებებს გამოიწვევს, ამას კი სერიოზული პოლიტიკური შედეგები მოჰყვება (გვ. 15). ოპოზიცია აფხაზეთში მიმდინარე კიდევ ერთი პროცესით არის უკმაყოფილო: რუსეთის კომერციული სტრუქტურებისათვის აფხაზეთის სტრატეგიული ობიექტების (აფხაზეთის რკინიგზის და სოხუმის აეროპორტის) ხანგრძლივი პერიოდით გადაცემით, რასაც ემატება რუსული ნავთობკომპანია *Rosneft*-ისთვის შავი ზღვის აფხაზეთის შელფში ნავთობის მარაგების მოძიების გაცხადებული გეგმები (ინტერნეტ წყარო №39, გვ. 15), რასაც ეკონომიკურთან ერთად, სერიოზული გარემოსდაცვითი საფრთხეები შეიძლება დაერთოს, ეს კი აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს რეგიონის ტურისტულ პოტენციალს.

სტატიტიკური მონაცემების თანახმად რუსეთი აფხაზეთისთვის ერთადერთ ეკონომიკური პარტნიორად რჩება და აფხაზეთი სულ უფრო დამოკიდებული გახდება რუსეთზე. აფხაზეთსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილობრივმა ლიბერალიზაციამ აფხაზეთის საგარეო ბრუნვის დინამიურ განვითარებას შეუწყო ხელი, რომელიც 1999-2009 წლებში 20 მილიონი დოლარიდან 280 მილიონ დოლარამდე, დაახლოებით 14-ჯერ გაიზარდა; შესაბამისად მშპ 36 მილიონიდან 465 მილიონ დოლარამდე იმატა, ხოლო საშუალო ხელფასმა 8.7 აშშ დოლარიდან 203.5 აშშ დოლარამდე (გვ. 13). საბიუჯეტო შემოსავლები 1999-2009 წლებში 4.5 მილიონი დოლარიდან 130 მილიონ დოლარამდე გაიზარდა (ინტერნეტ წყარო №14, გვ. 13). თუმცა, ამ ტენდენციის პარალელურად, რუსეთი აფხაზეთისთვის ერთადერთ ეკონომიკურ პარტნიორად გადაიქცა. ტურისტების 96% რუსეთიდან ჩადის აფხაზეთში; აფხაზეთი სარგებლობს რუსეთის ფინანსური და ეკონომიკური დახმარებით: 2008 წელს 70 მილიონი დოლარი მიიღო, ხოლო 2009 წლისთვის 100 და 2010 წელს 160 მილიონი დოლარი. ამას ემატება აფხაზეთის საპენსიო ფონდში ყოველწლიურად გადარიცხული 30 მილიონი აშშ დოლარი (ინტერნეტ წყარო № 14, გვ.13-15).

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ტოტალური ეკონომიკური ანექსიის გაცნობიერების მიუხედავად, აფხაზები მაინც ეჭვის თვალით უყურებენ დასავლეთს, რომელიც ძლიერ ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებას უწევს საქართველოს, რასაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება დასავლეთის მიერ აფხაზებისთვის შეთავაზებული ეკონომიკური დახმარება (ინტერნეტ წყარო №116, გვ. 10). ამავე დროს, ვენედიქტოვა (2011) მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ “აფხაზეთისათვის უზრუნველყოფილი ეკონომიკური უსაფრთხოების მიუხედავად, დასავლეთის დახმარება ქვეყნის პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესს შეუწყობდა ხელს (ინტერნეტ წყარო №116, გვ. 11). აფხაზ ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, შეუძლებელია საუბარი ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებზე და ისინი ეკონომიკური თანამშრომლობის ხელისშემშლელ მთელ რიგ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას. ვალერი ბასარიას (2011) აზრით, ქართველი ეკონომიკური ექსპერტების მიერ ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე ყურადღების გამახვილება არსებული რეალობის ზედაპირულ შეფასებას წარმოადგენს, თუმცა, არც ერთ მხარეს არ შეუძლია ამ კომპლექსური საწარმოს სტატუსის და მუშაობის ფორმის ცალმხრივი შეცვლა; ეს უკანასკნელი კი, დღესდღეობით, აფხაზებისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რუსეთიდან მიღებული დახმარების პარალელურად (ინტერნეტ წყარო №18, გვ. 18).

აფხაზი ექსპერტები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმის ეკონომიკური შეთავაზებების ბუნდოვანებაზეც საუბრობენ, თუმცა, ამავე დროს, მასში ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებს ხედავენ: ვაჭრობისთვის ხელსაყრელი პირობები, სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის განვითარება და სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა, მათ შორის ინტეგრირებული ზონის, რომელიც ორივე მხარეს გააერთიანებს. ბასარიას (2011) აზრით, საინტერესოა ენგურზე სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა, თუმცა ეს იდეა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები ლობირებდნენ, მიუღებელი აღმოჩნდა ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. პროექტის თანახმად, უნდა შეიქმნას ასევე ერთიანი ბიზნეს პროექტების დამფინანსებელი სპეციალური ფონდები და ბიზნესსაქმიანობის ხელისშემწყობი ლეგალური მექანიზმები, რომლებიც დაარეგულირებენ საბაჟო, საგადასახადო, სერტიფიცირების და საქონლის გარე ბაზრებზე მარკეტინგის საკითხებს; სწორედ ეს არის პრობლემა, რადან აქ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ურთიერთიკვეთება (გვ. 28). შევნიშნავთ, რომ მსგავსი პუნქტები გვხვდება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის ეკონომიკურ პაკეტში. ბასარიას აზრით, “ეკონომიკური თანამშრომლობის ყველა ამ წინადადების ერთობლივი განხორციელება” ნაკლებ მოსალოდნელია, და არასასურველიც კი შე-

იძლება იყოს” (ინტერნეტ წყარო № 16, გვ. 29). ბესლან ბარათელიას (2011) კი მი-
აჩნია, რომ ენგურზე ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ნაწილობრივმა ლეგალიზაციამ
შეიძლება სარგებელი მოუტანოს აფხაზეთს, რაც საგარეო ეკონომიკური ურთი-
ერთობის ნაწილობრივ დივერსიფიცირებაში, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაში,
გალის რეგიონში უსაფრთხო მიმოსვლაში და კონფლიქტის ზონაში კორუფციის
შემცირებაში გამოიხატოს. ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ნაწილობრივი ლიბერა-
ლიზაცია კი აფხაზეთის ხელისუფლების ლეგიტიმაციას გაზრდის გალის მაც-
ხოვრებლებს შორის (ინტერნეტ წყარო №14, გვ. 14).

ამავე დროს, აფხაზები უკმაყოფილონი არიან რუსეთის ინტერაოქსისა და
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის 2008 წლის 28 დეკემბერს გა-
ფორმებული საიდუმლო შეთანხმებით, რომელიც ენგურის ჰიდროელექტროსად-
გურის ერთობლივი ოპერირების პირობებს ითვალისწინებდა და რომელიც პარი-
ტეტის პრინციპებზე შექმნილ ერთობლივ მმართველ საბჭოს უნდა განეხორცი-
ლებინა (ინტერნეტ წყარო №18, გვ. 19). აფხაზებმა განაცხადეს, რომ მათს
ზურგს უკან ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თაობაზე შეთანხმების გაფორ-
მებას არ დაუშვებდნენ, და მეტწილად იმიტომ, რომ “ინტერ რაო ესე უკვე დიდი
ხანია უხეშად ცდილობდა აფხაზეთის მრავალი საწარმოს ხელში ჩაგდებას” (გვ.
19). ამ ხელშეკრულებას უკმაყოფილება მოჰყვა თბილისში, სადაც ხელისუფლება
რუსეთთან სამხედრო და ეკონომიკურ კაპიტულაციაში, ასევე ოკუპირებული ტე-
რიტორიების შესახებ კანონის დარღვევაში დაადანაშაულეს, რადგანაც ამ ნაბი-
ჯით მოისპო აფხაზებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა
(გვ. 19). ვალერი ბასარიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს
კონტროლს მიღმა არსებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობა არ არის
აკრძალული, “ამისთვის საჭიროა საქართველოს ხელისუფლების სათანადო თან-
ხმობა, რომელიც ენგურის ჰიდროელექტროსადგურის შემთხვევაში არავის არ
უნახავს” (ინტერნეტ წყარო №18, გვ. 20). ამასთანავე, აფხაზები მსგავსი ხელშეკ-
რულების ხელმომწერ მხარედ დაფიქსირებას მოითხოვდნენ, ხოლო საქართვე-
ლოს ცენტრალური ხელისუფლება ამას დაუშვებლად მიიჩნევდა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულმა ბიზნეს პროექტებმა
შეიძლება ხელი შეუწყოს ტრანსსასაზღვრო ეკონომიკურ საქმიანობას მდინარე
ენგურზე, რაც, თავის მხრივ, ნდობის აღდგენის და კონფლიქტის ტრანსფორმა-
ციის წინაპირობად უნდა იქცეს. უწყვეტი ეკონომიკური საქმიანობა კი სასარგებ-
ლო იქნება როგორც ორივე მხარის ეკონომიკისათვის, ასევე მთელი რეგიონის-
თვის, რაც აფხაზეთის ეკონომიკის რეგიონის ეკონომიკაში ინტეგრაციას გამოიწ-
ვევს. ამ მხრივ კი გალის რაიონს ცენტრალური როლი ენიჭება (ინტერნეტ წყა-
რო №78, გვ. 4-5). თუმცა, ძირითად პრობლემად ისევ და ისევ სტატუსების – აფ-
ხაზეთის და დანარჩენი საქართველოს პოლიტიკური ურთიერთმიმართების – სა-

კითხი რჩება. ანალოგიურად, პრობლემურია სამშვიდობო გეგმის გარანტორი მხარის შერჩევა: აფხაზეთისთვის მიუღებელია დასავლეთი, რადგანაც აქ საქართველოს და ევროკავშირის ალიანსს ხედავენ, საქართველოსთვის კი, ბუნებრივია, რუსეთის ფედერაცია. ამგვარად, ეკონომიკური ასპექტები კიდევ ერთ ჩიხს წარმოადგენს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.

4.2.3. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის რუსული შეფასება

რუსეთის პოზიცია აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილ რელობასთან დაკავშირებით მოკლედ შემდგენაირად შეიძლება დახასიათდეს: რუსეთის ფედერაციის ძალისხმევით აფხაზმა და ოსმა ხალხმა მიადწია დამოუკიდებლობას და რუსეთი ახლა მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნების და მშენებლობის ერთადერთი გარანტია. რუსეთის ფედერაციის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება მათი მისწრაფების და სურვილის დადასტურებას წარმოადგენდა და მსოფლიო უნდა შეეგუოს რეგიონში შექმნილ “ახალ რეალობას.” რუსი პოლიტიკოსების და ექსპერტები ახალი რეალობის – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის – გათვალისწინებას ითხოვენ ნებისმიერ სამშვიდობო დიალოგის ფორმატში, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით უნდა იქნენ წარმოდგენილნი. რაც შეეხება თავად აფხაზეთის პრობლემას, რუსი პოლიტიკოსების და ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ეს პრობლემა აღარ არსებობს, რადგანაც აღარ არსებობს სეცესიური რეგიონი, და ის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტის კომენტარებისას მაქსიმ სუჩკოვი (2011) შენიშნავს: “სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით აფხაზეთის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა შავ ზღვაზე ცხადყოფს, რომ სოხუმი უფრო მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მხარეებისთვის” (ინტერნეტ წყარო 102, გვ. 139).

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებისთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საქართველოს სეცესიური რეგიონები და თავად საქართველო, რუსეთის ფედერაციის ინტერესების სფეროდ გამოაცხადა. ამავე დროს, რეგიონში განლაგებულია 7 ათასიდან 9 ათასამდე რუსი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე რეგიონში 2059 წლამდე დარჩებიან, და მათი ყოფნა შესაძლებელია 2074 წლამდეც კი გახანგრძლივდეს (აფს, 2012, გვ. 7-8). რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის თაობაზე, “რომ-

ლის მიზანია აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და რუსული სამხედრო ბაზის განთავსება. ხელშეკრულების თანახმად, პირველ ეტაპზე 1700 სამხედრო მოსამსახურე განლაგდა 49 წლის ვადით, რომელიც აფხაზებს საქართველოს მზარდი სამხედრო შესაძლებლობებისგან დაიცავს” (ინტერნეტ წყარო №36, გვ. 17). აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ბაზებზე 5000 რუსი სამხედრო მოსამსახურე განთავსდება, რისთვისაც 470 მილიონი აშშ დოლარს გამოყოფს რუსეთი, ხოლო დამატებით 340 მილიონ აშშ დოლარს დახარჯავს აფხაზეთის საბიუჯეტო და სოციალური დახმარებისთვის და აფხაზეთის ეკონომიკის სტიმულირებისათვის (ინტერნეტ წყარო №86, გვ. 4).

ახალ რეგიონულ უსაფრთხოებას სხვაგვარად ხედავს ცუციევი, რომელიც მიიჩნევს, რომ სწორედ უსაფრთხოების რეალური მექანიზმების ნაკლებობა განაპირობებს კონფლიქტის მოგვარებისაკენ გადადგმული ინსტიტუციური ნაბიჯების კრახს. ცუციევი აღნიშნავს, რომ დღესდღეობით არსებულ სტაბილურობას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ნაწილების ყოფნა განაპირობებს და რუსული სამხედრო ნაწილების ევროკავშირის მონიტორინგის მისიით ჩანაცვლებას შეუძლებლად მიიჩნევს. ავტორი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება საქართველოს მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმის პუნქტების ფორმულირებას. მისი აზრით, “სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ადმინისტრაციული გამყოფი საზღვრები პოლიტიკურად უფრო კორექტული ტერმინით ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრების სახელით უნდა იყოს მოხსენიებული, რაც ასახავს კიდევ რეალურ სიტუაციას,” (ინტერნეტ წყარო №103) და დასძენს, რომ “ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრები” და აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ჯარების განლაგების ზონები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ჩემი აზრით, აქ უდაოდ იმალება ოკუპირებული ტერიტორიების სასაზღვრო მიჯნების, რომელიც არ ემთხვევა ადრე არსებულ დე-ფაქტო სეცესიურ საზღვრებს, დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობის ახალ საზღვრებად თუ ზონებად ინსტიტუციონალიზაციის მცდელობა, რაც აგვისტოს ომის შემდგომ კონფლიქტური რეგიონების მიღმა (განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში) განთავსებული რუსული ჯარების ლეგიტიმაციის მცდელობას წარმოადგენს. ცუციევის აზრით, ეს ცვლილებები კი კონფლიქტის ზონებში უსაფრთხოების მექანიზმებს წარმოქმნის. ამ მხრივ ერთ-ერთ სტრატეგიას შეიძლება “ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გაფართოება წარმოადგენდეს, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებსაც მოიცავს. თუმცა, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პოლიტიზება, რაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ლეგალურ ბუნებას უგულებელყოფს” (ინტერნეტ წყარო №103). ეს ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ რუსეთისთვის მიუღებელია ნებისმიერი სამშვიდობო გეგმა

ან მოლაპარაკებების ფორმატი, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. ცუციევი კიდევ ერთ ალტერნატიულ მოსაზრებას გვთავაზობს, რომელიც “ევროკავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის წამოყენებული წინაპირობის შებრუნებას ითვალისწინებს: ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ (ევროკავშირის მსგავსად) პირობითი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი უნდა გამოიყენოს” (ინტერნეტ წყარო №103). რეალურად, ეს რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის მონაპოვრების ლეგალიზების კიდევ ერთ სტრატეგიას წარმოადგენს, რადგან მას მოლაპარაკებების ისეთი ფორმატი მიეძღვნება, სადაც შეზღუდული იქნება თბილისის “ძალაუფლება” მის “ყოფილ” ავტონომიურ ტერიტორიებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებულ სამშვიდობო გეგმას აკრიტიკებს იაზკოვა, რომელიც ასევე ტერმინით *ოკუპირებული ტერიტორიები* არის უკმაყოფილო. ის აღნიშნავს, რომ ტერმინები როგორცაა *მარიონეტული რეჟიმები* და *ოკუპირებული ტერიტორიები* აფხაზებთან მოლაპარაკებების პროცესში გარკვეულ დაბრკოლებებს წარმოქმნის, რადგან აფხაზური მხარე, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის, სერგეი შამბას პირით, აცხადებდა, რომ აფხაზეთი “მთელი მსოფლიოს ხალხებთან” კონტაქტების დამყარებას ესწრაფოდა (ინტერნეტ წყარო №121). უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტების მოგვარებისადმი საქართველოს მიდგომა იმეორებს ევროკავშირის ფორმულას *ჩართულობა აღიარების გარეშე*, რომელიც საერთო ინტერესების საფუძველზე ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონტაქტების დამყარებას ცდილობს, და კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი ოჯახების შეკავშირებას და ახალგაზრდა თაობებს შორის ურთიერთგაცვლას უწყობს ხელს. იაზკოვა ამტკიცებს, რომ ამ ტერიტორიების *ოკუპირებულ ტერიტორიებად* მოხსენიება მნიშვნელოვნად აფერხებს ზემოთჩამოთვლილი სამშვიდობო წინადადებების განხორციელებას (ინტერნეტ წყარო №121). იგივე მოსაზრებას გამოთქვამს მარკედონოვი, რომელიც ამტკიცებს, რომ ცნება *ოკუპირებული ტერიტორიების* გაჩენა არა თბილისის შეცდომების, არამედ გარემტრის უხეში ჩარევის შედეგი იყო; ამგვარად, “საჭიროა კავშირი ოკუპანტ ძალასთან – კრემლთან” (ინტერნეტ წყარო №42). მარკედონოვი საქართველოს მიერ ცნება *ოკუპირებული ტერიტორიების* მსოფლიოს მასშტაბით დამკვიდრების მცდელობებზე ამახვილებს ყურადღებას, და ამტკიცებს, რომ ამ მოქმედებებით თბილისმა შეიძლება “ძირი გამოუთხაროს ქვეყნის ინტეგრაციისთვის მის მიერვე გაწეულ მცდელობებს” (ინტერნეტ წყარო №42). მარკედონოვის თანახმად, საჭიროა სრულებით ახალი მიდგომა, რომლის ამოსავალი არ იქნება *ტერიტორიული მთლიანობის* გაცვეთილი ფრაზა. უნდა აღინიშნოს, რომ ცუციევის და მარკედონოვის “კონფლიქტის მოგვარების” სურვილი სავსებით გასაგებია, თუმცა ისინი

ეწინააღმდეგებიან ტერიტორიული მთლიანობის (*uti possidetis*) პრინციპს, რომელიც ევროპასა და მიელს მსოფლიოში საერთაშორისო წესრიგის ძირითადი დერძია.

ანტონენკო საქართველო-რუსეთის დიალოგის სამომავლო პერსპექტივებს განიხილავს და ამტკიცებს, რომ აუცილებელია დიალოგის სასწრაფოდ წამოწყება ყველა – ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ და ქართულ-რუსულ დონეზე. თუ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა აფხაზურ, ოსურ და ქართულ საზოგადოებებს შორის გარღვევის კუთხით, ამ მხრივ რუსულ და ქართულ საზოგადოებებს შორის დადებითი ძვრები არ შეინიშნება. “აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხზე შეთანხმების მიღწევამდე აუცილებელია ორ მხარეს შორის სერიოზული დიალოგის წარმოება, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის გარკვეული პერიოდის მანძილზე მშვიდობიანი თანაცხოვრების კონკრეტულ წესებს დაადგენს.” (ინტერნეტ წყარო №106). ანტონენკო ასევე ამტკიცებს, რომ დიალოგის არარსებობის ძირითადი მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: საქართველოს ხელისუფლებას სწამს, რომ მათ შეუძლიათ სამშვიდობო პროექტის რუსეთის გარეშე განხორციელება; ხოლო რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთავრობამ დაკარგა მხარდაჭერა და დღეს თუ ხვალ დატოვებს ხელისუფლებას (ინტერნეტ წყარო №106). მომავლის ხედვის ეს ორმხრივი შეუთავსებლობა და არსებული სიტუაციის განსხვავებული აღქმა დღესდღეობით არსებულ ჩიხურ სიტუაციას წარმოქმნის. ამგვარად, ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია დაპირისპირებულ (ქართულ-აფხაზურ და ქართულ-სამხრეთ ოსურ) და დაინტერესებულ (რუსეთის vs. საქართველო) მხარეებს შორის მესამე, ნეიტრალური, ძალის ჩარევით. ძნელია წინასწარი ხანგრძლივი პროგნოზის გაკეთება ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ არჩეული კურსის და მისი შედეგების თაობაზე, თუმცა უახლოეს მომავალში რაიმე პოზიტიურ გარღვევას კონფლიქტური რეგიონების ირგვლივ არ უნდა ველოდოთ.

ანდრეი რიაბოვი (2011) კი მიიჩნევს, რომ აფხაზეთი, რომელიც დე-ფაქტო სახელმწიფოდ აღმოცენდა ყოფილ საქართველოს სსრ-ში, მთლიანად მოსკოვის მიერ კონტროლირებულ მარიონეტულ წარმონაქმნად არ უნდა მოიხსენიებოდეს; “აფხაზეთი განსხვავდება საქართველოს მეორე ავტონომიური რეგიონისგან – სამხრეთ ოსეთისგან – რომლის შესაძლებლობა განავითაროს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, საკამათოა” (ინტერნეტ წყარო №94, გვ 33). მისთვის ასევე მიუღებელია სამშვიდობო გეგმის კონტექსტში აშშ-ს და ევროკავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხაზგასმა და აფხაზეთთან ჩართულობის ასპექტის უგულებელყოფა; ის დასძენს, რომ საქართველოს მიერ კონფლიქტების მოსაგვარებლად შემუშავებულ დოკუმენტებს (იხ. ზემოთ) აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება რეალურად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმა-

ლიზაციაზე დაჰყავს (ინტერნეტ წყარო №94, გვ. 34), რაც, ჩვენის აზრით, პრობლემური მიდგომაა აგვისტოს ომის შემდეგ არსებული რეალობისადმი.

რუსი ექსპერტები აფხაზეთისთვის და სამხრეთ ოსეთისთვის საერთაშორისო ჩართულობის მექანიზმების შემუშავებაზეც ფიქრობენ. საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი ანდრეი ზაგორსკი მიიხნევს, რომ “ევროკავშირმა წარმომადგენლობითი ოფისები უნდა გახსნას სოხუმსა და ცხინვალში, რათა მონიტორინგი გაუწიოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, ხოლო ამ ტიპის კავშირების დამყარება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-იურე აღიარებას არ წარმოადგენს” (მაგორსკი 2011, გვ. 98). ალექსანდრე სკაკოვი (2011) კი აცხადებს, რომ მცდარი წარმოდგენაა მოსკოვის მიხნევა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემის ძირითად გასაღებად: ის მნიშვნელოვანია ფინანსურად აფხაზეთისთვის და სამხრეთ ოსეთისთვის, მაგრამ არა გადამწყვეტი, ვინაიდან შეზღუდულია რუსეთის შესაძლებლობები რესპუბლიკების მოსახლეობას და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის მხრივ, რასაც აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ფავორიტი კანდიდატის დამარცხებაც ადასტურებს” (შკაკოვი, 2011, გვ. 127). ავტორის აზრით, საქართველოს მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მხოლოდ რუსეთის სატელიტებად მიხნევა მცდარი მიდგომაა. ამგვარად, რუსული მხარე მყარად დაიცავს აგვისტოს ომის შემდგომ “მონაპოვრებს,” რაც საერთაშორისო პოლიტიკაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ახალი რეალობის – დამოუკიდებელი სუბიექტების – საბოლოო დამკვიდრებაში მდგომარეობს, რაც გამორიცხავს ოკუპანტი ძალის “ჩართულობას” თბილისის მიერ შემუშავებულ ფორმატში. ბუნდოვანია ასევე ზემოთაღნიშნული სამშვიდობო გეგმის ფარგლებში თბილისის მოსკოვთან თანამშრომლობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოპოვებული დამოუკიდებლობის დაცვის პრინციპებიდან ამოდის. ამავე დროს, ნაკლებ მოსალოდნელია რუსეთის პოზიციის გაზიარება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რადგანაც თბილისის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე საუბარი ნებისმიერ ხელისუფლების პოლიტიკურ გაკოტრებას გამოიწვევს. ამ მხრივ რაიმე ცვლილება ჯერჯერობით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მოსული ხელისუფლების პირობებში არ ჩანს, თუ არ გავითვალისწინებთ რუსეთთან დიალოგისთვის აბაშიძე-კარასინის ფორმატის შექმნას, რომელიც მხოლოდ რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების დალაგებაზე მუშაობს, და, დამატებით, ამ ფორმატის ფარგლებში ქართული მხარე კონფლიქტის რეგიონებში გამწვავებული სიტუაციის ცალკეული შემთხვევების დაყენებით და წინ წამოწევით შემოიფარგლება.

4.2.4. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის საერთაშორისო შეფასება

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა კიდევ ერთი თავისტიკიული გაუჩინა დასავლეთს და აშშ-ს. როგორც სიმონ მაილსი (2012) ამტკიცებს, დასავლეთი უარს ვერ ეტყვის საქართველოს ნატოსკენ სრაფვის კურსზე, რადგანაც ეს “ნატოს წევრობის საკითხზე რუსეთისათვის დე ფაქტო ვეტოს უფლების მინიჭების ტოლფასი იქნება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პროცესში” (ინტერნეტ წყარო №77, გვ. 10-11). საქართველოსთვის კი დასავლეთი და აშშ მთავარ მოკავშირედ რჩება რუსეთთან კონფრონტაციული ურთიერთობების ფონზე. მაქსიმ სუჩკოვი (2011) კი დასძენს, რომ “საქართველოს [აშშ-ს] მისი უსაფრთხოების მთავარ განარტად მიიჩნევის, რომელიც მას რუსეთთან ომის განმეორებას ააცილებს თავიდან” [ამავე დროს კი აშშ] “ხელს უწყობს საქართველოს მისი ლეგიტიმური უსაფრთხოების და თავდაცვის საჭიროებების უზრუნველყოფაში, რამაც შეიძლება ომის წინა სიტუაცია დააბრუნოს” (ინტერნეტ წყარო №102, გვ. 139).

საქართველოსადმი აშშ-ს მხარდაჭერა დადასტურდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტის გაფორმებით. აშშ სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის განცხადებით, “ამერიკის შეერთებული შტატები არ გადაუხვევს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის კურსს და ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ძირითადი პრინციპი იქნება” (ინტერნეტ წყარო №88). აშშ-ს სახელმწიფო მდივნის განცხადებით, ამერიკა კვლავ მოუწოდებს რუსეთს საქართველოს ოკუპაციის შეწყვეტისაკენ და 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელმოწერისას აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ; აშშ ჟენევის მოლაპარაკებებს ამ ამოცანების მიღწევის ძირითად ფორმატად და საშუალებად მიიჩნევს.

ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებისადმი 2008 წლის აგვისტოს ომამდე მხოლოდ მის ინსტიტუტებში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით შემოიფარგლებოდა, რომელთაც მეტწილად მონიტორინგის ფუნქცია ეკისრათ.⁴³ აგვისტოს ომის დღეებში ევროკავშირის გააქტიურებამ კი აჩვენა, რომ ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში პასი-

⁴³2008 წლის აგვისტოს ომამდე ერთი თვით ადრე გერმანია კონფლიქტის დარეგულირების ახალი სამშვიდობო ინიციატივით გამოვიდა, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა აფხაზეთის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშთან შეხვედრისას გაახმაურა. გეგმა სამ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო: 1. ძალის გამოუყენებლობის და კოდორის ხეობის უსაფრთხოების გარანტია, საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების ქვეშ დევნილების დაბრუნება; 2. ნდობის აღდგენა ბერლინის საერთაშორისო დონორთა კონფერენციის მიერ ინიცირებული პრაქტიკული პროექტებით და პრაქტიკული თანამშრომლობა უსაფრთხოების, ვაჭრობის, მოგზაურობის, ცალკეულ იურიდიულ საკითხებზე, კულტურის და სპორტის სფეროებში, პოლიტიკური სტატუს ქვოს ქვეშ; 3. საერთაშორისო მედიაციით გამართულ ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე შეთანხმება; აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვა.

ურ როლს აღარ დასჯერდებოდა და რეგიონში კონფლიქტების მოგვარების კუთხით უფრო აქტიური პოლიტიკის გატარებას შეეცდებოდა. საბინა ფისჩერი (2008) ჯერ კიდევ 2008 წელს აცხადებდა, რომ “ევროკავშირს უფრო მოქნილი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა პოსტსაბჭოთა სივრცის მოუგვარებელი კონფლიქტებისადმი და უფრო აქტიურად უნდა ჩართულიყო აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკაში. ამასთანავე, საჭირო იყო ევროკავშირისა და აშშ-ს პოლიტიკის უკეთ კოორდინირება” (გვ. 2). ფისჩერი (2008) მართებულად შენიშნავს, რომ აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა ცდილობდა რუსეთის დაბალანსებას და ევროკავშირთან კონტაქტების გამონახვას, მაგრამ ომის შემდეგ ამ ამოცანის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა (გვ. 3). გარდა ამისა დაგვიანებული აღმოჩნდა რეგიონში შტაინმაიერის ვიზიტი (2008 წლის მაის-ივნისში) (ინტერნეტ წყარო №27, გვ. 4).

ამ ქვეთავის მიზანია მოკლედ მიმოიხილოს აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების საერთაშორისო შეფასება. ანალიტიკურ ნაშრომებზე (*policy paper*) დაყრდნობით, წარმოჩენილი იქნება ევროპელი პოლიტიკოსების და ექსპერტების მოსაზრებები სამშვიდობო გეგმის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ; აგრეთვე, გაანალიზებული იქნება მათი რეკომენდაციები, რათა გამოიკვეთოს სამშვიდობო გეგმის გაუმჯობესების გზები და პერსპექტივები.

4.2.4.1. პოლიტიკური ასპექტები. ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტმა არაღიარების და ჩართულობის სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც ევროკავშირის მიერ სამეზობლო პოლიტიკის რეგიონში არსებული კონფლიქტების მიმართ წარმოებული პოლიტიკის კონტექსტში უნდა განვიხილოთ (ინტერნეტ წყარო №99, გვ. 3). სმოლნიკის აზრით, სამშვიდობო გეგმა “რუსეთის მზარდი გავლენის შეჩერებას ისახავს მიზნად და ხელს არ უწყობს საქართველოს მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას. ის უფრო რუსეთის ალტერნატიულ პერსპექტივას წარმოადგენს, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის ცნების წინ წამოწევა დე-ფაქტო ხელისუფლებასთან სხვადასხვა დონის კონტაქტების დამყარებას გამორიცხავს” (ინტერნეტ წყარო №99, გვ. 3). თუმცა, სმოლნიკი ამ გეგმის განხორციელების გარკვეულ პერსპექტივას ხედავს, რადგან აფხაზეთში არსებობენ ჯგუფები, რომლებიც მულტივექტორულ საგარეო პოლიტიკას ემხრობიან და ამ კონტექსტში ევროკავშირთან თანამშრომლობას ესწრაფიან (იხ. ქვეთავი № 5.2.1.1); ამავე დროს კი აცხადებენ, რომ ევროკავშირის შეთავაზებები აფხაზეთში რუსეთის გავლენას საფრთხის ქვეშ ვერ დააყენებს (ინტერნეტ წყარო №99, გვ. 14).

საქართველოს ხელისუფლების მიერ შეიმუშავებული სამშვიდობო გეგმის ძირითადი პუნქტები ემთხვევა ჰანსჯორგ ჰაბერის, საქართველოში ევროკავშირის

მონიტორინგის მისი ხელმძღვანელის, რეკომენდაციებს. ჰაბერის განცხადებით აუცილებელია სასწრაფოდ ნდობის მშენებლობის წამოწყება და რეგიონში განლაგებული სამხედრო ძალების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ამას თან უნდა ახლდეს ადმინისტრაციულ საზღვრებზე გადაადგილების თავისუფლება და მხარეებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარება, რაც სავაჭრო კონტაქტების წარმოქმნის კუთხით ეფექტურ შედეგს გამოიღებს, გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და უზრუნველყოფს მათ კეთილდღეობას; გახლეჩილ საზოგადოებებს შორის დამყარდება ნორმალური კონტაქტები (ინტერნეტ წყარო №40). სამშვიდობო გეგმის და ჰაბერის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებს პრაქტიკაში განხორციელებას სერიოზულად აბრკოლებს “ძლიერი, ორმხრივად შეთანხმებული რეჟიმის დამყარების შეუძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად გაამართივებს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას და განაწილებას; ეს კი გააუმჯობესებს ადამიანთა უსაფრთხოებას” (ინტერნეტ წყარო №73). ჯიმი მაკგოლდრიკი, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ადგილობრივი წარმომადგენელი, აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო შეთავაზებებმა და საერთაშორისო ჩართულობამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის არსებული განსხვავებებისადმი სპეციფიკური მიდგომები და რეგიონებში არსებული კონკრეტული საჭიროებები უნდა ასახოს. ამგვარად, ორივე რეგიონს ერთი და იმავე სტრატეგიით ვერ მიუვდებით.

ფილიპსი (2008) დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებაში საერთაშორისო საზოგადოების (აშშ და ევროკავშირი) როლის გაანალიზებას შეეცადა (გვ. 1). აშშ-ს ატლანტის საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში ის ამტკიცებს, რომ არსებული სიტუაცია საშიშია, არა მხოლოდ მონაწილე მხარეებისათვის და რეგიონებისათვის, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. მისი აზრით, შეუძლებელი იყო არსებული *status quo*-ს შენარჩუნება. ამ *status quo*-ს გარღვევისთვის ორივე მხარემ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაედგა:

- საქართველოს ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას აფხაზეთში ძალის გამოყენებაზე;
- აფხაზეთმა მხარემ ასევე უნდა დაადასტუროს მზადყოფნა ძალის გამოყენებლობაზე და აფხაზეთთან დამაკავშირებელი სამოქალაქო არხები გახსნას; აგრეთვე, ხელი შეუწყოს კონფლიქტის შედეგად გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას;
- პრეზიდენტმა სააკაშვილმა უნდა განამტკიცოს მისი შეთავაზება აფხაზეთის უღმიტო ავტონომიის თაობაზე, ძალაუფლების განაწილების დეტალური სტრუქტურების წარმოდგენით და უმცირესობის უფლებების დაცვით, რაც დასაბამს დაუდებს მოლაპარაკებების ახალ რაუნდს;

საერთაშორისო საზოგადოებამ კი მხარი უნდა დაუჭიროს:

- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ადგილების მომზადებას;
- გამორიცხოს რუსი სამშვიდობოების ყოფნა რეგიონში და ისინი სამოქალაქო პოლიციით ჩაანაცვლოს;
- შეამციროს აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაცია ვაჭრობის და გაცვლის სხვა ფორმატების ინიცირებით;
- საქართველოს, და მათ შორის აფხაზეთის, რეკონსტრუქციისთვის მოამზადოს “მარშალის გეგმა.”

ფილიპსი ასევე დასძენდა, რომ რუსეთი ვეღარ იკისრებდა მშვიდობისმყოფელის ფუნქციებს. ამგავრად, არსებული ფორმატი, სადაც რუსეთი ცენტრალურ როლს ასრულებდა, უნდა შეცვლილიყო (ჰილსი, 2008, გვ. 2). ამ მიზნით, ფილიპსი დეიტონის სტილის მოლაპარაკებების გამართვასაც არ გამორიცხავდა, რომელმაც უნდა გადაჭრას სტატუსის, უსაფრთხოების და ჰუმანიტარულ-რეკონსტრუქციული საკითხები, და შეექმნა მშვიდობის განმახორციელებელი საბჭო, რომლის საქმიანობასაც საერთაშორისო გარანტიები ექნებოდა; ამავე დროს კი დეტალურად მიჰყვება გაწერილ სამშვიდობო გეგმას და უზრუნველყოფს მის შესრულებას (ჰილსი, 2008, გვ. 3). თუმცა, ორი წლის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის პოზიტიურად შეფასებისას, ფილიპსი ამტკიცებდა, რომ “აფხაზეთი თანახმა იქნებოდა საქართველოსთან ურთიერთობაზე “ჩართულობის” კონტექტში, თუ ეს უკანასკნელი ხელს არ შეუშლიდა მათ მთავარ მიზანს: როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყნის ფართო გლობალური აღიარების მოპოვებას” (დამოწმ. ’ ლუკსონი ეტალი 2011, გვ. 8). ჩართულობის გეგმის კრიტიკისას ფილიპსი დასძენდა, “საქართველოს მთავრობას ჩართულობის მიღწევის საკუთარი ხედვა და გეგმა გააჩნდა, ხოლო რუსეთის დახმარების პირობებში აფხაზები ამ მიმართულებით არანარ ნაბიჯს არ გადადგამდნენ” (ინტერნეტ წყარო №86, გვ. 4).

აშშ-ს ატლანტის საბჭოს მოხსენების საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო სამინისტროს მიერ შემუშავებულ კონფლიქტის მოგვარების გეგმასთან – *სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიებისადმი: ჩართულობა თანამშრომლობის გზით* – შედარება ნათელს ფენს ამ ორ დოკუმენტს შორის არსებულ მრავალ მსგავსებას. ეს არ არის გასაკვირი, რადგან საქართველოს ხელისუფლების კონფლიქტის მოგვარების გეგმა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების თანახმად იქნა შემუშავებული. მართალია სახეზეა ახალი ინსტიტუციური მექანიზმი და საერთაშორისო საზოგადოება მხარს უჭერს კონფლიქტის მოგვარების ამ ახალ მიდგომას, პირველ რიგში რუსეთის ფედერაციის

ჯიუტი პოზიცია და ადგილობრივი აფხაზი ხელისუფლების ანალოგიური წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, საქართველოს მიერ ინიცირებულ ნებისმიერ პროექტს და მოლაპარაკებების ფორმატს ჩაშლას უქადის. აფხაზეთის სეცესიური ხელისუფლება უარყოფს ნებისმიერ შეთავაზებას, რომელიც დამოუკიდებლობის მინიჭებას არ ითვალისწინებს, ხოლო საქართველოს ხელისუფლება მზადაა ნებისმიერი სტატუსის მინიჭებას დათანხმდეს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არ დაარღვევს.

სამშვიდობო გეგმის ფარგლებში თბილისი საზღვრის გახსნის მზაობას გამოთქვამს; მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალ მოძრაობაშია (ადმინისტრაციულ საზღვარზე). ჩარაპი და ველტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს ხელისუფლება ნებისმიერ პიროვნებას აძლევს საზღვრის თავისუფლად გადაკვეთის საშუალებას, თუ ისინი ფლობენ სათანადო დოკუმენტებს “რომლებიც მათ საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) ცხოვრების უფლებას აძლევს” (ინტერნეტ წყარო №71). საუბარია გადასასვლელ პუნქტებზე გალსა და ახალგორში, სოფელ ოძისის მახლობლად. ჩარაპი და ველტი ამტკიცებენ, რომ მხარეებმა მცხოვრებლებს თავისუფალი გადაადგილების საშუალება უნდა მისცენ და სასოფლო-სამეურნეო, თუ პირადი მოხმარების პროდუქცია, საბაჟო გადასახადისაგან გაათავისუფლონ. ამასთანავე, ისინი მიიჩნევენ, რომ ეს პუნქტები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონს შორის გაფორმებულ ნეიტრალური სტატუსის მქონე შეთანხმების დოკუმენტში უნდა აისახოს.

ჰარბერგი დადებითად აფასებს სამშვიდობო გეგმას და ამტკიცებს, რომ აღნიშნული სტრატეგია და [ჩართულობის] სამოქმედო გეგმა ყველა იმ ასპექტს მოიცავს, რომელიც შენევის ფარგლებში განხილული საკითხების მიღმა რჩება. მისი მტკიცებით, “[სამშვიდობო პროექტს] გააჩნია კონფლიქტის ტრანსფორმაციის პოტენციალი, რადგანაც ის საზოგადოების რამდენიმე დონეზე ცდილობს ჩართულობის მიღწევას და ჰუმანიტარულ საკითხებს და საზოგადოებაში არსებულ სოციალური უთანასწორობის ძირითად წყაროებს მოიცავს” (ინტერნეტ წყარო №92). ჰამერბერგის აზრით, დოკუმენტის ძირითად ნაკლოვანებას მისი უშუალო შემუშავების პროცესში აფხაზური მხარის ჩართულობის არარსებობა წარმოადგენს, რაც, ბუნებრივია, გარკვეული ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული; თუმცა, ავტორი შენიშნავს, რომ “ამ საკითხზე არაპირდაპირი მოლაპარაკებები და სხვა სახის კონსულტაციები არ გამართულა” (ინტერნეტ წყარო №92).

4.2.4.2. ეკონომიკური ასპექტები. სამშვიდობო გეგმა სერიოზული კრიტიკის საგნად იქცა. ავტორთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ამ გეგმას რეალიზაცია არ უწერია და ის კრახისთვისაა განწირული. თომას ჰორჩი (2011) აცხადებს,

რომ “ევროკავშირის მიდგომა პოსტსაბჭოთა სივრცის დე-ფაქტო სახელმწიფოებისადმი დისფუნქციურია და ის გაცხადებულ მიზნებს ვერ შეასრულებს” (ინტერნეტ წყარო №44, გვ. 70). ჰორჩის აზრით, ამ მხრივ ეკონომიკური ინსტრუმენტები ნაკლებ რელევანტური აღმოჩნდა და ის დამოუკიდებლობის პოლიტიკურმა იმპერატივებმა გადაწონა, ხოლო მფარველმა სახელმწიფომ მას დე-ფაქტო არსებობის საშუალება მისცა (ინტერნეტ წყარო №44, გვ. 74). ამასთანავე, წარმატება არც ევროკავშირის პოლიტიკას მოჰყოლია, რომელზეც 25 მილიონი ევრო დაიხარჯა და შემდეგი მიმართულებები წარიმართა:

1. აფხაზეთის რუსეთზე ფინანსური დამოკიდებულების შემცირება;

2. ევროკავშირისადმი ნდობის ამაღლება და ევროპული ფასეულობების გავრცელება;

3. თბილისსა და სოხუმს შორის ორმხრივი კომპრომისის საფუძველზე კავშირების ჩამოყალიბება (ინტერნეტ წყარო №44, გვ. 78).

ჰორჩის განცხადებით, “სულ უფრო გართულდება დე-ფაქტო სახელმწიფოების დასავლეთთან ჩართულობის მიღწევა რუსეთის დომინანტური პოზიციების გათვალისწინებით, რაც დე-ფაქტო სახელმწიფოების მანევრირების საშუალებას უზღუდავს (ინტერნეტ წყარო №44, გვ. 79). ამავე დროს, ევროკავშირმა უნდა შეინარჩუნოს საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიისგან განსხვავებული პოლიტიკური კურსი, რადგან “ევროკავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მსგავსების ხაზგასმა მხოლოდ აღრმავებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეჭვს ევროკავშირის საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ მუშაობის თაობაზე, რაც ევროკავშირის ნეიტრალურ მედიატორად წარმოჩენას გამორიცხავს (ინტერნეტ წყარო №44, გვ. 80). თუმცა, ჰორჩის აზრით ჩართულობის მისაღწევად ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენება უფრო პერსპექტიულია, რაც დე-ფაქტო სახელმწიფოების დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების გარეშე მცირე მასშტაბით ცნობას წარმოადგენს. მაგალითად, “ზოგიერთი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა, აზიის განვითარების ბანკი – თანამშრომლობის წინაპირობად სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებას არ აყენებენ. ამ ორგანიზაციების წევრები არა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, არამედ ეკონომიკებს წარმოადგენენ” (ინტერნეტ წყარო №44, გვ. 82). თუმცა, აფხაზეთი ეკონომიკურად ისევ და ისევ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთზე დამოკიდებული რჩება: 2009 წელს მან რუსეთისგან 65 მილიონი დოლარი, ხოლო 2010 წელს ცოტა უფრო მეტი მოცულობის თანხა მიიღო, რომელიც რუსეთის მიერ გაცხადებული 340 მილიონიან დოლარიანი სოციალური დახმარების პაკეტის ნაწილია. ამავე პროგრამის ფარგლებში, რუსეთი თანახმაა რუსეთის პასპორტის მქონე აფხაზ პენსიონერებზე 17 მილიონი დოლარი გასცეს (ინტერნეტ წყარო №86, გვ. 16).

ფილიპსი აცხადებს, რომ აფხაზები ძირითადად უკმაყოფილონი არიან საქართველოს ხელისუფლების მიერ “ახალი რეალობის” გაუთვალისწინებლობით, და აფხაზეთზე სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ბლოკადის შემოღების მცდელობით. მისი აზრით, დონორთა მხრიდან უნდა შეიქმნას *სამოქმედო გეგმის ანალოგიური ჯგუფი (Action Plan Affinity Group)* რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის ინიცირებული პროექტების დაფინანსებისთვის, სესხების გაცემისთვის, რისკების დაზღვევისთვის და მუშახელის სატრენინგო გრანტებისთვის თანხმების მოძიებას (ინტერნეტ წყარო №86, გვ. 20). ფილიპსის აზრით, გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურა იქნება და, სავარაუდოდ, გაეროს მანდატის ქვეშ იმოქმედებს. ამასთანავე, უნდა შეიქმნას თავისუფალი გადაადგილების პირობები ორივე მიმართულებით (გვ. 21), უნდა გაიზარდოს თურქეთის როლი და არ უნდა დაიბეგროს აფხაზეთის პორტში შესული თურქული ტვირთშიდი გემები; თუმცა, აფხაზეთში შესვლამდე ისინი ფოთის ან ბათუმის პორტში უნდა შევიდნენ და მათი ტვირთისა და მარშუტის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას მიაწოდონ ინფორმაცია (ინტერნეტ წყარო №86, გვ. 21). მისი რეკომენდაციების თანახმად, უნდა ამოქმედდეს კონტაქტები გალის რეგიონსა და თურქეთს შორის, კერძოდ დაინიშნოს კომერციული ბორანი სოხუმსა და ტრაბზონს შორის, რაც გაადრამავებს ვაჭრობას და განავითარებს ტურიზმს. თუმცა, ფილიპსის განცხადებით, “აფხაზებსა და თურქებს შორის პირდაპირი კავშირები არ უნდა იქნეს გაგებული როგორც *მცოცავი აღიარება*” (ინტერნეტ წყარო №86, გვ. 5).

ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროდ შეიძლება გამოდგეს ენგურის ქვიშის და ინერტული მასალების ექსპორტი, რომელიც სპეციფიკური პროექტია და ის ხელსაყრელი არის საქართველოსთვის, აფხაზეთისთვის და რუსეთისთვის. თანამშრომლობის ალტერნატიულ ვარიანტად ფილიპსი გვთავაზობს “შავი ზღვის კურორტების და საოჯახო დასვენების ცენტრების” პროექტს, რომელიც გააერთიანებს სასტუმრო, სათამაშო და რეკრეაციულ ობიექტებს. სასტუმროების სექტორმა შეიძლება მოიცვას დასავლეთ საქართველოს და რუსეთის (სოჭის რეგიონის) ტერიტორიები. გარდა ამისა, იკვეთება რამდენიმე აგრო-პროექტი (თხილი, პომიდორი, ციტრუსი და ვაშლი) სადაც ქართველები და აფხაზები ითანამშრომლებენ (ინტერნეტ წყარო №86, გვ. 5).

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შემუშავებული სამშვიდობო გეგმის კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ აფხაზეთთან (და ოსებთან) უახლოეს მომავალში უშუალო კონტაქტების დამყარება შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამშვიდობო გეგმის ძირითადი ასპექტები მოიწონეს ევროკავშირმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რუსეთის მიერ მისი უარყოფა და აფხაზური და ოსური საზოგადოების მხრიდან აღნიშნული

დოკუმენტის ფარგლებში თანამშრომლობის სურვილის არქონა, ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს მისი განხორციელების გზაზე. მართლაც, რუსეთის ფედერაციის ინტერესების სამშვიდობო გეგმაში გათვალისწინება მნიშვნელოვან ამოცანას გვესახება; ამგვარად, დღესდღეობით რუსეთსა და საქართველოს არსებულ ხელისუფლებებს შორის ჩამოყალიბებულ ნულჯამოვანი თამაშის პირობებში, ამ სამშვიდობო გეგმის განხორციელების პერსპექტივა არც თუ ისე კეთილსაიმედოა. ასევე ძნელია წინასწარ განსაზღვრო რა მოხდება, თუ საქართველოს ცენტრალურ და აფხაზების ადგილობრივ ხელისუფლებას შორის პირდაპირი დიალოგი გაიმართება. სამშვიდობო გეგმის გარშემო არსებული განსხვავებული მოსაზრებების და მისი კრიტიკის მიუხედავად, მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს ერთი პოზიტიური ასპექტი, რომელსაც გარკვეული სამომავლო პოტენციალი გააჩნია. ქოლის და მიტჩელის (2010) მტკიცებით “ახალი საერთაშორისო პოლიტიკური ხაზი გააძლიერებს აფხაზურ პოლიტიკურ ელიტას ... რომლებიც ახალი მულტივექტორული პოლიტიკის ჩამოყალიბებით არიან დაიტერესებული; ეს გეგმა კი აფხაზ პოლიტიკოსებს რუსეთის ფედერაციასთან სუვერენიტეტის არსებითი საკითხების განხილვისას და მისი რეალური ფლობის საკითხებზე დისკუსიისას გარკვეული საიმედო ალტერნატივების დანახვის საშუალებას აძლევს” (გვ. 66).

აფხაზების რუსეთზე ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულების და ამ მხრივ აფხაზების მიერ გაცხადებული უკმაყოფილების გათვალისწინებით, აფხაზები მომავალში მართლაც შეიძლება დაუბრუნდნენ სამშვიდობო პროექტის შეთავაზებების სერიოზულ განხილვას. ამან კი შეიძლება აფხაზური და ქართული ელიტის გარკვეული ნაწილის დაახლოებას დაუდოს საფუძველი. ამ მხრივ, რიგი უცხოელი ექსპერტები მართებულად ამახვილებენ ყურადღებას აფხაზურ და ქართულ საზოგადოებებს შორის პირდაპირი დიალოგის აუცილებლობაზე. ამავე დროს, ძნელი იქნება დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული აფხაზი საზოგადოების პოზიციის შეცვლა, თუმცა აფხაზურ საზოგადოებაში იმ სეგმენტის არსებობა, რომელიც რუსეთის ფედერაციასთან ინტეგრაციას ეწინააღმდეგება, აფხაზებისთვის ამ ორ არასასურველ არჩევანს შორის კომპრომისის გამონახვის ხელშესახებ პერსპექტივებს გვთავაზობს, ხოლო აფხაზებთან მათი მომავალი სტატუსის განსაზღვრისთვის მოლაპარაკებების წარმოებისთვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მზაობა ამ მხრივ გარკვეულ იმედებს იძლევა.

დასკვნა

1980-იანი წლების მიწურულიდან და 1990-იან წლების დასაწყისიდან მოყოლებული, აფხაზეთის რეგიონის გარშემო კონფლიქტის დაწყების დღიდან, ბევრი დაიწერა ამ საკითხზე. პრობლემის ანალიზი და მიდგომები ისეთივე მრავალფეროვანი იყო, როგორც იმ მეცნიერთა აკადემიური სფეროები, რომლებიც მის გააზრებას ცდილობდნენ. თუმცა, ინსტიტუციური მიდგომა უარყოფილი იყო და მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოიყენებოდა სხვა თეორიების ფარგლებში. ამგვარად, აფხაზეთის შემთხვევა სრულყოფილად არ განხილულა ამ თეორიის შუქზე. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სტრუქტურა, მისი მემკვიდრეობა და პოსტ-საბჭოთა პროცესები ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში აფხაზეთის შემთხვევის განხილვის მართებულობაზე მიუთითებს. მოცემულ ნაშრომში ინსტიტუციონალიზმი კვლევის თეორიულ ჩარჩოდ ავირჩიეთ, რათა სრულყოფილად და ყოველმხრივ წარმოჩენილიყო პოსტ-საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის რეგიონის გარშემო განვითარებული პროცესები.

მოცემულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ინსტიტუციონალიზმის თეორიის მართებულობა და მისი დადებითი მხარეები პოსტ-საბჭოთა პროცესების გასააზრებლად. ინსტიტუციონალიზმი ყველა იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების მთლიანობაში გააზრების საშუალებას გვაძლევს, რომელთაც აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის წარმოშობა განაპირობებს. ამავე დროს, შემოთავაზებული ანალიზი აფხაზეთის პრობლემის შესწავლის უკვე არსებული და დამკვიდრებული ანალიტიკური მიდგომების ცალკეულ ასპექტებს აერთიანებს, იქნება ეს ელიტების თეორია თუ კონფლიქტური ნარატივები. კვლევამ აჩვენა, რომ შერჩეული სფეროები – პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ინსტიტუტები – დღესაც განაპირობებენ კონფლიქტის შენარჩუნებას.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირი ინსტიტუციური მოწყობის მხრივ უნიკალურ კონსტრუქციას წარმოადგენდა და მისი მმართველი სტრუქტურები მსგავსი წარმომავლობის და ფუნქციების მატარებელი იყო ცენტრალურ, რეგიონულ და ავტონომიურ დონეებზე, მოცემული კვლევისათვის შერჩეული მეთოდი შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში არსებული მსგავსი პრობლემების შესასწავლად. ინსტიტუციონალიზმის თეორია გვეხმარება საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური სტრუქტურის თანდაყოლილი ბუნების, როგორც კონფლიქტის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის, გააზრებაში. აუცილებელია, რომ კონფლიქტი მხოლოდ კონკრეტული პერიოდის, კერძოდ 1980-იანი წლების მიწურულის და 1990-იანი წლების დასაწყისის ეთნიკური ღიზუნების და ეთნიკური რიტორიკის შედეგად არ

მივიჩნით, რაც, დღესდღეობით, აფხაზეთის კონფლიქტის გაგების ფართოდ დამკვიდრებულ დისკურსს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ეს თეორია კონფლიქტის მოგვარების გარკვეულ სქემებს გვთავაზობს. ნებისმიერ შემთხვევაში, კონფლიქტის მოგვარება კონფლიქტის მონაწილე ეთნიკური ჯგუფების ინსტიტუციური ურთიერთობების ჩამოყალიბებას უნდა დაეფუძნოს, და ეს არ უნდა წარმოადგენდეს გარედან თავსმოსხვევულ გადაწყვეტილებას. ერთი რამ კი ცხადია, საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტები თვითგანადგურების ელემენტებს შეიცავდნენ და ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ.

აფხაზეთის რეგიონში პოსტ-საბჭოთა პერიოდში განვითარებული პროცესები და მისი კონფლიქტური გამოვლინებები 1920-30-იანი წლების საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. სწორედ ამ პერიოდში ჩაყარა საფუძველი ყველა იმ ინსტიტუტს, რომელთაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (და პერიოდულად საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაშიც) აფხაზებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ პრეტენზიების წამოყენების საშუალება მისცეს. ქართველების და აფხაზების [საბჭოთა პერიოდის] შესაბამის პოლიტიკურ ერთეულებზე მიჯაჭვულობამ, და საბჭოთა პერიოდში ამ სახელმწიფოს ტიპის ინსტიტუტების მოსკოვისადმი, და საბჭოთა პერიოდის სხვადასხვა კონსტიტუციების ძალით, ერთმანეთისადმი დაქვემდებარების განსხვავებული ინტერპეტაციის შესაძლებლობამ, ხელსაყრელი ნიადაგი წარმოქმნა კონფლიქტის წარმოშობისათვის. პოსტ-საბჭოთა პერიოდის უმცირესობის და უმრავლესობის ნაციონალიზმის პარალელურად, არსებული საბჭოთა ინსტიტუტების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა ნაციონალურ-პოლიტიკური პრეტენზიების წამოყენება, და, სამომავლოდ, მათი ნაციონალურ-პოლიტიკურ პროექტებად გარდაქმნა. სამწუხაროდ, პროცესების მშვიდობიანი განვითარების ადგილი აღარ დარჩა, რადგანაც უმცირესობის მოთხოვნებს და ნაციონალურ პროექტებს საბჭოთა ინსტიტუციური პოლიტიკის და სტრუქტურული წარმონაქმნების ეკონომიკური და კულტურული ასპექტები უმაგრებდა ზურგს. ამგვარად, ხელმისაწვდომი იყო როგორც პრეტენზიების წამოყენების, ასევე მათი დაკმაყოფილების ინსტრუმენტები. ამ რეალობაში სათანადოდ ვერ შეფასდა ის საკონსტიტუციო პროექტი, რომელიც კონსოციალიზმის და ძალაუფლების გაზიარების პრინციპების საფუძველზე საერთო ინსტიტუტების მშენებლობის რეალურ ქვაკუთხედად შეიძლება ქცეულიყო (ლევან ალექსიძის საკონსტიტუციო პროექტი).

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ შეუძლებელია საქართველოს პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის შესწავლა ან მხოლოდ ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე თავალის გადევნებით, ან დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის კონტექს-

ტის ანალიზით. საქართველოს პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაცია უნდა გაანალიზდეს საბჭოთა მემკვიდრეობის, რომელიც ინსტიტუტების მეშვეობით შემოინახა, ან პოსტ-საბჭოთა ელიტების მიერ საბჭოთა მემკვიდრეობის ოპორტუნისტული გამოყენების კონტექსტში, იქნება ეს ყოფილ ცენტრში (მოსკოვი), ცენტრში (თბილისი) თუ პერიფერიაზე (სოხუმი). აფხაზეთის რეგიონში გაჩაღებული დაპირისპირება ცხადყოფს, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიერ ძალაუფლების მოპოვებისათვის საბჭოთა მმართველ სტრუქტურებში არჩევნების შედეგად მოსვლის თაობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო საბჭოთა ინსტიტუტების მეშვეობით პოსტ-საბჭოთა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების რეკონსტრუქციას. საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებულმა მთელმა რიგმა რეგიონულმა ინსტიტუტებმა, საბჭოთა პერიოდში ქართულ-აფხაზური ეთნოსთაშორის ურთიერთობებს ახალი პოლიტიკური ფორმა მისცა და მეტწილად განაპირობა კიდევ ამ ურთიერთობების ნეგატიური ტრანსფორმაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

კონსტიტუციების, უზენაესი საბჭოების დადგენილებების და მათი საქმიანობის, აგრეთვე ნაციონალური მოძრაობების მოქმედებების ანალიზმა აჩვენა, რომ რეგიონული ინსტიტუტები გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებად გარდაიქმნენ, რომელთაც მნიშვნელოვნად შეუწვევს ხელი პოსტ-საბჭოთა ქართული და აფხაზური ელიტების მიერ ურთიერთგამომრიცხავი და კონფლიქტური ეთნო-პოლიტიკური პრეტენზიების წარმოშობას და კრისტალიზაციას. ამავე დროს, ერთი მხრივ მულტიეთნიკურ გარემოში სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გამოუცდელობამ, ხოლო, მეორე მხრივ, საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური მემკვიდრეობით წარმოქმნილმა შეზღუდვებმა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართველებსა და აფხაზებს შორის ძალადობრივი, და ექსკლუზიური ნაციონალიზმის აღმოცენებას. საბჭოთა კავშირის ხალხების გამაერთიანებელი იდეოლოგიის გაქრობის შემდეგ წინ წამოიწია საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სამხედრო სტრუქტურებმა. ხალხი ცენტრალური სახელმწიფო აპარატის და შესაბამის ნაციონალური (ქართული) და სუბ-ნაციონალური (აფხაზური) პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სტრუქტურების გარშემო შეკავშირდა. ქართული და აფხაზური ეთნიკური ჯგუფები სწორედ რომ საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული ნაციონალური სტრუქტურების მეშვეობით მობილიზდა, და არა თავისთავად, მხოლოდ ეთნიკურობის მეშვეობით. საბოლოოდ, კვლევამ წარმოაჩინა ამ სტრუქტურების ინსტიტუციური ბუნება და მათზე შიგა (ყოფილი კომუნისტური პარტიის წევრების) და გარე – სახელმწიფო და არასახელმწიფო დონის ინსტიტუციუ-

რი აქტორების (საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭო და რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა მმართველი წრეები) ზეგავლენა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული თითოეული კონფლიქტური რეგიონი, და მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ი, ავტონომიური ადმინისტრაციული უფლებით სარგებლობდა საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის; ამგვარად, თითოეული ამ რეგიონის ადგილობრივმა ელიტამ დაიწყო საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის ინსტრუმენტებად გარდაქმნა. ნაციონალური კონსოლიდაცია ეთნიკურობაზე დაფუძნებული სახელმწიფო და ავტონომიური საზღვრების გასწვრივ წარიმართა, და ამ ორი ერთეულის შეჯახება და კონფლიქტის წარმოშობა გარდაუვალი გახდა. აღსანიშნავია, რომ მობილიზაცია უმცირესობების და უმრავლესობების ხელთ არსებული მსგავსი, თუმცა განსხვავებული ეთნიკური შინაარსის მქონე, ინსტიტუტების ფარგლებში წარიმართა. ამავე დროს, საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებულ ინსტიტუტებთან აფხაზეთი და ქართული ნაციონალური მოძრაობების მჭიდრო კავშირმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა პოსტ-საბჭოთა პროცესების კონფლიქტური ტრანსფორმაცია. საქართველოს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კომუნისტურმა ნომენკლატურამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნაციონალური პროგრამები სწორედ საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების მეშვეობით გაახშირეს, ხოლო ნაციონალური სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის პრეტენზიები საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული საკანონმდებლო სტრუქტურების მეშვეობით გაამყარეს. კვლევამ მრავალმხრივ წარმოაჩინა ამ ინსტიტუტების განსაკუთრებული როლი პოსტ-საბჭოთა პერიოდში ქართველების და აფხაზების შესაბამისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ანალიზმა კვლევის კიდევ ერთი წინასწარი მოსაზრება დაადასტურა: მნიშვნელოვანია უმცირესობებსა და უმრავლესობებს შორის პოსტ-საბჭოთა კონფლიქტების საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების და კონფლიქტის თითოეული ეტაპის წინა პერიოდთან მჭიდრო კავშირში ანალიზი. თუ ნაციონალიზმი ეთნიკური ჯგუფების ექსკლუზიური პოლიტიკური პროექტების სახით გამოვლინდა, მაშინ აფხაზეთის კონფლიქტი დროსთან ერთად დაპირისპირებულ მხარეებს შორის ინსტიტუციურად ჩამოყალიბდა, კონსტრუირდა და განვითარდა. ეს ეთნიკური ჯგუფები მათი ელიტების სახით უნდა განვიხილოთ, რომლებიც მრავალ სხვადასხვა ინსტიტუტში იყვნენ ურთიერთგადახლართულნი; ე.ი. რეალურად, ეთნიკური ჯგუფები ინსტიტუციურ აქტორებს წარმოადგენდნენ. ამ ინსტიტუტების და აქტორების საბჭოთა პერიოდში კონტექსტუალიზაცია ადასტურებს ვარაუდს პოსტ-საბჭოთა ქართულ-აფხაზეთი ნაციონალიზმების დაპირისპირების წარსულით განპი-

რობებულობის თაობაზე. საბჭოთა პერიოდის უმრავლესობისა და უმცირესობის ინსტიტუტების მშენებლობა და მათი პოსტ-საბჭოთა ინსტიტუციური ურთიერთობები საბოლოოდ ჩიხში შევიდა, რასაც ავტონომიურ რეგიონებში სისხლისღვრა მოჰყვა.

მოცემული კვლევისათვის შერჩეული სამი ცვლადის – პოლიტიური, ეკონომიკური და კულტურული – ასპექტების ანალიზმა დაადასტურმა წინასწარი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ნაციონალიზმის და ნაციონალური პრეტენზიების წარმოშობა და აფხაზეთში მათი უმრავლესობების და უმცირესობების ნაციონალურ-პოლიტიკურ პროექტებად კრისტალიზაცია საბჭოთა რეგიონული ინსტიტუტების მეშვეობით განხორციელდა, და, მოგვიანებით, ამავე ინსტიტუტებით დაუპირისპირდა ერთმანეთს. ქართული და აფხაზური ეთნიკური ჯგუფების და მათი ელიტების პოსტ-საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთქმედების სურათის აღდგენის საფუძველზე, მოცემულმა კვლევამ წარმოაჩინა ამ ინსტიტუტების მოქმედებების წარსულით განპირობებულობა. აფხაზეთის შემთხვევა ძალზედ საინტერესო პრეცედენტია, რადგანაც თბილისსა და სოხუმს შორის დაპირისპირებების საწყის პერიოდზე, 1990-იანი წლების ადრეულ ეტაპზე, აფხაზი ეთნიკური უმცირესობა ადგილობრივი ადმინისტრაციულ სტრუქტურებში უფრო ძლიერად იყო წარმოდგენილი და უფრო მეტი უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე რეგიონული უმრავლესობა – ეთნიკური ქართველები. ამგვარად, ნათელია, რომ აფხაზეთისთვის ხელსაყრელი პოზიციების შეთავაზება ქართულ სახელმწიფოში არ არის კონფლიქტის მოგვარების საკმარისი წინაპირობა, რაც უკვე დადასტურდა აფხაზეთის მიერ 1990-იანი წლების დასაწყისში ცენტრალური ხელისუფლებისგან წამოსული ხელსაყრელი შეთავაზების და 2008 წლის აგვისტოს ომის წინა და შემდგომი პერიოდის სამშვიდობო პროექტის სრული უგულებელყოფით.

ნაშრომში განხილული იქნა ინსტიტუტებისა და ნარატივების მჭიდრო კავშირი პოსტ-საბჭოთა კონფლიქტებში. კონფლიქტური ქართულ-აფხაზური იდენტობების ჩამოყალიბება საბჭოთა, მეტწილად ეთნიკურმა და კულტურულმა, პოლიტიკამ განაპირობა. წარსულის სხვადასხვაგვარმა ინტერპრეტაციამ საფუძველი დაუდო ეთნიკურ ჯგუფებს შორის მომავალი, და, სამწუხაროდ, კონფლიქტური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. წარსული აწმყო პოლიტიკური ინტერესების და ადრეული 1990-იანი წლების პოლიტიკური დისკურსის შესაბამისად ინტერპრეტირდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურულმა და ისტორიულმა ცრურწმენებმა ჯგუფური ღოიადობები სტრატეგიული მიზნების საფუძველად გარდაქმნა, ხოლო კულტურა და პოლიტიკა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან. ვინაიდან არსებობა ქართულ-აფხაზური ნარატივები და საისტორიო კანონიკა, პოლიტიკოსებმა

ადვილად მოახერხეს საკუთარი პრეტენზიების წარსულის საფუძველზე განმტკიცება. საბჭოთა ინსტიტუციონალიზებული მულტიეთნიკურობა და მისი არასასურველი პოლიტიკური შედეგები სახელმწიფოებრიობის და ნაციონალიზმის ინსტიტუციონალიზების საფუძველად და ძირითად სოციალურ კატეგორიებად გადაიქცა. 1980-იანი წლების მიწურულს და 1990-იანი წლების ქართველებსა და აფხაზებს შორის წარმართული იდენტობის ომები, ისტორიის პოლიტიკური მიზნებისთვის გადაწერა და გამოყენება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეალურ ომად გადაიქცა საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტების მეშვეობით. ქართული და აფხაზური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიზირებული ისტორია იდენტობის კრიზისის საფუძველად გარდაიქმნა 1980-1990-იან წლებში, რომელიც მოგვიანებით რეალურ ომში გადაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კონფლიქტური ნარატივების განსხვავებული ინტერპრეტაციების გააზრება სრულად ვერ წარმოაჩენს კონფლიქტის მიზეზებს; ამ მხრივ აუცილებელია ექსკლუზიური ნარატივების ანალიზი საბჭოთა კავშირის ორგანიზაციული მახასიათებლების – პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტების – კონტექსტში. სახელმწიფოებრიობის ინსტიტუციონალიზებულმა ბუნებამ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლა გამოიწვია, არამედ მემკვიდრე სახელმწიფოებში სტრუქტურული და ნაციონალური საკითხების ფორმირება და ტრანსფორმაციაც განაპირობა.

ნაშრომმა აჩვენა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური ჯგუფები და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სუბიექტები იმთავითვე მჭიდროდ იქნენ დაკავშირებული აფხაზეთის კონფლიქტთან. საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში შექმნილმა მთიელ ხალხთა კონფედერაციამ ნეგატიური როლი ითამაშა აფხაზეთის რეგიონის პოსტ-საბჭოთა პერიოდის ტრანსფორმაციაში და იქ აღმოცენებულ კონფლიქტში. მთიელ ხალხთა კონფედერაციის ჩამოყალიბება პოლიტიკური კონიუნქტურით იყო განპირობებული და მასზე დიდ გავლენას არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საგარეო აქტორები ახდენდნენ, რომელთაც საკუთარი მიზნები გააჩნდათ რეგიონში. ამავე დროს პრობლემური იყო კონფედერაციის მომავლის ხედვა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში, ადგილობრივ აფხაზ ხელისუფალთა შორის, ჩრდილოეთ კავკასიის სუბიექტებსა და რუსეთის ფედერაციის მიერ. ამგვარად, საეჭვო იყო ამ ფორმატში მშვიდობის დამყარება რეგიონში და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება. კონფედერაციის ბუნდოვანი პოზიციები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სუბიექტებს შორის შიგა დაპირისპირებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა, როგორც მთლიანად კავკასიის რეგიონში, ასევე აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე. კონფედერაციის კრაზი კი შემდეგი ფაქტორებით იქნა განპირობე-

ბული: მან ვერ გააერთიანა კავკასიის ხალხები და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ქიშპობის და აქტორების მეტოქეობის პოლიტიკურ არენად ჩამოყალიბდა, კავკასიელების საერთო კულტურის საფუძველზე (თუ კი ასეთი საერთოდ არსებობდა) წარმოქმნილ გაერთიანებად ჩამოყალიბების სანაცვლოდ.

აფხაზეთის რეგიონის პოლიტიკაში ჩრდილოეთ კავკასიას საკუთარი წარსული ისტორია და მომავალი გააჩნია. წარსული მეტწილად მთიელ ხალხთა კონფედერაციას უკავშირდება, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ფედერაციის “ტროას ცხენს” წარმოადგენდა კავკასიის რეგიონში, რამაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში კავკასიელი ხალხის ერთიანი ფრონტით გამოსვლის შესაძლებლობას ძირი გამოუთხარა; მან ვერ შეასრულა ჩრდილო კავკასიელი ხალხის გაერთიანების დაკისრებული მისია, რაც შესაძლებელია ისლამის საფუძველზე განხორციელებულიყო. ამავე დროს, შედარებით მოგვიანო ხანის (1990-იანი წლების მიწურულს წარმოშობილი) კავკასიური სახლის იდეა თანდათანობით ფეხს იკიდებდა კავკასიის ქვეყნების პოლიტიკოსთა შორის. სულ უკანასკნელ პერიოდში ეს იდეა საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის – აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა, და ის საქართველოს ხელისუფლების ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. თავისუფალი სავიზო რეჟიმის შემოღება ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეებისათვის და საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება (2011 წლის მაისში), კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ფაქტს. თუმცა, ჩემი აზრით, ეს საკმაოდ რისკიანი პოლიტიკაა საქართველოსთვის, თუ გავიხსენებთ რუსეთის ხელისუფლების წარსულ ბრალდებებს პანკისის ხეობაში და ზემო აფხაზეთში (აგვისტოს ომამდე) ტერორისტების (მათ შორის საერთაშორისო) არსებობის თაობაზე და ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლის პოლიტიკას, რომელიც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ხაზს წარმოადგენს. გამოთქმული ვარაუდების და რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთზე (და ზოგადად სამხრეთ კავკასიის სეპარატისტულ რეგიონებზე) მზარდი ზეწოლის გათვალისწინებით, შესაძლებელია ადგილობრივმა ელიტებმა უკეთესი პერსპექტივის და მომავლის ძებნაზე დაიწყონ ფიქრი, ხოლო მათი ერთადერთი გამოსავალი, რეალურად, შესაბამის რესპუბლიკებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებაა, რაც მათი ეთნო-კულტურული იდენტობის გადარჩენის შანსს წარმოადგენს. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, ერთიანი კავკასიური პროექტების კრახი მნიშვნელოვნად ართულებს საერთო რეგიონული ჩარჩოს წარმოქმნას. რუსეთის ფედერაციის ფაქტორი მნიშვნელოვნად აბრკოლებს ერთიანი კავკასიური პლატფორმის ჩამოყალიბებას და მისი მონაწილეობის გარეშე გამორიცხავს რაიმე სახის რეგიონული ერთობის ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ,

ის იმთავითვე ბლოკავს ჩრდილოეთ კავკასიის ჩართვას ნებისმიერი სახის ტრანსკავკასიურ ალიანსში.

კავკასიური სახლის თუ მშვიდობიანი კავკასიის იდეა ასევე მკვდრადშობილი პროექტი გამოდგა, და მისი განხორციელება უფრო გარე აქტორების სურვილს წარმოადგენდა, ვიდრე კავკასიის ხალხების ერთიან ინსტიტუციურ სტრუქტურაში გაერთიანებისაკენ მისწრაფებას. ვარდების რევოლუციის შემდეგ, სააკაშვილის პრეზიდენტობისას, საქართველო კვლავ შეეცადა ერთიანი კავკასიური პლატფორმის გააქტიურებას და რუსეთის ფედერაციასთან ახალი ტაქტიკით დაპირისპირებას: ამ მიზნით ახალი ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის ფარგლებში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით ამ რეგიონთან პირდაპირი კავშირების დამყარებას შეეცადა. ამ პოლიტიკის ფარგლებში მთელი რიგი “პოზიტიური სიგნალები” გაეგზავნათ რუსეთის ფედერაციის ყველაზე მღელვარე რეგიონის – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების – მაცხოვრებლებს.

2008 წლის აგვისტოს ომმა ნათელი მოჰფინა რუსეთის პოზიციას და დამოკიდებულებას საქართველოს კონფლიქტის ზონებისადმი და დაადასტურა, რომ ნებისმიერ სამშვიდობო გეგმაში რუსეთის ფედერაციის მონაწილეობა და ჩართულობა წარმატების გარდაუვალი წინაპირობაა, თუმცა არა წარმატების გარანტია. ამგვარად, წარსული მემკვიდრეობის, როგორც კონფლიქტის მიზეზის როლის კვლევა, ისევე როგორც სამშვიდობო გეგმების შემუშავება კონფლიქტის სამომავლო დარეგულირებისათვის, აფხაზეთის პრობლემას ვერ მოაგვარებს. კვლევამ აჩვენა ინსტიტუციური სტრუქტურების კვლევის და ძიების სამომავლო აუცილებლობა ქართველებსა და აფხაზებს შორის ეთნოსთაშორისი ურთიერთობების დასარეგულირებლად. რადგან ძველი, საერთო საბჭოთა ინსტიტუტები დაიშალა და მათმა მემკვიდრეობამ “ვერ იმუშავა,” მათ ადგილზე ახალი ინსტიტუტები უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც, ამავე დროს, გარე ინტერესების, პირველ რიგში კი რუსეთის ფედერაციის რეგიონული მისწრაფებების “შეკავებას” უზრუნველყოფს. კვლევამ ასევე წარმოაჩინა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ აგვისტოს ომის შემდგომ ინიცირებული სამშვიდობო გეგმების სუსტი მხარე, კერძოდ რუსეთის ფაქტორის უგულვებლყოფა. კონფლიქტის რეგიონში რუსეთის ძლიერი სამხედრო ყოფნის პირობებში, აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის წარმოება ნაკლებ მოსალოდნელია. ამგვარად, რუსეთის ჩართვა დიალოგის აღდგენის პროცესში აუცილებელი და გარდაუვალია. ამასთანავე, აგვისტოს ომმა აჩვენა, რომ დასავლეთ ევროპა და აშშ კონფლიქტში არ ჩაერვიან რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის გაფუჭების ხარჯზე, ამგვარად, საქართველოს არ უნდა მოელოდეს ამ თამაშიდან რუსეთის გაყვანას.

აფხაზეთის პრობლემა არ უნდა წარმოჩინდეს არც მხოლოდ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის შიდა სახელმწიფოებრივ პრობლემად (აფხაზებისა და ქართველების დაპირისპირება), და არც დამოუკიდებლობის მოსურნე საქართველოს წინააღმდეგ პოსტ-საბჭოთა იმპერიული რუსეთის ინტერესად (ე.ი. სახელმწიფოთაშორის პრობლემად). ნაშრომი შეეცადა ეჩვენებინა, რომ აფხაზეთის პრობლემა უფრო ფართო, უშუალო მეზობელი და შორეული სახელმწიფოების რეგიონული გეოპოლიტიკური თამაშების ნაწილად უნდა მივიჩნიოთ: ერთ-ერთი მათგანი (რუსეთი) გავლენის ზონის შენარჩუნებას ცდილობს, ხოლო მეორე (აშშ) ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე გავლენის გაფართოებისკენ ისწრაფის; თუმცა, ამავე დროს, ხშირად, რეგიონი მათი გლობალური გარიგების მხოლოდ ერთ მცირე ასპექტს წარმოადგენს. ამგვარად, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დაპირისპირება მედლის მხოლოდ ერთ მხარედ გვევლინება; აფხაზეთის ირგვლივ განვითარებული ფართო პოსტ-საბჭოთა პროცესები კი ცალკე შესწავლის ობიექტად უნდა განვიხილოთ.

ევროკავშირის გაფართოების კურსი, აშშ-ს მიერ წარმოებული დემოკრატიზაციის პოლიტიკა ზოგადად სამხრეთ კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში, ქვეყნის ვარდების რევოლუციის ხელისუფლების პრო-დასავლური მისწრაფებები – სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. ამავე დროს, მხედველობაში უნდა გვქონდეს საქართველოს ვარდების რევოლუციის ხელისუფლების მიერ ერთი მხრივ რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლისთვის არსებული მზაობა და მისწრაფება, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტებისაკენ სწრაფვა, რომელიც მისთვის უსაფრთხოების მომტანი იქნება. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ფართო დროით ჭრილში სიღრმისეული განხილვა, რაც, ვფიქრობთ, სამომავლო კვლევის საგანია.

1980-იანი წლების ბოლოს აფხაზეთის ასსრ-ში ეთნოსთაშორისი ურთიერთობების უკიდურესი გამწვავება და 1992-93 წლების შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის პოსტ-საბჭოთა რუსეთის მიერ კავკასიის რეგიონზე გავლენის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ასეთი შეფასება ასევე მართებულია 1994-2008 წლებში არსებული გაყინული *status quo*-სთან და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან მიმართებაში. კვლევამ აჩვენა, რომ ყველა ეს ასპექტი ევრაზიის რეგიონში პოსტ-საბჭოთა რუსული გეოპოლიტიკის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ. აფხა-

ზეთის რეგიონის ირგვლივ მიმდინარე პოსტ-საბჭოთა დაპირისპირებაში რუსეთის სამხედრო ჩართულობის ფართო დისკურსში განხილვისას შესამჩნევი მსგავსებები იკვეთება ადრეული 1990-იანი წლების და 2008 წლის აგვისტოს ომის წინა პერიოდებს შორის. რუსეთის მონაწილეობის ანალიზი აჩვენებს, რომ რუსეთმა ორივე პერიოდში რეგიონში მიმდინარე პროცესებში ჩარევის მსგავსი, და თანაბრად უხეში, მეთოდები გამოიყენა, თუმცა სხვადასხვა შედეგებით – 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის დახმარებით რეგიონმა დე-ფაქტო სეცესიას მიაღწია, ხოლო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად რუსეთის და რამდენიმე მარგინალური სახელმწიფოს მხრიდან დე-იურე ცალმხრივ აღიარებას.

აგვისტოს ომმა აჩვენა, რომ რუსეთის ფაქტორის გარეშე აფხაზეთის პრობლემის მოგვარება წარმოუდგენელია. აფხაზეთის სულ უფრო მზარდი დამოკიდებულება რუსეთზე კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის: ამ მხრივ მნიშვნელოვანია რეგიონის ძლიერი ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე და ამ უკანასკნელის მძლავრი სამხედრო ყოფნა რეგიონში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის რეალობაში საინტერესოა სოჭის ოლიმპიური კომპლექსის და აფხაზეთის კონფლიქტის ურთიერთკავშირი. ერთის მხრივ ეს აფხაზეთის რეგიონის შემდგომი განვითარების პერსპექტივას წარმოადგენს, მეორეს მხრივ კი სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს აფხაზეთში დემოგრაფიული სურათის შეცვლის კუთხით. ნაშრომში წარმოჩენილ იქნა მისი თანმდევი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები აფხაზეთისთვის. ამავე კონტექსტში გაანალიზებულ იქნა რუსეთის მსო-ში გაწევრიანების დადებითი და უარყოფითი შედეგები საქართველოსთვის. უდაოდ დადებითი მოვლენაა რუსეთ-საქართველოს საზღვრებზე ნეიტრალური ორგანიზაციის მიერ მონიტორინგის შემოღება, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე მიღწევაა საქართველოსთვის და დიდად წინგადადგმულ ნაბიჯს არ წარმოადგენს აფხაზეთის რეგიონის კონფლიქტის მოგვარების კუთხით.

ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის არაოფიციალური დიპლომატია არსებულ გამოუვალ მდგომარეობაში გარღვევის მიღწევის შესაძლო ტაქტიკად შეიძლება მივიჩნიოთ. კონფლიქტის ამა თუ იმ ეტაპზე “სახალხო დიპლომატიის” აუცილებლობა ხშირად აღინიშნებოდა, თუმცა მას ხელშესახები შედეგები არ მოუტანია. ვრცელდებოდა ხმები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების არაოფიციალურ შეხვედრებზე აფხაზეთის მმართველ ელიტებთან და ამ პროცესში აფხაზი მუჰაჯირების აქტიური მონაწილეობის თაობაზე, თუმცა ეს პოლიტიკა სერიოზულ დამუშავებას საჭიროებს. სახალხო დიპლომატიაზე საუბრობს რეინტეგრაციის ახალი მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, თუმცა რამ-

დენად მოხერხდება ამ მხრივ ხელშესახები წარმატების მიღწევა, ეს ცალკე საკითხია.

აფხაზეთის პრობლემის მოგვარების კიდევ ერთი მიდგომა აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ახალი რეალობის გათვალისწინებით შემუშავდა. რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ქართველ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ერთმა ნაწილმა დაიწყო საუბარი საქართველის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მათი მტკიცებით, ეს მომავალი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის ნიადაგს შეამზადებს. ბუნებრივია, ამ იდეამ გამოხმაურება ვერ ჰპოვა საქართველოს ხელისუფლებაში, მთელი რიგ ოპოზიციურ წრეებში და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. თუმცა, საინტერესოა გაანალიზდეს თბილისის მიერ აფხაზეთისა (და სამხრეთ ოსეთის) აღიარების შესაძლო დადებითი და უარყოფითი მხარეები: შესაძლებელია კი რომ ამ ნაბიჯმა პრო-ქართული პოზიცია გააჩინოს ადგილობრივი აფხაზურ საზოგადოებაში და ახალი ტიპის კავშირები წარმოშვას მომავალში, აფხაზეთში რუსეთის მზარდი გავლენის პირობებში?

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან? უდაოა, რომ უპირველესად ეს იყო რუსეთის მკაფიო გზავნილი, რომ ის არ შეიწყნარებდა და არ დაუშვებდა ახალი მოთამაშის გამოჩენას რეგიონში, ისევე როგორც მისთვის მიუღებელი იყო კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული ნებისმიერი სცენარი, რომელიც მის კავკასიურ ინტერესებს არ ემსახურებოდა. ამგვარად, სახეზეა გამოუვალი მდგომარეობა: ვარდების რევოლუციის ხელისუფლებას სწამდა, რომ ის შესძლებდა სამშვიდობო პროექტის რუსეთის ფედერაციის მონაწილეობის გარეშე განხორციელებას; თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ საქართველოს მთავრობამ დაკარგა ლეგიტიმაცია და ის ხელისუფლებიდან უნდა წასულიყო. ერთის მხრივ არსებული სიტუაციის ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ხედვა, ხოლო, მეორეს მხრივ, აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების მხრიდან სამშვიდობო გეგმებზე და კონფლიქტის მოგვარებაზე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების და დიალოგის წარმოების სურვილის არქონა, რუსეთის ფედერაციასთან ერთად, თუმის გარეშე, მოლაპარაკებების პროცესი ჩიხურ მდგომარეობაში შეიყვანა.

რა გამოსავალი არსებობს ამ სიტუაციიდან? ნაკლებად მოსალოდნელია რომ თბილისში ხელისუფლების ცვლილებას ამ მხრივ რაიმე გარდვევა მოჰყვება. ამას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ რუსეთის წამყვანმა პოლიტიკოსებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიის დაკარგვის ტოლფასია, ხოლო ამ რეგიონიდან გასვლა რუსეთის ფედერაციისთვის ჩრდილოეთ კავკასიის დაკარგვის მომასწავებელია.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში “ქართული ოცნების” გამარჯვების შემდეგ, დაიწყო საუბარი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზაციის აუცილებლობაზე და, თვით დსთ-ში (თუ ევრაზიულ კავშირში) საქართველოს შესაძლო დაბრუნებაზეც, რის შესახებაც არაპირდაპირი მინიშნებები რუსეთის რიგმა პოლიტიკოსებმა უკვე არაორაზროვნად გააკეთეს. ზოგადად, კონფლიქტის მოგვარების გეგმები მნიშვნელოვნად არის შეზღუდული რეგიონისადმი რუსეთის ფედერაციის ინტერესებით, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ნებისმიერი სამშვიდობო გეგმის რეალიზაციას. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტების დეტალური ანალიზი წარმოაჩენს, რომ უახლოეს მომავალში, საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის არსებული ნულჯამოვანი თამაშის პირობებში, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ვარდების რევოლუციის სამშვიდობო გეგმა გარკვეულ დადებით შეთავაზებებს შეიცავს, მაგალითად, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში ორპალატიანი პარლამენტის ჩამოყალიბება, რომლებიც აფხაზეთის ადგილობრივი აფხაზური მმართველი წრეების ყურადღებას იმსახურებს. ერთი პალატა – სენატი – ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტდება. ეს ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველობის რადიკალური რესტრუქტურისაგან, რომლის ძირითადი მიზანი “განაწევნებული” უმცირესობების – აფხაზების და ოსების – სათანადო უფლებებით აღჭურვა და ინტეგრაციაა.

საქართველოს კიდევ ერთ უმთავრეს საზრუნავს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესის შეჩერებაა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რუსეთი პარტნიორების აყოლიებას შეეცადა (ბელარუსი) და დაიწყო მოკავშირეების ძებნა ევროპის მიღმა, ძირითადად სამხრეთ ამერიკაში (ნიკარაგუა და ვენესუელა) აფხაზეთის შემდგომი პოლიტიკური აღიარების მიზნით. პასუხად, საქართველოს ვარდების რევოლუციის ხელისუფლება სამხრეთ ამერიკის რეგიონის სახელმწიფოებთან ახლო კონტაქტების დამყარებას შეეცადა, რათა თავიდან აეცილებინა მათი მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება. ამგვარად, აფხაზების და სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესის შეჩერების გზების ძიება სამომავლო ანალიზის საინტერესო მიმართულება იქნება. ამ მხრივ, გასაანალიზებელია ის არსებული და შესაძლო “პოლიტიკური დინებები,” რამაც სხვადასხვა სახელმწიფოებს რუსეთის ფედერაციის წაქეზებით ამ რეგიონების აღიარებისაკენ შეიძლება უბიძგოს, ისევე როგორც იმ პრაქტიკული გზების ანალიზი, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს ხელისუფლება აღიარების პროცესის შეჩერებას შესძლებს; ამ მხრივ საქართველოსა და სამხრეთ ამერიკის რამდენიმე სახელმწიფოს შორის უკვე დამყარდა

ოფიციალური ურთიერთობები პოლიტიკის, კულტურის და ეკონომიკის სფეროში, რამაც გარკვეულწილად შეაჩერა სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესი.

ამ რეგიონების საერთაშორისო აღიარების გათვალისწინებით, აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებისადმი შემუშავებულმა მიდგომებმა სათანადოდ უნდა ასახოს შიგა რეგიონული სპეციფიკა და კონფლიქტისადმი არსებული მთელი რიგი გარე ინტერესები. ამ მხრივ უნდა განვიხილოთ 1990-იანი წლების სასტიკი ბრძოლების მოგონებები; ამავე დროს თბილისმა მთელი რიგი ზომები უნდა გაატაროს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შემოსაბრუნებლად, რათა მათ თავიანთი მომავალი ცხოვრება საქართველოსთან ერთად დაინახონ. საქართველოს მიერ წარმოებული მულტინაციონალური პოლიტიკა, და კონკრეტულად უმცირესობების უფლებებისა და ინერესების დაცვა მულტიკულტურული განათლების, მათ მშობლიურ ენაზე სატელევიზო ახალი ამბების და გადაცემების მიწოდების და უმცირესობების კულტურის დაცვის სხვა ღონისძიებების გატარების (ფესტივალები, დაწყებითი განათლების სკოლების გახსნა უმცირესობების ენებზე) გზით, ამ რეგიონებს თბილისისაკენ უბიძგებს. თუმცა, აშკარაა აფხაზეთში აფხაზურენოვანი სკოლების მნიშვნელოვანი შემცირება და სანაცვლოდ აფხაზეთისთვის რუსული ენის, როგორც მომავალი კარიერული წინსვლის ერთადერთი საშუალების, როლის ზრდა (განათლებაში, დასაქმებაში და უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნაში) რაც აფხაზებს ქართველებისაგან კიდევ უფრო აუცხოებს.

საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორი აქტიურად უნდა ჩაერთოს ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობის დაახლოებაში. ეს ის თაობაა, რომელსაც არ ამძიმებს 1992-93 წლების ომის მოგონებები; თუმცა, იმ პერიოდის შესახებ არსებული ზეპირი ისტორიები და ისტორიის სახელმძღვანელოების გადაწერის პროცესი მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს ამ ამოცანის განხორციელებას. ეთნიკური აფხაზი ახალგაზრდობა უბრალოდ არ იცნობს მათი თაობის ეთნიკურ ქართველებს და პირიქით. მათი უმეტესობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ინფორმაციას ზეპირი გადმოცემებით ღებულობს მშობლებისგან და ახლობლებისგან. ამ უფსკრულის ამოსავსებად საჭიროა საზაფხულო სკოლების და მსგავსი ღობისძიებების მოწყობა, სადაც ერთმანეთს შეხვდება აფხაზი და ქართველი ახალგაზრდობა, რაც დადებით სხივს შეიტანს არსებულ სიტუაციაში და პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს ახალგაზრდა თაობის მომავალ ურთიერთობაზე. ამ მხრივ ასევე პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება უნივერსიტეტის წარმომადგენლების ერთობლივი კონფერენციები, დიალოგი და დებატები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაუყოვნებლივ შეიცვლება მხარეების

აზროვნება, პოზიციები და პრობლემისადმი დამოკიდებულება, მაგრამ მსგავს დიალოგს შეიძლება გარკვეული პოზიტიური შედეგები მოჰყვეს მომავალში.

და ბოლოს, საზგასმით უნდა აღინიშნოს, აფხაზეთის კონფლიქტი ეს არის წარსული მოვლენების, დღეს არსებული რეალობის და მომავალი სცენარების ერთობლიობა, რომელთაც განსაზღვრავდა, განსაზღვრავს და უდაოდ მომავალშიც განაპირობებს ცალკეული შიგა და გარე აქტორების ინტერესები. ამ ჩიხიდან გამოსავალის მოძებნა არც ისე იოლი საქმეა და ის დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ უკიდურესი პესიმიზმია იმის რწმენა, რომ აქედან არ არსებობს გამოსავალი. კვლევამ აჩვენა, რომ კონფლიქტი უშუალოდ ინსტიტუციური უთანხმოებებით დაიწყო, შესაბამისად არსებობს რომელიმე ინსტიტუციური ფორმატით კონფლიქტის მოგვარების რესურსი. ამისთვის აუცილებელია მრავალმხრივი, და არა მხოლოდ ეთნიკურ ქართველებსა და აფხაზებს შორის ორმხრივი, დიალოგის წარმოება. საბჭოთა კავშირის ეთნო-კულტურული და პოლიტიკური მემკვიდრეობის გათვალისწინებით, აფხაზეთის კონფლიქტი სცდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების [და დაპირისპირების] სიმბოლურ თუ გეოგრაფიულ საზღვრებს, და პოსტ-საბჭოთა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების და კონფლიქტის სივრცეში შემოჰყავს როგორც რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ცალკეული ეთნიკური ჯგუფები, ასევე უფრო შორეული აქტორები – ევროკავშირი და აშშ. ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად საბჭოთა ინსტიტუციური მემკვიდრეობის დაძლევა უპირველეს პრობლემას წარმოადგენს, რაც შეიძლება საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების ჩანაცვლებით განხორციელდეს, რადგანაც წარსულზე დამოკიდებულების დაძლევა, იმავე ინსტიტუტების ფარგლებში, არც თუ ისე იოლი, და ხშირ შემთხვევაში მიუღწეველი, ამოცანაა. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რეინსტიტუციონალიზაცია მოითხოვს გარე აქტორების ურთიერთობების გადახედვას და ხელახლა ჩამოყალიბებას; ამავე დროს, ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მოქნილობა ქართველებსა და აფხაზებს შორის მომავალი ეთნოსთაშორისი პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირების გარკვეულ იმედს იძლევა.

დანართი I. აფხაზეთის რეგიონის საკითხი 1918-1921 წლებში: ეთნიკური დაპირისპირება თუ სოციალურ-პოლიტიკური მღელვარება?

აფხაზეთის რეგიონში პოსტ-საბჭოთა პერიოდში გაშლილი დაპირისპირებების და სისხლიანი კონფლიქტის საფუძვლების ანალიზისას, სამეცნიერო წრეებში ხშირად შევხვდებით მოსაზრებას ამ კონფლიქტის ისტორიული საფუძვლების, ან ქართველებსა და აფაზებს შორის ტრადიციულად არსებული დაძაბული ეთნოსთაშორისი ურთიერთობების შესახებ. ამ კონტექსტში ხშირად იშველიებენ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას, აფხაზეთის რეგიონში წარმოქმნილ მღელვარებას და დაპირისპირების ცალკეულ შემთხვევებს. ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე პერიოდში აფხაზები მუდმივად ესწრაფოდნენ საქართველოსგან გამოყოფას და დამოუკიდებლობის მოპოვებას თუ არა, რუსეთთან პოლიტიკურ დაკავშირებას მაინც. მოცემული დანართის მიზანია აჩვენოს, რომ 1918-1919 წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენები შეუძლებელია ეთნიკური დაპირისპირების კონტექსტში განვიხილოთ და ის უფრო სოციალურ-პოლიტიკური მღელვარების ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

ამ პერიოდში აფხაზეთში წარმოშობილ დაპირისპირებას შემდეგი ისტორია აქვს. 1918 წლის მარტში, ბოლშევიკებმა მოახერხეს აჯანყების ინსცენირება აფხაზეთში და 8 აპრილს საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1918 წლის 17 მაისამდე აფხაზეთს განაგებდა საბჭოთა კომუნა, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების აფხაზეთში შესვლის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. სვეტლანა ჩერვონნაია აცხადებს, რომ 1918 წელს გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შეინიშნება “ავტონომიურ აფხაზეთთან ოპტიმალური ურთიერთობების ძეგლის დინამიური პროცესი, რომელიც ხალხის ნებას და დემოკრატიული კონსტიტუციის ნორმებს უნდა დაფუძნებოდა” (ჩ. ჰერონნაია, 1994, 26). უელტი (2011) შენიშნავს, რომ ანტი-ბოლშევიკი აფხაზი და სამხრეთ ოსი ნაციონალისტების მთავარ გამოწვევას საქართველოსთან ერთიან სახელმწიფოში მაქსიმალური ძალაუფლების მიღება წარმოადგენდა, თუმცა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის (1918 წლის მაისი), აფხაზეთი წითელი, თეთრი და ოტომანთა ძალებისგან მომდინარე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა (ინტერნეტ წყარო №118, გვ. 1-2).

1918 წლის 8 ივნისს აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და თბილისს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის ძალით აფხაზეთს მიენიჭა “შიგა ავტონომია და

სამხედრო დახმარების მიღების უფლება საგარეო აგრესიის შემთხვევაში; უმცირესობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტს შეადგენდა, სპეციალური სტატუსი მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, მათ შორის საპარლამენტო ადგილების 1/4” (ჩ ჰენრი ჰანსი, 1994, გვ. 19). მოგვიანებით, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, აფხაზეთში შეიქმნა აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (1921 წლის 31 მარტს), რომელმაც 1921 წლის დეკემბრამდე იარსება ამ სტატუსით, როდესაც სამოკავშირეო ხელშეკრულების ძალით აფხაზეთის სსრ-ი საქართველოს სსრ-ს შეუერთდა და 1922 წლის 13 დეკემბერს ერთად შევიდნენ ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო მოგვიანებით, 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. აფხაზეთმა ეს სტატუსი 1931 წლამდე შეინარჩუნა, როდესაც მან ავტონომიური რესპუბლიკის სახით განაგრძო არსებობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში. ჯორჯ ჰიუიტის მოსაზრებით, აფხაზეთში საბჭოთა სოციალისტური ხელისუფლების გამოცხადება აფხაზეთისთვის “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისგან და მენშევიკური პარტიის რეპრესიული რეჟიმისგან გათავისუფლებას წარმოადგენდა ... ხოლო 1921 წლის 16 დეკემბერს სამოკავშირეო რესპუბლიკად, ხოლო 1931 წლის თებერვალში საქართველოს სსრ-ის ფარგლებში ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნა, მისი სტატუსის დამცრობა ... სტალინის, ორჯონიკიძის და თბილისში იმ დროს მოქმედი ბოლშევიკების ალიანსის საქმიანობის შედეგად იქნა მიჩნეული” (ენჯი 1996, გვ. 203).

ჩემის აზრით, ძნელია 1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე აფხაზეთში მომხდარ ცალკეულ შეტაკებებს ქართველებსა და აფხაზებს შორის მომხდარი ეთნიკური დაპირისპირება ვუწოდოთ, და ამგვარად, 1990-იანი წლების დაპირისპირების ეთნიკური ლეგიტიმაცია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების უახლეს ისტორიაში ვეძიოთ. 1918-1921 წლებში აფხაზეთში განვითარებული პროცესები ადგილობრივი ბოლშევიკების და დენიკინის სამხედრო ნაწილების მოქმედებების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. იმ პერიოდის დაპირისპირებების სოციალურ-კლასობრივ ბრძოლად დახასიათება, ეთნიკური მარკერის მიკერების ნაცვლად, უფრო მართებული იქნება. კორო უელტი (2011) შენიშნავს, რომ [რეგიონში] “ეთნიკური უთანხმოებები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უფრო ადრე დაიწყო და ის მეტწილად მიწის განაწილების და კლასობრივ საკითხებთან იყო დაკავშირებული. 1917-1918 წლების ეთნოტერიტორიული დაპირისპირებები რესურსების თაობაზე წამოწყებული დაპირისპირებე-

ბის ეფექტს წარმოადგენდა, რომელიც ზოგადად 1920-იანი წლების რუსეთის ფედერალურ რეფორმის კონტექსტში უნდა განვიხილოთ” (ინტერნეტ წყარო №118, გვ. 6).

მართალია, იმ პერიოდში აფხაზების ერთი ნაწილი ბოლშევიკებს მიემხრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იმ პერიოდის აფხაზ დიდებულთა ერთი ნაწილი, რომლებიც რეგიონის მმართველ წრეებს წარმოადგენდნენ, მაგალითად შერვაშიძე, თავისი მომხრეებით დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების შეიარაღებული ნაწილების მხარდამხარ იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამგვარად, საბჭოთა პერიოდამდე აფხაზეთში არსებული წინააღმდეგობები კომპლექსური პრობლემაა, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის პროცესების ფართო კონტექსტში უნდა გავიაზროთ. აფხაზეთს ავტონომია მიენიჭა, თუმცა, 1919 წელს, ქართველებით არდასახლებულ ტერიტორიებზე რამდენიმე აჯანყების შემდეგ, რომელიც ქართველების აზრით ბოლშევიკების მიერ იყო ინსპირირებული, უმცირესობებთან ურთიერთობების გაფუჭდა. ხოლო 1919 წელს, როდესაც პარლამენტი დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა, უმცირესობების კვოტები საერთოდ გაუქმდა (ჯონეს, 1993, გვ. 290). თუმცა, დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა კანონი – “აფხაზეთის ავტონომიის აქტი” – რომელიც განამტკიცებდა აფხაზების თვითმმართველობას; საქართველოს პარლამენტის და აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრებით დაკომპლექტებულმა კომისიამ კი “ავტონომიური აფხაზეთის” კონსტიტუციის შემუშავება დაიწყო (ინტერნეტ წყარო №118, გვ. 15).

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, აფხაზეთში შეიქმნა აფხაზთა სახალხო საბჭო, რომლის მიზანი აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა, და ამ მიზნის მიღწევის გზაზე 1917 წლის ოქტომბერში შეუერთდა კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებას, რაც აფხაზ დელეგატთა განცხადებით “ჩრდილოელ ძმებთან ალანსის შექმნას წარმოადგენდა, ხოლო ქართველებს მხოლოდ კავკასიის ხალხებთან ალიანსში დაუკავშირდებოდნენ” (ინტერნეტ წყარო №118, გვ. 7-8). უელტი (2011) შენიშნავს, რომ აფხაზების ჩრდილოეთ კავკასიასთან შეერთების სურვილი გუდაუთაში ბოლშევიკური გავლენის და რუსეთის სამოქალაქო ომის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა (გვ. 8); თუმცა, ამავე დროს, ავტორი დასძენს, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა დაადასტურებდა და სცნობდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას “და მეგობრულ დახმარებას გაუწევდა აფხაზეთში ხელისუფლების ორგანიზებაში.” ამავე დროს, სახალხო კრების ერთი ნაწილი

ჩრდილოეთ კავკასიისკენ იხრებოდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, აფხაზთა სახალხო საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიას სოხუმში დარჩენისკენ მოუწოდა, და საქართველოს ხელისუფლებას დამატებითი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების თხოვნით მიმართა (ინტერნეტ წყარო №118, გვ. 11). ამავე დროს, საქართველოს დამფუძნებელი კრების პარალელურად არჩეულ (1919 წლის თებერვალში) აფხაზ ხალხთა საბჭოში მმართველმა სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს ადგილების 2/3, ანუ 40 ადგილიდან 27 ადგილი. თუმცა, არჩეულ სოციალ-დემოკრატთა ნახევარი ეთნიკურად აფხაზი იყო (ინტერნეტ წყარო №118, გვ. 14).

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში აფხაზეთის სახალხო საბჭოში არ არსებობდა ერთსულოვნება აფხაზეთის მომავალთან დაკავშირებით: იქნებოდა ეს დამოუკიდებლობა, რუსეთთან შეერთება, თუ ჩრდილოკავკასიელ მოძმეებთან აღიანსი. ამ პირობებში, სახალხო საბჭოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირება არჩია და 11 ივნისს მოაწერა ხელი შეთანხმებას, რომლის ძალითაც:

1. საქართველოს მთავრობაში დაინიშნებოდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრი;
2. სახალხო საბჭო პასუხისმგებელი იქნებოდა რეგიონის *საშინაო და თვითმმართველობის* საკითხებზე;

3. საქართველოს მთავრობა აფხაზეთს გაუწევდა ფინანსურ დახმარებას და შეიქმნებოდა მულტიეთნიკური სამხედრო ნაწილი. ამავე დროს, აფხაზეთში სასწრაფოდ უნდა გაგზავნიყო ქართული შენაერთები “რევოლუციური წესრიგის და სახელმწიფო ხელისუფლების სწრაფი ორგანიზებისათვის” (გვ. 11-12). თუმცა, უარყოფილ იქნა აფხაზური მხარის ერთი წინადადება, რომელიც აფხაზეთს სასურველზე უფრო მაღალ სტატუსს ანიჭებდა და ხაზგასმით აღინიშნა, რომ საგარეო საქმეებში საქართველო იქნებოდა “როგორც აფხაზური, ასევე ქართული მხარის ოფიციალური წარმომადგენელი” (გვ. 12).

4. მოგვიანებით, აფხაზეთის სახალხო საბჭომ უკმაყოფილება გამოთქვა მაზნიაშვილის მიერ ბოლშევიკების დამარცხების შემდეგ აფხაზეთზე კონტროლის კონსოლიდაციის გამო. აფხაზეთის სახალხო საბჭო შეახსენებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომ მაზნიაშვილის ფართო უფლებები სამხედრო მოქმედებებში მიენიჭა, და ის არ დათანხმებულა მის მმართველად დანიშვნას (ჭ ელ 2011, გვ. 13).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, ნოე ჟორდანიას აღნიშნავდა, რომ “მისაღები იყო აფხაზთა მიერ წამოყენებული ყველა

მოთხოვნა ავტონომიის თაობაზე, რაც არ უნდა ფართო უფლებები ყოფილიყო ეს, სეცესიისა და დენიკინის მოხალისეთა არმიასთან გაერთიანების გარდა” (გვ. 15). საბოლოოდ, კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებულ იქნა აფხაზთა მოთხოვნების ნაწილი და შესაძლებელი გახდა ავტონომიის თაობაზე ქართულ-აფხაზური შეთანხმების მიღწევა. თუმცა, ორმხრივ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ნაცვლად საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მიერ ავტონომიურ უფლებებზე კონცენტრირება აფხაზეთის სტატუსზე თანამშრომლობის დასასრული აღმოჩნდა. საბოლოოდ, დამფუძნებელ კრებას გადაეგზავნა ორმხრივი კომისიის მიერ შემუშავებული “ავტონომიური აფხაზეთის მმართველობის აქტი,” ხოლო 21 თებერვალს, თბილისთან ბრძოლების პირობებში, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც აფხაზეთს, ისევე როგორც მუსლიმებით დასახლებულ ბათუმს (აჭარას) და ზაქათალას (რომელიც მოგვიანებით საბჭოთა აზერბაიჯანის ნაწილი გახდა) ავტონომიურ სტატუსს ანიჭებდა (ინტერნეტ წყარო №118, გვ. 16).

დანართი 2. საქართველო-რუსეთ-დასავლეთის სამკუთხედი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: პატარა ქვეყანა და დიდი საკითხები

ავგისტოს ომის შემდეგ შეწყდა რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური და პოლიტიკური კონტაქტები. ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მედიატორის და დიალოგის წარმართვის მისია შევიცარიამ იკისრა. რეალურად, რუსეთსა და საქართველოს მრავალი პრობლემის მოსაგვარებლად გარდაუვალია დიალოგის წარმოება, მათ შორის არა მხოლოდ სამომავლო ორმხრივი ურთიერთობების წარმართვისა და დალაგებისათვის, არამედ სხვადასხვა საერთაშორისო საკითხების მოსაგვარებლად. ასეთ საკითხებს წარმოადგენდნენ უპირველესად სოჭის ოლიმპიური თამაშები (რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მტკიცებით, შეუძლებელი იყო სოჭში ჩატარებულიყო, რადგან, პირველ რიგში, ეს ტერიტორია ახლოსაა კონფლიქტურ რეგიონთან, სადაც არასტაბილური და უკონტროლო სიტუაციაა, ხოლო, მეორეს მხრივ, რუსეთი არღვევს ყველანაირ საერთაშორისო ნორმას აფხაზეთის, სხვა ქვეყნის ტერიტორიის, კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყენებით, საიდანაც დებულობდა სამშენებლო მასალებს, მუშა-ხელს, ქმნიდა კომპლექსისთვის საჭირო დამხმარე ნაგებობებსა და ინფრასტრუქტურას, და ა.შ.) და რუსეთის ფედე-

რაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობა (რასაც დიდხანს ეწინააღმდეგებოდა საქართველო და მას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონში საკუთარი ინტერესების გასატარებლად იყენებდა). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად საქართველომ ვერ მოახერხა ვერც სოჭის ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობის შეჩერება და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისაგან სოჭის თამაშების სხვაგან გადატანა ან სხვა ქვეყნისთვის გადაცემის მიღწევა; პირიქით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან უსაფრთხოების საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარების მოტივით და მონაწილეობაც კი მიიღო საქართველომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში. მან ვერც რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობის საკითხის დაბლოკვა შეძლო; მაგრამ, როგორც მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, მოხერხდა კონფლიქტის მოსაგვარებლად სამომავლო პერსპექტივის ხელშესახები გარანტიების და უპირატესობების მიღება, კერძოდ საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის და იქიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ტვირთების საერთაშორისო კონტროლის შესაძლებლობის მოპოვების მხრივ. თუმცა, ამ მხრივ რეალურად ხელშესახები ნაბიჯები არ გადადგმულა.

ამ ქვეთავის მიზანია გააანალიზოს რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო რეზონანსის მქონე ლოკალური საკითხები, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად საქართველოსთან არის დაკავშირებული და შეაფასოს ამ მხრივ საქართველოს პერსპექტივა აფხაზეთის [და ცხინვალის] რეგიონში მისთვის სასიკეთო გარღვევის მიღწევის კუთხით. ასევე განხილული იქნება რუსეთის მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობის და სოჭის ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობის საკითხები, როგორც აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები. ეს ფაქტორები ადასტურებენ საქართველოს კონფლიქტების და კონკრეტულად, აფხაზეთის კონფლიქტის, რეგიონულ და ამავე დროს გლობალურ მნიშვნელობას. ამავე დროს, აშკარაა, რომ ამ კონფლიქტების მოგვარება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გლობალური საერთაშორისო პოლიტიკის ცვლილების ნაწილი გახდეს და ის ვერ გახდება ვიწრო რეგიონული შეთანხმების ნაწილი.

1. რუსეთის წევრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთ-საქართველოს პოსტკონფლიქტური ურთიერთობების ჭრილში

1993 წელს რუსეთმა ფორმალური განაცხადი გააკეთა ტარიფებისა და ვაჭრობის ზოგად შეთანხმებასთან (თთ), ხოლო 1995 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (ჭ თ) გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რომელიც ტარიფებისა და ვაჭრობის ზოგადი შეთანხმების სამართალმემკვიდრე ორგანიზაციას წარმოადგენდა. მოლაპარაკებების პროცესი 18 წელი გაგრძელდა და 2011 წლის 16 დეკემბერს რუსეთი ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მიიწვიეს. 2012 წლის 23 ივლისს, რუსეთის დუმის მიერ ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების შემდეგ, რუსეთი 30 დღეში გახდა ორგანიზაციის წევრი. თუმცა, ამ საკითხს სერიოზული რეგიონული მნიშვნელობა ჰქონდა: აქ პრობლემური იყო რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი.

რუსეთის მსო-ში წევრობის კონტექსტში მნიშვნელოვანია 2011 წლის ნოემბერში რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული დოკუმენტი: “საბაჟოს ადმინისტრირების ფუნდამენტური პრინციპები და პროდუქციის მონიტორინგის მექანიზმები.” ამ შეთანხმების თანახმად, უნდა შეიქმნას ‘წინასწარ დადგენილი დერეფნები’ და ისინი იმ ორი სახელმწიფოს ტერიტორიად განისაზღვრება, რომელიც რუსეთმა 2 წლის წინათ აღიარა – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (ინტერნეტ წყარო № 20, გვ. 1). მონიტორინგი განხორციელდება ნეიტრალური, კერძო კომპანიის მიერ, რომელიც საქმიანობას როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ტერიტორიებზე განახორციელებს, თუმცა არ შევა სეპარატისტულ ერთეულებში. ამ მიზნით გაიხსნება “სამი დერეფანი” – ორი სეცესიურ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ხოლო ერთი ზემო ლარსი-ყაზბეგის ტერიტორიაზე. ამ კონტექსტში, საქართველოს მიერ უკონტროლო სასაზღვრო გამშვები პუნქტები განთიადი-ადღერი (რუსეთ-საქართველოს საზღვარი აფხაზეთის მონაკვეთი), როკიქედა ზარამაგი (რუსეთ-საქართველოს საზღვარი სამხრეთ ოსეთის მონაკვეთი) ძირითად პრობლემას წარმოადგენდა “საბაჟო რეგულაციების და ტვირთბრუნვის ადმინისტრირების მხრივ” (ინტერნეტ წყარო 112, გვ. 5). რუსეთის მსო-ში გაწევრიანების საკითხზე რუსულ-ქართული მოლაპარაკებები ორმხრივი კომპრომისების მაგალითად შეიძლება გამოდგეს, რასაც უსაფრთხოების საკითხების გარკვევა მოჰყვება (კჰადღე, შილევ, 2011, 22).

იზიდა ჭანია (2012) რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული დოკუმენტის კრიტიკით გამოდის, და აცხადებს, რომ ის სრულად შეესაბამება “აფხაზეთისადმი საქართველოს ახალი პოლიტიკის, ე.წ. ‘სტრატეგიული ლოდინის’

პრაქტიკულ განხორციელებას, რაც არა მხოლოდ რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლის პასიურ ლოდინს გულისხმობს, არამედ რუსულ-აფხაზური ურთიერთობების გაუარესებისკენაა მიმართული” (ინტერნეტ წყარო № 20, გვ. 2). აფხაზეთის საბაჟო კომიტეტის მეთაურის, საიდ ტარკილის განცხადებით, “რუსეთის მსო-ში გაწვევრიანების სანაცვლოდ საბაჟო პუნქტების მოწყობა საქართველოს მხრიდან მდინარე ენგურზე, საქართველოს მიერ აფხაზეთის ეკონომიკური სუვერენიტეტის რეალურ აღიარებას წარმოადგენს.” (ინტერნეტ წყარო № 20). თუმცა, ოფიციალურ თბილისში აცხადებდნენ, რომ პირველად მოახერხეს მოსკოვის მნიშვნელოვან დათმობაზე წამოყვანა სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებაში. რუსეთის მსო-ში წვევრობის საკითხი საქართველოს ხელში რუსეთის სადამსჯელო ეკონომიკური სანქციების წინააღმდეგ ინსტიტუციურ იარაღს წარმოადგენდა. პარალელურად, დიდმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა შეიძლება აფხაზეთთან ვაჭრობაზე უარი განაცხადონ საქართველოს მხრიდან სანქციების შემოღების შიშით, თუმცა თავად რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებული შეთანხმება აფხაზეთის ეკონომიკისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს (ინტერნეტ წყარო №15, გვ. 1). ამასთანავე, საქართველომ შეიძლება მსო-ს მექანიზმები გამოიყენოს და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის თანახმად, თბილისის ნებართვის გარეშე აფხაზეთში მოქმედი კომპანიების წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს და გადასახადების საქართველოს ხაზინაში გადარიცხვა მოითხოვოს (ინტერნეტ წყარო № 15, გვ. 2).

ევროკავშირის წვერი ქვეყნების განცხადებებისა და საქართველოსადმი დაკავებული პოზიციის მიუხედავად, ცხადია, რომ ისინი უპირატესობას რუსეთთან ეკონომიკურ კავშირებს ანიჭებენ და მათთვის ეს საკითხი უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა (ინტერნეტ წყარო № 77, გვ. 9). რუსეთის მსო-ში გაწვევრიანება ავღანეთში უსაფრთხოების საკითხებზე რუსეთისა და დასავლეთის ფართო თანამშრომლობის კონტექსტში განიხილება; შეთანხმება “გაზრდის რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთდამოკიდებულებას, რაც აშშ-ს და მის მოკავშირეებს უფრო მეტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას მოუტანს” (ინტერნეტ წყარო № 112, გვ. 2).

ნაკლებ სავარაუდოა, რომ რუსეთის მსო-ში გაწვევრიანებამ სეპარატისტული რეგიონების ‘ნაციონალურ’ სავაჭრო და საბაჟო კანონმდებლობაზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს, რამდენადაც სეპარატისტული რეჟიმები ეწინააღმდეგებიან რეგიონში საერთაშორისო საბაჟო მონიტორინგის მისიის ამოქმედებას. ამასთანავე, ენევის შეთანხმება მხოლოდ სახმელეთო საზღვრებზე ვრცელდება და საზღვაო

მონიტორინგს არ ითვალისწინებს. თუმცა, ნებისმიერი სახის მონიტორინგი არღვევს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის “დამოუკიდებლობას,” ასე რომ, შესაძლებელია, მსო-ში გაწვევრიანების პროცესის დასრულების შემდეგ მოსკოვმა საერთაშორისო მონიტორინგისადმი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგობა უნევის მოლაპარაკებების დაბლოკვის საბაზად გამოიყენოს, შენიშნავენ აფხაზი ექსპერტები. პრეზიდენტი სააკაშვილი მიიჩნევდა, რომ “პირველად, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შესაძლებელი იქნება ტვირთების მოძრაობის საერთაშორისო მონიტორინგი საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში; თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, ეს შეთანხმება არ არღვევს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის, როგორც “დამოუკიდებელი” ქვეყნების სტატუსს” (ინტერნეტ წყარო № 38). აფხაზეთში საზოგადოებრივი აზრი რუსეთის მსო-ში გაწვევრიანების როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ შედეგებზე კონცენტრირებული. აფხაზეთის ეკონომიკა ძალზედ პატარაა (მშპ 800 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს) და ამგვარად რეგიონი მთლიანად გარე ბაზრებზე დამოკიდებული (საგარეო ვაჭრობა 400 მილიონ აშშ დოლარს მოიცავს) (ინტერნეტ წყარო 15, გვ. 1).

რუსეთის მსო-ში შეყვანის გადაწყვეტილება არ აუქმებს რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებას ‘აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ’ და აფხაზეთსა და რუსეთს შორის ადრე გაფორმებულ შეთანხმებებს; რაც შეეხება რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის საგარეო მონიტორინგს, ეს აფხაზეთს საშუალებას მისცემს საერთაშორისო საზოგადოებას თავისი დინამიური განვითარება დაანახოს, აწარმოოს ცივილიზებული და გამჭვირვალე ვაჭრობა, რაც ეწინააღმდეგება მის, როგორც “ოკუპირებული ტერიტორიის” და “შავი ხერხელის” იმიჯს, როგორც მას თბილისი წარმოაჩენს (ინტერნეტ წყარო № 15, გვ. 2). მაქსიმ სუჩკოვის განცხადებით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკების შორეულ პერსპექტივაში საქართველოსთან დაკავშირების წახალისების პარალელურად, ობამას ადმინისტრაციამ ნაკლები როლი უნდა მიაქციოს კონფლიქტს, როგორც მოსკოვთან სხვადასხვა ძირითად საკითხებში თანამშრომლობის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს (ინტერნეტ წყარო № 102, გვ 135).

საქართველოს მაშინდელი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კრიტიკულად შეხვდნენ საქართველო-რუსეთის შეთანხმებას. მათი განცხადებით, აშშ და ევროკავშირს მიერ რუსეთის მსო-ში მიღება საქართველოს მხრიდან უზარმაზარი დათმობების ხარჯზე მოახერხეს. მათი აზრით რუსეთის ბაზარზე

აკრძალულ ქართული ღვინის და მინერალური წყლების დაშვება, რუსეთის მსო-ში წვერობის ძირითადი წინაპირობა უნდა ყოფილიყო (ინტერნეტ წყარო № 38). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს წინააღმდეგობის გადალახვა ოფიციალურ მოსკოვს მსო-ის წესდების მე-12 მუხლის გამოყენებით შეეძლო, რომელიც საქართველოს წინააღმდეგობას მინისტერიალზე ხმების 2/3 უმრავლესობით დაძლეოდა (ინტერნეტ წყარო № 112, გვ. 3).

ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგობა საქართველოს მხრიდან დათმობის შედეგად რუსეთის მსო-ში გაწვევრიანების საკითხისადმი შეიძლება იმ ეკონომიკური სარგებლით გამართლდეს, რომელსაც რუსეთი მსო-ში გაწვევრიანების შემდეგ მიიღებს: იმპორტზე გადასახადი დღეს 12%, რომელიც მსო-ში შესვლის შემდეგ 13.2% გაიზრდება, და 4 წელიწადში 8.8% დაეცემა (გვ. 35). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის საექსპორტო შემოსავლების 60% ნავთობზე და გაზზე მოდის და მოგება 100 მილიარდს შეადგენს, რაზეც მსო-ში შესვლა არანაირ გავლენას არ იქონიებს (გვ. 35). რუთფორდის და ტარის გაანგარიშებით, “მსო-ში შესვლა რუსეთის მშპ 4.3. პროცენტით, ხოლო მოხმარებას 7.8 პროცენტით გაზრდის, რომელიც დღეს რუსეთში 6.2%-დან 11.2%-მდე მერყეობს. მათი გაანგარიშებით, 85% მომსახურების სექტორში უცხოურ ინვესტიციების ხვედრითი წილი იქნება, ხოლო 6.7% საწარმოო მანქანა-დანადგარების იმპორტი, ტარიფის შემცირების (0.7%) და ბაზარზე ხელმისაწვდომობის (0.3%) პარალელურად. ლისოვოლიკი 1995-2002 წლების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასკენის, რომ რუსეთის მსო-ს მიღმა ყოფნა ექსპორტს 30-35% ამცირებს” (ინტერნეტ წყარო № 93, გვ. 34-35). ამგვარად, რუსეთის მსო-ში გაწვევრიანებას აფხაზეთი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და საერთაშორისო მონიტორების განლაგებას აფხაზეთის, როგორც დემოუკიდებელი ქვეყნის საერთაშორისო საზღვრების აღიარებასთან გააიგივებს. რუსეთის ეკონომიკურ სივრცის ნაწილად ქცევა კი სამომავლოდ დიდი ეკონომიკური სარგებლის მიღებას და საქართველოსგან მტკიცე ჩამოცილების წინაპირობების შექმნას უქადის.

2. აფხაზეთის რეგიონი და სოჭის ოლიმპიური კომპლექსი: ეკონომიკური პერსპექტივა აფხაზეთისთვის თუ საერთაშორისო პოლიტიკური დილემა?

სოჭის ოლიმპიური კომპლექსთან დაკავშირებით ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, სადაც აფხაზეთისათვის ამ პროექტის პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა განვიხილეთ. სოჭის ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობა ერთ-ერთი ყველაზე მტკინვეული საკითხი აღმოჩნდა “დამოუკიდებელი” აფხაზეთისთვის, რად-

განაც ის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით აფხაზეთის “დამოუკიდებლობის” სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ სოჭის ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობისთვის აფხაზეთის ტერიტორიის სრული გამოყენება გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა აფხაზეთის პოლიტიკურ წრეებსა და, ზოგადად, რეგიონის მოსახლეობაში. განსაკუთრებით მტკინვეული საკითხს წარმოადგენდა კერძო საკუთრების უფლების ხელყოფა, რამაც მოსახლეობას მიწის და კერძო საკუთრების უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვის მოთხოვნისკენ უბიძგა ... რუსეთის მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ჩაყლაპვის რეალური საფრთხე განსაკუთრებით წარმოჩინდა რუსეთისათვის საკუთრების 49 წლიანი გადაცემის შეთანხმების ინიცირების შემდეგ, რომელიც გაგრძედა ტატრას კომპლექსის, მისერაში გორბაჩოვის აგარაკის და პიცუნდას კომპლექსის რუსეთისათვის გადაცემას ითვალისწინებს (ინტერნეტ წყარო № 115, გვ. 16). ანდრეი რიაბოვის (2011) აზრით კი, იმისთვის რომ აფხაზეთის ირგვლივ კონფლიქტის ინტენსიფიკაცია თავიდან ყოფილიყო აცილებული, აუცილებელი იყო “2014 წლის ოლიმპიადის წინა პერიოდში და უშუალოდ მსვლელობისას სპეციალური დოკუმენტის გაფორმება, რომელიც ოლიმპიურ პროექტში აფხაზების მონაწილეობის ხარისხს განსაზღვრავს” (ინტერნეტ წყარო № 94, გვ. 35). ეს დოკუმენტი ყველა მხარის კონსენსუსის საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო და მას აფხაზეთის კონფლიქტში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული ყველა მხარე უნდა დათანხმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დოკუმენტი არ გაფორმებულა, სოჭის ოლიმპიური კომპლექსის როგორც მშენებლობამ, ასევე თამაშებმა სერიოზული ექსცესების გარეშე ჩაიარა.

სოჭის ოლიმპიური თამაშები ხელსაყრელი მომენტი აღმოჩნდა რუსეთის მხრიდან აფხაზეთზე შემოდებული ეკონომიკური სანქციებიდან გამოსვლისათვის. 2008 წლის მაისში კრასნოდარის რეგიონმა ხელშეკრულება გააფორმა აფხაზეთის ხელისუფლებასთან სოჭის კომპლექსის მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალის აფხაზეთიდან გატანისათვის. ამავე დროს რუსეთმა სამი მიმართულებით განახორციელა ინვესტიცია აფხაზეთში სოჭის ოლიმპიური თამაშების მოსამზადებლად: სოხუმის აეროპორტის რეკონსტრუქციის, ცემენტის ორი ქარხნის მშენებლობის და ოლიმპიადის მუშა-მოსამსახურეების და ვიზიტორების დასახვედრი სასტუმრო კომპლექსების მშენებლობის კუთხით. აფხაზეთში რუსული ეკონომიკური მონაწილეობა მხარდაჭერილია მოსკოვის უმაღლესი თანამდებობის პირების – მოკსკოვის მერის, იური ლუჟკოვის, და რუსეთის ვიცე-პრემიერის, ალექსანდრე შუკოვის, მიერ (~~ლუგანო~~ 2009, გვ. 4-5).

სოჭის ოლიმპიური კომპლექსი არც ახალ პოლიტიკურ თავისტკივილად იქცა რუსეთისთვის, მისთვის ყველაზე მოწვევლად რეგიონში – ჩრდილოეთ კავკასიასთან სიახლოვის გამო. მიუხედავად ჩერქეზების პროტესტისა, სადაც გაიყო მათი და აფხაზების პოზიციები, სოჭის ოლიმპიური თამაშების მხარდაჭერის გამო აფხაზებსა და ჩერქეზებს შორის სიტუაცია არ გაუარესებულა. თუმცა, 2009 წლის აპრილში გაუღერდა ინიციატივა *ჩერქეზული ოლიმპიური თამაშების* ჩატარების თაობაზე, რომელიც 12 თამაშს გააერთიანებდა, ჩერქეზებს დროშაზე არსებული 12 ვარსკვლავის შესაბამისად. ეს ემბლემა მსოფლიოს რეგიონის ავტოქტონ მაცხოვრებლებს შეახსენებდა (ძჰემ უკჰოვ, 2009). გარდა ამისა, სოჭის ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობამ გაართულა მიწის ფლობასთან დაკავშირებული საკითხები და დაპირისპირება ბალყარელებსა და ყაბარდოელებს შორის. სამშენებლო ზონებად მიწის დანაწევრებაში ჩერქეზებმა ადიღეს ყაბარდო ბალყარეთისგან და ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან გამოყოფის მცდელობა დაინახეს, რაც ჩერქეზული საზოგადოების გახლეჩის ტოლფასია (შჰარსჰენდზე, შუკჰოვ, 2011, გვ. 37). სხვადასხვა ქვეყნებში არსებულმა ჩერქეზულმა სამოქალაქო საზოგადოებებმა მე-19 საუკუნის ჩერქეზების გენოციდის აღიარების თხოვნის მიმართვა გაუგზავნეს ევროპარლამენტს, ხოლო 2011 წელს მსგავსი მოთხოვნა გაეგზავნა საქართველოს. 2011 წლის 20 მაისს, საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად აღიარა ცარისტული იმპერიის მიერ მე-19 საუკუნეში (1860-1870 წწ. დასავლეთ კავკასიაში) ჩადენილი ჩერქეზების გენოციდის ფაქტი. დღესდღეობით ჩერქეზთა საკითხი განსაკუთრებით მტკინვეულია რადგანაც 2014 წელს 150 წელი სრულდება გენოციდის ტრაგედიიდან, ხოლო სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები სწორედ ამ წელს და ზუსტად იმავე ადგილებში ტარდება, სადაც ჩერქეზთა ერთი ნაწილი გაანადგურეს, ხოლო სხვები გადაასახლეს (ინტერნეტ წყარო №54, გვ. 2). შარაშენიძე და სუხოვი (2011) ჩერქეზების გენოციდის საკითხის გააქტიურებას 2008 წლის აგვისტოს ომის პირდაპირ გამოძახილად მიიჩნევენ (გვ. 43) ... თუ აგვისტოს ომამდე სააკაშვილი არ ცდილობდა ჩრდილოკავკასიის საკითხით და სეპარატიზმით მანიპულირებას, აგვისტოს ომმა სიტუაცია რადიკალურად შეცვალა (გვ. 44). თუმცა, გენოციდის ფაქტის აღიარებით საქართველომ ჩერქეზული საზოგადოების პატივისცემა და ჩრდილოეთ კავკასიის ჩერქეზულ ნაწილში რეგიონული სახელმწიფოს რეპუტაცია მოიპოვა (გვ. 46).

აფხაზები გარკვეულწილად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ამ ისტორიული მოვლენისადმი დაკავებული პოზიციის გამო. მათ 1992-93 წლების ომის დროს მნიშვნელოვანი დახმარება მიიღეს ჩერქეზებისგან. 1997 წლის ოქტომბერ-

ში აფხაზეთის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია “მე-19 საუკუნეში აფხაზების (აბაზების) მასობრივი მკვლელობა და მათი დეპორტაცია ოტომანთა იმპერიაში გენოციდად, და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ საშინელ დანაშაულად უნდა იქნეს აღიარებული.” ამგვარად, აფხაზებს სჭირდებათ ბალანსის მოძებნა ერთის მხრივ ჩერქეზ მოძმეებთან, ხოლო, მეორეს მხრივ, მათ ერთადერთ მფარველთან – რუსეთთან ურთიერთობებს შორის (ინტერნეტ წყარო №54, გვ. 2). აფხაზებს სწამთ, რომ არჩეული პოლიტიკით საქართველო ჩრდილო კავკასიელი ხალხის დახმარების მიღებას ცდილობს და სისტემატურად უთხრის ძირს რუსეთის ბატონობას მის ჩრდილოეთ კავკასიურ რესპუბლიკებში; ეს პროცესი შეიძლება აფხაზებსა და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის, უფრო კონკრეტულად კი ყაბარდოელებთან და ჩერქეზებთან აფხაზების განხეთქილებით დამთავრდეს. ამგვარად, საქართველოს ხელისუფლებას სწამს, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება შეიძლება რეალური გეგმას წარმოადგენდეს. ასეთია თბილისის მიერ არჩეული სტრატეგიის ხედვა სოხუმიდან (ინტერნეტ წყარო №57, გვ. 2).

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ გენოციდის აღიარების აქტმა უკვე გარკვეული შედეგები მოუტანა თბილისს. აშკარაა ურთიერთობების გაციება ჩერქეზებსა და აფხაზებს შორის. აფხაზებს აღეგულებათ ქართველების მიერ ჩერქეზების გენოციდის ფაქტის აღიარებით ჩერქეზთა მხრიდან გამოთქმული კმაყოფილება, რადგანაც აფხაზეთი საქართველოს მის მთავარ მტრად განიხილავს. ჩერქეზებს არ ესმით თუ რატომ აგვიანებენ აფხაზები ჩერქეზების გენოციდის აღიარებას, მაშინ როდესაც თბილისმა ეს უკვე გააკეთა (ინტერნეტ წყარო №57). აფხაზები გარკვეული ოქროს შუალედის გამონახვას ცდილობენ და აფხაზეთის პარლამენტის მიერ 1997 წელს ოტომანთა იმპერიაში *მე-19 საუკუნეში აფხაზების-აბაზების დეპორტაციის შესახებ* მიღებულ რეზოლუციას იშველიებენ, რომელმაც ეს ფაქტი კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად მოიხსენია (ინტერნეტ წყარო №57, გვ. 2). ამგვარად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ჩრდილოკავკასიელი მოძმე ეთნიკური ჯგუფებიდან აფხაზების ჩამოცილებას ცდილობს და მათ რუსეთსა და საქართველოს შორის არჩევანის გაკეთების წინაშე აყენებს. თუმცა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებაში მოსული ქართული ოცნების მიერ მთლიანად შეწყდა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ინიცირებული საქართველის ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა, რისი უპირველესი ნიშანი რეგიონზე მაუწყებლის ტელეარხის *პირველი კავკასიურის* დახურვა იქცა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სეპარატისტული რეგიონიდან ფაქტობრივ ოკუპირებულ ტერიტორიამდე აფხაზეთის კონფლიქტის ტრანსფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომამდე ბევრად უფრო ადრე დაიწყო. აგვისტოს ომის პოლიტიკური კონტექსტი 2000 წელს პუტინის გაპრეზიდენტებაში და ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს მიერ არჩეულ პრო-დასავლურ კურსში იკითხება, ხოლო ეკონომიკური წანამდგვრები 1990-იან წლებში გაყინული კონფლიქტის პირველივე დღეებიდან იყო სახეზე, როდესაც სეპარატისტული აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის ფარული თუ აშკარა ფინანსურ-ეკონომიკური და სამხედრო დახმარებით ახერხებდა რეგიონული პოზიციების, და დანარჩენი საქართველოსგან ეფექტური სეცესიის, შენარჩუნებას. რეგიონის თანდათანობითმა მილიტარიზაციამ, როგორც ქართული, ისე რუსული და აფხაზური მხარეების, ნოყიერი ნიადაგი შექმნა 2008 წლის აგვისტოს ომის გასაჩაღებლად.

საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ოკუპირებულ ტერიტორიებამდე დამკვიდრება დროის საკითხია, რასაც უდაოდ განაპირობებს საქართველოს ეფექტური ლობისტური კამპანია ევროპაში და რუსეთის ქმედებებით დასავლეთის, და პირველ რიგში აშშ-ს, უკმაყოფილება. ამ ყოველივემ კი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პოსტ-აგვისტოს ომის პერიოდის სამშვიდობო გეგმის წარმატება უნდა განაპირობოს. თუმცა, თბილისის სამშვიდობო ფორმატი იმთავითვე უარყოფილია რუსეთის ფედერაციის და სეცესიური აფხაზური ხელისუფლების მიერ, რომლებიც ამ გეგმას საერთოდ არ განიხილავენ, ვინაიდან ის არ შეესაბამება აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილ ახალ რეალობას – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. რუსეთი მტკიცედ გაატარებს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობის განმტკიცების კურსს, ხოლო აფხაზეთი არ დათმობს მოპოვებულ “სუვერენიტეტს.” ამ კონტექსტში კი საქართველო დასავლეთის და რუსეთის ფედერაციის დიდი საერთაშორისო მეტოქეობის მსხვერპლი, და ამავდროულად დროს არენაა. ამ კონტექსტში კარგად იკითხება რუსეთის მსო-ში გაწვერიანების საკითხის და სოჭის ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობის ჩერქეზთა გენოციდთან დაკავშირების უკიდურესი პოლიტიზირება.

პრობლემატურად ჩანდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის კოალიციის “ქართული ოცნების” გამარჯვება, რომლის გაცხადებულ მიზანს რუსეთთან ურთიერთობების დალაგება და ნორმალიზაცია წარმოადგენს, ხოლო ამ კონტექსტში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დარეგულირების “ვარდების რევოლუციის” ხელისუფლების სამშვიდობო გეგმების შესაძლო პერსპექტივებინ ძნელი საწინასწარმეტყველო ჩანდა. მის მიერ ახალ მი-

ნისტრთა კაბინეტში რეინტეგრაციის მინისტრად წარდგენილი პაატა ზაქარეიშვილი სამოქალაქო აქტივისტის რანგში ხშირად გამოდიოდა საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების ინიციატივებით, რომელთა შორის გაისმოდა ერთი მხრივ უკიდურესი განცხადებები, კერძოდ აფხაზეთის აღიარების შესაძლებლობა, როგორც აფხაზების დაბრუნების წინაპირობა; ხოლო, მეორე მხრივ, რკინიგზის გახსნა, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს 1990-იანი წლებიდან მოყოლებული. თუმცა, ჯერჯერობით, ცვლილებები მხოლოდ სამინისტროსადმი სახელის შეცვლაში გამოიხატა, და სახელწოდებაში რეინტეგრაცია სამოქალაქო თანასწორობით შეიცვალა, თუმცა ამავე დროს, მნიშვნელოვნად არ შერბილებულა საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. მიუხედავად გარკვეული მოლოდინისა, საქართველოს კონფლიქტურ ტერიტორიებთან და, პირველ რიგში რუსეთის ფედერაციასთან, მისასვლელი გზის მოსაძებნად რუსეთისთვის ოკუპანტი ქვეყნის სტატუსი არ მოხსნილა და კონფლიქტების სახელწოდების ფორმულირებაში ოკუპირებული ტერიტორიების შერბილება არ მომხდარა. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან 2 წლის შემდეგ, “ქართული ოცნების” პოლიტიკურ ჯგუფს კონფლიქტების დარეგულირების კონკრეტული ხედვა და სამოქმედო ჩარჩო დოკუმენტი ჯერ არ წარმოუდგენია. ამ მხრივ, ახალი პოლიტიკური დოკუმენტის გაჩენა ამ მიმართულებით ანალიზის ახალ შესაძლებლობებს და საჭიროებას წარმოშობს.

დანართი 3. აფხაზეთის კონფლიქტი მთიელ ხალხთა კონფედერაციის და კავკასიური სახლის იდეის ჭრილში

პოსტსაბჭოთა პერიოდში აფხაზეთის გარშემო განვითარებული პროცესები ყოველთვის სცდებოდა მხოლოდ ე.წ. ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას, რადგანაც მასში იმთავითვე ჩართული იყვნენ ფართო რეგიონული პოლიტიკური ძალები. ბუნებრივია, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ზოგიერთი ინსტიტუციური გეგმა სცდება საქართველოს და პანკავკასიური ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. აფხაზეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, სხვადასხვა დროს ფართო რეგიონული პოლიტიკური სტრუქტურების (კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია) ნაწილს წარმოადგენდა, ან არამატერიალუბული იდეოლოგიური კონსტრუქტების ფარგლებში განიხილებოდა (კავკასიური სახლი). პარადოქსულია, მაგრამ 1980-იანი წლების მიწურულიდან სოხუმსა და თბილისს შორის ურთიერთობა ხშირად ამ ინსტიტუტების მეშვეობით, ძირითა-

დად მთიელ ხალხთა კონფედერაციის ფარგლებში, წარიმართებოდა. ამავე დროს ძნელია კონფედერაციის სხვადასხვა ერთეულებთან და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან რუსეთის კავშირების უარყოფა. როგორც განჩინილაძე (1998) შენიშნავს, “აფხაზეთს გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონდა ზღვაზე გასასვლელის გარეშე დარჩენილ რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან შედარებით” (ინტერნეტ წყარო № 28, გვ. 54). მთიელ ხალხთა კონფედერაციამ ნეგატიური როლი ითამაშა 1990-იან წლებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში და, შეიძლება ითქვას, იმთავითვე ძირი გამოუთხარა კავკასიური გაერთიანების შესაძლებლობას, მეტწილად კავკასიის ცალკეულ ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობაში ნეგატიური ჩარევის გამო; რაც შეეხება კავკასიური სახლის იდეას, ის განუხორციელებელ, მხოლოდ ქაღალდზე გადატანილ პოლიტიკურ პროექტად დარჩა, რომელიც პოლიტიკოსთა ერთი თაობიდან მეორეს რეალიზების ყოველგვარი ნიშნის გარეშე გადაეცემა.

ამ პროცესების სათანადო გააზრებისთვის აუცილებელია საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული საერთოკავკასიური ინსტიტუტების ანალიზი, რადგანაც სწორედ მათ ფარგლებში წარმოიქმნებოდა ახალი სტრუქტურები და ურთიერთობის ახალი ფორმები. ამავე დროს, ეს ახალი ინსტიტუტები საბჭოთა მემკვიდრეობით იყო დამძიმებული; ამგვარად, პოსტსაბჭოთა კავკასიის მშვიდობიანი ურთიერთობებისა და ერთიანი პლატფორმის ჩამოყალიბებაზე ზრუნვის ნაცვლად, მათ უფრო წარსულის მემკვიდრეობასთან უხდებოდათ გამკლავება. გარდა ამისა, ქართველი და აფხაზი ავტორების მიერ შემოთავაზებული კავკასიის მომავლის ხედვები კავკასიის ფედერალურ ან კონფედერაციულ ერთობად გარდაქმნაზე იყო კონცენტრირებული. თუმცა, ერთიანი კავკასიის პროექტი რეგიონული ავტონომიების და რესპუბლიკების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაქვემდებარებას ეფუძნებოდა. ვინაიდან პირველი მათგანი მიუღებელი იყო სოხუმისათვის, ხოლო მეორე თბილისისთვის, მათი განხორციელება იმთავითვე გამოირიცხებოდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ერთიანი კავკასიის პროექტი მხოლოდ კავკასიელების ურთიერთობის ექსკლუზიურ სფეროს არ წარმოადგენს. აქ იკვეთება რუსეთის ფედერაციის, აშშ-ს და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების) ძლიერი ინტერესები. ამგვარად, ერთიანი კავკასიის პროექტების საერთაშორისო ინტერესის ობიექტად გადაქცევა კიდევ უფრო ართულებს არსებულ სიტუაციას. შეიძლება ითქვას, ნებისმიერი სახის კავკასიური ერთობა გარედან ჩამოყალიბებული გეგმა უფროა, ვიდრე შიგა რეგიონული მოხმარების კონსტრუქტი. ამგვარად, საბჭოთა ინსტიტუციური მემკვიდრეობა, ეთნოსთაშორისი

პოლიტიკა და რეგიონის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა ნებისმიერი სახის კავკასიური პროექტის განხორციელებას ნულჯამოვან თამაშად გადააქცევს. კავკასიური ერთობის შექმნის ჩაშლილი მცდელობები კი მნიშვნელოვნად განაპირობებს კავკასიური ინსტიტუციური კონსტრუქტის საფუძველზე შემუშავებული აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმის კრახს. რაც შეეხება უშუალოდ აფხაზეთის კონფლიქტის კავშირს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ცხელ კერებთან და ზოგადად, პოსტსაბჭოთა პერიოდში შექმნილ სიტუაციასთან, ვფიქრობ, გიორგი ხელაშვილი (2011ა) მართებულად შენიშნავს, რომ “ჩრდილოეთ კავკასიის სტაბილურობა ის ყველაზე აშკარა სტრატეგიული საკითხია, რომლის გარშემოც [საქართველომ და რუსეთმა] შეიძლება ითანამშრომლონ; გარკვეულწილად, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემის გაგრძელებას წარმოადგენენ, თუმცა მოსკოვი მათ განცალკევებულ საკითხებად განიხილავს, რომელსაც შეიძლება რუსეთმა დამოუკიდებლად მიხედოს” (გვ. 5).

3.1. მთიელ ხალხთა კონფედერაციის ჩამოყალიბება და მისი როლი აფხაზეთის კონფლიქტში

კონფედერაცია, პოლიტიკური ორგანიზაციის სახით, 1989 წლის 25 აგვისტოს შეიქმნა. მისი პირველი ორი ყრილობა 1989 და 1990 წელს გაიმართა. 1989 წლის 15 აგვისტოს შეხვედრაზე კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა (რუსულად *assambleya gorskix narodov kavkaza*) ჩამოყალიბდა. კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის მეორე კონგრესმა, რომელიც 1990 წლის 13-14 ოქტომბერს გაიმართა ქალაქ ნალჩიკში (ყაბარდო ბალყარეთში) დაადასტურა, რომ “კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიისთვის და აფხაზეთისთვის ახალი სახელმწიფო სტრუქტურა ჩამოყალიბდებოდა” (ინტერნეტ წყარო № 70, გვ. 102). 1991 წლის 1-2 ნოემბერს, სოხუმში კავკასიის მთიელ ხალხთა წარმომადგენლების მესამე ყრილობაზე, ასამბლეა კონფედერაციად გარდაიქმნა, თუმცა ამ შეხვედრაში მონაწილეობაზე ჩრდილოეთ კავკასიის თურქულმა მოსახლეობამ – ბალყარელებმა, ყარაჩაელებმა, ყუბუხებმა და ნოღაელებმა უარი განაცხადეს, ხოლო ლაკები მას არც კი გამოეხმაურნენ (გუზ, 1999, გვ. 20). კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციული გაერთიანების ხელშეკრულების დოკუმენტი 2 ნოემბერს გაფორმდა, რომლის პირველი მუხლი ახალ კონფედერაციას “1918 წლის 11 მაისს შექმნილი დამოუკიდებელი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის (მთიელთა რესპუბლიკა) ლეგიტიმურ მემკვიდრედ აცხადებდა” (ეწიფი 1996, გვ. 215). ამ ას-

ამბლებში 13 დელეგაცია მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიიდან; ასევე წარგზავნილი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დელეგაციაც. წარმოდგენილნი იყვნენ დელეგატები თბილისიდან – გიორგი ანჩაბაძე და დავით პაიჭაძე (ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებიდან) და ზურაბ ცინცაძე (ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან).

აღსანიშნავია, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის იდეა უფრო ადრე წარმოიშვა, და ის ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა აქტორების ინიციატივას წარმოადგენდა. კერძოდ, მისი ავტორები ჩრდილოეთ კავკასიიდან თურქეთში გადასახლებული იმიგრანტები იყვნენ. მათი მიზანი ერთიან ჩერქეზულ სახელმწიფოში ჩრდილოეთ კავკასიის მცირე ხალხების გაერთიანება, საერთო ენის შექმნა და საბჭოთა კავშირის მე-16 რესპუბლიკის სახით ახალი ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბება იყო. ამგვარად, მთიელ ხალხთა გაერთიანება ახალი სახელმწიფოს გაცნობიერებულ საჭიროებას წარმოადგენდა. ეს იდეა გახშირდა სოხუმში ჩატარებულ კონფედერაციის კონგრესზე, სადაც დაფუძნდა თავდაცვის კომიტეტი და “იმპერიისგან” დასაცავად სამხედრო ნაწილები ჩამოყალიბდა. ახალი კონფედერაციული სახელმწიფო გააერთიანებდა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიულ ერთეულებს და საქართველოს ტერიტორიის ნაწილს მოიცავდა, კერძოდ შიდა ქართლს, რაჭას, სვანეთს და სამეგრელოს გარკვეულ ნაწილს (გაზეთი № 50). ეს საკმაოდ “ჭკვიანური” გადაწყვეტილება იყო, რადგანაც უფრო ადვილი იქნებოდა მიწების სამხრეთელი მეზობლის – საქართველოსთვის წართმევა, ვიდრე ჩრდილოელ მეზობელთან – რუსეთის ფედერაციასთან დაპირისპირება (ამ შემთხვევაში ძირითადი სამიზნე კაზაკებით დასახლებული ყუბანის დაბლობი უნდა გამხდარიყო). აშკარაა, რომ მე-16 რესპუბლიკის ჩამოყალიბება ავანტიურა იყო, რაც, ბუნებრივია, გასაგები იყო რუსეთის ფედერაციისთვის და თავისი ანტიქართული ხასიათიდან გამომდინარე, ხელსაყრელიც კი იყო.

პირველი ასამბლეა გახსნა სერგეი შამბამ, აფხაზური ნაციონალური მოძრაობის – აიდგილარას – ლიდერმა. ასამბლეს გახსნის შესავალმა სიტყვებმა ცხადყო კავკასიელი ხალხების წარმომადგენლების კონფრონტაციული განწყობა. შამბას განცხადებით, “ცენტრის ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმი დამოუკიდებლობა მოპოვებული რესპუბლიკების ახალმა დიქტატორულმა რეჟიმებმა ჩაანაცვლა” (გაზეთი № 13). შამბა აღნიშნავდა, რომ აფხაზები გრძნობდნენ ამ აგრესიას და კონფედერაცია გარკვეულწილად ამ აგრესიის პასუხს წარმოადგენდა. აფხაზეთის დემოკრატიული პარტიის ლიდერის გურამ გუმბას, განცხადებით, “ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა, ხოლო აფხაზეთი სა-

ქართველოს კოლონიას.” აფხაზი მეცნიერი ერმოლაი ჯინჯოლია კი აღნიშნავდა, რომ “აფხაზეთს ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი უნდა მინიჭებოდა.” ასამბლეის სულისკვეთება უფრო პროჩრდილოკავკასიური იყო, სადაც ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ერთიანი და შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა აღინიშნებოდა. კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის თავმჯდომარე მუსა შანიბოვი აღნიშნავდა, “თუ რუსეთი ჩენეთს ომს გამოუცხადებდა, მთელი სამყარი დაირაზმებოდა ჩენეთის დასახმარებლად და შეეცდებოდა რუსეთ-კავკასიის ომში კავკასიელი ხალხის დამარცხების თავიდან აცილებას” (გაზეთი № 13). მთიელ ხალხთა კონფედერაციის პირველი შეხვედრები და განცხადებები აჩვენებს, რომ ახალი ორგანიზაცია არა დიალოგის პლატფორმა, არამედ დავის ახალი არენა იყო. თითოეული წევრი/სუბიექტი ან მისი წარმომადგენლი, საკუთარი კერძო ინტერესის გატარებას ცდილობდა. ამგვარად, მთიელ ხალხთა კონფედერაცია კიდევ ერთ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, რომელიც კავკასიის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დაპირისპირებას უწყობდა ხელს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთიან კავკასიაში საქართველოს როლის თაობაზე გამართული დისკუსია. შანიბოვი მწუხარებას გამოთქვამდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის გამო, თუმცა დასძენდა, რომ ქართველების მიერ ოსების დამორჩილებას და დაჩაგვრას არ დაუშვებდა. მისი განცხადებით, კავკასიური კონფედერაცია ემხრობოდა “კავკასიელი ხალხების ერთიანი თავდაცვის ძალების შექმნას, რომელიც, რეგიონში ომის თავიდან ასაცილებლად, სამხრეთ ოსეთში განთავსებოდა” (გაზეთი № 13). გამოსვლის დასასრულს შანიბოვმა დასძინა, რომ კონფედერაციის პოზიცია აფხაზებისადმი ქართველების დამოკიდებულებით და მოქმედებებით იქნებოდა განპირობებული. დელეგატებმა ერთხმად დაგმეს რუსეთის ხელისუფლება მისი “ანტიკავკასიური პოლიტიკის” გამო, რადგანაც ეს უკანასკნელი ანტიკომუნისტურ, ანტიბოლშევიკურ და ანტიცარისტულ შეფერილობას ატარებდა. ახლადჩამოყალიბებული ორგანიზაციის ლიდერების განცხადებები ადასტურებდნენ, რომ კონფედერაციის მომავალი მისია თავდაპირველად საკმაოდ ბუნდოვანი იყო, თუმცა მოგვიანებით სეცესიურად განწყობილმა აფხაზებმა კონფედერაციაში სწორედ ის დამატებითი ინსტიტუტი “იპოვეს” რომლის მეშვეობითაც დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მათი პრეტენზიები და უკმაყოფილებები გაახმოვანეს.

კონფედერაციის შექმნის იდეისადმი გამსახურდიამ იმთავითვე ნეგატიური პოზიცია დააფიქსირა და მას კავკასიაში კრემლის კიდევ ერთი პროვოკაცია უწოდდა. მისი განცხადებით, კავკასიის ხალხებს საკუთარი განვითარების გზა თა-

ვად უნდა აერჩიათ, ხოლო მთიელ ხალხთა კონფედერაცია თავსმოხვეული კონსტრუქტი, კიდევ ერთი იმპერიული მექანიზმი იქნებოდა რუსეთის ფედერაციის ხელში, რათა კავკასიის ხალხები საკუთარი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. გამსახურდიასთვის, “მთიელ ხალხთა ასამბლეა” 1920-იანი წლების ე.წ. “ჩრდილოეთ კავკასიის წითელი რესპუბლიკის”⁴⁴ ექოს წარმოადგენდა, რომელიც “ჩეჩნეთმა საკუთარი რესპუბლიკის შემქმნის მიზნით დატოვა” (გაზეთი № 76, გვ. 3). უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზი ინტელექტუალების და საჯარო პირების ერთმა ნაწილმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა კონფედერაციას, რომელიც ორგანიზაციის ანტიქართული განწყობის შემსუბუქებას ისახავდა მიზნად. წერილში ხაზგასმული იყო კავკასიის ხალხების ერთიანობის როლი წარსული უთანხმოებების დაძლევაში და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და გამოკვეთილი იყო ის ტანჯვა, რომელიც რუსეთის იმპერიამ კავკასიის ხალხებს მოუტანა. თუმცა “1992 წლის 31 მაისს, მუჰაჯირობისადმი მიძღვნილ სპეციალურ ღონისძიებაზე ქართველები იქნენ დადანაშაულებულნი და გაისმა საქართველოს წინააღმდეგ საღვთო ომის მოწოდება. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ სედა სარქისიანმა, პოლიტიკური მოძრაობა *კრუნკის* წევრმა, ქართველები აფხაზების გენოციდში დაადანაშაულა” (გაზეთი № 8, გვ. 1). მიმართვის ავტორები საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში მთიელ ხალხთა კონფედერაციის ჩარევის ჭეშმარიტი მიზეზებით ინტერესდებოდნენ და აქცენტს კავკასიაში რუსეთის ფედერაციის წარსულ და აწმყო მოქმედებებზე აკეთებდნენ.

საქართველოს ტერიტორიაზე და, კერძოდ აფხაზეთში, ჩრდილო კავკასიური სამხედრო ფორმირებები 1992 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ჯარების აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველი გადაადგილების პასუხად გამოჩნდნენ. 1992 წლის 14 აგვისტოს რადიოინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მობილიზებული იყო დაახლოებით 500 მეგრძოლი, რომელიც საქართველოზე თავდასხმისთვის იყო მზად. “თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება, მაშინ საქართველოს ხელისუფლება იძულებული იქნება კონტროლს მიმართოს” (გაზეთი № 30, გვ. 1), აცხადებდა შევარდნაძე. 1992 წლის 23 აგვისტოს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის

⁴⁴ აქ აუცილებელია მცირე დახუსტება. 1920-იან წლებში შეიქმნა მთის რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა (იარსება 1921-1924 წლებში). გამსახურდიას განცხადებაში მცირე გაუგებრობაა, მან განაცხადა, რომ “*მთიელ ხალხთა ასამბლეა 1920-იანი წლების ე.წ. ჩრდილოეთ კავკასიის წითელი რესპუბლიკის* გამოძახილს წარმოადგენდა, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს შემქმნის მიზნით ჩეჩნეთმა დატოვა” (იხ. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*, 28 მარტი 1991). ამგვარად, გამსახურდიამ არასწორად მოიხსენია ეს ერთეული. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამსახურდია ასე აღიქვამდა ამ ერთეულს, რადგან ის იმთავითვე მოსკოვის შექმნიდალ მიიჩნდა.

პირველი მოადგილე, თამაზ ნადარეიშვილი ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ “ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის წარმომადგენლების აფხაზეთის საშინაო საქმეებში ჩარევას, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მობილიზაცია მოჰყვებოდა, რეგიონის მთელი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად” (გაზეთი № 36, გვ. 2). უფრო ადრე, 1992 წლის 30 ივნისს, ნადარეიშვილი აცხადებდა, რომ “აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების კონფედერაციის სამხედრო ფორმირებების ყოფნა და გუდაუთაში მათი მობილიზაცია, კიდევ უფრო ამწვავებდა არსებულ სიტუაციას” (გაზეთი № 56, გვ. 2). შევარდნაძე კიდევ უფრო რადიკალურად იყო განწყობილი და დასძენდა, რომ “კონფედერაციის შექმნა საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის დაშლას და მისი ისტორიულად განუყოფელი მიწის – აფხაზეთის – მიტაცებას ისახავდა მიზნად” (გაზეთი №60, გვ. 1).

კონფედერაციის პრეზიდენტმა და კონფედერაციის პარლამენტის თავმჯდომარემ კონფედერაციის სამხედრო ძალების მობილიზაციის სპეციალური ბრძანებულება გამოსცეს, რომლის თანახმად:

- კონფედერაციის ყველა შტაბს სამხედრო წინააღმდეგობა უნდა გაეწია აგრესორებისადმი და ისინი სასწრაფოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა განლაგებულიყვნენ;

- კონფედერაციის ყველა სამხედრო შენაერთი უნდა ჩაბმულიყო სამხედრო ოპერაციაში და ნებისმიერ ფასად შეედწიათ აფხაზეთის ტერიტორიაზე;

- საქართველოს დედაქალაქი – თბილისი – უბედურების ზონად უნდა გამოცხადებულიყო და იქ ტერორისტული თავდასხმები მოწყობილიყო;

- კონფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ქართველი მძევლად უნდა ჩათვლილიყო;

- მობილიზაცია 1992 წლის 22 აგვისტოს 24:00 საათამდე უნდა დასრულებულიყო (გაზეთი № 60, გვ. 1).

ცხადია, რომ აფხაზეთში ეთნიკური დაძაბულობის პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე, ჩრდილოეთკავკასიელებმა დაიწყეს სწრაფი და ეფექტური მოქმედებები. ამგვარად, მართებულია მორანდის (2008) მტკიცება, რომ აფხაზეთმა დაუყოვნებლივ მიიღეს დახმარება ჩრდილოეთ კავკასიის არაოფიციალური ანტიქართული მოძრაობებისაგან. “ათასობით მოხალისე შეიარაღებული მებრძოლი, ძირითადად ჩეჩნები და კაზაკები მთის გადასასვლელებით ჩავიდნენ აფხაზეთში. განსაკუთრებით კი აფხაზეთთან მონათესავე ჩრდილო კავკასიელი ხალხები იყვნენ აღტკინებულნი: ყაბარდოელები, ჩერქეზები და ადიღეელები” (გვ. 22). ანაღ-

ოგიურად, დე ვაალიც (2010) აღნიშნავს, რომ რამდენიმე ასეულმა ჩრდილოეთ კავკასიელმა მოხალისე ჯარისკაცმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზე-ბის გამარჯვებაში: “ისინი შთაგონებულნი იყვნენ მთიელ ხალხთა კონფედერაცი-ის ახალი იდეით, რომელსაც კავკასიის მცირე ხალხებისთვის დამოუკიდებლობა მოჰქონდა” (გვ. 160). თუმცა, ბასაევის პერსონა და აფხაზი ხალხის № 1 მხარ-დამჭერიდან რუსეთის ფედერაციის № 1 ტერორისტად მისი ტრანსფორმაცია მრავლისმთქმელია კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის “დამოუკიდებელ” როლზე, როგორც ზოგადად კავკასიაში მიმდინარე პოსტსაბჭოთა პროცესებში, ასევე კონკრეტულად აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში.

3.2. კონფედერაციის აფხაზური ხედვა

1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზებს შორის კვლავ გამოცოცხლდა კავ-კასიის გაერთიანების იდეა. ეს პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლის და აფხა-ზური ნაციონალური მოძრაობის ფორმირების საწყის პერიოდს დაემთხვა. მარ-თლაც, აფხაზები სულ მცირე, ახალი და საბჭოთა კავშირში მათთვის ბოძებულ სტატუსზე უფრო ფართო სტატუსის მოპოვებას ესწრაფოდნენ. ვინაიდან რუსე-თის ფედერაციის მომავალი პოლიტიკა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, დამოუკ-იდებლობაზე ორიენტირებული აფხაზები მათი პრეტენზიების განსამტკიცებელ საფუძვლებს ეძებდნენ. ამ მხრივ, საქართველოს რესპუბლიკასთან წამოყენებული პრეტენზიების გასამყარებლად კარგ საწყისს წარმოადგენდა ახალი კონფედერა-ციის სტრუქტურა. ომის დაწყებასთან ერთად, რეგიონში მებრძოლების ორგანი-ზებული ჯგუფების რეგულარულ გაგზავნით კონფედერაციამ დახმარება გაუწია აფხაზურ სამხედრო შენაერთებს. ოგუზი (1999) მართებულად შენიშნავს, რომ კონფედერაცია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების კიდევ ერთი დამატებითი გა-მამწვავებელი ფაქტორი აღმოჩნდა: “ჩენები ორგანიზაციას დამოუკიდებლობის-თვის ბრძოლის ინსტრუმენტად განიხილავდნენ, ხოლო კონფედერაციის ხელ-მძღვანელობას ის რეგიონული თანამშრომლობის ფორუმად წარმოედგინა. რეალ-ურად, კავკასიის რეგიონის სამ სხვადასხვა კონფლიქტთან – აფხაზეთის, ინგუ-შეთ-ოსეთის და ჩეჩნეთის – მიმართებაში კონფედერაციას რადიკალურად გან-სხვავებული პოზიცია ჰქონდა” (გვ. 21).

აფხაზი ელიტის ცნობილმა წარმომადგენელმა, სტანისლავ ლაკობამ კავკა-სიური კონფედერაციის მომავლის ახალი ხედვა წამოაყენა, სადაც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია ერთად იყვნენ წარმოდგენილნი. ლაკობას (1998) თანახმად, კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებს და მხარეებს თავი სუვერენულ სახელ-

მწიფოებად უნდა გამოეცხადებინათ, ხოლო მოგვიანებით, საკუთარი განცხადების საფუძველზე, ახალი ალიანსი ჩამოყალიბებინათ. ეს ახალი გაერთიანება – კავკასიის კონფედერაცია – მოიცავდა ჩეჩნეთს, დაღესტანს, საქართველოს, ინგუშეთს, ოსეთს, ყაბარდოს, ყარაჩაი-ბალყარეთს, აფხაზეთს და ადიღეს, რომლებიც თანასწორი წევრების სახით იქნებოდნენ წარმოდგენილნი (ინტერნეტ წყარო № 70, გვ. 102-103). ლაკობა ამტკიცებდა, რომ ეს ურთიერთობა კონფედერაციულ ალიანსში გადაიზრდებოდა, რომელიც ძირითად პრობლემას მოაგვარებდა: რეგიონის ხალხები (მათ შორის ქართველები და აფხაზები) “ურთიერთობაში ერთსა და იმავე დროს ერთად და ცალ-ცალკე იქნებოდნენ წარმოდგენილნი; დროსთან ერთად, კავკასიის კონფედერაცია ფედერაციად გარდაიქმნებოდა, მხოლოდ ეს მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ მოხდებოდა” (ინტერნეტ წყარო № 70, გვ. 103).

აფხაზეთის ნაციონალური მოძრაობის აიდგილარას ვიცე-თავმჯდომარე აღნიშნავდა, რომ “ქართველები დიდი ტრადიციის და კულტურის მატარებელი ხალხი იყო და ამ ქვეყანას (საქართველო) მართლაც გააჩნდა შანსი კავკასიელი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე გამხდარიყო” (გაზეთი № 13). ისიც აღინიშნა, რომ „საქართველომ დაკარგა ეს შანსი.“ ამასთანავე, კონფედერაციის წევრებს საერთო პოზიცია არ ჰქონდათ საქართველოსთან მიმართებაში. ჩეჩენი ხალხის გაერთიანებული კონგრესის წევრი, ლიომა უსმანოვი აღნიშნავდა, რომ “ძნელი წარმოსადგენი იყო კავკასიის კონფედერაცია საქართველოს გარეშე,” ხოლო დავით პაიჭაძე კავკასიის დემოკრატიული ძალების გაერთიანების მოწოდებით გამოდიოდა (გაზეთი № 13). ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სტრუქტურის მომავლის ბუნდოვანმა და მნიშვნელოვანწილად ანტიქართულმა ხედვამ დიდად განაპირობა პოსტსაბჭოთა კავკასიის ტრანსფორმაციაში მისი არაორგანიზებული და ნეგატიური როლი.

კონფედერაციის წარმომადგენელთა ანტიქართული განწყობა გარკვეული წყაროებით დასტურდება. 1992 წლის 28 მაისს *ნეზავისიმია* გაზეტაში გამოქვეყნებულ სტატიაში, ლიანა მინასიანი წერდა, “ე.წ. სამხრეთ ოსეთის ლიდერები ყველა ძალასთან თანამშრომლობისათვის მზად იყვნენ, რადგანაც რუსეთის ფედერაცია აგვიანებდა პოზიციის დაფიქსირებას.” ასეთი მხარდაჭერა წამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციისაგან. ანალოგიურ ანტიქართულ პოზიციაზე იყო გაზეთი *როსიისკაია გაზეტა*, სადაც გამოქვეყნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის, ანდრანიკ მიგრანიანის სტატია, ავტორი აღნიშნავდა, რომ “კავკასიაში სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი ომს აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. სახელ-

მწიფოები, მათ შორის სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი, ხოლო დროსთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიელებიც, ოსების მხარეს ჩაებმებიან საქართველოს წინააღმდეგ ომში” (გაზეთი № 13). მიგრანიანი განაწყენებულიც კი იყო იმ ფაქტის გამო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ დროულად ვერ შეამჩნია სამხრეთ ოსეთის ხალხის მისწრაფება რუსეთის ფედერაციის წევრობისაკენ. მისი განცხადებით, თუ რუსეთი მხარს დაუჭერდა საქართველოს, სამხრეთ ოსეთი ვერ გაუძლებდა რუსეთის ფედერაციის უსამართლო მოპყრობას, რადგანაც ქვეყნის შიგა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში მას არახელსაყრელ პოზიციაში აყენებდა (გაზეთი № 13).

თარხან-მოურავი (1998) აღნიშნავდა, რომ “კავკასიის ხალხების კონფედერაციამ სოხუმი დედაქალაქად მისი სანაპიროზე მდებარეობის გამო აირჩია” (ინტერნეტ წყარო № 103, გვ. 76). გარკვეულწილად, კავკასიის კონფედერაციის მულტიეთნიკური იდეა განტკიცებული იყო აფხაზების მიერ. როგორც თარხან-მოურავი (1998) შენიშნავს, აფხაზი მეცნიერის, გიორგი ოტირბას, აზრით “აფხაზები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ... წამების და ჩაგვრის საერთო ისტორიის გათვალისწინებით ... აფხაზები იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიასთან ღია საზღვრების შესაქმნელად, კერძოდ აღიდეგლებთან დაუბრკოლებელი კულტურული და ეკონომიკური კავშირებისთვის” (ინტერნეტ წყარო № 103, გვ. 92). აფხაზები კონფედერაციის სასარგებლოდ კულტურული მონათესაობის არგუმენტს ააქტიურებდნენ, რადგანაც აფხაზების პრეტენზიებს საქართველოსგან დამოუკიდებლობაზე აფხაზებსა და კონფედერაციას შორის არსებული მჭიდრო კავშირები ამყარებდა და გარკვეულ დამატებით გარანტიებს წარმოშობდა.

აფხაზების კონფედერაციის შემადგენლობაში შეყვანა დაგემეს ქართველი და აფხაზი ინტელექტუალების ერთმა ნაწილმა. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციისადმი მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის კონფედერაციაში შესვლასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა რეფერენდუმი; გარდა ამისა, აფხაზეთის ქრისტიანი მოსახლეობის 90 პროცენტს არ სურდა კონფედერაციაში შესვლა (გაზეთი № 8, გვ. 1). თსუ-ს სოხუმი ფილიალის პროფესორი წერდა, რომ კონფედერაციაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაწევრიანების საკითხი აფხაზეთის ხალხის საერთო თანხმობის საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო. განცხადებაში უარყოფილი იყო რელიგიურ საფუძველზე კონფედერაციაში გაწევრიანება: “კონფედერაციაში ხალხის გაერთიანება ისლამის რელიგიას ეფუძნება, ხოლო აფხაზების დიდი უმრავლესობა (90 პროცენტი) ქრისტიანული აღმ-

სარებლობისაა” (გაზეთი № 29). განცხადება ეთნიკურ აფხაზებს და ქართველებს საერთო პოზიციის შეჯერებისკენ მოუწოდებდა; ამასთანავე აღნიშნული იყო, რომ პრობლემის გადაჭრა ორი ეთნიკური ჯგუფის შერიგებას შეუწყობდა ხელს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო [ჩრდილო] კავკასიური პლატფორმის ჩამოყალიბების პროცესში ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულებიდან აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მხოლოდ ჩეჩნეთის პოზიცია იყო ბუნდოვანი. ჩეჩნეთპრესის თანახმად, “აფხაზების მხარეზე მებრძოლი ნებისმიერი ჩეჩენი მეომარი ჩეჩენი ხალხის მტრად იქნებოდა მიჩნეული და ჩეჩნების ინტერესების გამყიდველად ჩაითვლებოდა” (გაზეთი № 40). თუმცა, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სამხედრო ნაწილების მეთაური შამილ ბასაევი აცხადებდა, რომ “სანამ ომი წარმოებს ქართველებსა და აფხაზებს შორის და აფხაზები ზეწოლის ქვეშ არიან, ჩეჩნები მხარს აფხაზებს დაუჭერენ. მაგრამ თუ რუსეთსა და საქართველოს შორის ომი დაიწყება, ჩეჩენი მოხალისეები საქართველოს გაუწევენ დახმარებას” (გაზეთი № 40).

აფხაზეთში სიტუაციის გაუარესებასთან ერთად, კონფედერაცია კიდევ უფრო აგრესიული გახდა. აფხაზეთში მიმდინარე პროცესების თაობაზე მოსკოვსა და თბილისს შორის გამართული მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდის შემდეგ კონფედერაციის პრეზიდენტი, მუსა შანიბოვი, აცხადებდა, რომ რუსეთის მიერ თბილისთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზის არჩევა გაართულებდა ჩრდილოეთ კავკასიური რესპუბლიკებში არსებულ სიტუაციას. ამ განცხადებას მოჰყვა მოლაპარაკებების რაუნდი აფხაზეთის საკითხის შესახებ, რომელიც 1993 წელს სოჭში გაიმართა (გაზეთი № 38). უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიას არ ჰქონდა შემუშავებული ერთიანი პოზიცია. ყუბანის კაზაკების ატამანი, პოლკოვნიკი ვ.პ.გრომოვი, საქართველის რესპუბლიკის პარლამენტის/სახელმწიფოს მეთაურის, შევარდნაძისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: “ყუბანის კაზაკები არ ჩაერვიან აფხაზეთის პროცესებში და კაზაკების სამხედრო შენაერთები არასდროს არ ჩასულან და არც ჩავლენ რეგიონში”. ამასთანავე ის იზიარებდა შევარდნაძის მწუხარებას აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებში “კაზაკების ცალკეული შენაერთების მონაწილეობის გამო” (გაზეთი № 16, გვ. 1).

თუმცა, მსგავსი განცხადებები იშვიათი იყო და კონფედერაცია მეტწილად საქართველოსადმი აგრესიულ პოლიტიკას ინარჩუნებდა. 1993 წლის 9 თებერვალს, სატელევიზო პროგრამა *ნოვოსტიმ* დაიმოწმა *ნეზავისიმია* გაზეთა და განაცხადა, რომ “კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია დაახლოებით 400-კაციანი შე-

მადგენლობის მქონე სამხედრო ნაწილებს აყალიბებდა, რომელიც ჩრდილო კავკასიელი ხალხების – კაზაკების, ასევე თურქეთში, სირიაში და იორდანიაში მცხოვრები ჩერქეზების წარმომადგენლებს გააერთიანებდა. ამ ნაწილების მიზანს აფხაზ არალეგურალურ საჯარისო ნაწილებთან შეერთების მიზნით რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთა წარმოადგენდა” (გაზეთი № 20, გვ. 1).

ეს შეიძლება შეფასდეს როგორც რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, რაც ამასთანავე არღვევდა 1992 წლის 3 სექტემბერის შეთანხმებას და საქართველოს სუვერენული ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ამ შემთხვევაში, სულ მცირე, რუსეთი შეიძლებოდა მოხსენიებულიყო როგორც გულგრილი აფხაზეთში/საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებაში, მაგრამ, მეორეს მხრივ, ის შეიძლებოდა აფხაზი სეპარატისტების არაპირდაპირ მხარდაჭერაში დადანაშაულებულიყო, რადგანაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად სამხედრო დანაყოფებს აფხაზეთში შეღწევის საშუალებას აძლევდა.

კონფედერაციის მონაწილეობა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში კიდევ უფრო აშკარა გახდა 1993 წლის ოქტომბრის მიწურულს. 1993 წლის 26 ოქტომბერს სოხუმში გაიმართა კონფედერაციის პარლამენტის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ ოსეთის, ინგუშეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, დაღესტნის და ყაბარდოს წარმომადგენლებმა. დელეგატებმა დაადასტურეს მხარდაჭერა სეპარატისტი აფხაზებისადმი და რუსეთისადმი სპეციალური მიმართვა შეიმუშავეს, რითაც რეგიონის (აფხაზეთი) ეკონომიკური ბლოკადის დასრულება მოითხოვეს. ამავე დროს, კონფედერაციის სამხედრო ნაწილები დარჩებოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე (გაზეთი № 59, გვ. 1). ძნელი წარმოსადგენია, რომ კონფედერაციის შეიარაღებული ნაწილების აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსება რუსეთის ფედერაციის თანხმობის გარეშე გადაწყდა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, კონფედერაციის წარმომადგენლები ჩავიდნენ ზუგდიდში გამსახურდიას და მისი მომხრეების მხარდასაჭერად. საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, “ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილზე კონტროლის დამყარებას, ხოლო სოხუმის კონფედერაციის შტაბბინად გადაქცევას” (გაზეთი № 19, გვ. 1). საქართველოს ხელისუფლება იმედს გამოთქვამდა, რომ რუსეთის ფედერაცია ადექვატურ ზომებს მიიღებდა და წინ აღუდგებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე არალეგალურ და პროვოკაციურ მოქმედებებს, რადგანაც მიმდინარე მოვლენები შეიძლებოდა უფრო ფართო მასშტაბებში გადაზრდილიყო.

კონფედერაციის პარლამენტის სესიამ 1993 წლის 26 ოქტომბერს ცალკე მიმართვა გაუგზავნა ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც გამოხატავდა აფხაზეთისადმი წარმოებულ “შოვინისტურ და აგრესიულ პოლიტიკას” და აფრთხილებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ სამხედრო აგრესიის განახლებას გამანადგურებელი შედეგები მოჰყვებოდა საქართველოსათვის და ქართველი ხალხისათვის. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ “ჩრდილო კავკასიელი ხალხები დაიცავდნენ აფხაზი ხალხის ღირსებას და უზრუნველყოფდნენ გარე ძალადობისგან მათს უსაფრთხოებას” (გაზეთი № 77, გვ. 2). თუმცა, თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაძაბული ურთიერთობების კონტექსტში შეიძლება აფხაზების მიერ ჩრდილო კავკასიელებთან კავშირების ძებნის სხვა მოტივზეც ვისაუბროთ: “პრაქტიკული მოსაზრებები გადასწონდა კავკასიური ეთნიკური სოლიდარობის სენტიმენტურ ხედვას. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოსთან კონფრონტაციის გაჭიანურების პარალელურად, აფხაზებს რუსეთის გარდა სხვა მოკავშირე არ ჰყავდათ, ვისაც დაეყრდნობოდნენ” (ინტერნეტ წყარო № 81, გვ. 20). ოგუზი (1999) ლაკონურად წარმოაჩენს კონფედერაციის, როგორც ერთიანი კავკასიის პოლიტიკური პროექტის კრახს: პირველ რიგში, მან ვერ მოახერხა კავკასიის ხალხების გაერთიანება; გარდა ამისა, აღიდეგლები და სხვა ეთნიკური ჯგუფები ახალ გაერთიანებაში წამყვანი პოზიციების დასაკავებლად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ; და ბოლოს, ყარაჩაელებმა და ბალყარელებმა ცალკე ჩამოაყალიბეს თურქი ხალხის ასამბლეა, რომელმაც ჩეჩნეთის და აზერბაიჯანის მხარდაჭერა მიიღო (გვ. 26).

3.3. კავკასიური სახლის იდეა – პრობლემის მოგვარება?

კავკასიური სახლის იდეა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტების მიერ განიხილებოდა როგორც პოსტსაბჭოთა იმპერიული რუსეთისგან თავის დაღწევის შანსი (ზვიად გამსახურდია), წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობა (ედუარდ შევარდნაძე) და რუსეთის დაბალანსება-შეკავების პლატფორმა (მიხეილ სააკაშვილი). ამ ქვეთავში გაანალიზებული იქნება კავკასიური სახლის, როგორც რუსეთისადმი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ერობლივი წინააღმდეგობის პლატფორმის აღმოცენების და კრახის მიზეზები; მისი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო პროექტად გარდაქმნა; ეს ყოველივე კი, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რეგიონულ სახელმწიფოებსა და გარე აქტორებს შორის არსებული დაპირისპირებების ფონზე იქნება წარმოჩენილი.

კავკასიური სახლის შესახებ ქართველი, აფხაზი და რუსი პოლიტიკოსების და ექსპერტების ურთიერთგამომრიცხავმა მოსაზრებებმა შეუძლებელი გახადა მისი ინსტიტუციონალიზაცია. კავკასიური სახლი მკვდრადშობილი იდეა გამოდგა, რაც ამა თუ იმ ეპოქის პოლიტიკურმა კონიუნქტურამ განაპირობა; ამ პროექტისადმი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების განსხვავებულმა დამოკიდებულებამ და ჩრდილო კავკასიური ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულების ორგანიზაციამ პოზიციამ, ამასთანავე რუსეთის ფედერაციის პირდაპირმა თუ ირიბმა ჩარევამ რეგიონში, მნიშვნელოვნად განაპირობა კავკასიური სახლის პროექტის კრახი. რაც შეეხება კავკასიური სახლის, როგორც სამშვიდობო პროექტის, კრახს, ეს ამ იდეისადმი ქართველი და აფხაზი მეცნიერების და პოლიტიკოსების განსხვავებული პოზიციებით იყო გამოწვეული. ქართველების ხედვა სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს მათ კონფლიქტურ ტერიტორიებთან (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, მთიანი ყარაბაღი) გაერთიანებაზე კონცენტრირდებოდა; ხოლო აფხაზური ვარიანტი კავკასიური გაერთიანების შექმნას ისახავდა მიზნად, რომელიც საქართველოსთან შექმნილ საერთო სახელმწიფოში გააერთიანებდა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებს, აფხაზეთის-აპსნის ფედერაციულ რესპუბლიკას, სამხრეთ ოსეთს და აჭარის რესპუბლიკას (1990-იანი წლების დასასრული და 2000-იანი წლების დასაწყისი). 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის კავკასიური ერთიანობის ინიციატივები წარმოაჩენს წარსულ მტრობას, იწვევს სამხრეთ კავკასიური სახელმწიფოების არაორაზროვან პოზიციას რეგიონში თურქულ-ამერიკული მზარდი გავლენისადმი და აღიზიანებს სომხეთს შესაძლო აზერბაიჯანულ-ქართულ-თურქული ღერძის გამო, რომელიც თურქეთს ცენტრალურ როლს ანიჭებს კავკასიური სახლის პროექტში.

ერთიანი კავკასიურის სახლის იდეის წარმოშობის ზოგადი კონტექსტუალიზაციის შემდეგ, განვიხილოთ ის სამშვიდობო გეგმები, რომელიც კავკასიურ სახლის იდეის ბაზაზე 1990-იან წლებში სამხრეთ კავკასიური კონფლიქტების ცხელი ფაზის დასრულების შემდეგ წარმოიშვა. მოცემული ქვეთავი აჩვენებს, რომ კავკასიური სახლის იდეა თითოეული ეპოქის პოლიტიკური კონიუნქტურით განისაზღვრებოდა და მასზე ზეგავლენას ახდენდა რეგიონის გარეთ არსებული მოთამაშეები, რომელთაც საკუთარი ინტერესები გააჩნდათ რეგიონში. მთლიანობაში, კავკასიური სახლის იდეა სხვადასხვაგვარად იქნა აღქმული თითოეული აქტორის მიერ, ამგვარად საეჭვოა, ან კავკასიური სახლის იდეის ფარგლებში, ან რომელიმე მსგავსი კავკასიური პლატფორმის მეშვეობით, რეგიონში მოქმედ

დაპირისპირებულ აქტორებს შორის საერთო პოზიციის შეჯერება მოხერხდეს. და ბოლოს, უნდა გვახსოვდეს, ნებისმიერი რეგიონული ინიციატივა უფრო გარე ძალების “მოხმარებისთვის” შექმნილი პროექტია, ვიდრე მომავალი თანამშრომლობის თაობაზე გამართული შიგარევი რეგიონული დიალოგის შედეგი.

კავკასიური სახლის იდეა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა მთიელ ხალხთა კონფედერაციისგან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პერიოდულად აქტიურდებოდა ქართულ პოლიტიკურ წრეებში. ამ იდეის განხორციელება სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ გამსახურდიას და შევარდნაძეს: თუკი პირველს ის იმპერიული რუსეთისადმი წინააღმდეგობის ერთიან პლატფორმად ესახებოდა, შევარდნაძისთვის ის კავკასიის სამშვიდობო ინიციატივას წარმოადგენდა. “გამსახურდია მოხიბლული იყო ერთიანი კავკასიური სახლის იდეით. ეს უტოპიური იდეა გამოწვევას უგზავნიდა რეგიონში მოსკოვის დომინირებას,” ამტკიცებს გორდაძე (2009, გვ. 30). საპირისპიროდ, შევარდნაძესთვის ერთიანი კავკასიური სახლი საქართველოსთვის ეთნო-პოლიტიკური პრობლემებისგან თავის დაღწევის და კავკასიის ხალხებს და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენდა. აფხაზ ინტელექტუალთა ნაწილი არ იყო აღფრთოვანებული გამსახურდიას მიერ შეთავაზებული კავკასიური ერთობის იდეით და მას “პოსტიმპერიალიზმის ფორმად მოიხსენიებდნენ” (ინტერნეტ წყარო № 6, გვ. 8).

1992 წლის 14 სექტემბრის რადიო ინტერვიუში შევარდნაძემ კომენტარი გააკეთა კავკასიური სახლის იდეაზე. მისი თქმით, თავად იდეა, ოპტიმისტურ პროექტს წარმოადგენდა და შეიძლებოდა გარკვეული პოზიტიური შედეგები მოეტანა; თუმცა, აფხაზეთში წარგზავნილი ჩეჩენი მეომრების ფაქტორის გათვალისწინებით, მას პროექტის რეალიზაციის პერსპექტივა აფიქრებდა. “ახლა არ არის შესაფერისი დრო ერთიანი კავკასიურ სახლზე სასაუბროდ, იმ დროს, როდესაც ერთი ქვეყანა ან სახელმწიფოს მსგავსი სტრუქტურული წარმონაქმნი მის ჯარისკაცებს დესტაბილიზაციის გამოსაწვევად მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე აგზავნის, ეს პოლიტიკურ ავანტიურას წარმოადგენს,” (გაზეთი № 26, გვ. 2) აღნიშნავდა შევარდნაძე. ის ადასტურებდა, რომ ფიქრობდა კავკასიური სახლის იდეაზე, მაგრამ საერთო მოდელის შესაქმნელად რეალურ საფუძველს ვერ ხედავდა.

ჩემი აზრით, ერთიანი კავკასიური სახლის იდეა, რომელ პერიოდშიც არ უნდა განვიხილოთ, პოლიტიკური კონიუნქტურით იყო განპირობებული. 1990-იან წლებში კავკასიური სახლის კონცეფციის აღმოცენება საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა, თუმცა ვერ მოხერხდა მკაფიო ფორმულირება თუ რა სახის

ერთობის ჩამოყალიბებაზე იყო საუბარი. ახალი პოლიტიკური პროექტის მომხრეთა ერთი ნაწილი ან კავკასიურ პარლამენტზე საუბრობდა, ან ევროპის კავშირის მსგავს წარმონაქმნზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ანალოგია საერთო კულტურულ ფასეულობებს ეფუძნება, ხოლო კავკასიურ ერთობას არანაირი საერთო საფუძველი არ გააჩნდა, იქნებოდა ეს კულტურული, ეკონომიკური თუ რაიმე სხვა გამაერთიანებელი მექანიზმი. ერთიანი კავკასიური სახლის პროექტი მხოლოდ კავკასიის ხალხების კონფედერაციის პოლიტიკურ სტრუქტურაში მატერიალიზდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ერთობას ნეგატიური გავლენა ჰქონდა კავკასიელი ხალხების მომავალ ურთიერთობებზე. ერთიანი კავკასიური სახლის იდეის კონტექსტში ასევე მხედველობაშია მისაღები კავკასიის ორ – ჩრდილოეთ და სამხრეთ – პოლიტიკურ ნაწილებად დანაწევრების ფაქტორი.

კავკასიის და კავკასიური ხალხების შემაკავშირებელი პროექტის შემუშავების პროცესში კავკასიური ერთობის გამაერთიანებელი კრიტერიუმები, იქნებოდა ეს პოლიტიკური თუ კულტურული, ბუნდოვანი და დაუდგენელი რჩებოდა. გაჯიევი (2001) აღნიშნავს, რომ შეუძლებელია მოიძებნოს რაიმე ტიპის შეთანხმება ჩრდილო კავკასიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ინსტიტუტების შექმნისათვის. ეს ასევე მართებულია კონფედერაციის ჩამოყალიბებასთან მიმართებაში. გაჯიევის თანახმად, ამას კონფედერაციის შემქმნელებიც აღნიშნავენ: ისინი მიზნად ისახავდნენ მთის ხალხების კონსოლიდაციას, ხოლო დამოუკიდებელი ჩრდილო კავკასიური სახელმწიფოს შექმნა შორეული მომავლის ამოცანად ესახებოდათ, რომელიც 15, ან 30 წლის შემდეგ თუ განხორციელდებოდა (გვ. 81). კონფედერაციის სახით მოაზრებული ძირითადი იდეა, რომელიც ამ სტრუქტურის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმად გარდაქმნას გულისხმობდა, ვერ განხორციელდა. უფრო ნეიტრალური იყო მშვიდობიანი კავკასიის კონცეფცია, რომელიც, კავკასიური სახლისაგან განსხვავებით, რაიმე სახის ერთობის ჩამოყალიბებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ მოლაპარაკებების და ორმხრივი თანხმობის საფუძველზე საერთო ინტერესების და მშვიდობიანი თანაარსებობის ჩამოყალიბებას ესწრაფოდა.

1996 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, აზერბაიჯანის პრეზიდენტ, ჰეიდარ ალიეევთან ერთად, წარმოადგინა “მშვიდობიანი კავკასიის” იდეა, რომელსაც პოზიტიურად გამოეხმაურნენ თურქეთის და რუსეთის პრეზიდენტები. ამას მოჰყვა ქართულ-აზერბაიჯანული ერთობლივი განცხადება კავკასიის რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების თაობაზე. როი აღისონი (2004) ამტკიცებს, რომ “1997 წლის სექტემბერში შევარ-

დნაძე დათანხმდა მასხადოვთან კონსულტაციების გამართვას იმ იმედით, რომ ამას შეიძლებოდა პოზიტიური როლი ეთამაშა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში; იმ შემთხვევაში თუ რუსეთი დისტანციას შეინარჩუნებდა კავკასიის მომავლის თაობაზე საქართველოს მიერ წარმოდგენილ გეგმებისაგან” (გვ. 107). 1996 წელს ქართველი პარლამენტარები სხვადასხვა სახის კავკასიურ პარლამენტს განიხილავდნენ და 1997 წელს უკვე კავკასიის ხელისუფალთა საკოორდინაციო საბჭო დაფუძნდა. სტივენ ჯონსის (2003) შეფასებით, ეს “ცალკეულ ინტერესებზე დაფუძნებული ინიციატივა ... გამსახურდიას უფრო ამბიციური სქემების და კავკასიის გაერთიანების უფრო ადრეული მცდელობების – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის (1918) და ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (1922-1936) – სუსტ გამოძახილს წარმოადგენდა (გვ. 94).

1990-იანი წლების ბოლოს მოხერხდა იმის გაცნობიერება, რომ აუცილებელი იყო ერთიანი კულტურული ასპექტების მოძებნა, პოლიტიკური ერთობის პარალელურად. კავკასიური ერთობის იდეა წამოყენებულ იქნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას მიერ. კავკასიური ერთობა, აცხადებდა ის “წამოადგენს არ მხოლოდ პოლიტიკურ კონცეფციას, არამე ეს არის ჰომოგენური და ამავე დროს, საკმაოდ მრავალფეროვანი წარმონაქმნი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ამ პარალელურმა პროცესებმა აუთენტური კავკასიური სოციალური და კულტურული ინსტიტუტების ჩამოყალიბება განაპირობა” (ძჰვანიძე, 1998, გვ. 7). ამ არგუმენტის გასამყარებლად, მაშინდელი კულტურის მინისტრი, ვალერი ასათიანი (1998) ამტკიცებდა, რომ კავკასიელ ხალხებს შორის არსებობდა საერთო ფსიქოლოგიური წყობა, კავკასიური მენტალიტეტი, ტემპერამენტი, ფასეულობები და იდეები (გვ. 37). ამგვარად, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ პოლიტიკური პროექტის, ხოლო, მეორე მხრივ, მისი (რეალური) კულტურული საფუძვლების გამიჯვნა, რაც კავკასიური ერთობის ნებისმიერი იდეის განხორციელების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული განსხვავებები, რომლებიც მყარად იყო დაფიქსირებული რეგიონის ხალხების მენტალობასა და ისტორიაში, არ აღმოჩნდა ადვილად დასაძლევო მემკვიდრეობა; განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო მშვიდობიანი ტრანსფორმაცია. ეს იმ ფაქტის კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ წარსულზე დამოკიდებულება მძლავრად ვლინდება რეგიონის პოსტსაბჭოთა პროცესებში და ახალ ინსტიტუციურ წარმონაქმნებს, პირველ რიგში, წარსულ ნეგატიურ გამოძახილებთან მოუწევთ გამკლავება.

ამ თემისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში კავკასიური ერთობის არსებობა საკამათო საკითხია. შემთხვევითი არ არის, რომ არსებული ლიტერატურა ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის კულტურულ ერთობას უსვამს ხაზს და არ ეხება ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის არსებულ კულტურულ კავშირებს. როგორც ტატუნცი აღნიშნავს, კავკასიური ერთობა უფრო ჩრდილო კავკასიელი ხალხის რეალობაა და შეუძლებელია ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხების გაერთიანება. კვიციანი და კოპალიანი (2001) კი ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის არსებობას ამტკიცებენ და კავკასიელი ხალხების ტრადიციულ კულტურაში არსებულ საერთო ელემენტებზე ამახვილებენ ყურადღებას (სტუმარ-მასპინძლობა, ფუნქციების დანაწილება ოჯახში, ცხოვრების სპეციალური წესები, პატივისცემა და ა.შ.). ისინი აცხადებდნენ, რომ წარსულის წნეხი, როდესაც კავკასიის სხვადასხვა მხარეები სხვადასხვა პოლიტიკური ძალების გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი, დღეს გაურკვეველობას წარმოშობს კავკასიური ერთობის აღქმის პროცესში (გვ. 6).

აღბათ სწორედ კულტურული ერთობის არარსებობა განაპირობებს კავკასიური ერთობის სხვადასხვა პროექტის კრახს. მაგალითად, 1990-იანი წლებში შემოთავაზებული მოდელები: 3+1 მოდელი, რომელიც 1996 წელს რუსეთმა წამოაყენა და რომელიც სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და რუსეთის კავშირს გულისხმობდა; ამავე დროს, რუსეთი მკაფიოდ აცხადებდა, რომ კავკასია მისთვის მნიშვნელოვანი რეგიონი იყო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით და ის ვერ ჩამოშორდებოდა რუსეთს (Исмаилов, აპავა, 2008, გვ. 286). ეუთოს სტამბულის სამიტზე, 1999 წელს, განხილულ იქნა 3+3+2 მოდელი, რომელიც რუსეთის, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, აშშ-ს/ევროკავშირის აღიანსს გულისხმობდა (Исмаилов, აპავა, 2008, გვ. 286). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანი აბსტრაქტულ მოდელებს უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე რელიზაციისთვის გამზადებულ პოლიტიკურ კონცეპტებს, რასაც მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი განაპირობებდა.

3.4.1. კავკასიური სახლი – დანაწევრებული კავკასია?

კავკასიური ერთობის სხვადასხვა პროექტებთან მნიშვნელოვან კონტრასტს ქმნიან რუს გეოპოლიტიკოსთა მიერ შემოთავაზებული ერთიანი კავკასიის ვერსიები. კავკასიის მომავლის ხედვა, რომელიც რუსმა გეოპოლიტიკოსმა ალექსანდრე დუგინმა წამოაყენა, მიზნად ისახავს არა რაიმე სახის ერთიანი კავკასიური პლატფორმის შექმნას, არამედ საქართველოს დანაწევრებას. დუგინის თანახმად,

რეგიონის ძირითად გეოპოლიტიკურ ღერძს ეთნიკური რეგიონების არა პოლიტიკური, არამედ ეთნო-კულტურული დანაწევრება, არა ინტეგრაცია, არამედ ჰორიზონტალური განცალკევება უნდა წარმოადგენდეს. ღუგინი ემხრობა „ერთიანი ოსეთის“ შექმნის და რუსეთსა და აფხაზეთს შორის პირდაპირი კავშირის დამყარების იდეას. ამის შემდეგ, დანარჩენი მართლმადიდებელი საქართველო უნდა გადაიქცეს კავკასიური სახლის ლიდერად, რომელიც კონტროლს დაამყარებს ჩეჩნეთზე, დაღესტანსა და ინგუშეთზე. ჩრდილოეთ კავკასიის ეს ნაწილი ჩამოყალიბდება ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რეგიონად და სტრატეგიულად პირდაპირ დაექვემდებარება რუსეთის ფედერაციას; ბოლოს, ღუგინი განიხილავს “კავკასიური ფედერაციის” შექმნის შესაძლებლობას, რომელიც გააერთიანებს სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკას და რუსეთის ფედერაციის შიგა ავტონომიურ სტრუქტურებს.⁴⁵ ამგვარად, სახეზეა კავკასიის მომავლის ხედვის განსხვავებული ვერსიები; ყველა მათგანი მათი ავტორის მოტივაციით და პოლიტიკური პლატფორმითაა განპირობებული. ძნელია არ დაეთანხმო კიკნაძეს (2002), რომელიც ამტკიცებს, რომ კავკასიური ერთობა მხოლოდ მითია და გაერთიანებული კავკასიის პოლიტიკური და კულტურული რეგიონი მხოლოდ წარმოსახვაში შეიძლება არსებობდეს (გვ. 129).

ადვილად შესამჩნევია პოლიტიკური და კულტურული ასპექტების თანაფარდობა ერთიანი კავკასიის ნებისმიერ პროექტში. ეს ასპექტები ერთმანეთისგან განცალკევებით არ არსებობს, ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და კუმულაციურ ეფექტს ატარებენ. სამწუხაროდ, მათ ყოველთვის დესტრუქციული გავლენა ჰქონდათ: კულტურულმა მრავალფეროვნებამ პოლიტიკური ერთიანობის მიღწევა შეუძლებელი გახადა. კავკასიის სახლის იდეის წარმოშობის დროისათვის არსებული მრავალფეროვნება საბჭოთა მემკვიდრეობის ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა. საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგად, რეგიონის სახელმწიფოების და ხალხების ძალაუფლების ღერძი ყოველთვის უფრო რეგიონს გარეთ იყო მიმართული, ვიდრე რეგიონს შიგნით. შედეგად, შიგა თანამშრომლობის ნებისმიერი მცდელობა კრახისთვის იყო განწირული. ექსპერტები, მეცნიერები და პოლიტიკოსები საუბრობენ კავკასიური თანამშრომლობის აუცილებლობაზე; თუმცა, როგორც ჩანს, მსგავსი ერთობის შექმნა არარეალისტური პროექტია, რასაც პოსტსაბჭოთა პროცესების უკვე ორ ათეულ წელზე მეტი ხნის გამოცდილება ადასტურებს.

⁴⁵ იხ. ღუგინი (1999).

3.4. აფხაზეთის კონფლიქტი კავკასიური სახლის იდეის პრიზმაში

კავკასიური სახლის იდეას, რომელიც კავკასიური მშვიდობის პლატფორმად ესახებოდათ, იმთავითვე დაუკავშირდა პოტენსიალს კავკასიის კონფლიქტების მოგვარების რამდენიმე გეგმა. აფხაზი, ქართველი და რუსი პოლიტიკური ელიტები კავკასიურ სახლს რეგიონში მათი კონკრეტული ინტერესების განხორციელების საშუალებად მიიჩნევდნენ და ის რეგიონში არსებული ბალანსის მათი პოლიტიკური გათვლების შესაბამისად გარდაქმნის საშუალებად მიაჩნდათ. შედეგად, თითოეული სამშვიდობო პროექტი, იქნება ეს ქართული, აფხაზური თუ რუსული, კავკასიური სახლის ფარგლებში თანამშრომლობას გამორიცხავს და ამ პროექტის რეალიზაციას ნულჯამოვან თამაშად გადააქცევს.

ქართული ხედვა. კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა გიორგი ხუციშვილმა ჩამოაყალიბა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების შესაძლო მოგვარების ხედვა, რომელიც კავკასიური სახლის ზოგიერთ ელემენტს შეიცავს. “აფხაზები და ოსები რუსეთისაგან თავის დაღწევის გზებს ეძებენ; ჩვენ ვიცით როგორ ვაწარმოთ მათთან დიალოგი” (ონლაინ წყარო № 37) ამტკიცებდა ხუციშვილი. კონფლიქტის მოგვარების მისეული ხედვა საქართველოს კონფლიქტების მოგვარებისადმი ახლებურ მიდგომას და, გარკვეულწილად, კავკასიის კონფედერაციის რეინკარნაციას წარმოადგენდა. 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით, ხუციშვილის პროექტი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს აერთიანებდა და რეგიონის სამი კონფლიქტის მოგვარების კონფედერაციულ პრინციპს აყენებდა.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარების ხუციშვილისეული ფორმულა მარტივია: 3 + 3, ანუ სამი სახელმწიფო (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) და სპეციალური სტატუსის მქონე სამი კონფლიქტური ტერიტორიული ერთეული (აფხაზეთი, ცხინვალი და ყარაბაღი). ხუციშვილი ამ კონფლიქტებს კავკასიაში საბჭოთა მემკვიდრეობად აცხადებდა და მიიჩნევდა, რომ მათი მოგვარების გზები რეგიონს შიგნით უნდა შემუშავებულიყო. ამ მხრივ სასწრაფოდ გადამწყვეტი ზომებია მისაღები, რათა მომავალში დაპირისპირებულ მხარეებს შორის ომი თავიდან იქნას აცილებული. “რეგიონში უნდა შეიქმნას ნაციონალურ საზღვრებს მიღმა და ზემოთ არსებული, ევროკავშირის მსგავსი სტრუქტურა. ეს სოხუმის თბილისისადმი და ყარაბაღის ბაქოსადმი პირდაპირ დაქვემდებარებას აგვაცილებს თავიდან. სანაცვლოდ, ეს ტერიტორიები კავკასიის რეგიონში შექ-

მნილი ზესტრუქტურის მიერ გაკონტროლდება” (ონლაინ წყარო №37) ამტკიცებდა ხუციშვილი. ავტორის აზრით, ის ფაქტი, რომ კონფლიქტურ ტერიტორიებზე წარმოიქმნება ორმხრივი დაქვემდებარება და საერთო მონიტორინგი ერთის მხრივ თბილისისა და ბაქოს, ხოლო, მეორეს მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან განხორციელდებოდა, მხარეებს შორის მომავალში დიალოგის წარმოების გარკვეულ იმედს იძლეოდა.

ხუციშვილი ითვალისწინებდა რუსეთის ფედერაციის მიერ რეგიონულ აქტორებზე თავსმოსხვეულ გარკვეულ შეზღუდვებს და ამტკიცებდა, რომ ძირითადად გადაწყვეტილებას [სამშვიდობო პროექტების განხორციელების კონტექსტში] რეგიონული სახელმწიფოები იღებენ. “მნიშვნელოვანია დავარწმუნოთ დასავლელი პარტნიორები ამ პროექტის სიცოცხლისუნარიანობაში, რადგანაც დასავლური და აშშ-ს მხარდაჭერის გარეშე, ეს პროექტი ვერ განხორციელდება” (ონლაინ წყარო № 37) დასძენდა ხუციშვილი. მას სწამდა, რომ ომის თავიდან აცილების საჭიროება და სურვილი სამხრეთ კავკასიის აქტორებს მილაპარაკებების მაგილასთან მიიყვანდა; ამგვარად, თითოეული აქტორი, იქნებოდა ეს სახელმწიფო თუ ავტონომიური ერთეული, საკუთარ ადგილს იპოვიდა ახალ სტრუქტურაში. აქტორები გააცნობიერებენ რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების აუცილებლობას. რაც შეეხება აფხაზების პოზიციებს, ხუციშვილი აღნიშნავდა, რომ “თუ აფხაზებს არ სურთ ქართველებთან პირისპირ მარტო დარჩენა, დღესდღეობით ისინი ასევე უფროსიან მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ხელში აღმოჩენას” (ონლაინ წყარო № 37). ახალი კავკასიური ფედერაცია კი აფხაზებს ქართული სახელმწიფოს “პირისპირ დარჩენის” საშიშროებისგან იცავდა და ზოგადად ამ დილემიდან გამოსავალს სთავაზობდა; რადგანაც აფხაზები და სამხრეთ ოსები იზიარებენ კავკასიურ სულისკვეთებას, ამგვარად (პროექტის თანახმად) “აფხაზები და სამხრეთ ოსები გახდებიან კავკასიის, და არა საქართველოს, ნაწილი” (ონლაინ წყარო № 37). ხუციშვილი მიიჩნევდა, რომ ჩრდილოეთ კავკასია ამ სქემიდან უნდა გამორიცხულიყო, რადგან დღესდღეობით ის რუსეთის ფედერაციის ნაწილია. ხუციშვილი არ გამორიცხავდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები დამოუკიდებლობისთვის დაიწყებენ ბრძოლას და გარკვეულ ვითარებაში დასავლეთის მხარდაჭერასაც კი მიიღებენ; თუმცა, ახლო მომავალში არ უნდა ველოდოთ რუსეთის ფედერაციის დაშლას და მისგან ჩრდილოეთ კავკასიის გამოყოფას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამშვიდობო პროექტი ექსკლუზიურად ხუციშვილის იდეა იყო და ის საქართველოში არც სახელმწიფო, და არც არასამთავრობო სექტორში, არ განხილულა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ხუციშვილისეული პროექტი გარკვეულ რაციონალურ ელემენტს შეიცავს ერთიანი კავკასიის ფარგლებში რეგიონის პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მოგვარებისთვის. პირველ რიგში, ის თავიდან იცილებს კავკასიის ხალხების კონფედერაციის მთავარ შეცდომას, მაგრამ ამავე დროს თანაბარ სტატუსს ანიჭებს რეგიონის ყველა მოთამაშეს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე და კერძოდ, ამ რესპუბლიკების კონფლიქტურ ტერიტორიებზე რუსეთის ზეწოლის გათვალისწინებით (იხ. თავი მე-5, ქვეთავები 5.2.1. და 5.2.2.), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ტერიტორიები უკეთესი პერსპექტივის ძებნას დაიწყებენ და ამ მხრივ, მათს შესაბამისი რესპუბლიკების ფარგლებში დაბრუნებას ალტერნატივა არ გააჩნიათ. თუმცა, ერთიანი კავკასიური წარსული პროექტების კრახი, შესაძლო ახალი რეგიონული ხედვების და სამომავლო პროექტების მნიშვნელოვანი ნაკლოვანება შეიძლება აღმოჩნდეს. ამავე დროს, რუსეთის ფაქტორი მნიშვნელოვანია ერთიანი კავკასიის ნებისმიერი ტიპის პროექტში, და ის ძირს უთხრის მისი მოწონების გარეშე შექმნილი რეგიონული ერთობის ნებისმიერი პროექტის რეალიზების პერსპექტივას.

აფხაზური ხედვა. აფხაზეთის საკითხის კავკასური მოგვარების ხედვა წარმოადგინა ვიანესლავ ჩირიკბამ. ჩირიკბამ (1999) მტკიცებით, “დასავლეთ ვეროპა, მისი შიდა-სახელმწიფოებრივი სამხედრო, პოლიტიკური, ფინანსური, ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური ინსტიტუტებით, შეიძლება კავკასიური ინტეგრაციული მოძრაობის მოდელად გამოდგეს” (ინტერნეტ წყარო № 21, გვ. 265). ჩირიკბამ იმედოვნებდა, რომ ერთიანი კავკასიური ბაზარი, კავკასიური სასამართლო და სხვა პანკავკასიური ინსტიტუტები ხელს შეუწყობენ კავკასიურ ინტეგრაციას, სადაც ავტონომიური რეგიონები და ფედერალიზებული რესპუბლიკები წარმოდგენილი იქნებიან ერთმანეთთან პირდაპირ კომუნიკაციაში მყოფ რეგიონული ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის აქტორებად. ჩირიკბამ (1999) მიიჩნევდა, რომ რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს, აგრეთვე აფხაზეთი-აპსნის ფედერაციულ რესპუბლიკას, სამხრეთ ოსეთის და აჭარის რესპუბლიკებს, რომლებიც საერთო სახელმწიფოს შექმნიან საქართველოსთან, შეუძლიათ კავკასიურ ერთობაში გაერთიანება (ინტერნეტ წყარო № 21, გვ. 265). მისი აზრით, ამ ტიპის კავკასიური ერთობა შეიძლება მომავლის მნიშვნელოვან სტრუქტურად განვიხილოთ, რადგანც ის გახსნილ საზღვრებს, ცენტრალური ხელისუფლებების შემცირებულ სუვერენიტეტს და კულტურული და ლინგვისტური გამოხატვის სრულ თავისუფლებას ეფუძნება. მსგავსი ერთობა საფუძველს უყრის ტრანსსასაზღვრო კულტურულ, პოლიტიკური და ეკონომიკურ ინ-

სტიტუტებს, რაც, ერთის მხრივ, შეამცირებს განცალკევებულობის და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას; ხოლო, მეორეს მხრივ, გაზრდის უსაფრთხოებას “პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ფინანსურად ინტეგრირებულ დემოკრატიულ და პლურალისტულ კავკასიური ერების ოჯახში,” (გვ. 265) ასკენის ჩირიკბა.

აფხაზთა კიდევ ერთი ლიდერი, ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა კიდევ უფრო განავრცობდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონფედერაციული მოგვარების გეგმას და წარმოსახვით კავშირში ჩეჩნეთსაც ითვალისწინებდა. მისთვის, კონფედერაცია უფრო იმედისმომცემი იყო მშვიდობის დამყარების მხრივ, რადგანაც “[კონფედერაციაში] ყველა მონაწილე სახელმწიფო შეინარჩუნებს სუვერენიტეტს და ერთმანეთთან მიმართებაში თანასწორი ერთეულების სახით იქნებიან წარმოდგენილნი;” რაც ფედერაციის შემთხვევაში რეალურად ვერ განხორციელდება (ინტერნეტ წყარო № 24, 1998, გვ. 8). კოპიტერსი თვლის, რომ ლაკობას იდეა სცდება აფხაზი ერთობის თავდაცვით ჩარჩოს, ამგვარად ეს პროექტი უფრო საერთო კავკასიური ინტერესების ლაკობასეულ ხედვას წარმოადგენს (გვ. 9). მართლაც, არც ჩირიკბას და არც ლაკობას გეგმა აფხაზებს არასდროს არ წამოუყენებიათ და ის მხარეებს შორის მოლაპარაკებებისას არ განხილულა.

კავკასიური სახლის აფხაზური ხედვა რეგიონული კონფლიქტების მოგვარების პრიზმაში ცენტრალური ხელისუფლებებისთვის (როგორც თბილისში, ასევე ბაქოში) ზოგიერთ მიუღებელ ელემენტს შეიცავს. თუმცა, ჩემი აზრით, სახელმწიფოს შიგნით სამხედრო, პოლიტიკური, ფინანსური, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტების გამიჯვნა და დადგენა, რაც რეგიონული ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის ხელშეწყობას ითვალისწინებს, მისაღები უნდა იყოს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისთვის. გარდა ამისა, ამ გეგმის ზოგიერთი ასპექტი თბილისის მიერ სხვადასხვა დროს ინიცირებული სამშვიდობო გეგმების ელემენტებს წარმოადგენს. თუმცა, საქართველოს ფედერალიზაციის იდეა, სადაც აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დამატებით, აჭარის რესპუბლიკა, ფედერაციული სუბიექტები გახდებოდნენ საქართველოსთან საერთო სახელმწიფოს ფარგლებში, ყველა დროში მიუღებელი იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისთვის.⁴⁶

რუსული პროექტი. გარე აქტორების მეთვალყურეობის ქვეშ კავკასიის გაერთიანების იდეა ჩრდილოელი მეზობლისგანაც მოდიოდა. 2000 წელს კავკასიური ოთხეულის იდეა იანვარსა და ივნისში გამართულ დსთ-ს სამიტებზე ვლადი-

⁴⁶ის: საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები (2000) . . . (ქართულ ენაზე).

მერ პუტინმა წამოწია წინ. მისი ინიციატივით რუსეთის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები ცალ-ცალკე შეხვდნენ ერთმანეთს რეგიონული უსაფრთხოების და კონფლიქტების მოგვარების საკითხების განსახილველად. ამ შეხვედრის კომენტარებისას, როი ალისონი (2004) შენიშნავს, “... ეს იყო დემარშის მცდელობა მომავლის სამხრეთ კავკასიის იმ პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც დასავლეთში აქტიურად განიხილებოდა და სადაც წამყვანი როლი დასავლეთის ქვეყნებს და თურქეთს ენიჭებოდა” (გვ. 109). რუსეთის ინიციატივის თანახმად, ამ გაერთიანებაში უნდა შესულიყვნენ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები და სამი რეგიონული ძალა – რუსეთი, თურქეთი და ირანი, ასევე აშშ (3+3+1). მსგავსი პროექტი ინიცირებულ იქნა თურქეთის და საქართველოს პრეზიდენტების მიერ 2000 წელს, თუმცა აშშ-ს გარდა ფორმატში შეყვანილ იქნა ევროკავშირი, რომელსაც საკუთარი ინტერესები გააჩნდა რეგიონში (3+3+2) (ალსონ, 2004, 109). აღსანიშნავია, რომ არც ერთ ზემოთნახსენებულ ფორმატს არ უშავია და არანაირი წვლილი არ შეუტანია კონფლიქტების დარეგულირებაში.

3.5. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გაერთიანების 2008

წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის ინიციატივები

ერთიანი კავკასიური სახლის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულმა მიხეილ სააკაშვილმა. ეს იდეა განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. განახლებული იდეა ორსახოვანი პროექტი იყო: ერთის მხრივ ის მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საქართველოს პოზიტიური იმიჯის შექმნას, სადაც საქართველო წარმოჩენილი იქნება კავკასიის ცენტრის სახით, რომლის გარშემოც ერთიანდებიან სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები; ხოლო, მეორეს მხრივ, პროექტი ითვალისწინებდა თურქეთთან რეგიონის უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებას, რომელიც, პირველ რიგში, ქართულ-აზერბაიჯანული კონფედერაციის სახით იქნება წარმოდგენილი. ბუნებრივია, ამგვარი პერსპექტივა აღიზიანებს რუსეთს, სომხეთს და ირანს. რეგიონში თურქეთის კიდევ უფრო მზარდი შეღწევის პერსპექტივის პარალელურად, რუსი ექსპერტების უმეტესობა სააკაშვილის ინიციატივას კავკასიაში ანტი-რუსულ პროექტად მიიჩნევდა; მეორეს მხრივ, ქართველი და რუსი ექსპერტები, მოსკოვის მოწონების გარეშე კავკასიური ერთიანობის იდეის სა-

ერთაშორისო გახმიანებას გარდაუვალ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ და პრინციპში, ეს ასეც მოხდა კიდევ.

სააკაშილის კავკასიური ინიციატივა და მისი აფხაზური ხედვა. 2010 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშილმა, გაეროს ასამბლეაზე წარმოადგინა “თავისუფალი, სტაბილური და ერთიანი კავკასიის” მისეული ხედვა და რუსეთი კავკასიის რეგიონის ტრანსფორმაციაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. სააკაშილის თანახმად, კავკასიის გაერთიანება ენერგეტიკის და განათლების სფეროში საერთო პროექტებით, აგრეთვე კულტურის და სამოქალაქო სექტორში ერთობლივი ინიციატივებით უნდა დაწყებულიყო (ინტერნეტ წყარო №95). ამ გამოსვლას მოჰყვა განცხადება ქართულ-აზერბაიჯანული კონფედერაციის შექმნის შესაძლებლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ამ საკითხს არ გამოხმაურებია, აზერბაიჯანელმა პოლიტიკურმა ექსპერტებმა მოიწონეს იდეა როგორც ორივე მხარისთვის სასარგებლო ინიციატივა “ერთიანი კავკასია საზღვრების გარეშე” პროექტის ფარგლებში; ხოლო ქართველმა პოლიტიკოსებმა ის ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში ახალ, წინგადადგმულ ნაბიჯად მოიხსენიეს (ინტერნეტ წყარო № 104). 2011 წლის 12 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტმა ერთიანი კავკასიის პროექტი განიხილა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, აჰმეტ დავითოღლუსთან: “ერთიანი კავკასიის შექმნა ჩემი ოცნებაა. რეგიონის – სომხეთის და აზერბაიჯანის ლიდერები იწონებენ ამ იდეას” (ინტერნეტ წყარო № 109), აღნიშნავდა სააკაშილი. თურქეთმაც პოზიტიურად შეაფასა ქართულ-აზერბაიჯანული კონფედერაციის შექმნის იდეა: “აზერბაიჯანის და თურქეთის დამაკავშირებელი პროექტები კიდევ უფრო განმტკიცდება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ჩამოყალიბებული მჭიდრო კავშირების შედეგად” (ინტერნეტ წყარო № 114), აღნიშნა თურქეთის არდაგანის პროვინციის მმართველმა მუსტაფა ტეკემენმა. თუმცა, სომხეთი ეჭვით შეხვდა საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის “გაერთიანების” იდეას.

საქართველოს ხელისუფლების მიერ პროექტის რეალიზაციის მიზნით გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა. ინიციატივის განხორციელება ჩრდილოეთ კავკასიასთან მჭიდრო კავშირების დამყარებით დაიწყო. საქართველოს ახალი ჩრდილო კავკასიური პოლიტიკა ამ რეგიონის რესპუბლიკებს შორის საქართველოს ნეგატიური იმიჯის დამსხვრევის აუცილებლობით იქნა გამართლებული. ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტის წევრებისგან შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელთაც მიზნად დაისახეს ჩრდილოეთ კავკასიის პარლამენტარ

კოლეგებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება.⁴⁷ “ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან პირდაპირი კავშირების დამყარება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების გვერდის ავლით მოხდება, რაც წარსული ისტორიული კავშირების გამოცოცხლება იქნება,”⁴⁸ აღნიშნა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ნუგზარ წიკლაურმა.

2012 წლის 28 თებერვალს, პარლამენტისადმი პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვაში, სააკაშვილმა წამოაყენა ინიციატივა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის მოხსნის შესახებ. ამ ინიციატივას მალევე მოჰყვა პრაქტიკული რეალიზაცია: მეორე დღეს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც ვიზის და პასპორტში შემოსვლის დამადასტურებელი ბეჭდის გარეშე, რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლის და 90 დღიანი გაჩერების უფლება მიეცათ (ინტერნეტ წყარო № 117). უვიზოდ შემოსვლის უფლებით ისარგებლებდნენ რუსეთის ფედერაციის ის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ ჩეჩნეთში, ადიღეში, ინგუშეთში, ჩრდილოეთ ოსეთში, ყაბარდო-ბალყარეთში და ყარაჩაი-ჩერქეზეთში და საქართველოში შემოსვლას ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მეშვეობით შესძლებდნენ. ამავე დროს ამოქმედდა სატელევიზიო არხი პირველი კავკასიური, რომელიც საქართველდან მაუწყებლობდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსულ ენაზე და რუსეთის ფედერაციის ამ რეგიონში ახალი საქართველოს იმიჯის შექმნას ემსახურებოდა. თუმცა, კრემლში თვლიდნენ, რომ “აღნიშნული ტელევიზია ჩრდილოეთ კავკასიის დესტაბილიზაციას” ისახავდა მიზნად და ხელს უშლიდა “რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზაციას” (კჰააღმე, შიდევი, 2011, 17).

სააკაშვილის ჩრდილო კავკასიურ ინიციატივას ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის ორაზროვანი რეაქცია მოჰყვა. ექსპერტი ვასილ ჭყოიძე, პოზიტიურად აფასებდა აღნიშნულ ინიციატივას და ამტკიცებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია ჩრდილოეთ კავკასიის იგნორირება, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ერთის მხრივ, ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობები გამოცოცხლდნენ რუსეთის ფედერაციის ამ მდელვარე რეგიონში, ხოლო, მეორეს მხრივ, საქართველო და რუსეთი, რეალურად, ცივი ომის პირობებში იმყოფებოდნენ (ინტერნეტ წყარო № 3). ექსპერტი დემურ გიორხელიძე კი ამტკიცებდა, რომ თუმცა ერთიანი კავკასიის იდეა შეიცავს გარკვეულ პოზი-

⁴⁷ ჯგუფში შედიოდნენ პარლამენტარები: მიხეილ ცქიტიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ლევან ვეფხვაძე, ვია თორთლაძე, რუსუდან კერვალიშვილი, შოთა მაღაშხია, ხათუნა ოჩიაური და ნუგზარ წიკლაური.

⁴⁸ გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*, 20.02.2010.

ტიურ ასპექტებს, მისი განხორციელება გარდაუვლად საჭიროებს ყველა მხარეს შორის შეთანხმების მიღწევას; ამგვარად, ის ვერ განხორციელდება მხოლოდ საქართველოს, აზერბაიჯანის, ხომხეთის და რუსეთის სურვილით. გარდა ამისა, გიორხელიძე საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას კავკასიური პროექტის განხორციელების ძირითად ხელისშემშლელ მიზეზად მიიჩნევდა (ინტერნეტ წყარო № 3). მამუკა არეშიძეს აზრით, “საქართველოს ინიციატივა ერთსა და იმავე დროს დაგვიანებულიც იყო და ნაჩქარევიც.”⁴⁹ ის დაგვიანებულია, რადგანც პარლამენტს მსგავსი ნაბიჯი გაცილებით ადრე უნდა გადაედგა, ხოლო ნაჩქარევიც, რადგან რუსეთის ხელისუფლება დაბლოკავს ჩრდილო კავკასიურ ერთეულებთან საქართველოს მიერ კონტაქტის დამყარების ყველა მცდელობას; რაც შეეხება ჩრდილო კავკასიელ დეპუტატებთან კონტაქტების დამყარებას, არეშიძის მტკიცებით, ეს ილუზორული ამოცანა იყო, რომელიც ვერ შესრულდებოდა.⁵⁰ ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებდა, რომ “თუ დამოუკიდებელი კავკასიის შექმნის პროექტი ძლიერი და კარგად გააზრებული კონცეფციით არ იქნა გამყარებული, გახშიანებული ინიციატივა იმთავითვე კრახისთვის იქნება განწირული” (ინტერნეტ წყარო № 108). ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ნაწილი მთლიანად უარყოფდა ამ იდეას. ჰამლეტ ჭიპაშვილი ამტკიცებდა, რომ რუსეთის და ირანის მონაწილეობის გარეშე კავკასიური სახლის იდეა საქართველოს მთლიანად თურქეთის გავლენის ქვეშ მოაქცევედა, ამგვარ ცვლილებას კი არც რუსეთი და არც ირანი არ დაუშვებდა. ჭიპაშვილი ერთიანი კავკასიური სახლის იდეას ანტიქართულ პროექტად მიიჩნევდა და მიუთითებდა, რომ სააკაშვილის ინიციატივა ზოგიერთი თურქი “ექსტრემისტის” მოსაზრებას ეხმიანებოდა, რომლებიც “დიდი თურქული, ოტომანთა მსგავსი, იმპერიის შექმნას ესწრაფიან, რომლის საზღვრებშიც ასევე მოექცევა კავკასია” (ინტერნეტ წყარო № 41).

როგორც ვნახეთ, სააკაშვილის პანკავკასიური ერთობის შექმნის ინიციატივას გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მოჰყვა. თუმცა, ის შეიძლება საქართველოს მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიისადმი წინასწარდაგეგმილ პოლიტიკად მივიჩნიოთ, რომელიც მთლიანობაში პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. თანამშრომლობის შეთავაზებული სფეროები (ენერგეტიკა, განათლება, ინიციატივები კულტურისა და სამოქალაქო სექტორში) ნეიტრალურად გამოიყურება და, ერთი შეხედვით, მომავალში რუსულ-ქართული ურთიერთობების ხელის-

⁴⁹ გაზეთი ალია, 20-22.02.2010.

⁵⁰ იქვე.

შემწლელ ელემენტებს არ შეიცავდა. თუმცა, იმ ფაქტმა, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირები რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით უნდა დამყარებულიყო, რასაც ხელს უწყობდა რუსეთის ფედერაციის ჩრდილო კავკასიელი მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლისას სავიზო რეჟიმის გაუქმება, შეიძლება გარკვეული ნეგატიური ეფექტი გამოეწვია რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, როგორც ჩრდილოეთ კავკასიიდან, ასევე მოსკოვიდან. ხელაშვილი (2011ბ) მართებულად შენიშნავდა, რომ “ჩრდილოეთ კავკასია არა საქართველოს პოლიტიკის მიზანს, არამედ მხოლოდ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენდა” (გვ. 3). ამავე დროს, ავტორი აკრიტიკებდა სააკაშვილის ჩრდილო კავკასიურ ინიციატივას და აცხადებდა, რომ გატარებული პოლიტიკა ორი დიდი ძალის რეგიონზე პროეცირების მცდარ აღქმას და შეფასებას წარმოადგენდა. რუსეთს გააჩნდა უპირატესობა აშშ-სთან მიმართებაში, რადგანაც მას უშუალოდ მის სიახლოვეს შეუძლია სამხედრო და ეკონომიკური ძალის დემონსტრირება. მეორეს მხრივ, სააკაშვილმა ვერ შეაფასა რუსეთის გაღიზიანების საფრთხეები და შესაძლო შედეგები, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი აშშ-ზე სუსტი აღმოჩნდებოდა (ხელაშვილი, 2011, გვ. 4).

საქართველოს პრეზიდენტის კავკასიურმა ინიციატივამ აფხაზეთში ნეგატიური გამოხმაურება კპოვა. ის არა მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად, არამედ აფხაზებისა და ჩრდილოკავკასიელების დაპირისპირების აშკარა მცდელობად იქნა აღქმული. კაშივს (2011) მიაჩნდა, რომ საქართველო, ერთის მხრივ ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის სუვერენიტეტის ძირის გამოთხრას და ამ რეგიონის სეცესიის მიღწევას, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზებსა და ჩრდილო კავკასიელ ხალხებს – ყაბარდოელებს, ჩერქეზებს და ადიღეელებს – შორის შუღლის ჩამოგდებას და ამ გზით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდა (ინტერნეტ წყარო № 57, გვ. 2).

აფხაზები ასევე ნეგატიურად უყურებდნენ თბილისის მიერ ჩერქეზების გენოციდის საკითხის წინ წამოწევას, რაშიც ჩერქეზების და აფხაზების დაპირისპირების მცდელობას ხედავდნენ. “ჩერქეზებისთვის გაუგებარია რატომ არ აღიარებენ აფხაზები გენოციდის ფაქტს, თუ ეს თბილისმა გააკეთა” (გვ. 2). ავტორი დასძენდა, რომ ადგილობრივი აფხაზი ექსპერტები ამ კონტექსტში აფხაზეთის პარლამენტის მიერ “მე-19 საუკუნეში აფხაზების-აბაზების დეპორტაციის საკითხის შესახებ” 1997 წელს მიღებულ რეზოლუციაზე ამახვილებენ ყურადღებას, სადაც მე-19 საუკუნეში აფხაზების-აბაზების მასობრივი მკვლელობები და ოტომ-

ანთა იმპერიაში დეპორტაცია იქნა დაფიქსირებული და ეს ფაქტი კაცობრიობის წინაშე ჩადენილ სასტიკ დანაშაულად იქნა მოხსენიებული (ინტერნეტ წყარო № 57, გვ. 2). უნდა აღინიშნოს, რომ აღიღეს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და პრეზიდენტმა არაერთგზის მიმართეს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმას მეფის რუსეთის მოქმედებების გენოციდად აღიარების მოთხოვნით (გვ. 1). 2006 წლის ოქტომბერში, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედმა 20-მდე აღიღურმა სამოქალაქო ორგანიზაციამ მიმართვა გაუგზავნა ევროპარლამენტს გენოციდის აღიარების მოთხოვნით, ერთი თვის შემდეგ კი აღიღურმა, ყარაჩაი-ჩერქეზეთში და ყაბარდო-ბალყარეთში მოქმედმა ორგანიზაციებმა გაუგზავნეს მიმართვა რუსეთის პრეზიდენტს – ვლადიმერ პუტინს, ჩერქეზეთა გენოციდის აღიარების თხოვნით. 2011 წელს კი ანალოგიური თხოვნა გაუგზავნეს საქართველოს, რომელიც 2011 წლის მაისში იქნა დაკმაყოფილებული და საქართველოს ხელისუფლებამ მეფის რუსეთის მიერ ჩერქეზეთა გენოციდის ფაქტი აღიარა (ინტერნეტ წყარო № 54, გვ. 2). ამგვარად, აფხაზი ექსპერტების განცხადებით, საქართველო კავკასიის ერთიანობის იდეას საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებდა, რომლის დროსაც, სულ მცირე, აფხაზური პოზიციების უგულვებლყოფა ხდებოდა. შარაშენიძე და სუხოვი (2011) კი შენიშნავენ, რომ “ჩერქეზეთის ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარებისას საქართველო ყურადღების მიღმა ტოვებს ჩერქეზეთის მეზობლების, ყარაჩაი-ბალყარელების და ეთნიკური რუსების ინტერესებს” (გვ. 24).

რუსეთი და სააკაშვილის კავკასიური ინიციატივა. როგორც მოსალოდნელი იყო რუსეთი სასტიკად შეეწინააღმდეგა სააკაშვილის კავკასიურ ინიციატივას. რუსეთის ნეგატიური რეაქცია ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს გავლენის შესაძლო ზრდით იყო განპირობებული, რასაც შეიძლება მომავალში ჩრდილოეთ კავკასიის სუბიექტების მხრიდან საქართველოსაკენ სწრაფვა მოყოლოდა, ეს კი რუსეთის ფედერაციისთვის არასასურველი და არაპროგნოზირებადი შედეგების მომტანი აღმოჩნდებოდა. გარდა ამისა, რუსულ პოლიტიკურ წრეებში ყურადღებას ამახვილებენ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე, რაც, მთლიანობაში, კავკასიური ერთობის იდეას არარეალიზებად პროექტად აქცევს.

რუსეთის სახელმწიფო დუმამ ჩრდილო კავკასიელ პარლამენტარებისადმი საქართველოს მიმართვა მკვედრადშობილ ინიციატივად გამოაცხადა. რუსეთის დუმის წევრი, სერგეი აბელცევი, ინიციატივას კავკასიის დესტაბილიზაციის მცდელობად მიიჩნევდა: “რუსეთში არსებობს ძლიერი ადმინისტრაციულ-სამთავრობო დაქვემდებარება, ამგვარად არავინ დაიწყებს სააკაშვილთან მოლაპარაკე-

ბას. რადგანაც პუტინი არ აღიარებს სააკაშვილს, ამგვარად არც ინგუშეთის პრეზიდენტი, და არც ჩეჩნეთის პრეზიდენტი, არ დათანხმდება მასთან რაიმე სახის გარიგებას.”⁵¹ თუმცა, რუსეთი მაინც შეაშფოთა აღნიშნულმა ინიციატივამ: ასკერ სოხტი, კრასნოდარის მხარეში არსებული რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციის – *ადილე ხასას* – ლიდერი ამტკიცებდა: “თანდათანობით აშკარად იზრდება საქართველოს გავლენა რეგიონში [ჩრდილოეთ კავკასიაში] და მას გარკვეული არაპროგნოზირებადი შედეგები აუცილებლად მოჰყვება” (ინტერნეტ წყარო № 84). მეორეს მხრივ, რეგიონში სახეზე იყო სასწრაფოდ მოსაგვარებელი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მოსკოვი კი ვერ ახერხებდა პრობლემების მოგვარებას და ამ მხრივ ეფექტური ზომების გატარებას. ილია სოობცკოვი, რეგიონული ადიღური საზოგადოებრივი მოძრაობის *ადილე ხასას* ლიდერი ამტკიცებდა, რომ “ჩრდილო კავკასიელი ხალხის მოუგვარებელი პრობლემები მათთვის საქართველოს მომხიბვლელს გახდის ... დიდი თამაში ჯერ არ დასრულებულა”. (ინტერნეტ წყარო № 85) რუსი პოლიტიკოსების წინასწარმეტყველებით, სააკაშვილის ინიციატივა ჩაიშლებოდა რეგიონში არსებული რამდენიმე მოუგვარებელი პრობლემის გამო. ჩრდილოეთ კავკასია სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში ომის აფეთქების რეალური საშიშროების წინაშე იდგა, ხოლო მოსკოვი კავკასიის გაერთიანების მცდელობებს ეწინააღმდეგება. რუსი დისიდენტი, ვალერია ნოვოდვორსკაია კი ამტკიცებდა, რომ აშშ-მ და ევროკავშირმა მხარი უნდა დაუჭირონ სააკაშვილის ინიციატივას, რადგანაც “დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე ეს იდეა ადგილიდან არ დაიძვრება” (ინტერნეტ წყარო № 107).

მოსკოვის მტკიცებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რეგიონში შექმნილი ახალი რეალობა კავკასიურმა სახლმა უნდა ასახოს. ამგვარად, “დამოუკიდებელი” აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კავკასიური სახლის “თანაბარუფლებიანი წევრები” უნდა გახდნენ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ალექსანდრე ლუკაშევიჩი აცხადებდა, რომ რეგიონში თანამშრომლობა ახალი რეალობის აღიარებით შეიძლება იქნას მიღწეული, ე.ი. აფხაზეთის რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებით. ამგვარად, ამ პროექტის წარმატება საქართველოს მიერ “ახალი რეალობის” მიღებაზეა დამოკიდებული. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებული პირობებით კავკასიური ინიციატივის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობისადმი რუსეთის ძლიერი წინააღმდეგობა ამ გეგმის რეალიზაციას თითქმის შეუძლებელს ხდიდა.

⁵¹გაზეთი *რეზონანსი*, 20.02.2010.

სომხეთი და ახალი კავკასიური ერთობის ინიციატივა. ნებისმიერი სახის კავკასიური ერთობის შექმნის მცდელობა წინა პლანზე წევს სომხეთის პრობლემას. დაძაბული სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობების და აზერბაიჯანულ-ქართულ-თურქული გამოკვეთილი თანამშრომლობის ფონზე, სომხეთი შეიძლება განვიხილოთ კავკასიაში რუსეთის მოკავშირედ და, ამგვარად, ნებისმიერი სახის კავკასიური ერთობის დაბლოკვის ინსტრუმენტად. სომეხი ექსპერტები და პოლიტიკოსები კავკასიურ ერთობის ინიციატივას მთიანი-ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას უკავშირებენ და გამორიცხავენ რეგიონში თურქეთის უფრო აქტიურ ჩართვას. “თურქეთი საქართველოს მეშვეობით ცდილობს უფრო აქტიურად ჩართოს რეგიონში; თუმცა, რადგან სომხეთთან დაკავშირებული საკითხები მინსკის ჯგუფის ფარგლებში განიხილება, პროცესებში ახალი აქტორის ჩართვა შეუძლებელია” (ინტერნეტ წყარო № 50), აცხადებს პოლიტიკური პარტია ახალი დროს ლიდერი არამ კარაპეტიანი. კარაპეტიანი პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში შესაძლო სერიოზულ საფრთხეზეც საუბრობდა; ეს იყო: დემოგრაფიული ცვლილებები სომხეთისთვის (მოსახლეობა 2 მილიონი), რომელიც საზღვრების გახსნის შემდეგ აღმოჩნდებოდა აზერბაიჯანულ და ქურთულ მოსახლეობას შორის (მოსახლეობა 18 მილიონი).

როგორც ვხედავთ, სომეხი პოლიტიკოსები შეაშფოთა ახალმა პროექტმა, რომელიც რეგიონის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების – აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და მთიანი ყარაბაღი – მოგვარებას ესწრაფვის. კარაპეტიანის პროექტი კავკასიური [გაერთიანებული] სახელმწიფოების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, დედაქალაქით თბილისში (ინტერნეტ წყარო № 50). სომხეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, რუბენ საფრასტანმა, აღნიშნული ინიციატივა “სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე სასიკვდილო დარტყმად” მოიხსენია (ინტერნეტ წყარო № 50). რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ეს პროექტი ჩავარდა, აღნიშნავდა საფრასტანი. ამავე დროს ის ამტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო შექმნილიყო პროექტის ძირითადი დერძი, ხოლო თურქეთი ლიდერის როლს ვერ იტვირთავდა კავკასიაში, რადგანაც მას ამის პოტენციური საერთოდ არ გააჩნია (ინტერნეტ წყარო № 50).

სომხეთის პოზიცია ძალზედ პრობლემატურია. კავკასიურმა სახელმა, რა სახის ფორმით და სტრუქტურითაც არ უნდა ჩამოყალიბდეს ის, წარმოუდგენელია [სამხრეთ] კავკასიის რომელიმე სახელმწიფო მის საზღვრებს მიღმა დატოვოს. თუმცა, სომხურ-თურქული ჩიხის გათვალისწინებით ეს სავსებით რეა-

ლურია. გარდა ამისა, რადგანაც სომხეთი მუდმივად წარმოჩინდება რეგიონში რუსეთის მხარდამჭერად, რუსეთს შეუძლია რეგიონის სხვა აქტორებისთვის გარკვეული “სურპრიზების” მოწოდება; სომხეთი ყოველთვის განიხილება “ტროას ცხენად” კავკასიურ სახლში ერთობის სხვა წევრების მიერ. ამგვარად, სომხეთის საკითხი შეიძლება უფრო ნაყოფიერად მოგვარდეს გარე აქტორების ძალისხმევით, ვიდრე რეგიონულ აქტორებს შორის გამართული დიალოგის შედეგად.

კავკასიური სახლის იდეის ანალიზმა აჩვენა, რომ ის ყოველთვის რეგიონული წინააღმდეგობების გადაჭრის იმედით ინიცირდებოდა და არასდროს ეფუძნებოდა რეგიონულ მსგავსებებს და კავკასიის ხალხების მიერ მათი მომავლის საერთო ხედვას. მაშასადამე, ამავე დროს, ის ყოველთვის იყო გარე ძალების ხელში რეგიონის ეთნიკურ ჯგუფებზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, კავკასიაში *divide et impera* პრინციპის განუხრელი გატარების პარალელურად. კავკასიური სახლის იდეა უფრო პოლიტიკური პროექტია, ვიდრე კავკასიის ხალხების კულტურულ-ისტორიული ნათესაობის გაცნობიერებელი გამოსატყულება. 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების განმავლობაში აფხაზეთის ირგვლივ პოსტსაბჭოთა დაპირისპირებების და კავკასიური სახლის იდეის ფარგლებში ინიცირებული სამშვიდობო პროექტების ფართო კონტექსტში ანალიზმა დაამტკიცა, რომ რეგიონულ წარმოსახვით ინსტიტუციურ სტრუქტურებს მეტწილად ნეგატიური გავლენა ჰქონდა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე. ერთიანი კავკასიური პლატფორმის ფორმულირება პოსტსაბჭოთა პროცესების ამა თუ იმ ეტაპის პოლიტიკური კონიუნქტურით იყო განპირობებული და არა მხოლოდ რეგიონულ აქტორებზე, არამედ გარე მოთამაშეებზე იყო დამოკიდებული; გარე აქტორების ხშირად დაპირისპირებული ინტერესები იმთავითვე ძირს უთხრიდა ერთიანი კავკასიის იდეას. მთლიანობაში, კავკასიური სახლის მომავალს სხვადასხვაგვარად ხედავდნენ და დღესაც ხედავენ აქტორები, ამგვარად საეჭვოა ერთიანი პოზიციის შეჯერება ან კავკასიური სახლის იდეის, ან რომელიმე მსგავსი კავკასიური პლატფორმის ფარგლებში.

შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ კავკასიის რეგიონული სამშვიდობო პროექტები, როგორცაა ერთიანი კავკასიური სახლის იდეა, უგულებელყოფდნენ, ან არასათანადოდ აფასებდნენ ინტერკულტურული განსხვავებების ძლიერ გავლენას კავკასიელი ხალხების აზროვნებაზე და მათ მოქმედებებზე; ეს იდეა ძირითადად ისტორიულ-კულტურული მსგავსების მცდარ წანამძღვრებს ეფუძნებოდა და საბჭოთა პერიოდის “ძმობისა და ერთობის” მითით საზრდოობს. ყველა ამ ასპექტზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური და

